კვირის პალიტრა

N9 (4 [illegible] 1-5/III [illegible] ფასი 80 [illegible]

ინტელექტუალი მოდელით მოიხიბლა

„მე შეყვარებული ვარ...“

ნინო ჩხეიძე რადიკალური ცვლილების ზღვარზე

„ქალთან, რაც უნდა გრძელი ფეხები ჰქონდეს, თუ მოაზროვნე არ არის, ურთიერთობა არ შემიძლია...“

ადამიანები, რომლებმაც საყვარელი პიროვნებები დაკარგეს...



შევარდნაძის მეზობელი „ქვის კაცი“ და მასთან სტუმრად მისული რიჩარდ ნიქსონი

1937 წლის სისხლიანი ქრონიკა

...მკვლელი, რომელიც ფსიქიკურად შეიშალა

როგორ რჩებიან შინაბერებად...

ISSN 1987 - 5029

9 771987 502009

საბა ◻ SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

№9 (403)
28 თებერვალი –
5 მარტი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

ჟურნალი ჟურნალში
ფლეშ ვნილები

ჩვენი ცხოვრება ცოფთაა, ამდენ ამ ვიუნებთა.



მეექვსე გრძნობა

ფოტოალბომი

სიტუაცია

39-70

თინა კანდელაკმა მკერდი გაიდიდა



თინა კანდელაკმა მკერდი გაიზარდა და ამჟამად მისი ბიუსტის ზომა სამი ნომერია! ამ ფაქტს ოპერაციის შემდგომ დარჩენილი ნაწიბურებიც მოწმობს, რომელიც პაპარაცებმა მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე დააფიქსირეს.

89

წიგნი და მისი ავტორის ინტელექტი

წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ამის სურვილი არაერთხელ გასჩენია. ამბობს, რომ წიგნი, რომელშიც ყველაზე დიდი თანხის გადახდა მოუწევს, ჯერ არ შეუძენია.

22

■ მინიატურები
ქართული ფეხბურთის რეანიმაცია ანუ „გოლი გვინდა, გოლი!..“ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ასეთ რაღაცებს საინფორმაციო გამოშვებებში არ უნდა უჩვენებდნენ“ 6
■ პოლიტიკა
„ხალხს აქციისკენ მოუწოდებენ, თავად კი კაბინეტებისკენ გარბიან...“ 8
■ ჟურნალისტის როლში
ინტელექტუალი მოდელით მოიხიბლა... 10
■ პროტესტი
ვეტერანი ფეხბურთელები რიგგარეშე ყრილობის მოწვევას ითხოვენ 12
■ კონკურსი
„ევროვიზიის“ ქართველი მონაწილეები და მათი შანსები 13
■ დაიჯესტი 15
■ კრიმინალი
✓ დედამ საკუთარი შვილები საძინებელში დახოცა... 16
✓ ძმებმა მოზარდ ნათესავს საკუთარი საფლავი ამოათხრევინეს 17
■ ერიჰაა!
რეპორტაჟი „ცხელი“ ვაგონიდან ანუ როგორ გვემსახურება საქართველოს რკინიგზა 18
■ სასიძო
ვასო ფხაკაძე თაყვანისმცემელს „ქლაბ-შოუში“ ეპატიჟება 20
■ ერუდიტი
2.500 დოლარად ღირებული წიგნი და მისი ავტორის ინტელექტი 22
■ რეპრესიები
მკვლელი, რომელიც ფსიქიკურად შეიშალა 24

– ბექა მეპრანჭება, – საზეიმო ტონით წარმოთქვი და გამარჯვებულის იერით შეეხედე, თუმცა იმწამსვე ვინანე, ბექა რომ გავეცი.

– შენთვის გაუსროლია „ავრორას“, – ბოროტად ჩაიცინა და ყავა მოხვრიპა.

– რაგომაც არა, ერთხელ მეც გამილიმოს ბედმა, არ შეიძლება? – მის ყოველ შემოტევას შეტევითვე ვუპასუხებდი.

– როგორ არ შეიძლება. განუმეორებელი წყალი იქნებით.

– ეჭვი არ შეეპაროს. მიყვარს ძლიერი მამაკაცები.

– ამით რა გინდა მითხრა, რომ მე ძლიერი არ ვარ?

– შენ მშიშარა ხარ...

74

■ მეტამორფოზები
ნინო ჩხეიძე იმიჯს იცვლის 26
■ ნამდვილი ამბავი
ტრენინგზე გაცნობილი ზორბა მზეთუნახავი 28
■ თემა
როდესაც საყვარელ ადამიანს ვკარგავთ 29
■ ანტიდეპრესანტი 30
■ თინეიჯერული პონტები
✓ გაბრაზებულთა „ბაზარი“ „გზაში“ 32
✓ „ეჰ, თურმე, ბიჭებსაც შეგძლებიათ სიყვარული“ 34
■ ჯანმრთელობა
ხელების მიხედვით დასმული დიაგნოზი 36
■ ჟურნალი ჟურნალში
გზავნილები 39-70
■ არაჩვეულებრივი „გამოფენა“
პირველკლასელთა „პარლამენტი“ და „პარლამენტარების“ გატეხილი მჭადი და ყველი 71
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია. ქარის საიდუმლო... (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ რა ასაკის უნდა იყოს თქვენი რჩეული მამაკაცი 80
✓ ხშირი და ლამაზი წამწამები რომ გქონდეთ... 80
✓ მასაჟი ყელისთვის 81
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ გარემო
ექსპრეზიდენტის მეზობელი „ქვის კაცი“ და მის დენდროლოგიურ პარკში მოხეტიალე რიჩარდ ნიქსონი 86
■ ვარსკვლავები
✓ სკარლეტ იოჰანსონი ვუდი ალენის მუზა 88
✓ ჯენიფერ ლოპესის ახდენილი ოცნება 91
■ მსახიობი
ქუჩაში ჩაბარებული „პატაკი“ და გმირი სერიალიდან 92
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 94
■ საზღვრებს მიღმა
„ნოსტალგია მოგონებების კორიანტელში გვხვევს ელადელ ქართველებს“ 96
■ წმინდანები
გვირგვინოსანი, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოსთვის ბრძოლაში გალია 97
■ სპორტული მოზაიკა 100
■ ავტო 102
■ პროგნოზი 103
■ სკანვორდი 104
■ ტესტი 105
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ირაკლის დაკარგვის აღარ მეშინია

„მართალია, დღეს ირაკლი ჩემთან აღარაა, მაგრამ მან ჩემში იმდენი სიყვარული, სითბო და პოზიტიური ენერგია დატოვა, რომ დღემდე უამრავი სირთულის დაძლევაში მეხმარება“.

29

გაბრაზებულთა „ბაზარი“ „გზაში“

„სხვების პოპულარობა ნამდვილად არ მაღიზიანებს, მაგრამ მინდა, ისეთი ადამიანი იყოს პოპულარული, ვინც ხალხს გამოადგება. ჩემს შვილს იცი, როგორ უყვარს შენი სიმღერები?“

32

მარტო ცხვირი მიჩანს და ვეღარავინ მცნობს...

„არც ვიგინები და არც ყვირილს ვიწყებ. წყნარი და მშვიდი ტონით ვაგვარებ ყველანაირ კონფლიქტს“.

20

— ჰეროინი!.. — ყრუდ ჩაილაპარაკა ტარბამ.

— ცდები... ეს ნარკომანისთვისაა ჰეროინი. ჩვენთვის კი... მაყუთი, ბოლო მოდელის „მერსედესი“, ასეთი აგარაკი და გავლენაა... რაც გინდა, ის უწოდე. ყველაფერი ის, რისთვისაც ვიბრძვით და რაც ცხოვრებას ალამაზებს!..

— შენ რა, ბარიგობას მთავაზობ?! — მოიღრუბლა ტარბა.

— არა... ასე არ დაგამცირებ. ვიცი, რა კაციც ხარ!.. რაზე წახვალ და რაზე — არა!

— აბა, რა გინდა?

— რაც მინდა, უკვე გითხარი.

82

ქართული ფეხბურთის რეანიმაცია ანუ „გოლი გვინდა, გოლი!..”

საქართველოში ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა რომ არის, ამას შემდეგი ფაქტიც მოწმობს: ყველაზე მეტი ბავშვი სწორედ ფეხბურთზე დადის. ფეოლას თქმისა არ იყოს, დიდი ფეხბურთის მომავალი სწორედ ბავშვებში იჭედება. კი უნდა იჭედებოდეს, წესით, მაგრამ უფრო ეჭედება, ვიდრე იჭედება. აბა, რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ერთი თერთმეტკაციანი გუნდის შექმნა, რომელიც ხანდახან მაინც გაახარებს გულშემატკივარს, რომელსაც მრავალშვილიანი მამასავით, ფეხბურთი ყველაზე მეტად სტკენს გულს, ნერვებს უშლის, მაგრამ განსაკუთრებით, მაინც ის უყვარს!..



მოკლედ, ყოველ მორიგ წარუმატებლობას უამრავი ახსნა უკეთდება: ვინ მწვრთნელს ადანაშაულებს, ვინ — ფეხბურთელს, ვინ — მსაჯს, მაგრამ ყველაზე ხშირად, დამნაშავედ სპორტული იღბალი მოიხსენიება, რომელმაც ზურგი გვაქცია და კიდევ ერთი მოსაგები თამაში წაგვაგებინა. ჩემი აზრით კი არც მწვრთნელია დამნაშავე, არც — ფეხბურთელი, არც — მსაჯი და არც — იღბალი, დამნაშავეა მეტოქე გუნდი, რომელიც პროფესიონალიზმით ათი თავით ჩვენზე მაღლა დგას და რამდენი გოლიც სჭირდება, იმდენს „ამოგვიდებს“.

და მაინც, ფეხბურთი საქართველოში პოლიტიკის დონის პრიორიტეტად რჩება და ყველაფერი ისევე ვითარდება, როგორც დიდ პოლიტიკაში: ჯერ ერთი, ის, რომ ფეხბურთშიც ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და იქაც მოქმედმა პრეზიდენტმა გაიმარჯვა; მეორე ვადით არჩევნები იქაც, რა თქმა უნდა, კრიტიკის თემად იქცა და გაყალბებულად მიიჩნია ბევრმა; დაბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ოპოზიციური ფრთა შეიქმნა და ორმა დაპირისპირებულმა მხარემ პირდაპირ ეთერში დატკვირა ერთმანეთი. ჩვენს ფეხბურთს სასწრაფო რეანიმაცია რომ სჭირდება, ფაქტია, მაგრამ ამ ორ მხარეს შორის ვინ უფრო კარგი და სწრაფი მკურნალია, არავინ იცის. რაც შეეხება მწვრთნელს, ვერ ვიტყვით, რომ კლაუს ტოპმიოლერი ცუდი ტრენერია. ბოლოს და ბოლოს, კაცი გერმანიიდან ჩამოვიყვანეთ, მაგრამ მე მგონი, გერმანიიდან ჩამოყვანილი მანქანის მაგალითია, — ძალიან კარგი მანქანა რომ არის, მაგრამ ჩვენს გზებზე ვერ ქაჩავს. ასეა ეს კაციც: კარგი მწვრთნელია, მაგრამ ჩვენს მოედანზე ვერ გაქაჩა და ვერც ჩვენს ფეხბურთელებთან გააწყო რამე, რადგან ისინი, ცალ-ცალკე, ყველა ძლიერი მცველი თუ თავდამსხმელია, მაგრამ გუნდურად ძლივს ცოდვილობენ. თქვე კაი ხალხო, ირემმა ირემს მთაში ბალახი მოუკითხაო და ფეხბურთელმა ფეხბურთელს მოედანზე ბურთი რომ მოუკითხოს ანუ პასი მისცეს, ნეტავ, რატომაა სირცხვილი?! შედეგად კი გვაქვს ის, რომ მაყურებელი მაინც დადის სტადიონზე, გახარების იმედით, მაგრამ პირველსავე ტაიმში ხვდება, რომ კიდევ ერთხელ, გინების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მოხვდა...

საფეხბურთო ელიტაში პოლიტიკური „პოზიცია-ოპოზიციის“ დაპირისპირება ძალიან კარგია. ოპოზიციამ ერთიანი ოპოზიციის მაგალითს უნდა მიმართოს და მარტო აკრიტიკოს კი არა, კარვებიც უნდა გაშალოს მოედანზე, თამაშის დღეს — უფრო ნაკლები ადგილი დარჩება თავისუფალი და ჩვენი ფეხბურთელებიც ნაკლებად დაიღლებიან. და საერთოდაც, ფეხბურთი დიდ პოლიტიკას მაქსიმალურად უნდა დავამსგავსოთ: კარში თოფაძე ან ტყემალაძე უნდა ჩავაყენოთ. მათმა მრეწველობამ, მართალია, საქართველო ვერ გადაარჩინა, მაგრამ შვიდმეტრიან კარს როგორ ვერ გადაარჩენს?.. მარჯვენა „კრაი“ გამყრელიძესა და მის მემარჯვენეებს დავუთმოთ; მარცხენა „კრაიზე“ ლეიბორისტები გავუშვათ — გუგავა მეტოქეს ლაპარაკით ტვინს რომ გამოულაყებს, მერე ნახონ, როგორ ითამაშებენ; თავდასხმაში, რა თქმა უნდა, ჯონდი დავაყენოთ: ოთხივე მხრიდან პროჟექტორები რომ დაანათებს თავზე და თვალებს დაუვსებს მეტოქის მეკარეს, „გადირკე“ მერე, როგორც გინდა...

და ყველაზე მთავარი საკითხი — ვინ იქნება მწვრთნელი? — აქაც უალტერნატივო კანდიდატურას შემოგთავაზებთ. ხომ იცით, კინოფილმი „რეკორდი“, ჯოტია ცაავა რომ ეკითხება ხუტა უფროსს, — ტრენერი ვინ არისო? ხუტა უფროსი უპასუხებს; ტრენერია, რომ იგინებაო. ჰოდა, არ გვყავს ასეთი კადრი თუ რა?! გუნდს დაუგინებს — თუ არ მოიგოთო!..; მეტოქეს შეაგინებს და ქართული ფეხბურთიც აშენდება!..

P.S. თათბირი ფეხბურთის ფედერაციაში:

— როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ბიჭები კარგად ვერ თამაშობენ?

— რა და, ბევრს ავარჯიშებს ტოპმიოლერი და ისე აქვთ მობეზრებული, რომ ბიჭებს თამაშზე ბურთისკენ გახედვა აღარ უნდათ. ცოტა უნდა მოვანატროთ ბურთი და მერე უფრო გაეკიდებიან...

პროვოკატორი

„ასეთ რაღაცებს საინფორმაციო გამოშვებებში არ უნდა უჩვენებდნენ“

გასული კვირის ყველაზე აღმაშფოთებელ მოვლენად, საზოგადოების დიდი ნაწილი, ფოთში 21 წლის გოგონას თვითმკვლელობას მიიჩნევს. ბევრი მოქალაქის აზრით, ტელევიზია მსგავს კადრებს არ უნდა უჩვენებდეს. გარდა ამისა, მოსახლეობა ძალზე შეწუხებულია ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტის, მალხაზ ბასილიას ბედით, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქებისას, დე ფაქტო სამართალდამცველებმა დააპატიმრეს...

„ეს ადამიანი რისკზე წავიდა, რათა ხალხისთვის მოეთხრო“...

ნათია ქივიძე

ნანიკო ვაშაკიძე, *სტუდენტი, 18 წლის:*

— ამ კვირაში მნიშვნელოვანი მოვლენა ალბათ, საქართველოში ბადრი პატარკაციშვილის გადმოსვენება იყო. მიუხედავად მისი და ირაკლი კოდუას ვიდეოჩანაწერებისა, ეს ადამიანი მაინც შემეცოდა, რადგან ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. ბოლოს და ბოლოს, თუკი საქართველოში რაიმე გაპარტახებული ადგილი იყო — ცირკი, ფუნიკულორი, ურეკი და ა.შ. — ყველაფერი მან აღადგინა. მერე კი ჩამოართვეს. ჩვენი ხელისუფლება ამ ადამიანთან მართალი ნამდვილად, არ იყო... თუმცა, ახლა წარსულზე ლაპარაკს რაღა აზრი აქვს, მთავარი ის არის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა მას ბოლო მოუღო. რა უნდოდა, საწყალს, ჰქონოდა თავისი ბიზნესი და ყოფილიყო თავისთვის, რას ერეოდა პოლიტიკაში, მაგრამ რომ არც ასვენებდნენ?!.

ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა: ან გულის გამაწვრილებელი სერიალი გადის, ან „კურიერს“ ისეთი ინფორმაციებით იწყებენ, სიცოცხლე აღარ მოგინდება ადამიანს!..

ლალი ანდრიაძე, *დიასახლისი, 49 წლის:*

— რა ვიცი, შვილო, ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა: ან გულის გამაწვრილებელი სერიალი გადის, სადაც სულ ტირილი და ვაი-ვიშია, ან „კურიერს“ ისეთი ინფორმაციებით იწყებენ, სიცოცხლე აღარ მოგინდება ადამიანს!.. აღმაშფოთა იმ ფაქტმა, ფოთში 21 წლის გოგონამ თავი ტბაში რომ დაიხრჩო, სიყვარულის გამო. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ როგორც ჩანს, იმ გოგონას ფსიქიკა ჰქონდა შერყეული, თორემ, ვის არ ჰყვარებია, ამის გამო თავის მოკვლა როგორ შეიძლება?! ასეთ რაღაცებს საინფორმაციო გამოშვებებში არ უნდა უჩვენებდნენ. მაპატიეთ, მაგრამ ჟურნალისტები ხანდახან არასწორად იქცევით. ვიღაცის კუბოს რატომ უნდა გვაყურებინებდნენ, საკუთარი გაჭირვება არ გვეყოფა?!.

ამირან ადეიშვილი, *პენსიონერი, 75 წლის:*

— აღმაშფოთებელი ფაქტი იყო, რუსებმა ქართველი ჟურნალისტი, მალხაზ ბასილია რომ დააკავეს. ეს ადამიანი რისკზე წავიდა, რათა ქართველი ხალხისთვის იქ არსებული სიტუაციის შესახებ მოეთხრო, მათ კი დააკავეს. არ არიან მართლები. ნინო ბურჯანაძე კი აცხადებს, მის გასათავისუფლებლად, ყველაფერს ვიღონებთო, მაგრამ მოიქცევიან კი ასე? ღმერთმა ქნას!.. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო რომ დაამტკიცა. იქნებ, ეშველოს მაგ ტელევიზიას რამე, თორემ აბსოლუტურად ტყუილად იხარჯება საქართველოს ბიუჯეტი. ამჟამად საზოგადოებრივ მაუწყებელს მაინც არავინ უყურებს.

ვენერა მაისურაძე, *ფიზიკოსი, 59 წლის:*

— საქართველოში ისეთი სიტუაციაა, მნიშვნელოვან და აღმაშფოთებელ მოვლენას რა დალევს, შვილო?! საცოდავი ბადრი პატარკაციშვილი კი გაისტუმრა ამ მთავრობამ იმ ქვეყნად და კიდევ რამდენს გაუხეთქავენ გულს?!. საშინელება იყო, რუსებმა ქართველი ჟურნალისტი რომ დააკავეს, თუმცა ხანდახან დამნაშავეები ჟურნალისტებიც ხართ: სად მიდიოდა? არ იცოდა, რომ დაიჭერდნენ? რას მიქვია სამსახური?! კარიერის გამო ასე უნდა გაამწაროს ოჯახის წევრები?!. სიხარულით კი ის ფაქტი გამიხარდა, რომ თქვეს — პური არ გაძვირდებაო. კიდევ კარგი, თორემ გაზი ისე გაგვიძვირეს, იძულებული ვართ, გათბობაზე უარი ვთქვათ და ახლა პურზეც უარი რომ გვეთქვა, გაგვასვენონ ბარემ და ეგ იქნება!..

ნინო ბურჯანაძე კი აცხადებს, მის გასათავისუფლებლად, ყველაფერს ვიღონებთო, მაგრამ მოიქცევიან კი ასე?

ალექსი სამხარაძე, *აგრონომი, 69 წლის:*

— მნიშვნელოვანი და აღმაშფოთებელი, ფოთში 21 წლის გოგონას თვითმკვლელობა იყო. 21-ის იყო, 81-ის ხომ არა! შეყვარებულთან თუ უსიამოვნება მოუვიდა, მოგვიანებით კიდევ შეუყვარდებოდა ვინმე, ამის გამო თავის მოკვლა შეიძლება?! რამდენჯერაც ჩემს მეუღლესთან შეყვარებულობის დროს მიჩხუბია, იმ-

დენჯერ თავი რომ მომეკლა... არ შეიძლება ასე მოქცევა, მაგრამ ამით იმ ბავშვს რაღას ვუშველით?.. სიცოცხლე ღმერთმა გვიბოძა და ჩვენ მისი მოსპობის უფლება არ გვაქვს, თორემ ახლა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რამდენი გაჭირვებული კაცი მოიკლავდა თავს სიამოვნებით!.. ქართველი ჟურნალისტის გატაცების ამბავიც საკმაოდ აღმაშფოთებელი ფაქტი იყო. მოკლედ, არ გვანებებენ ეს რუსები თავს...

ინგა ლომთაძე, *ეკონომისტი, 28 წლის:*

— ყველაზე მეტად, 21 წლის გოგონას სიკვდილმა შემზარა. ასეთ მძიმე თემებს ტელევიზიით არ უნდა აშუქებდნენ. საქართველოში ისედაც, რამდენი გაჭირვებულია და კიდევ მსგავსი ფაქტების ჩვენება უნდათ?! თანაც, დღევანდელი თინეიჯერების ამბავი ხომ იცით — ყველას ყველაფერში ჰბაძავენ. არ ეგონოთ, რადგან იმ გოგომ თავი მოიკლა, მოდაშიაო და ყველამ სიყვარულს არ შესწიროს თავი... თუმცა, ისეთი თაობა იზრდება, რა იციან სიყვარული?! ის გოგონა ალბათ, გამონაკლისი იყო. ნორმალურ ოჯახში აღიზარდა და ვერ აიტანა საყვარელ ადამიანთან კამათი. დანარჩენი თინეიჯერებისთვის კი ეგ პრობლემა არ არის: დღეს — ერთი უყვართ, ხვალ — მეორეს შეიყვარებენ. არავის სიყვარულით არ მოიკლავენ თავებს. საშინელებაა...

აჩიკო არაბიძე, *იურისტი, 23 წლის:*

— პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფა არასოდეს მიყვარდა, რადგან იქ ისეთი საშინელებები ხდება, ჩემნაირი ადამიანი სწორ დასკვნებს მაინც ვერ გააკეთებს. ამიტომ ძირითადად, სპორტით ვარ დაკავებული და ამ საკითხს საკმაოდ მწვავედაც განვიცდი: ჩვენი საფეხბურთო ნაკრები რომ აღარაფრად ვარგა და მისი აღდგენა უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება, ამას ღაპარაკიც აღარ უნდა. ფეხბურთის წინსვლაზე ქართველები ვერც ვიოცნებებთ. აი, რაგბის იმედი კი ნამდვილად მაქვს. რამდენიმე მოგება ზედიზედ მოგვიტანეს ჩვენმა მორაგბეებმა. იმედი მაქვს, მსოფლიო ჩემპიონატზეც საკადრის სიტყვას იტყვიან. გარდა ამისა, რაგბის ფედერაციის პრეზიდენტად გია ნიჟარაძე რომ აირჩიეს, ძალიან კარგია. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი ქართული რაგბისთვის ბევრ კარგ რამეს გააკეთებს. ■

გაუქმებული ინვალიდობის პენსია

უკვე რამდენიმე თვეა, სახელმწიფომ ინვალიდების გარკვეულ კატეგორიას პენსიის გაცემა შეუწყვიტა. მართალია, სახელმწიფოს შემწეობა სიმბოლური უფრო იყო, ვიდრე რეალობას მორგებული, მაგრამ ბევრი უნარშეზღუდული ადამიანისთვის ის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა...

ანუ „პროტესტის ნიშნად, ისინი ქუჩაში გამოვლენ“

ემა ტუხიაშვილი

ქეთევან პაპოშვილი, *II ჯგუფის ინვალიდი:*

— წლებია, რაც გულის არითმია, იშემია და ტაქიკარდია მაწუხებს. ამ დაავადებების გამო, ინვალიდობის ჯგუფიც მომანიჭეს და წლების განმავლობაში, პენსიას ვიღებდი. მართალია, ეს თანხა ძალიან მცირე იყო და მედიკამენტების შესაძენადაც არ მყოფნიდა, მაგრამ... გასული წლის მაისიდან, ამ მიზერულ თანხასაც აღარ მაძლევენ; მეუბნებიან, — ის დაავადება, რაც თქვენ გაწუხებთ, პენსიის დანიშვნას აღარ ითვალისწინებსო. არადა, ინვალიდობის სტატუსი ისევ შემინარჩუნდა. ასეთ აბსურდს ჩემი ჯანმრთელობა ეწირება — უსახსრობის გამო, უკვე რვა თვეა, მკურნალობის კურსი არ გამივლია, რამაც ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

კარლო ჯოგინაშვილი, *ინვალიდი, გურჯაანის მკვიდრი:*

— ინვალიდობის პენსია რომ შემიწყდა, გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოს მივაკითხე. გასინჯვის შემდეგ, ექიმმა მითხრა: მართალია, ერთი ფეხი არ გაქვს, რაც ინვალიდობის სტატუსს განიჭებს, მაგრამ პენსიისთვის საჭირო ცნობა რომ გავცეთ, არც ერთი ფეხი არ უნდა გქონდეს; ჩვენ რა ვქნათ, ასეთია ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაო.

მედეა ელიკაშვილი, *III ჯგუფის ინვალიდი:*

— ავთვისებიანი სიმსივნე მაქვს. 2005 წელს ქირურგიული ოპერაცია გამიკეთეს. ამის შემდეგ, ონკოლოგიის ნაციონალურმა ცენტრმა ჩემს სახელზე ჯანმრთელობის სპეციალური ფორმა გასცა, რომლის მიხედვითაც, ინვალიდობის პენსია დამენიშნა. ამ თანხას მთელი წლის განმავლობაში ვაგროვებდი და შემდეგ, მკურნალობის კურსს ვიტარებდი, რაც სიცოცხლეს ცოტა ხნით მიხანგრძლივებდა. მას შემდეგ, რაც პენსია შემიწყვიტეს, ექიმთან საერთოდ აღარ ვყოფილვარ, რადგან არც ფული მაქვს, არც უფასო სამედიცინო დახმარების ბარათი და აღარც გასაყიდი დამრჩა რაიმე. ჩემი ჯანმრთელობა კი დღითი დღე უარესდება და არ ვიცი, რა ვქნა. იმ იმედით ვარ, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც გავახსენდებით ხელისუფლებას.

გელა მთივლიშვილი, *ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენელი:*

— გასული წლის მაისიდან, პენსიები მოეხსნათ შაქრიანი დიაბეტით, გულ-სისხლძარღვთა, ონკოლოგიური, ფსიქონევროლოგიური, ღვიძლის ციროზისა და სხვა მძიმე დაავადებების მქონე ადამიანებს. კანონის თანახმად, შესაძლებლობების შეზღუდვა ნიშნავს დაავადების, ტრავმის ან გონებრივი დეფექტის შედეგად, ადამიანების ქმედუნარიანობის დროებით ან მუდმივ დაკარგვას. სწორედ ასეთ შემთხვევაში, ადამიანს სოციალური დაცვა ესაჭიროება, რაც სამწუხაროდ, აღარ ხორციელდება და ათიათასობით უნარშეზღუდული ადამიანი ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ინვალიდობის პენსია მხოლოდ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფებს შეუნარჩუნდათ. მართალია, ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის პროგრამა მოქმედებს, მაგრამ ჩვენი უნარშეზღუდული თანამემამულეები, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერც ამ პროგრამაში მოხვდნენ. ყოველივე ამან კი ინვალიდების ყოფა უკიდურესად დაამძიმა და ჩვენი მონაცემებით, მხოლოდ შარშან, კახეთის რეგიონში, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, 236 ადამიანი გარდაიცვალა. თუ ჯანდაცვის ახალი მინისტრი, უნარშეზღუდულთა უფლებების დასაცავად, კანონში ცვლილებებს არ განახორციელებს, ინვალიდები მთელი საქართველოს მასშტაბით, პროტესტის ნიშნად, ქუჩაში გამოვლენ. ■

სახელმწიფომ ინვალიდების გარკვეულ კატეგორიას პენსიის გაცემა შეუწყვიტა

„ხალხს აქციისკენ მოუწოდებენ, თავად კი კაბინეტებისკენ გარბიან...“

ეროვნული საბჭოს მიერ შიმშილობის შეწყვეტამ და ხელისუფლებასთან დიალოგის გაგრძელებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ოპოზიციის მომხრეთა ნაწილმა მიიჩნია, რომ უკვე დაწყებული საპროტესტო აქცია საბჭოს წევრებს შორის არსებული უთანხმოების გამო ჩაიშალა, ნაწილმა კი ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლებასთან გარიგებაში დაადანაშაულა და ისინი მოღალატეებად გამოაცხადა. მათ თავიანთი მოსაზრებები ამგვარად დააფიქსირეს:

„ხელისუფლება ოპოზიციას სანთელივით უნდა გაუფრთხილდეს“

ხათუნა ბახტურიძე

ნიკა ფერაძე, *სტუდენტი:*

— ოპოზიციისაგან მეტ პრინციპულობას ველოდი. არ მეგონა, რომ ხელისუფლება მათ მოსყიდვას ასე ადვილად შეძლებდა. როგორი წარმოდგენა უნდა მქონდეს ადამიანებზე, რომლებიც ხელისუფლებას ერთ დღეს აგინებენ, მეორე დღეს კი ხელს ართმევენ და მათთან ერთად მოსალაპარაკებლად სხდებიან?! ეროვნული საბჭოს ლიდერებმა ხომ გარკვევით გვითხრეს: ამ ხელისუფლებასთან დიალოგს აზრი არ აქვს და ამიტომაც, მათი მმართველობა უნდა დასრულდესო?! რა უნდა დავუჯერო ადამიანებს, რომლებიც ხალხს აქციისკენ მოუწოდებენ, თავად კი კაბინეტებისკენ, მოსალაპარაკებლად გარბიან? იქნებ, ჩვენს თანადგომას ხელისუფლებასთან სავაჭროდ იყენებენ? აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს ასეთი ფართომასშტაბიანი აქციის ერთ დღეში დაშლა?.. ქუთაისში, ჩემი მეგობრები სასაციო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — მაშინ, როდესაც ისინი აქციას მართავდნენ, მათი ლიდერები ხელისუფლებასთან მუსაიფობდნენ. თავიანთი მხარდამჭერებისათვის იმდენი პატივი მაინც დაედოთ, რომ ისინი საქმის კურსში ჩაეყენებინათ და ეთქვათ, — ნუ შეწუხდებით, ჩვენ უკვე გავიყიდეთო. ამ ოპოზიციის „ძახილზე“ ხალხი აღარ გამოვა მანამ, სანამ მათ შორის ვინმე ახალი, უფრო პირგაუტეხელი და მოუსყიდველი ლიდერი არ გამოჩნდება.

თეა მემანიშვილი, *იურისტი:*

— ოპოზიციამ ჩვენი ნდობა დაკარგა. როგორ შეიძლება, იმ ხელისუფლებასთან გარიგება, რომელიც საკუთარ ხალხს ხელკეტებით სცემს, გაზის ტყვიებით უსწორდება, შიმშილისა და სიღატაკისათვის იმეტებს?! ვიცი, ბევრი იტყვის, — ეს გოგო რა უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს? ახლა, როცა რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის საკითხს განიხილავს, ჩვენს ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ემუქრება, რა დროს აქციებიაო? მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ რამდენჯერაც ქუჩაში გამოვედით და რაიმე გავაპროტესტეთ, ჩვენი ხელისუფლება გამოვიდა და დაგვანამუსა: ახლა ქვეყნის წინაშე რეალური საფრთხე დგას, რა დროს თქვენი მიტინგებიაო?! კი, მაგრამ არ შეიძლება, ამ რეალური საფრთხის შიშით, ერთხელ ხელისუფლებამაც რომ დათმოს რამე? ყოველთვის ხალხის ზურგზე რატომ უნდა გადაიაროს ყველა პრობლემამ? ხელისუფლების წარმომადგენლებს ამხელა ხელფასები იმიტომ აქვთ, რომ მათ ქვეყანას გარე ძალების აგრესია უნდა აარიდონ, ხოლო თავიანთ მოქალაქეებს ღირსეული ყოფის პირობები შეუქმნან.

თამარ გვარამია, *დიასახლისი:*

— მე საერთოდ ვერ გავიგე, ოპოზიციამ რა გააკეთა: ჯერ აქციისთვის დიდი ამბით მოემზადნენ, მოსახლეობას კარვების შესაძენად ფული სთხოვეს, მოშიმშილეთა სია შეადგინეს და მათი გვარები ლამის დაგვაზეპირებინეს; მერე კი ეს ყველაფერი ერთ დღეში შეწყვიტეს. ფაქტი სახეზეა, — ეროვნული საბჭოს წევრები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ. მართალია, ეს მთავრობა სულ გვატყუებს და გვამასხარავებს, მაგრამ ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ისევ დათმობა სჯობია. ორი შვილისა და სამი შვილიშვილის პატრონი ვარ და არ მინდა, ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და სამოქალაქო ომი დაიწყოს. როგორც ვატყობ, ეს ხელისუფლება არაფრის დათმობას არ აპირებს, ოპოზიციამ კი თავადაც არ იცის, რა უნდა. ამიტომ მირჩევნია, ყველაფერი ძველებურად დარჩეს. მართალია, ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისათვის უფრო ღირსეული მომავალი მინდოდა, მაგრამ ყველაფერს მშვიდობა მირჩევნია.

როგორც აღმოჩნდა, ეროვნულ საბჭოსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის განახლების ფაქტს სრულიად განსხვავებულად აფასებენ საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები, მათ შორის ისინი, ვინც სულ რამდენიმე დღის წინ, ოპოზიციისაგან პრინციპული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდნენ.

სოსო ჯაჭვლიანი, *მსახიობი, რეჟისორი, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი:*

— ჩემი აზრით, ქვეყნის მომავალი პირად ინტერესებს არ უნდა გადავაყოლოთ. ვფიქრობ, ოპოზიცია სწორად მოიქცა, როდესაც ხელისუფლებასთან მოლაპარაკების განახლება გადაწყვიტა. ერთი თვის წინ, ჩემთვის რამე რომ გეკითხათ, გეტყოდით, — ქვეყანა ნაძირალების ხელშია და მათთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვსმეთქი, მაგრამ ახლა სხვაგვარად ვფიქრობ. საზოგადოებისათვის არასასურველი პირები მხოლოდ ხელისუფლებაში კი არა, ოპოზიციაშიც არიან, მაგრამ ამ პოლიტიკოსებს შორის ისეთი ადამიანებიც მოიძებნებიან, რომლებსაც ჯერ კიდევ ვენდობით. ამიტომ, კიდევ ერთხელ უნდა დავიჯეროთ, რომ დიალოგის გაგრძელებას რეალური შედეგი მოჰყვება. ახლა მსოფლიოში ისეთი ამბები ხდება, მეტი გონიერებისა და პასუხისმგებლობის გამოჩენა გვმართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, საბედისწერო შეცდომა დავუშვათ და ჩვენი ქვეყნის მომავალი დავღუპოთ. ხედავთ, რა ხდება? — ამერიკა თავისი ნების მიხედვით შლის და აერთიანებს ქვეყნებს. ძალიან მინდა, ამერიკამაც დაგვანებოს თავი, რუსეთმაც და იმის დამტკიცება შევძლოთ, რომ საკუთარი ქვეყნის მოვლა თავადაც შეგვიძლია.

ბაადურ წულაძე, *მსახიობი:*

— ოპოზიციამ ძალიან კარგი ტაქტიკა შეიმუშავა. აბა, ამ ხალხს ის უნდოდა, ეროვნული საბჭოს ლიდერებს თავი მართლა შიმშილით რომ მოეკლათ? ამ მთავრობას თუ არ დაემუქრე, ისე არაფერი გამოვა. ხელისუფლებამ თავისი დანაპირები ახლაც თუ არ შეასრულა, მერე ალბათ, ოპოზიცია მართლაც რადიკალურ ზომებს მიმართავს. ეროვნულმა საბჭომ პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის ყველა რესურსი გამოიყენა, „ნაციონალების“ მსგავსად, გიჟებივით კი არ შევარდა პარლამენტში. ეს ხელისუფლება ძალადობით მოვიდა და ქვეყნის მართვაც ამ ფორმით გააგრძელა. კიდევ ერთი რევოლუცია აღარ გვინდა, მაგრამ თუ მოლაპარაკებას ამჯერადაც არ მოჰყვა შედეგი, მერე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ ქუჩაში...

რესპონდენტების კომენტარებისა და ოპოზიციის მიერ გადადგმული ნაბიჯების შეფასება პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** *ვთხოვეთ.*

— თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია საზოგადოების განწყობილება, რომელიც ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვა?

— სიმართლე გითხრათ, საზოგადოების ნაწილის მხრიდან იმის მოსმენა, რომ თურმე, ოპოზიცია გაიყიდა ან ეროვნულ საბჭოში განხეთქილება მოხდა, ძალიან მაღიზიანებს. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ხალხის ნაწილს ერთი სული აქვს, ოპოზიციურ ლიდერებს შორის განხეთქილების ნიშნები დაინახოს და მათი მარცხის მომსწრე გახდეს. სამწუხაროდ, ქართველები ყველაფერს ნეგატიურად აღვიქვამთ. ხომ შეიძლება, მოვლენები ზოგჯერ მაინც, პოზიტიური თვალით შევაფასოთ და ვთქვათ, რომ „ჭიქა ნახევრად სავსეა და არა — ნახევრად ცარიელი“.

— ფაქტია, რომ ოპოზიციამ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი დაკარგა. როგორ ფიქრობთ, ეროვნული საბჭოს წევრებმა როდის დაუშვეს შეცდომა: მაშინ, როდესაც ფართომასშტაბიანი შიმშილობა გამოაცხადეს, თუ მაშინ, როდესაც აქცია შეწყვიტეს?

თუ მოლაპარაკებას ამჯერადაც არ მოჰყვა შედეგი, მერე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ ქუჩაში

ქვეყნის მომავალი პირად ინტერესებს არ უნდა გადავაყოლოთ

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე, ასეთი მასშტაბური აქცია არ უნდა დაეწყოთ, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ შეცდომით დაწყებული აქციის დაშლა ვაჟკაცობის ტოლფასია. შესაბამისად, ოპოზიციის წარმომადგენლებს ვაჟკაცებად მივიჩნევ.

— რატომ ფიქრობთ, რომ აქცია ნაადრევად დაიწყეს?

— იმიტომ, რომ ჯერ გარკვეული არ იყო, წავიდოდა თუ არა ხელისუფლება კომპრომისზე. მიმაჩნია, ეს სიტუაცია ისეთი ძლიერი იარაღის გამოყენებას, როგორიც შიმშილობაა, ნამდვილად არ იმსახურებდა. დანაპირების გაჭიანურებაზე უარესი რამ რომ გააკეთოს ხელისუფლებამ, მაშინ რაღა უნდა ქნას ოპოზიციამ? გარდა ამისა, საზოგადოების დამუხტვა ასეთი მასშტაბური აქციების შედეგად გამოწვეული ემოციით, ცოტა არ იყოს, ნაადრევია: არჩევნებამდე საკმაოდ ბევრი დროა და ოპოზიცია, ხალხში ემოციური მუხტის დიდხანს შენარჩუნებას ვერ შეძლებს.

— ოპოზიცია დაკარგული ნდობის აღდგენას თუ მოახერხებს?

— ხალხის ნდობის დაკარგვა ადვილია, მაგრამ არც მისი მოპოვებაა ძნელი. საკმარისია, ოპოზიციამ ორი ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც ხალხის განწყობილებას ეხმიანება, რომ ის მათ ნდობას კვლავ დაიბრუნებს. ალბათ გახსოვთ, როცა ირაკლი ოქრუაშვილმა რამდენიმე კრიტიკული განცხადება გააკეთა, მაშინვე საკაშვილის წინააღმდეგ განწყობილი მოსახლეობის ნდობა მოიპოვა.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ეროვნული საბჭოს წევრებს შორის მართლაც, სერიოზული განხეთქილებაა?

— არა. უბრალოდ, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა და ეს ძალიან კარგია. მრავალკომპონენტიან ოპოზიციაში დუღილი, მერყეობა და სხვადასხვა პოზიციის მოსინჯვის მცდელობა აუცილებლად უნდა იყოს.

— როგორ ფიქრობთ, დიალოგის განახლება რამდენად რეალურ შედეგს მოიტანს? ხელისუფლება დათმობაზე წავა?

— კი, წავა. მე თუ მკითხავთ, აქამდე ოპოზიციის პრეტენზიები ბუნდოვანი იყო, ახლა კი ხელისუფლებამ დაინახა, რომ ოპოზიცია მოთხოვნების შესრულებას ითხოვს არა ზოგადად და არა ოდესმე, არამედ ახლავე! ხელისუფლება ახლაც თუ არ წავა დათმობაზე, დღევანდელი ოპოზიციის სახით, პოლიტიკურ პარტნიორს დაკარგავს. შემდეგ კი შეიძლება, ისეთი ოპოზიციური ლიდერი გამოჩნდეს, რომელიც ხალხს პარლამენტის დარბევისკენ მოუწოდებს. ქუჩიდან წარმოებული ძალადობა კი ყველაფერს წალეკავს, მათ შორის, ხელისუფლებასაც.

— ეი. მიგაჩნიათ, რომ თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა, საზოგადოება კონტროლს დაკარგავს?

— უკონტროლო ხალხს საზოგადოება აღარ ჰქვია, ის უკვე ბრბოს პრინციპით იწყებს მოქმედებას. როცა ყირგიზეთში, ხელისუფლებაზე განაწყენებულმა მოსახლეობამ ოპოზიციის მიმართ ნდობაც დაკარგა, მთელი მოსახლეობა ერთ დიდ ბრბოდ იქცა და ყველაფრის ნგრევა დაიწყო. არაა გამორიცხული, რომ ანალოგიური რამ ჩვენთანაც მოხდეს. დღევანდელი ოპოზიცია, უკმაყოფილო მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ხიდის როლს თამაშობს. ამიტომაც, ხელისუფლება მას სანთელივით უნდა გაუფრთხილდეს. ■

ნათია ქივიძე

ინტელექტუალი მოღელით მოისიზლა

„მინდა, ეს ინტერვიუ არასოდეს დასრულდეს...“

უკვე რამდენიმე თვეა, „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა — „რა? სად? როდის?“ — აღადგინეს, რომლის წამყვანი კვლავ გიორგი მოსიძე — ცნობილი მოაზროვნე და ამჯერად, უკვე პოლიტიკაში გარეული პირი გახლავთ. როდესაც მას რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ მონაწილეობა შევთავაზე, მითხრა: არ მინდა შენი ინტელექტუალი, ვინმე კარგი ტიპი გამაცანიო. აბა, ასეთ თხოვნაზე უარს როგორ ვეტყოდი?! ჰოდა, მეორე „ჟურნალისტად“ სამოდელო სააგენტო „ნატალის“ მოდელი, 18 წლის გვანცა დარასელია მოვიწვიე. გიორგი ჩვენი არჩევანით კმაყოფილი დარჩა და გვანცას ინტელექტუალობითაც ისე მოიხიბლა, რომ გოგონა გადაცემაში მიიწვია.

ჟურნალისტი – გიორგი მოსიძე
რესპონდენტი – გვანცა დარასელია

— გვანცა, ვიდრე ინტერვიუზე მოვიდოდი, შენს დოსიეს გავეცანი. კიდევ, შენი „გარშემოწერილობის“ შესახებაც მოვიპოვე ინფორმაცია და ძალიანაც მოვიხიბლე. ისიც ვიცი, რომ ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობ...

— ვხუმრობ ხოლმე, ტელეჟურნალისტიკა ჩემი თანდაყოლილი იდეაა-მეთქი, ყოველთვის ამაზე ვოცნებობდი. ჩემი აზრით, სწორი არჩევანი გავაკეთე.

— „გრიგოლიაობას“ ნამდვილად არ გისურვებ. ახლა საშუალება რომ მოგცენ, როგორ გადაცემას გააკეთებდი?

— ნამდვილად არ ვიცი. მგონი, საავტორო გადაცემა ჩემთვის ნაადრევია. მინდა, ქართველ ხალხს დილის ეთერიდან მივესალმო.

— მაინც ვერ გავიგე, რატომ აირჩიე ტელევიზია და არა — პოდიუმი? მოდელისთვის საჭირო ყველანაირი მონაცემი გაქვს, კამერასთან მუშაობაც იცი... არ გინდა, რომ პარიზის დეფილეებში მიიღო მონაწილეობა?

— მოდელობა პროფესიად არ მიმაჩნია. მხოლოდ პოდიუმზე რომ ვიფიქრო, რაც მართლა ჩემი მოწოდებაა, მაშინ იმის გვერდზე გადადება მომიწევს, რაზეც ყოველთვის ვოცნებობდი. ამის გაკეთება კი ნამდვილად არ მინდა. გარდა ამისა, არა მგონია, ჩემს ოჯახს დიდი სურვილი ჰქოდეს, რომ უცხო ქვეყანაში გადავიხვეწო.

— მე, როგორც მამა, ვამბობ, რომ როცა ჩემი გოგონა გაიზრდება და ძალიან ლამაზი იქნება, მირჩევნია, საქართველოში იყოს; მაგრამ მეორე მხრივ — ჩემი გოგონა „ოსკარის“ ცერემონიალზე რომ დავინახო, სადაც ხმამაღლა განაცხადებს: მადლობა მამასო, — სიამაყით ავივსები... თემა შევცვალოთ და მითხარი, შენი ასაკის ანუ 18 წლის თინეიჯერები თბილისში სად და როგორ ერთობიან?

— თბილისში ძალიან ცოტა გასართობი ადგილია. თან, სადაც კარგი ადგილია, იქ შესვლა ძვირი სიამოვნებაა, რასაც ჩემი ფინანსები ვერ სწვდება...

— კი, მაგრამ ასეთ დაწესებულებაში შესვლისას თანხა შენ რატომ უნდა გადაიხადო?! თაყვანისმცემლები არ გეპატიჟებიან?

— თაყვანისმცემლებს არსად დავყვები...

— ეი. თაყვანისმცემელს, რომელსაც შეუძლია, კარგ ადგილას დაგპატიჟოს, არსად მიჰყვები, ხოლო მას, ვინც მოგწონს, ალბათ, ამის საშუალება არა აქვს... ისე, დღეს საღამოს შეიძლება, სადმე დაგპატიჟო? ადგილი შენ შეარჩიე, რადგან მე მხოლოდ ის ვიცი, სად ხარშავენ კარგ ხინკალს და სად ამზადებენ საუკეთესო ჩალაღაჯს. ასეთ ადგილას რომ დაგპატიჟო და ვინმემ შენთან ერთად, ჩალაღაჯის ჭამის დროს მნახოს, ხომ წარმოგიდგენია, რას იტყვიან?

— მოკლედ, ჩემთვის ყველაზე კარგი გასართობი ადგილი რომელიმე მეგობრის სახლია, სადაც რამდენიმე უახლოესი ადამიანი შევიკრიბებით და გიტარის თანხლებით ვმღერით. ძალიან მიყვარს სიმღერა და საბედნიეროდ, ეს მეხერხება კიდეც. ასეთი სიტუაცია ყველანაირ კლუბსა და რესტორანს მირჩევნია.

— როგორც იტყვიან: „ნამიოკ პონიალ“. ერთით ნული, შენს სასარგებლოდ.

— კი, მაგრამ შენ ხომ დაოჯახებული ხარ?! ჰოდა, საღამოს ჩემი დაპატიჟება რატომ გადაწყვიტე?

— იმიტომ, რომ მინდა, ეს ინტერვიუ არასოდეს დასრულდეს... შენი აზრით, ჭეშმარიტი ქართველი ქალისთვის ბედნიერება რას ნიშნავს?

— არ ვიცი, ამ საკითხზე არასდროს მიფიქრია. თუმცა, ვეცდები ჩამოვაყალიბო. ქალის ბედნიერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამი რამ არის: ოჯახი, კარიერა და ჯანმრთელობა.

— ფულში არ არის ბედნიერება?

— ნაწილობრივ, ფულშიცაა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, მაინც ის სამი რამაა, რაც გითხარი. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ხალხი რომ ამბობს, — გულის კარნახს უნდა მიჰყვეო, მე ასე არ ვიქცევი, ყოველთვის გონების კარნახით ვმოქმედებ.

— სწორედ ამას ჰქვია ახალი თაობის ქართველი ქალი. ხომ ხედავ, რას გვიშვრება ეს ველური კაპიტალიზმი?! ქართველ მამაკაცებზე რას ფიქრობ, საშინელებებს?

— არა, ქართველ კაცებზე ცუდი წარმოდგენა ნამდვილად არ მაქვს. მიმაჩნია, რომ ქალს კარგი მამაკაცის პოვნა ყოველთვის შეუძლია. სისულელეა, როცა ამბობენ, — ყველა კაცი ცუდიაო. რა ვიცი, ჩემ გარშემო ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანია (თაყვანისმცემლებს კი არა, ჩემს მეგობრებს ვგულისხმობ) და ნუთუ, მხოლოდ მე გამიმართლა, ყველა კარგი ადამიანი მხოლოდ ჩემ გარშემო შეიკრიბა? იმედი მაქვს, ცხოვრების თანამგზავრადაც კარგ ადამიანს ვიპოვი...

MK

ჟურნალისტი – ბვანცა ღარასელია
რესპონდენტი – გიორგი მოსიძე

— გიორგი, საუბარი შენი კარიერით დავიწყოთ. სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრე, მაგრამ მგონი, ამ პროფესიით არასდროს გიმუშავია. შენ კლუბის — „რა? სად? როდის?“ — დამფუძნებელი ხარ და პოლიტიკაშიც აქტიურად ერევი. როდის და როგორ დაიწყო შენი კარიერული აღმასვლა?

— ალბათ, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაბარება, დიდი შეცდომა იყო. პროფესია ნამდვილად არასწორად შევარჩიე. საერთოდ, თეატრალურ უნივერსიტეტში მინდოდა ჩაბარება, მაგრამ ბაბუაჩემმა ისეთი ტონით მკითხა, — არტისტი უნდა გამოხვიდეო? რომ მაშინვე გადავიფიქრე და სამედიცინოზე ჩავაბარე... რაც შეეხება კარიერას, მე და ჩემი მეგობრები, საქართველოს მასშტაბით, დიდხანს ვეძებდით ისეთ ადგილს, სადაც ინტელექტუალური თამაშები იმართებოდა და როცა ასეთი ადგილი ვერსად ვიპოვეთ, ავდექით და 1991 წელს, თავად დავაფუძნეთ კლუბი — „რა? სად? როდის?“. მოგეხსენებათ, მაშინ თბილისში საკმაოდ არეული პერიოდი იყო. ჩვენ სამედიცინო ინსტიტუტის ფოიეში გავაკარით დიდი პლაკატი, სადაც ეწერა, რომ ვისაც ინტელექტუალურ თამაშში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა, მეორე დღეს სააქტო დარბაზში მოსულიყო. სხვათა შორის, მეორე დღეს ეს დარბაზი გაივსო... პირველი სატელევიზიო გადაცემა 1996 წელს გავაკეთეთ. მოაზროვნეთა კლუბში, მისი დაფუძნებიდან დღემდე, სულ 25 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მთავრობიდან დაწყებული, ბიზნესის სფეროთი დამთავრებული, ჩვენი „აღსაზრდელები“ ყველგან მუშაობენ.

იცოდე, ჩვენს კლუბში ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნები

— გამიგონია, თქვენს კლუბში ნიკა გვარამიაც თამაშობდა.

— მართალია. გვარამია ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე იყო. ის საქართველოს ნაკრების წევრი და ორგზის საქართველოს მოაზროვნე გახლავთ.

— პოლიტიკაში რომ წავიდა, მისი ეს ნაბიჯი მოგეწონა?

— რა თქმა უნდა. ქართულ პოლიტიკაში რაც მეტი მოაზროვნე მოვა, ჩვენთვის უკეთესი იქნება.

— შენც ამიტომ გადაწყვიტე პოლიტიკაში წასვლა?

— საქართველოს პარლამენტის წევრების შემადგენლობას რომ ვუყურებდი, ვიფიქრე: იქნებ, ბედი მეც მეცადა-მეთქი, და ასეც მოვიქეცი.

— იმედგაცრუება არ გქონია?

— 2005 წელს, ისნის რაიონში არჩევნები წავაგე.

— რისთვის იღვწი?

— საქართველოს კეთილდღეობისთვის.

— წარმოიდგინე, რომ საქართველოს პრეზიდენტი ხარ. პირველ რიგში, რას მოიმოქმედებდი?

— ასეთი რაღაცის წარმოდგენა დაახლოებით 25 წლის შემდეგ შეიძლება, რადგან ვფიქრობ, საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი არ უნდა ჰყავდეს, ეს დამღუპველია. ჩვენს ქვეყანას 50 წელს მიღწეული, გამოცდილი, ჩამოყალიბებული პიროვნება სჭირდება. ახალგაზრდა, მოთინეიჯერო პრეზიდენტების მიმართ სკეპტიკურად ვარ განწყობილი...

— გადაცემა „რა? სად? როდის?“ და პოლიტიკა ერთმანეთს თუ ჰგავს?

— პოლიტიკა ამ პროექტზე უფრო დიდი და ძვირად ღირებული შოუა. მართალია, იქაც შოუმენები იგებენ, მაგრამ თამაშის მეთოდი და ტექნიკა სხვაგვარია. თანაც, პოლიტიკაში ზოგი ასე მსახიობობს, ზოგიც — ისე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ვინც მეტ ტყუილს ამბობს და მეტად მსახიობობს, ის უკეთეს შედეგსაც აღწევს. მათგან განსხვავებით, ვცდილობ, არავინ მოვატყუო და ბუნებრივი ვიყო.

— მერე, გამოგდის რამე?

— რომ გამომდის, სწორედ ამიტომ არ ვარ პარლამენტის წევრი და ქართულ პოლიტიკაში ღრმად ჩართული.

— ქალებზე რას მეტყვი?

— სკოლა ისე დავამთავრე, შეყვარებული არ მყოლია, ანუ ხელიხელჩაკიდებულს არავისთან მივლია და „ლაღიძეში“ არავინ დამიპატიჟებია (მაშინ ეს მოდაში იყო). სკოლა 1989 წელს დავამთავრე. ბოლო წლებში მიტინგებზე დავრბოდი და საქართველოს გაუმარჯოს-მეთქი, — ვყვიროდი. მთელი ჩემი სტუდენტობის დროსაც, თბილისში არეულობა იყო. თან, მაშინ მატერიალური მდგომარეობაც არ მქონდა ისეთი, რომ ვიღაცისთვის თაყვანი მეცა. პირველი სერიოზული გრძნობა საკმაოდ გვიან, დაახლოებით 20 წლის ასაკში მეწვია.

— ისევ გადაცემას დავუბრუნდეთ. რამდენად რეიტინგულია წელს თქვენი პროექტი?

— ყოველკვირეულად სატელევიზიო რეიტინგები იქმნება, სადაინაც ზუსტად ვიცი, რომ ჩვენი გადაცემა ყოველთვის პირველ ხუთეულში ხვდება. ორჯერ, გადაცემა „პრაიმ ტაიმმა“ გვაჯობა, ორჯერ — „კომედი შოუმ“ და ერთხელ — „ჯეოსელის“ გათამაშებამ. ყოველკვირეულად, მთელი საქართველოს მასშტაბით, მოსახლეობის 24-25% გვიყურებს. ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

— რამდენიმე დღის წინ, კასტინგი ჩაატარეთ, არა?

— მართალია. ყოველი გადაცემისას ვაცხადებთ, რომ ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ჩვენთან სათამაშოდ მოვიდეს. იქ შეავსებენ ანკეტას, რომელსაც ჩვენ წავიკითხავთ და შემდეგ, დავუკავშირდებით. გასულ კვირას, დაახლოებით 100 კაცთან დავრეკეთ და ვუთხარით, რომ კვირას კასტინგზე მოსულიყვნენ. 40-მა მათგანმა ჩვენთან მოსვლაზე მაშინვე უარი თქვა. ეს იმის მანიშნებელია, რომ როცა გადაცემას უყურებენ, აზარტში არიან და ფიქრობენ: ამას ხომ მეც ვითამაშებო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, უკან იხევენ. 60-მა გვითხრა, — მოვალთო, მაგრამ კასტინგზე მხოლოდ 19 ადამიანი მოვიდა. საქართველო ცოტა სპეციფიკური ქვეყანაა. ჩვენთან ხალხს საჯაროდ გამოსვლის ეშინია. ფიქრობენ: ვაითუ, რაიმე შემეშალოს და ვიღაცამ დამცინოსო. მოკლედ, საქართველოში შოუს გაკეთება ძალზე რთულია.

— ქალ მოაზროვნეებს როგორ უყურებ?

— სანამ გათხოვდებიან, კარგად (*იცინის*). სამწუხაროდ, გათხოვების შემდეგ, მოაზროვნე ქალები კლუბს ტოვებენ და ამის გამო, ბევრი კარგი მოთამაშე დავკარგეთ.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა თქვენი კლუბის წევრი ქალი და კაცი დაოჯახებულან?

— რა თქმა უნდა?! მაგალითად, ლაურა დემეტრაშვილისა და ირაკლი თოდრიას ოჯახი. მათ ერთმანეთი კლუბში გაიცნეს. ანდრო სოლოღაშვილის ცოლი, ნათია მანია ჩვენი მოაზროვნეა, ვალიკო ლობჟანიძემ კი ბათუმის მოაზროვნეთა კლუბის წევრი მოიყვანა ცოლად და ა.შ. ასე რომ, უკვე გვეზრდებიან „ბეიბი“-მოაზროვნეები და მომავალში, მათი გუნდებიც შეიქმნება.

— ძალიან დიდი მადლობა, ინტერვიუსთვის.

— პირიქით, დიდი მადლობა შენ. იცოდე, ჩვენს კლუბში ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნები. აუცილებლად მოგიწვევ ჩვენს გადაცემაში, რადგან მიმაჩნია, რომ საკმაოდ კარგად აზროვნებ.

— რომ იცოდე, ჩემთვის ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია.

ვეტერანი ფეხბურთელები რიგგარეშე ყრილობის მოწვევას ითხოვენ

მიხეილ ყაველაშვილმა, გოჩა ჯამარაულმა და ლევან ყიფიანმა კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“ დააფუძნეს. ორგანიზაციის პრეზიდენტმა — მიხეილ ყაველაშვილმა და გამგეობის წევრებმა — გოჩა ჯამარაულმა და ლევან ყიფიანმა „ჩვენი ფეხბურთის“ პრეზენტაციაზე ქართულ ფეხბურთში არსებული ვითარება ძალზე კრიტიკულად შეაფასეს.

„ავტორიტეტულმა პიროვნებებმა შიში უნდა დასძლიონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ“

ლაშა თაბაგარი

მიხეილ ყაველაშვილი:

— დღესდღეობით, ქართულ ფეხბურთში უმძიმესი მდგომარეობაა. ეს აისახება, როგორც ბავშვთა ფეხბურთზე და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებზე, ასევე ყველა ასაკობრივ ნაკრებზე. ჩვენი უმთავრესი მიზანი, სამართლიანობის დამკვიდრებაა. ახლო წარსულში ჩატარებული, ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები ქართულ ფეხბურთსა და მთლიანად ჩვენს საზოგადოებას „შავ ლაქად“ აწევს: მაშინ ხელისუფლებამ საკუთარ თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობა აიღო, რამაც სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. ამიტომ საჭიროა, ფედერაციის რიგგარეშე, სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. ჩვენი აზრით, ქართულ ფეხბურთს სიმართლე აკლია. სამართლიანობის დამკვიდრების გარეშე, ვითარების გამოსწორება წარმოუდგენელია. ფეხბურთის ფედერაციის პირველ პირებს საზოგადოების მხრიდან ნდობა უნდა ჰქონდეთ. თავს ვალდებულად მივიჩნევთ, მივმართოთ ქართულ ფეხბურთში ავტორიტეტის მქონე პიროვნებებს, რათა მათ შიში დასძლიონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. ჩვენ გვინდა მხოლოდ სიმართლე, ის, რომ ჩაკეტილი წრე გავარღვიოთ.

ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის დამოკიდებულება ამ ადამიანის მიმართ არანორმალურია

ლევან ყიფიანი:

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კავშირი ფეხბურთის განვითარებას მოემსახურება. ეს არის ამომავალი წერტილი. „ჩვენი ფეხბურთი“ არ არის კომერციული ორგანიზაცია. მის ზურგს უკან არანაირი პოლიტიკური ძალა არ დგას. ჩვენ მხოლოდ საქმის კეთების სურვილი გვამოძრავებს. საფეხბურთო საზოგადოება ასეთი დათრგუნვილი არასოდეს მინახავს. ამიტომ, ჩვენი პირადი ამბიცია გვერდზე გადავდეთ და რეალური პროექტების საფუძველზე უნდა დავანახვოთ საფეხბურთო სამყაროს, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია. ფაქტია, რომ მხოლოდ უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა ქართული ფეხბურთის პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

გოჩა ჯამარაული:

— ჩვენთვის ფეხბურთი ძალიან ბევრს ნიშნავს და დღევანდელ ვითარებაში საკუთარი აზრის გამოუთქმელობა ღალატის ტოლფასი იქნებოდა. თუ ვინმეს ქართულ ფეხბურთში სიტყვა ეთქმის, თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს. ჩვენ გარდა, საფეხბურთო სამყაროში მოღვაწე ბევრ ადამიანს უნდოდა საკუთარი შეხედულების გამოთქმა, მაგრამ შეეშინდა, რადგან არ სურდა, თუნდაც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მის კლუბს პრობლემა შეჰქმნოდა...

მიხეილ ყაველაშვილმა, ლევან ყიფიანმა და გოჩა ჯამარაულმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის განვლილ შესარჩევ ციკლში ეროვნული ნაკრების გამოსვლას „კატასტროფული“ უწოდეს.

მიხეილ ყაველაშვილი:

— საერთოდ, როდესაც მწვრთნელთან კონტრაქტი ფორმდება, მას გარკვეულ მიზანს უსახავენ. ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის დამოკიდებულება ამ ადამიანის მიმართ არანორმალურია. ამასთანავე, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თავად ტოპმიოლერმაც არ იცის, თუ როგორი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაში მოხვდა. განვლილ შესარჩევ ციკლში ნაკრების გამოსვლა კატასტროფული იყო. ნაჩვენები შედეგით დადებით შეფასებას ვერც ტოპმიოლერი დაიმსახურებს და ვერც ფაბიო კაპელო. ჩემთვის მიუღებელია, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაციის

თუ ვინმეს ქართულ ფეხბურთში სიტყვა ეთქმის, თავისი პოზიცია უნდა დააფიქსიროს

— სიტყვები ეროვნული ნაკრების წინსვლის თაობაზე. არანაირი გამართლება არა აქვს ახალკაცის პოზიციას, რომლის გამოც ტოპმიოლერი ხელშეუხებელია.

გოჩა ჯამარაული:

— როგორც ვიცი, კლაუს ტოპმიოლერს, ხელფასის სახით, წელიწადში დაახლოებით მილიონ ევროს უხდიან. დიდი მადლობა იმ ხალხს, ვინც ამ თანხას იხდის, მაგრამ ქართველებმა მომთხოვნელობაც უნდა ვისწავლოთ. როგორც ეროვნული, ასევე ყველა სხვა — 17, 19 და 21-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ასპარეზობას კატასტროფულად მივიჩნევ. სხვა შეფასების მიცემა ძნელია.

ლევან ყიფიანი:

— ამჟამინდელი ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოსგან უპრეცედენტო დახმარებას იღებს. სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებს ისეთივე პირობები აქვს, როგორიც ეროვნულ გუნდს. მაგრამ მათ მიერ ნაჩვენები შედეგები არადამაკმაყოფილებელია. თუ წინა წლებს გავიხსენებთ, ალექსანდრე ჩივაძის თუ დავით ყიფიანის გაწვრთნილ ნაკრებს გაცილებით უკეთესი შედეგი ჰქონდა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ 17-

წლამდელთა გუნდზე, რომელიც სამჯერ მოხვდა ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის ტურნირზე. ერთ შემთხვევაში, გუნდის მთავარი მწვრთნელი რეზო გაგუა იყო, მეორედ — ვახტანგ კოპალეიშვილი, ხოლო მესამედ — კობა ჟორჟიკაშვილი. ვიღაცას ჰგონია, რომ ტოპმიოლერის ჩამოყვანა წარმატებული პროექტია. მაგრამ როდესაც საბოლოოდ გამოჩნდება, რომ ეს პროექტი წარუმატებელია, მაშინ ის ადამიანები, რომლებიც ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადების მომხრენი იყვნენ, ამაზე უარს იტყვიან. შესაბამისად, სპორტის სხვა სახეობით ფეხბურთის ჩანაცვლება მოხდება.

პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ მარტში თბილისში, „ჩვენი ფეხბურთის“ ეგიდით, საფეხბურთო კონფერენცია გაიმართება. ამის თაობაზე **ლევან ყიფიანმა** *თქვა:*

— დღეს ჩვენ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი ქართულ საფეხბურთო საზოგადოებაში შიშის სინდრომის დაძლევას ისახავდა მიზნად. „ჩვენი ფეხბურთის“ შემდეგი ნაბიჯი — მარტში დიდი საფეხბურთო კონფერენციის ჩატარება იქნება, რომელსაც საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები დაესწრებიან. რაც შეეხება ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარების მოთხოვნას, — ამის მექანიზმი ჩვენ მიერ მუშავდება. გვსურს, მეცნიერებაზე დამყარებული, ქართული ფეხბურთის იდეოლოგია შევქმნათ, ვინაიდან თანამედროვე ფეხბურთი მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია. შემიძლია გითხრათ, რომ ბევრი მხარდამჭერი გვყავს. არის ხალხი, რომელსაც ქართულ ფეხბურთზე გული მართლა სტკივა.

მიხეილ ყაველაშვილი:

— საჭიროა, ყველამ შეიგრძნოს, რომ ქართული ფეხბურთი — ჩვენია. უამრავი მწვრთნელი თუ გულშემატკივარი, კულუარებში, ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე ხშირად საუბრობს, მაგრამ სათქმელს ხმამაღლა არ ამბობს. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ უფსკრულის პირამდე მიგვიყვანა. დადგა დრო, ხმა ამოვიღოთ, ვინაიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ... ■

1-ელ მარტს, ფილარმონიაში, „ევროვიზიის“ კონკურსზე საქართველოს წარსადგენად დაგეგმილ პაექრობაში, 12 მონაწილე იბრძოლებს. გამარჯვებული, „ესემესების“ მეშვეობით გამოვლინდება და სოლიდურ პრიზსაც მიიღებს. კონკურსის მონაწილეთა სია კი ასეთია: სალომე გასვიანი, ირაკლი ფირცხალავა, დიანა ღურწკაია, ალეკო ბერიძე, გუგა აფციაური, სალომე კორკოტაშვილი, თიკა ფაცაცია, თაკო გაჩეჩილაძე, ჯგუფები: „3 G“, „ვივო“, „თეატრონი“... ჩვენ „ევროვიზიის“ კონკურსის ქართველ ორგანიზატორებსა და რამდენიმე კონკურენტს ვესაუბრეთ.

„ევროვიზიის“ ქართველი მონაწილენი და მათი შანსები

„1-ელ მარტს ფილარმონიაში ჩემი ბედი წყდება“...

სოფო ჭონიშვილი

მირანდა ბაძრაძე, *საზოგადოებრივი მაუწყებლის პიარ-მენეჯერი:*

— საკმაოდ ბევრი და ღირსეული კანდიდატი გვყავს. ვნახოთ, მათ შორის ვინ მოიპოვებს გამარჯვებას და ვინ წარადგენს საქართველოს „ევროვიზიაზე“. კონკურსანტის შესარჩევი კონცერტი 1-ელ მარტს, ფილარმონიაში გაიმართება. გამარჯვებული, „ესემესების“ საშუალებით გამოვლინდება. მაყურებელი მის ვინაობას კონცერტის დასრულებიდან 15 წუთში გაიგებს.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ კონკურსანტებსა და მათ შესაძლებლობებზე?

— მიმაჩნია, რომ საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები არიან. გარდა იმისა, რომ ნიჭიერები არიან, კარგი გარეგნობითაც გამოირჩევიან. მოსკოვიდან ჩამოდიან — ირაკლი ფირცხალავა და დიანა ღურწკაია. ისინი ამ კონცერტისთვის მოსკოვში ემზადებიან. თითოეულ მონაწილეს საშუალება აქვს, საკუთარი შოუ წარმოგვიდგინოს. ირაკლის და დიანას მოცეკვავეებიც ჩამოჰყავთ.

— კონკურსანტების რეპერტუარი როგორ შეირჩა?

— მათ სიმღერები საკუთარი სურვილით აირჩიეს, ამ მხრივ, შეზღუდულები არ ყოფილან. თითოეულს დიდი შანსი აქვს, რომ წარმატებას მიაღწიოს. „ესემესებით“ გამარჯვებული, იმავე სიმღერით, ბელგრადში გაემგზავრება.

— კონკურსანტები ცოცხლად იმღერებენ?

— რა თქმა უნდა, ცოცხალი შესრულება იქნება.

თიკა ფაცაცია:

— „ევროვიზიის“ კონკურსისთვის მთელი დატვირთვით ვემზადები. დილიდან საღამომდე ვმუშაობ. 1-ელ მარტს მოუთმენლად ველოდები, რადგანაც მინდა, ჩემი შრომის ნაყოფი მალე ვიხილო.

— როგორ ფიქრობ — გაქვს შანსი, რომ ამდენ კონკურსანტს შორის გაიმარჯვო?

— აბა, რა! მიმაჩნია, რომ დიდი შანსი მაქვს.

— რა სიმღერა უნდა შეასრულო?

— ინგლისურენოვანი სიმღერა — „არ ვიცვლები“. ეს სიმღერა თავისი შინაარსით, ხაზს უსვამს იმას, რომ არასოდეს ვიცვლები, ყოველთვის ისეთი ვარ, როგორიც ვარ (*იცინის*). დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ჩემს მხარდასაჭერად ემზადება.

— როგორი კოსტიუმი გეცმევა?

— (*იცინის*) წინასწარ არ ვიტყვი, ვისაც აინტერესებს, რას ჩავიცვამ და როგორ ვიმღერებ, მათ 1-ელ მარტს, დიდ საკონცერტო დარბაზში ვეპატიჟები.

— მაყურებლის წინაშე მარტო სიმღერით წარდგები თუ შენთან ერთად, სცენაზე მოცეკვავეებიც იქნებიან?

— გვერდს პანტომიმის თეატრის მსახიობები დამიმშვენებენ... ასე რომ, 1-ელ მარტს ფილარმონიაში ჩემი ბედი წყდება (*იცინის*).

თამთა ჟელიძე:

— „ევროვიზიის“ შესარჩევი კონკურსისთვის მონდომებით ვემზადები, საშინელი რეჟიმი მაქვს.

— შენი აზრით, ძლიერი კონკურენტები გყავს?

— მართლაც, ძლიერი კონკურენტები მყავს, რაც ძალიან მახარებს.

— გამარჯვების შანსი თუ გაქვს?

— მიმაჩნია, რომ თითოეულ ჩვენგანს დიდი შანსი გვაქვს.

— რა სიმღერით უნდა წარდგე მსმენელის წინაშე?

— ინგლისურენოვან სიმღერას შევასრულებ, რომელიც მაია კაჭკაჭიშვილს ეკუთვნის. ეს არ იქნება მარტო სიმღერა, მაყურებელი საინტერესო შოუს იხილავს. სცენაზე ჩემთან ერთად, პანტომიმის თეატრის მსახიობებიც გამოვლენ.

სცენაზე ჩემთან ერთად, პანტომიმის თეატრის მსახიობებიც გამოვლენ

— ვინ ზრუნავს შენს საკონცერტო იმიჯზე?

— დიზაინერი დავით სულიკაშვილი.

— ხომ ვერ გაგვიმხელ, სცენაზე როგორი კოსტიუმით გამოხვალ?

— როგორი კოსტიუმი მეცმევა, ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. ვფიქრობ, ის მაყურებლის ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს.

— ამ კონკურსში მონაწილეობა თავად გადაწყვიტე?

— არა, ჩემმა მეგობარმა მაია კაჭკაჭიშვილმა მირჩია. ეს იდეა მეც მომეწონა და დავთანხმდი. ვნახოთ, 1-ელ მარტს რა მოხდება.

არასოდეს ვიცვლები, ყოველთვის ისეთი ვარ, როგორიც ვარ

ნათია უზნაძე, *„ევროვიზიის“ კონკურსის ორგანიზატორი:*

— „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობა, საქართველოსთვის საკმაოდ პრესტიჟულია. მას 120 მილიონი მაყურებელი ჰყავს.

— 1-ელ მარტს, ფილარმონიაში „ესემესების“ საშუალებით გამარჯვებული გამოვლინდება. კონკურსანტების ასეთი ფორმით გამოვლენა რამდენად გამართლებულია?

— „ესემესებით“ გამარჯვებულის გამოვლენა ჩვენი სურვილი არ ყოფილა, ამ შემთხვევაში, ევროპულ სტანდარტებს ვექვემდებარებით: გამარჯვებულს იქაც „ესემესების“ რაოდენობის მიხედვით ასახელებენ.

— ამ კონკურსში სულ რამდენი ქვეყანა მონაწილეობს?

— წელს „ევროვიზიის“ კონკურსში 43 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

— ბელგრადში გამარჯვებული როდის გაემგზავრება?

— 10 მაისს უკვე იქ უნდა ვიყოთ, რადგან 22 მაისს ნახევარფინალია დანიშნული.

— გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზის შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— საქართველოში გამარჯვებული პრიზად, 10.000 დოლარს მიიღებს. ხოლო იქ გამარჯვებული 1 თვის განმავლობაში, ევროპის გარშემო ტურნეს გამართავს; ამასთანავე, გამარჯვებულის ქვეყანა საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებს იმისთვის, რომ მომდევნო წელს კონკურსი მის სამშობლოში ჩატარდეს. ეს თანხა გათვლილია საკონცერტო დარბაზის ასაშენებლად, ტურისტების მისაღებად... მინდა, კონკურსის ყველა მონაწილეს წარმატება ვუსურვო. თითოეულს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს. ვნახოთ, ხალხი უპირატესობას რომელ მათგანს მიანიჭებს. ■

როგორც გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, მოძრაობის — „ერთიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა გიორგი თორთლაძემ ჟურალისტებს განუცხადა, ქართველი მილიარდერის — ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა უეცრად გარდაცვლილი ბიზნესმენის სიკვდილის მიზეზების დასადგენად, დამოუკიდებელი ექსპერტები დაიქირავა. „ამჟამად სხვადასხვა ლაბორატორია და დაწესებულება პატარკაციშვილის სიკვდილის მიზეზებს მისი ოჯახის შეკვეთითაც იკვლევს“, — გიორგი თორთლაძის სიტყვების ციტირება მოჰყავს სააგენტოს — Новости-Грузия.

ექსპერტების თავდაპირველი დასკვნით, ბიზნესმენის სიკვდილი გულის იშემიურმა დაავადებამ გამოიწვია. თუმცა ბრიტანელი მედიკოსები და ექსპერტები სიკვდილის საბოლოო მიზეზების დასადგენად კვლევას კვლავაც აგრძელებენ. პატარკაციშვილის ნათესავებმა 15 თებერვლის სპეციალურ განცხადებაში ბრიტანეთის პოლიციის პროფესიონალიზმს სრული ნდობა გამოუცხადეს. თორთლაძემ ხაზი გაუსვა, რომ პატარკაციშვილის სიკვდილის მიზეზებთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანა მხოლოდ ყველა ექსპერტიზის შედეგის მიღების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი 12 თებერვალს, ლონდონთან მდებარე საკუთარ მამულში უეცრად გარდაიცვალა. 26 თებერვლის დილით, ის თბილისში გადაასვენეს. ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ნაწილი ვარაუდობს, რომ გულის შეტევა „ბუნებრივი გზით არ ყოფილა გამოწვეული“. ბრიტანეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის საბოლოო შედეგები, რვა კვირაში გახდება ცნობილი.

ინა გუდავაძე

ოჯახმა ბიზნესმენის სიკვდილის მიზეზების დასადგენად, დამოუკიდებელი ექსპერტები დაიქირავა

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა დამოუკიდებელი ექსპერტები დაიქირავა

დაკრძალვაზე, ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესის, პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორების — ბორის ბერეზოვსკისა და რომან აბრამოვიჩის ჩასვლას ელიან

პატარკაციშვილი საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო. არაოფიციალური მონაცემებით, მისი ქონება 12 მილიარდამდე დოლარს შეადგენდა. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, ბიზნესმენმა პოლიტიკაში აქტიურად ჩართვა გადაწყვიტა და ოპოზიციას დაუჭირა მხარი. პატარკაციშვილმა საქართველოს პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა და პარტია „ჩვენი საქართველო“ დააფუძნა. არჩევნების შედეგების მიხედვით, პატარკაციშვილმა ამომრჩეველთა ხმების 7,1% მიიღო და მესამე ადგილზე გავიდა.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები პატარკაციშვილს გადატრიალების მოწყობაში ადანაშაულებდნენ. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და ძებნა „ინტერპოლის“ ხაზით გამოაცხადეს.

ბიზნესმენს ხუთშაბათს, 28 თებერვალს, მისი თბილისური რეზიდენციის ტერიტორიაზე დაკრძალავენ.

ქართული საინფორმაციო საშუალებების მონაცემებით, ოპოზიციური პოლიტიკოსისა და ბიზნესმენის დაკრძალვაზე, ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესის, ამერიკელი კონგრესმენისა და პრეზიდენტობის კანდიდატის ჰილარი კლინტონის ძმების, პატარკაციშვილის ბიზნეს-პარტნიორების — ბორის ბერეზოვსკისა და რომან აბრამოვიჩის, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატის — ანდრეი ლუგოვოის ჩასვლას ელიან.

РИА Новости (რუსეთი).

საქართველო ნატოს წევრობას იმსახურებს

ყველა, ვინც კი თბილისში რამდენიმე წლის არყოფნის შემდეგ ბრუნდება, საკუთარ თვალებს ვერ უჯერებს. ახალი ათასწლეულის დასაწყისში, ამ ნაცრისფერი და უსუფთაო ქალაქის ცენტრს ჯერაც 1990-იანი წლების სამოქალაქო ომის კვალი ეტყობოდა. გამუდმებული შეფერხებებით მიწოდებული ელექტროენერგია ქუჩების გასანათებლად ძლივს კმაროდა. დანგრეულ გზებზე მხოლოდ დაჟანგული მანქანები თუ დახრიგინებდა. მათ მძღოლებს კი ამ გზით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე კორუმპირებულად ცნობილი, ქართული პოლიციის გამომძალველობის თავიდან აცილების იმედი ჰქონდათ. ამ დროს მსოფლიო ბანკი რაღას ამბობდა? ის მიიჩნევდა, რომ საქართველოში უფრო უარესი საქმიანი კლიმატი იყო, ვიდრე... ნიგერიაში.

ცვლილებები, რომლებიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოხდა, ნებისმიერი წარმოსახვის ფარგლებს სცილდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ისევ ღარიბ ქვეყნად რჩება, მაინც ევროპული სახელმწიფოს კონტურებს იძენს. ის ქვეყანა-ბანკროტიდან იმ დემოკრატიულ სახელმწიფოდ იქცა, სადაც რეფორმები ჩატარდა და სწრაფი ეკონომიკური ზრდაც შეიმჩნევა. ქვეყანა, ყველას თვალწინ, თანამედროვე სახეს იძენს. სასტუმროებში ბევრ ინვესტორს შეხვდებით, რომელსაც მსოფლიო ბანკის მიერ ბიზნესისთვის გერმანიაზე უფრო ღიად მიიჩნეული ქვეყანა იზიდავს.

თვით გამოცდილი პოლიტიკოსებიდანაც ცოტა ვინმეს თუ შეეძლო იმის დაჯერება, რომ ესოდენ სწრაფი ცვლილებები, რომლებიც თითზე ჩამოსათვლელ თვეებში გატარდა, რეალურად შესაძლებელია. არადა, ეს იმ გუნდის წყალობით მოხდა, რომელშიც სახალხო რევოლუციის მიერ ხელისუფლების მწვერვალზე აყვანილი მინისტრები — უნივერსიტეტების გუშინდელი კურსდამთავრებულები გაერთიანდნენ. ამ ფონზე კი ორმოცი წლის ადამიანებიც უეცრად ხანდაზმულნი

გაგრძელება იხ. გვ. 99

დედამ საკუთარი შვილები საძინებელში დახოცა...

ნიუ-იორკის პოლიციამ, გასულ კვირას, საზარელი დანაშაულის ფაქტი გამოავლინა. ამერიკელმა სამართალდამცველებმა მარტოხელა დედას დაადეს ხელბორკილები და განყოფილებაში წაიყვანეს. შემთხვევის ადგილზე თავმოყრილ ჟურნალისტებსა და მოქალაქეებს კი აცნობეს, რომ ქალი საკუთარი 3 შვილის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ამ დროს, დაკავებული ქალი — 27 წლის ლეათრი ბრუერი მთელი ხმით გაყვიროდა, რომ სრულიად უდანაშაულო იყო...

იმ დღეს პოლიცია მეზობლებმა გამოიძახეს. სამართალდამცველებს აცნობეს, რომ ლეათრი ბრუერის ბინაში საშინელება მოხდა. იქ მისული პოლიციელები მართლაც, შემზარავი სურათის წინაშე აღმოჩნდნენ: მცირეწლოვანი ბავშვები საძინებელში, თავ-თავიანთ საწოლებში იყვნენ ჩახოცილები. უფროსი გოგონა 6 წლის იყო, შუათანა ბიჭი — 5-ის, ხოლო მათი უმცროსი ძმა — ერთის.

მეზობლები ამბობენ, რომ ბოლო დროს ბრუერს უცნაურობას ატყობდნენ. ამჩნევდნენ, რომ ბავშვებს სათანადო ყურადღებას აღარ აქცევდა და საერთოდ, არაადეკვატურად იქცეოდა.

„განსაკუთრებით, ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე, ბავშვებს ბინაში მარტო ტოვებდა. ეს რამდენჯერმე შევნიშნე და ერთხელაც, ვუსაყვედურე, — ძალიან პატარები არიან, როგორ არ გეშინია, თავს რაიმე არ მოუწიონ-მეთქი? მიპასუხა, — მარტო ბავშვები არასდროს დამიტოვებია, უმცროსი ახლაც სასეირნოდ მყავდა წაყვანილიო, — და ცარიელ ეტლზე მიმითითა, რომლითაც სადარბაზოში რამდენიმე წამის წინ შემოვიდა. ეტლს კარგად დავაკვირდი, შიგნით ბავშვი არ იწვა. სად არის ბავშვი, ვერ ხედავ-მეთქი? — ვკითხე. — შიგნით ზისო, — მიპასუხა... მაშინ გავიფიქრე, ალბათ ეწყინა ჩემგან საყვედური, გაბრაზდა და მასხრად ამიგდო-მეთქი“, — თქვა ერთერთმა მეზობელმა.

ექსპერტ-ფსიქოლოგები ასე არ მიიჩნევენ. არ ფიქრობენ, რომ იმ დღეს ლეათრი ბრუერი ხუმრობდა. მათი ვარაუდით, შესაძლოა, სერიოზულ ფსიქიკურ დაავადებასთან აქვთ საქმე. ამ ამბის ტრაგიკული შედეგიც, მათი აზრით, სწორედ დედის ავადმყოფობაზე მიუთითებს. დაკავებულის ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული გამოკვლევის საკითხი გამოძიების წინაშე ოფიციალურად დაისვა და ამჟამად, ექსპერტები მუშაობენ. პარალელურად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები არკვევენ, თუ როგორ გამოასალმა დედამ საკუთარი შვილები სიცოცხლეს.

დაკავებულის ახლობლები, მეგობრები და მათ შორის, ყოფილი ქმრებიც (ბრუერს ქალიშვილი პირველი ქმრისგან, ხოლო ვაჟები — მეორისგან დარჩა) შეშფოთებას გამოთქვამენ მომხდარის გამო და აღნიშნავენ, რომ ასეთ საქციელს ვერც ერთი დედისგან, მით უმეტეს, ბრუერისგან ვერასდროს წარმოიდგენდნენ: *„მას შვილები ყოველთვის ძალიან უყვარდა, ფანატიკურადაც კი. ერთი წუთითაც არ თმობდა ბავშვებს. განქორწინების შემდეგ რამდენჯერმე ვცადე ჩემი უფროსი ბიჭის წაყვანა. უმცროსი ძალიან პატარა იყო და დედის გარეშე, მას ვერც მოვუვლიდი. უფროსს რომ მივაკითხე, ლეათრმა სასტიკი უარით გამომისტუმრა და ჩივილითაც დამემუქრა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილების ნახვის უფლება კვირაში ერთხელ, განსაზღვრულ დღეს, მხოლოდ რამდენიმე საათით მქონდა. რაც შეეხება ბავშვების ქალაქგარეთ გაყვანას, — ამას სასამართლო მიკრძალავდა. ლეათრი კი ხშირად, ნახვის უფლებასაც მიზღუდავდა. თვალს არ გვაშორებდა მე და ბავშვებს, როცა ერთად ვიყავით; მათ მუდამ ეალერსებოდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი მისგან ასეთ სისასტიკეს და არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს ყოველივე...“* — ამბობს გაოგნებული მამა.

■

ჩვილების მკვლელი ცოლ-ქმარი საღისტურ დანაშაულზე პასუხს ათეული წლების შემდეგ აგებს

ყველაზე ხმაურიანი და ყველაზე სასტიკი ბოროტმოქმედება ავსტრიის დანაშაულებრივ სამყაროში გახსნილია. ამის შესახებ სამართალდამცველებმა საქვეყნოდ განაცხადეს. 3 ჩვილის სადისტურ მკვლელობას, რომელიც 1970-იან წლებში მოხდა, მხოლოდ ახლა აეხადა ფარდა. ბავშვები რომ მოკლულები იყვნენ, ვარაუდობდნენ, მაგრამ სიმართლე, რომელიც ათეული წლების შემდეგ გაცხადდა, ყველასათვის წარმოუდგენელი და შოკის მომგვრელი იყო. ჩვილების მკვლელები მათივე მშობლები აღმოჩნდნენ...

ბავშვების გაუჩინარების შესახებ პოლიციამ მაშინვე შეიტყო, მაგრამ გამოძიება რეალურ კვალს ვერა და ვერ დაადგა. ვერც გვამებს მიაგნეს. სხვა ვერსიებთან ერთად, ფიქრობდნენ, რომ ბავშვები რომელიმე ორგანიზებული ბანდიტური ჯგუფის ან სექტანტური გაერთიანების წევრთა მიერ იყვნენ მოტაცებულები. ვერსია წლების მანძილზე არ კარგავდა აქტუალობას, მაგრამ საბოლოოდ, მცდარი აღმოჩნდა. სიმართლე გაცილებით შემზარავია და ის სრულიად მოულოდნელად გამოაშკარავდა.

სამართალდამცველებს ერთ-ერთმა მოქალაქემ — ქალაქ ინსბრუკში მდებარე სახლის ახალმა მობინადრემ დაურეკა. *„მამაკაცი შოკსა და პანიკაში იყო, ვერ სუნთქავდა, თითქოს იხრჩობოდა. ძლივს მოახერხა, გარკვევით მისამართის დასახელება, რათა ადგილზე, ოპერატიული ჯგუფი გაგვეგზავნა. ამბობდა, რომ სახლში საშინელება ნახა და შველას ითხოვდა“,* — ჰყვება პოლიციის თანამშრომელი. მამაკაცი ახალშეძენილ სახლს არემონტებდა. იმ დღეს გადაწყვიტა, სარდაფი მიელაგებინა. თაროების გამოსუფთავებისას, ღრმად შეტენილი პოლიეთილენის ტომარა გამოქაჩა, დააკვირდა და ყვირილი მორთო... ჯერ მეზობელთან გავარდა და მას ნანახის შესახებ უამბო. სარდაფში გაკვირვებულმა მეზობელმაც შეიხედა, პარკი გახსნა და ახალი მეზობლის ნათქვამში დარწმუნდა — ტომარაში ადამიანის ძვლები და გახრწნილი ნაწილები ეყარა... მან მეზობელს სასწრაფოდ პოლიციაში დარეკვა ურჩია.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა და ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ პოლიეთილენის პარკში ჩვილის გვამის ნარჩენები იყო გახვეული. გამოკვლევის შემდეგ დაადგინეს, რომ სხეულის ნაწილები სამი სხვადასხვა ჩვილის იყო. გამოძიებამ სახლის ძველი მეპატრონეებისა და ოჯახში მომხდარი ტრაგედიის — სამი მცირეწლოვნის უეცარი გაუჩინარების მასალებიც ამოიღო. დაუყოვნებლივ დაიკითხნენ მშობლები, მეორე დღეს კი ისინი დააპატიმრეს კიდეც. მართალია, დაკითხვისას მშობლებმა ამ აღმოჩენის გამო გაკვირვება გამოხატეს და თქვეს, რომ მომხდარს ვერაფრით ხსნიან, სამართალდამცველებმა რამდენიმე საათში მათ დანაშაულის მტკიცებულებები წარუდგინეს. *„ამ ვერსიაზე გამოძიება თავის დროზეც მუშაობდა, მაგრამ შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელი გახდა. ამჯერად, დნმ-ის ტესტიც ჩავატარეთ და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულიც დადასტურდა...“*— აღნიშნავს გამომძიებელი.

■

ბერძენი მონაზვნების მკვლელობა აღიარეს

2007 წლის აპრილში მომხდარი გახმაურებული მკვლელობა, რომელიც საბერძნეთის ერთ-ერთ მონასტერში მოხდა, კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ხვდება. გარდა იმისა, რომ ბოროტმოქმედებმა დანაშაული აღიარეს, მათ გამოძიებას დეტალური ჩვენებაც მისცეს და დანაშაულში თანამონაწილეც დაასახელეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა ორი ეჭვმიტანილი — საბერძნეთის და მაკედონიის მოქალაქეები დააკავეს.

ორი მართლმადიდებელი მონაზონი, რომელთაგან ერთ-ერთი — მონასტრის იღუმენია გახლდათ, 2007 წლის 24 აპრილს მომხრჩვალი იპოვეს. დანაშაულის მოტივად, გამოძიებამ თავიდანვე, ყაჩაღობა და კვალის დაფარვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა დაასახელა. ამის საფუძველი გახლდათ ის, რომ სწორედ იმ დღეს მონასტრიდან დაახლოებით 20 ათასი ევრო, 3 ათასი დოლარი, ოქროს მონეტები და მორწმუნეების მიერ შეწირული ბევრი ძვირფასი ნივთიც გაქრა. ყველაფერთან ერთად, ბოროტმოქმედებმა ხის უძველესი, წმინდა ჯვარიც გააყოლეს ხელს...

გატაცებული ნივთებიდან, პოლიციამ ვერაფერს მიაგნო. მათი ადგილსამყოფელი ან რეალიზაციის გზა გარკვევით არც ბრალდებულებმა დააკონკრეტეს. რაც შეეხება წმინდა ხის ჯვარს, ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მას ძვირფასი ქვები მოხსნეს, ჯვარი კი ზღვაში გადააგდეს...

ერთ-ერთი ბრალდებული, წარსულში ნასამართლევი გახლდათ და როგორც გაირკვა, დანაშაულებრივი „გამოცდილება“ სწორედ ეკლესია-მონასტრების ძარცვისას მიუღია. 17-წლიანი სასჯელი მან ერთ-ერთი ეკლესიის ძარცვისთვის მოიხადა. სამართალდამცველთა ცნობით, საბერძნეთში ეკლესია ხშირად იქცევა ყაჩაღობის ობიექტად. მაგალითად, 2006 წლის 18 აგვისტოს, პელოპონესთან მდებარე მთებში, საუკუნეების წინ აგებული მონასტრიდან ყაჩაღებმა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გაიტაცეს. უძვირფასესი ხატი 700 წლის წინ ბიზანტიაში გახლდათ შექმნილი. საბედნიეროდ, 2007 წლის სექტემბერში, ხატი სრულიად მოულოდნელად იპოვეს და უდიდესი სიხარულითა და ზეიმით, კვლავ მონასტერში დააბრძანეს. ■

იფსვიჩელი მანიაკი გაასამართლეს

სუფოლკის საგრაფოს (დიდი ბრიტანეთი) პოლიციამ ქვეყნის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, ქალაქ იფსვიჩის გარეუბანში ერთი თვის განმავლობაში ზედიზედ 5 მოკლული მეძავის — ჰემა ადამსის, ტანია ნიკოლის, ენელი ელდერსონის, პოლა კლენელის და ანეტ ნიკოლსის გვამები აღმოაჩინა. მათგან ორი გოგონა მომხრჩვალი იყო, დანარჩენის სიკვდილის უშუალო მიზეზი ექსპერტებმა ვერ დაადგინეს. ეჭვმიტანილის სახით პოლიციამ ორი მამაკაცი — 37 წლის ტომ სტივენსი და 48 წლის სტივ რაიტი დააკავა. სტივენსი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს, რადგან გამოძიებას მის წინააღმდეგ რეალური სამხილი არ აღმოაჩნდა. დაკითხვისას თქვა, რომ მართალია, მოკლულ გოგონებს იცნობდა და მათთან სექსუალური კონტაქტიც ჰქონია, მაგრამ მკვლელობაში მისი ხელი არ ურევია. რაც შეეხება რაიტს, — საკუთარ უდანაშაულობაში სამართალდამცველთა დარწმუნება მან ვერ შეძლო. გამოძიების მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯა. ■

ძმებმა მოზარდ ნათესავს საკუთარი საფლავი ამოასხრევინეს

რუსეთის ქალაქ ორენბურგში, მეათეკლასელი ბიჭის მკვლელობის საქმე გაიხსნა. დამნაშავეები მისივე ნათესავები — 17 წლის ბიძაშვილები აღმოჩნდნენ. თავის დროზე, პოლიციას დედამ მიმართა და შვილის გაუჩინარების თაობაზე განაცხადა. თქვა, რომ დილით შვილი ჩვეულებრივად, სკოლაში გაუშვა, მაგრამ მას შემდეგ, თვალით აღარ უნახავს. შეშფოთებულები იყვნენ სკოლის მესვეურები და ბავშვებიც. პედაგოგებისა და თანაკლასელების თქმით, ის გაკვეთილებს დაესწრო, მაგრამ შემდეგ სად წავიდა, არ იცოდნენ. მილიციის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მოკლულის გვამი ორენბურგის ტყე-პარკში იპოვეს. გამოძიებამ გაარკვია ისიც, თუ ვისთან ერთად ნახეს მოკლული უკანასკნელად. მისივე ბიძაშვილები — 17 წლის ძმები, იმავე სკოლის ყოფილი მოსწავლეები იყვნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი პროფსასწავლებელში ჩაირიცხა, მეორე კი არსად სწავლობდა და არც მუშაობდა. როგორც გაირკვა, ბოლო ორი წლის მანძილზე, ერთ-ერთი მათგანი სისტემატურად სძალავდა ფულს ან გარდაცვლილ ბიჭს.

დაკითხვისას, მათ დანაშაული აღიარეს და გამოტყდნენ, რომ მკვლელობა ანგარების საფუძველზე ჩაიდინეს. *„მას გაკვეთილების შემდეგ შევხვდით და მობილური ტელეფონი მოვთხოვეთ. გვითხრა, ტელეფონი არ მაქვსო, ჯიბეები ამოვატრიალებინეთ და დავრწმუნდით, რომ მართლაც, არ ჰქონდა. მერე მოვთხოვეთ, ჩვენთან ერთად ტყე-პარკში წამოსულიყო და ჩვენთვის ფერადი ლითონები მოეგროვებინა“*, — წერს ერთ-ერთი, აღიარებით ჩვენებაში.

გამოძიება ვარაუდობს, რომ ძმებს სწორედ ტყე-პარკში გაუჩნდათ ნათესავის მოკვლის ვერაგული იდეა და მაშინ, როცა მას, თითქოსდა ლითონების საპოვნელად ორმოს ათხრევინებდნენ, უკვე იცოდნენ, რომ მოკვლის შემდეგ იმ ორმოშივე ჩამარხავდნენ. როცა ორმოს სიღრმეც და ზომაც საამისოდ დამაკმაყოფილებელი მოეჩვენათ, ერთ-ერთმა ძმამ მოზარდს მოულოდნელად, თავში ჩაქუჩი ჩაარტყა... ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ჩაქუჩი ტყეში იპოვა, თუმცა გამოძიება არ გამორიცხავს წინასწარ დაგეგმილი მკვლელობის ვერსიასაც. სამართალდამცველთა ვარაუდით, შეიძლებოდა, ძმებს განზრახვის შესრულების მიზნით, ჩაქუჩი სპეციალურად წაეღოთ. ბრალდებულთა ოჯახის წევრები ამბობენ, რომ დანაშაულის იარაღი მათ არ ეკუთვნის. ■

ზამთრის სუსხიან დღეებში. მით უფრო დიდთოვლობის პერიოდში, მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასაადგილებლად, მატარებლით მგზავრობას ირჩევს. ბოლო დღეებში, დასავლეთ საქართველოში მოსული დიდი თოვლის გამო, მაშინ, როცა რიკოთზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით მოძრაობაც კი სარისკოა, მატარებელი უალტერნატივო ტრანსპორტად მიიჩნევა. 12 თებერვალს ფოთი-თბილისის რეისით მგზავრობამ მეც მომიწია.

რეპორტაჟი „ცხელი“ ვაგონიდან

ანუ როგორ გვემსახურება საქართველოს რკინიგზა

თამუნა კვინიკაძე

ამ დღეს ზესტაფონის რკინიგზის სადგურში მისულს, უამრავი ადამიანი დამხვდა. სალაროსთან 25-30 მგზავრი ბილეთის შესაძენად, რიგში იდგა. მათ მეც შევუერთდი. „ბილეთი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე არ გაიცემა“ — კედელზე გაკრული ეს განცხადება ჩემ შემდეგ მოსულმა ქალბატონმა ხმამაღლა წაიკითხა და თან გააპროტესტა: რაში მთხოვენ პირადობის მოწმობას? საზღვარი კი არ უნდა გადავკვეთო, აგერ, ხაშურში მივდივარ; კიდევ კარგი, რომ წამოვიღე, თორემ როგორ უნდა მემგზავრაო?!

— წამოიღე, თორემ ბილეთს მოგართმევენ!.. — *გამოეხმაურა ქალბატონს წინა რიგში მდგომი მამაკაცი.*

— რა ხდება? რაშია საქმე? გაგვარკვიეთ. პასუხის ღირსად არ გვთვლით? — *გაისმა შეძახილები.*

— რა ხდება და, დენი გაითიშა. მოლარემ თქვა, კომპიუტერი არ მუშაობს და ბილეთებს ვერ გავყიდიო, — *გვაცნობა სალაროსთან ყველაზე ახლოს მდგომმა მამაკაცმა. დენის მოსვლის, უფრო სწორად, ბილეთების მოლოდინში, სალაროსთან რამდენიმე წუთი დავყავით. მალე სიგნალის ხმაც გაისმა, რაც იმის მიმანიშნებელი იყო, რომ ფოთი-თბილისის სამგზავრო მატარებელი ვაგზალზე შემოდიოდა. მოქალაქეებმა ბაქანზე გადაინაცვლეს.*

გამცილებლებს უბილეთო მგზავრების შეშვებაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ მატარებელი არ იქნა და აღარ დაიძრა სადგურიდან. მალე ვაგონის შესასვლელში ჩოჩქოლი ატყდა. გამცილებელთან მისულმა გავარკვიე, რომ მატარებელი სადგურიდან ჩვენ — ანუ უბილეთოდ შეჭრილი მგზავრების — გამო არ გადიოდა. მას ჩვენი მდგომარეობა ავუხსენით, ვუთხარით, რომ ბილეთები უდენობის გამო ვერ შევიძინეთ.

— თქვენი მდგომარეობა გვესმის, მაგრამ ზესტაფონის სადგურის ხელმძღვანელი თბილისში თავის უფროსებს დაუკავშირდა, მათგან კი პასუხად მივიღეთ — დადგენილი წესების შესაბამისად იმოქმედეთო.

ამ დროს მატარებლიც დაიძრა.

— **რა წერია ასეთი, იქნებ, გაგვარკვიოთ?!** — *უმორჩილესად ვთხოვე გამცილებელს.*

— თქვენ, ვაგონში უბილეთოდ შემოჭრილი მგზავრი ხართ და ჯარიმის სახით, მგზავრობის გაორმაგებული ფასი უნდა გადაიხადოთ — ანუ ზესტაფონიდან თბილისამდე მგზავრობა 9 ლარი ღირს, თქვენ კი 18 ლარი უნდა გადაიხადოთ.

გამცილებლის მიერ თავაზიანად ნათქვამ სიტყვებს, მგზავრთა მხრიდან როგორი რეაქცია მოჰყვებოდა, ადვილი წარმოსადგენია. მალე პოლიციელიც მოვიდა.

— ჯარიმის გადახდა თუ არ გსურთ, ხარაგაულის რკინიგზის სადგურში ჩადით, ბილეთი შემდეგ მატარებელზე აიღეთ და დაელოდეთ.

— ხარაგაულში რა მინდა? ბილეთები იქაც რომ არ გაიყიდოს, მერე რა ვქნა, სადღა წავიდე? — *განაწმატდა ერთ-ერთი ქალბატონი.*

— ბილეთებს ვყიდულობდით, ბატონო, მაგრამ არ მოგვყიდეს. კიდევ ჩვენ ვართ დამნაშავეები?

— ეგ არსად წერია, წესრიგი უნდა დავიცვათ, — *უკან არ იხევდა პოლიციელი.*

— კარგი იქნება, წესრიგს სალაროებთანაც თუ დაიცავთ. ვინ დააკანონა ეს უკანონობა? ეს სადაური კანონია?!.

— აქაური კანონია, აქაური!.. — *სხვებისგან განსხვავებით, მომხდარმა ხუმრობის ხასიათზე მოიყვანა ერთ-ერთი ახალგაზრდა.* — ახლა ჩვენ „ევროპულად“ ვიმგზავრებთ: დასაჯდომი ადგილებიც არ არის.

— ჯარიმა უნდა გადაიხადოთ, ჯა-რიმა! — *კვლავ შეგვახსენა გამცილებელმა.*

— დათვალეთ, რამდენი ვართ: უბილეთო მგზავრები აჯანყებას მოგიწყობთ და თანამდებობიდან გადაგაყენებთ.

— თქვენ ხუმრობის ხასიათზე ხართ. ახლა კომისია რომ შემოვიდეს და შემამოწმოს, თქვენ გამო დღესვე სამსახურიდან დამითხოვენ. ჯარიმა გადაიხადეთ.

— 18 ლარი რომ გადაგიხადოთ, დასაჯდომი ადგილი გაქვთ?

— არა, ფეხზე მდგომებმა უნდა იმგზავროთო.

... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კამათისა და აყალმაყალის შემდეგ, მგზავრებს გამოგვკითხეს — ვინ სად მივდიოდით და თბილისამდე მგზავრობის მსურველები სხვა ვაგონში გადაგვიყვნეს. იქ ჩემი ყურადღება გამცილებლის კუპესთან გამოკრულმა, „მგზავრთა გადაყვანის“ კოდექსმა მიიპყრო. იქ წერია, რომ უბილეთო მგზავრები დაჯარიმდებიან ორმაგი საფასურით; ბავშვები 5-დან 10 წლამდე სარგებლობენ შეღავათიანი ბილეთით, რომელიც დაბადების მოწმობის საფუძველზე გაიცემა; ერთი სამგზავრო ბილეთით, მგზავრს შეუძლია იყოლიოს 1-დან 5 წლამდე 1 ბავშვი, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს დაბადების მოწმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ვაგონში არ დაიშვება, ანდა მგზავრი ბილეთის ორმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმდება.

— ეს ანეკდოტს უფრო ჰგავს, ვიდრე კანონს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, — *ეს სიტყვები ჩემს ერთ-ერთ თანამგზავრს ამ წესების წაკითხვის შემდეგ აღმოხდა. ამ დროს, ვაგონის გამცილებელიც მოგვიახლოვდა. მასთან იმავე შინაარსის დიალოგის გამართვის შემდეგ, მატარებლიდან ჩამოსვლასა და შემდეგი რეისის დალოდებას, მგზავრობის ორმაგი საფასურის გადახდა ვამჯობინეთ. თან გამცილებელს ჩემი პროფესიაც გავუმხილე და ვთხოვე, მომხდართან დაკავშირებით, ჩემს კითხვებზე პასუხი გაეცა.*

— რა ვქნა, ეს წესები მე არ დამიკანონებია. ბევრი დეტალი გათვალისწინებული არ არის. მეც სპეციალური კომისია მამოწმებს. იმ შემთხვევაში, თუ ვაგონში 1 უბილეთო მგზავრს ნახავენ, იმ დღესვე გამათავისუფლებენ სამსახურიდან. ბილეთებს ბავშვებსაც სთხოვენ. თუ ვეტყვი, ჯერ 5 წლის არ არის და მგზავრობის საფასურის გადახდა არ ეკუთვნის-მეთქი, — მეუბნებიან, დაგვიმტკიცე, 5 წელზე მეტის რომ არ არის, მისი დაბადების მოწმობა გვიჩვენეო. იძულებული ვარ, მოწმობა მშობელს მოვთხოვო. ხშირად, უსიამოვნო მდგომარეობაში ვვარდები. გამცილებლები მგზავრებსა და ჩვენს ხელმძღვანელობას შორის ვიჭყლიტებით.

— თქვენ მოქალაქეებისგან მაქსიმუმს მოითხოვთ — მაშინ, როცა მათი კომფორტულად მგზავრობისთვის მინიმუმსაც არ აკეთებთ. ხელმძღვანელობასთან ამ საკითხებზე არ გილაპარაკიათ?

— როგორ არა?! ჩვენ გვაქვს სპეციალური ბლანკი, რომელსაც გამცილებლები ყოველი მორიგეობის დროს ვავსებთ. ეს ბლანკი ბოლოს, დეპოში ვაგონური სექციების რემონტის საამქროს გადაეცემა.

— შეგიძლიათ, ეს ბლანკი მიჩვენოთ?

— კი, ბატონო.

აღნიშნულ ბლანკში მითითებულია, რომ სამგზავრო ვაგონში ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, კონდიცირება, გარდამსახი არ მუშაობს, ონკანი — გატეხილია, კარი — არ იკეტება, ვაგონი — ბინძურია. გარდა ამისა, ბინძურია ყველა კიბე, შემადგენლობა შიგნიდან გასარეცხია...

საუბარს კვლავ გამცილებელი აგრძელებს და მისი ანონიმურობის დაცვას მოთხოვს.

— მგზავრები ფაქტობრივად, ფულს იხდიან იმ კომფორტში, რომელიც მათ არა აქვთ. ზაფხულში ამ მატარებლით მგზავრობა კიდევ უფრო არაკომფორტულია, კონდიცირება არ არის, ფანჯრები არ იღება. ამის გამო, ყველა ჩვენ გვსაყვედურობს. ომები მაქვს გადატანილი.

— ჯარიმები ბარგზეც ვრცელდება?

— ბარგის გადატანა 180 სმ (ანუ 60X60X60) მოცულობაზე — უფასოა. ელექტროტექნიკის გადატანა 10 ლარი ღირს, 1 ტომრის — 2 ლარი. დაჯარიმებული მგზავრი ბარგის საფასურსაც გაორმაგებით იხდის. რა სახეობის ბარგზე რამდენია გადასახადი, ეს დებულებითაა განსაზღვრული. ხშირ შემთხვევაში, მგზავრებისთვის ამ დებულების ჩვენებაც მიწევს. ამ დროს კიდევ ერთი საკამათო საკითხი იჩენს თავს: დებულებას არა აქვს შესაბამისი ორგანოს ბეჭედი, რასაც მგზავრები კატეგორიულად აპროტესტებენ — იქნებ, შენ თვითონ ამოაბეჭდვინე, რატომ უნდა დაგიჯეროთ?! ეს საბუთი არ არისო!.. ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, რა ვუპასუხო?..

აი, ასე „კომფორტულად“ — ისე, როგორც დამნაშავეებმა — ფეხზე მდგომებმა ვიმგზავრეთ თბილისამდე. მეორე დღეს კი მომხდართან დაკავშირებით და დაგროვილ კითხვებზე პასუხების მისაღებად შპს „საქართველოს რკინიგზას“ ვესტუმრე. იქ ჩემი მონათხრობი გულდასმით მოისმინეს და მომხდარის გამო მომიბოდიშეს. მაგრამ ბოდიში რომ წამალი იყოს... ამ გამოთქმის დასასრული, თქვენც და რკინიგზს ხელმღვანელობასაც კარგად მოეხსენება.

გიორგი ვარძელაშვილი, *მგზავრთა გადაყვანის მართვისა და ოპერაციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:*

— ბატონო გიორგი, ვიყავი თუ არ დამნაშავე?

— დამნაშავე ნამდვილად არ იყავით.

— აბა, რატომ დამაჯარიმეთ?

— საქმე ისაა, რომ ჩვენ ვხელმძღვანელობთ რკინიგზის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული „მგზავრთა გადაყვანის კოდექსით“, რომელიც ძველი და უვარგისია.

— და ამავე დროს, ძალიან სასაცილოც.

— გეთანხმებით.

— ხომ შეიძლებოდა, უბილეთოდ დარჩენილი მგზავრებისთვის, იქვე სალაროსთან მოეწოდებინათ ინფორმაცია, რომ არც ერთ ვაგონში ადგილი არ იყო და მატარებელში ასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადახდასთან ერთად, ფეხზე მდგომებს მგზავრობა მოგვიწევდა? მოლარემ გვითხრა, რომ ბილეთებს დენის გათიშვის გამო ვერ ყიდდა და არა ის, რომ აღარ იყო.

— თქვენ აბსოლუტურად სწორად მსჯელობთ.

— ეს ინფორმაცია ჩემს მოსვლამდე 2 საათით ადრე ტელეფონით მოგაწოდეთ. ამ ხნის მანძილზე, მოხდარში უკეთ ვერ გაერკვიეთ?

— როგორ არა?! ჩვენ დავუკავშირდით ზესტაფონის ვაგზლის დირექტორს, ავთო ქათანაძეს. რომელმაც გვითხრა, რომ თავად იდგა ვაგონის ასასვლელში და უბილეთო მგზავრებს მოსალოდნელი დაჯარიმების შესახებ წინასწარ აფრთხილებდა.

— ეს შემადგენლობა მხოლოდ 1 ვაგონისგან არ შედგება...

— როგორც ჩანს, თქვენ სხვა ვაგონში ახვედით. ვწუხვარ, რომ ასეთი ფაქტი მოხდა. ისევ გიმეორებთ: ეს ყველაფერი მოძველებული კოდექსის ბრალია.

— მერე, რატომ არ ცვლით?

— ვინ გითხრათ, რომ არ ვცვლით?! ამ საკითხზე ვმუშაობთ და მალე მგზავრებს უფრო მოქნილ და ლიბერალურ კანონს შევთავაზებთ.

— დაჯარიმების შემთხვევაში, მგზავრს საფასურის გადახდის შემდეგ, აქვს თუ არა უფლება, დასაჯდომი ადგილი მოითხოვოს?

— დიახ, ამის უფლება აქვს.

— და როცა ყველა ადგილი დაკავებულია?

— ასეთ შემთხვევაში, გამცილებელმა ვაგონში მგზავრი, საერთოდ არ უნდა აუშვას.

— მგზავრს, რომელსაც ერთი ბილეთი აქვს შეძენილი, თქვენი კოდექსის მიხედვით, შეუძლია, თან იყოლიოს 1-დან 5 წლამდე ასაკის მხოლოდ 1 ბავშვი. თუ პიროვნება 2 ბავშვთან ერთად მგზავრობს და ორივეს ასაკი — 5 წლამდეა, როგორ უნდა მოიქცეს?

— შეღავათიანი ბილეთი უნდა შეიძინოს.

— რატომ? კოდექსში ხომ გიწერიათ, რომ 5 წლამდე ბავშვის მგზავრობა უფასოა, შეღავათიანი ბილეთი 5-დან 10 წლამდე ბავშვებს ეკუთვნის...

— სრული გაურკვევლობაა და ბევრი რამ გაუთვალისწინებელია. ეს ყველაფერი გამოსწორდება.

— რატომ ითხოვთ მშობლებისგან, თან ატარონ ბავშვების დაბადების მოწმობები? თქვენ ამით კანონთან შეუსაბამობაში მოდიხართ. არასრულწლოვანს კანონი დაბადების მოწმობის ტარებას არ ავალდებულებს.

— ყველა შეუსაბამობა ახალი კოდექსის ამუშავებისთანავე აღმოიფხვრება.

— ეს მატარებელი, ფოთი-თბილისი, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს?

— რას გულისხმობთ?

— ტელევიზორი, კონდიცირების სისტემა უნდა მუშაობდეს, საპირფარეშოში ონკანი უნდა იყოს?

— რა, ონკანი არ არის?

— არის, მაგრამ — გატეხილი. ანტისანიტარიაა, სავარძლები დალაქავებულია... რომელი ერთი ჩამოვთვალო?

— ძალიან გთხოვთ, ხვალ ერთად გავიდეთ და შევამოწმოთ.

ზაფხულში ამ მატარებლით მგზავრობა კიდევ უფრო არაკომფორტულია, კონდიცირება არ არის

— ეს ყველაფერი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. რაც გითხარით, თქვენთვის ცნობილი არ არის?..

— ვიცით, რომ ბევრი პრობლემაა. უამრავი მგზავრი გვყავს, ჩვენ კი ახალი ვაგონები არ გვაქვს. ვაგონები თბილისის დეპოში ირეცხება, ფოთში ე.წ. მშრალი გაწმენდა თავად გამცილებლის ხელით ხორციელდება.

— ამ სტატიას განსაკუთრებით ელოდებიან ის ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად დაჯარიმეს. მათ რას ეტყვით?

— ვწუხვარ, რომ ასეთი ფაქტი მოხდა.

— თუ ანალოგიურ სიტუაციაში მგზავრები ისევ აღმოჩნდებიან, როგორ უნდა მოიქცნენ?

— ჩვენთან, ცხელ ხაზზე: 56-47-60 დარეკონ. მდგომარეობის შესაბამისად ვიმოქმედებთ. ეს ხაზი ყოველთვის მუშაობს. ■

ვასო ფხაკაძე თაყვანისმცემელს „ქლაპ-ჟოუში“ ეპატიჟება

სოფო ჭონიშვილი

როცა შოუმენ ვასო ფხაკაძეს დავურეკე და რუბრიკაში — „სასიძო“ ჩაწერა შევთავაზე, გაიცინა და მითხრა, — კიდევ კარგი, „საპატარძლოში“ არ უნდა ჩამწეროთო!.. რატომ იფიქრა ეს — ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი შემიძლია გაცნობოთ, რომ საკუთარ თავსა და მით უმეტეს, თავის დადებით თვისებებზე ლაპარაკი ძალიან გაუჭირდა. ამბობს, რომ თავის ქება კარგ ტონად არ მიაჩნია. მოსწონს ლამაზი გოგონები და მზად არის, საყვარელი ადამიანის გამო, ნებისმიერ რისკზე წავიდეს.

„ჯაპიუშონს ვიხურავ, სათვალეს ვიკეთებ, მარტო ცხვირი მიჩანს და ვეღარავინ მცნობს...“

— ვასო, პირველ რიგში, შენს თაყვანისმცემლებს შენი ოჯახი გააცანი.

— ჩემი ოჯახი 4 წევრისგან შედგება: დედა, მამა და და მყავს. მამა — ამირან ფხაკაძე ბიოტექნიკოსია, დედა — ფილოლოგი. დედა ბიბლიოთეკაში მუშაობს, ჩემი და ერთ-ერთ ბანკში, მამაჩემი თავის სტიქიაშია (*იცინის*), მეფრინველეობის ფაბრიკაში მუშაობს. ოჯახში ყველას ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს.

— შენ რა პროფესიის ხარ?

— მამაჩემის გავლენით, ზოოვეტერინარული აკადემია დავამთავრე. ექიმი-ვეტერინარი გახლავარ (*იცინის*).

— ოდესმე შენი პროფესიით თუ გიმუშავია?

— კი, ცოტა ხანი. პრაქტიკაც მაქვს გავლილი. მოკლედ, პროფესიონალი ვეტერინარი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დიდი სურვილი იყო, თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა, დღევანდელი გადმოსახედიდან ჩემი მშობლების რჩევით, მაინც კმაყოფილი ვარ.

— რატომ?

— დარწმუნებული ვარ, თეატრალური ინსტიტუტი რომ დამემთავრებინა, დღეს რასაც ვაკეთებ, მაინც ამას გავაკეთებდი. თეატრს ამ საქმიანობას არ ვადარებ, მაგრამ... ასე რომ ვთქვათ, ჩემს მუღამში ვარ. მეორე პროფესია კი, ასე თუ ისე, შემრჩა (*იცინის*).

— ვასო, ბედისწერის თუ გჯერა?

— მჯერა იმის, რომ ადამიანი თავის ბედს თვითონ ქმნის.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— ტყუპი. მაგრამ სიმართლე რომ გითხრა, ჰოროსკოპებს არასოდეს ვკითხულობ. არც წინასწარმეტყველების და მკითხავების მჯერა.

— ისე, საინტერესოა, ოდესმე შენთვის ვინმეს კარტი თუ გაუშლია ან ყავის ჭიქაში თუ ჩაუხედავს?

— (*იცინის*) რამდენჯერაც გინდა. თუმცა მსგავსი რაღაცები უფრო, ბავშვობაში ხდებოდა. გოგოები მეხვეწებოდნენ, — უნდა გიმკითხაოთო. ახლა ამ ყველაფერზე მეცინება.

— შეგიძლია, საკუთარი თავი დაგვიხასიათო?

— არ გეწყინოს, მაგრამ საკუთარი თავის დახასიათება მართლა არ შემიძლია. ჩემ შესახებ შეგიძლია, მეგობრებს ჰკითხო, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად გიპასუხებენ.

— რატომღაც, მგონია, რომ ისინი ჟურნალისტს მეგობარზე ცუდს არაფერს ეტყვიან...

— არა?! თუ საჭიროა, არ დამინდობენ (*იცინის*)...

— რადგან საკუთარი თავის ქება არ გეხერხება, მაშინ, შენს ცუდ მხარეებზე მაინც გვითხარი.

— ჩემს ერთ-ერთ ცუდ თვისებად მივიჩნევ იმას, რომ ძალიან ფიცხი და ემოციური ადამიანი ვარ.

— ბუნებით ფიცხი ხარ თუ კონკრეტულ რაღაცებზე ფიცხობ ხოლმე?

— ???

— რამ შეიძლება დაგაკარგვინოს წონასწორობა?

— ასეთი მომენტი ცხოვრებაში ბევრი მქონია. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ის, ვინც წონასწორობას მაკარგვინებს და ცუდ მდგომარეობაში მაგდებს, თავადაც ცუდ დღეში ვარდება (*იცინის*).

— ამ დროს რას აკეთებ? იგინები, ყვირი, მაგიდაზე მუშტს ურტყამ თუ?..

— არც ვიგინები და არც ყვირილს ვიწყებ. წყნარი და მშვიდი ტონით ვაგვარებ ყველანაირ კონფლიქტს.

— ცუდი თვისებების ჩამოთვლისას, ერთი კარგი მაინც არ გაგახსენდა?..

— კარგი, რადგან არ მეშვები, გეტყვი, ოღონდ, ამბიციურობაში არ ჩამომართვა. ცუდი ბიჭი არ ვარ, ეს უამრავ ადამიანს შეუძლია დაადასტუროს.

— ვასო, რომანტიკოსი მამაკაცი ხარ?

— რომანტიზმი ყველა ადამიანშია, რა თქმა უნდა — მეტ-ნაკლებად. რაღაც დოზით, ეს ჩემშიც ზის. თუმცა მიმაჩნია, რომ რეალისტი უფრო ვარ, ვიდრე რომანტიკოსი.

— ცხოვრებაში შეყვარებული რამდენჯერ ყოფილხარ?

— (*იცინის*) მთელი ცხოვრება, ბავშვობიდან — დღემდე სულ შეყვარებული ვარ. ეს გრძნობა არასოდეს მტოვებს. ბედნიერი კაცი ვარ, არა?

— რა თქმა უნდა. როგორია შეყვარებული ვასო?

— ისეთი, როგორსაც მხედავ (*იცინის*).

— უფრო კონკრეტული პასუხი მინდა.

— ანუ გინდა, გითხრა, როგორი კარგი ვარ?.. რა ვქნა, თავის ქება რომ არ შემიძლია (*იცინის*)?..

— მაშინ, ის მაინც მითხარი, რა შეგიძლია, საყვარელი ადამიანისთვის გააკეთო?

— ყველაფერი. მისთვის ნებისმიერ რისკზე წავალ. ისეთი რაღაც შეიძლება გავაკეთო, რაც არასოდეს გამიკეთებია. მის გამო შეიძლება, თავი ცუდ მდგომარეობაშიც ჩავიგდო.

— რადგან მითხარი, რომ სულ შეყვარებული ვარო, ეი. ახლაც შეყვარებული ხარ?

— კი (*იცინის*): ჩემი „პეჟო“ ძალიან მიყვარს.

— ვასო, სერიოზულ პასუხს ველოდები.

— სერიოზულად გპასუხობ — შეყვარებული ვარ (*იცინის*).

— ოდესმე მარტო თუ გიცხოვრია?

— როგორ არა?! როცა ჩემები რაჭაში მიდიან, სახლში მარტო დარჩენა მიწევს, დიდი ხანი — არა, მაგრამ ერთი კვირა მაინც.

— საკუთარი თავის მოვლა თუ შეგიძლია? შეგიძლია — ტანსაცმელი გაირეცხო, გაიაუთოო, საჭმელი მომზადო და ა.შ.?

— გარეცხვას რა უნდა?.. ტანსაცმელს სარეცხ მანქანაში შევყრი, ღილაკს ხელს დავაჭერ და მირეცხავს. ხელით არასოდეს გამირეცხავს, თუმცა, თუ საჭიროება მოითხოვს, ამასაც გავაკეთებ. გაუთოებაც მეხერხება.

— საჭმლის მომზადება იცი?

— ოო... ძალიან გემრიელ საჭმელებს ვამზადებ.

— რას ამზადებ განსაკუთრებულად კარგად?

— რაც მომინდება, ყველაფრის მომზადება შემიძლია. ტორტი და ნამცხვარი არასოდეს გამომიცხვია (*იცინის*).

— როგორც მამაკაცების უმეტესობას, შენც ხორციანი კერძები გიყვარს?

— სხვათა შორის, ხორციანი საჭმელები არ მიყვარს. სალათები უფრო მიყვარს და მათი მომზადებაც კარგად გამომდის.

— საოჯახო საქმეების კეთებაში მეუღლეს თუ დაეხმარები?

— რომ გითხრა, დავეხმარები-მეთქი, ტყუილი გამომივა. ვფიქრობ, რომ მეუღლის დახმარებას ვერ შევძლებ, რადგან ძალიან დატვირთული ვარ. მთელი დღე სახლში არ შევდივარ. თუ თავისუფალი დრო მექნება, რა თქმა უნდა, დავეხმარები, აბა, რას ვიზამ?!

— ყველაზე ხშირად მშობლები რაზე გსაყვედურობენ?

— ამ ბოლო დროს დედა ამიჯანყდა: ცოლი მოიყვანეო, — მეუბნება.

— რამდენი წლის ხარ?

— 30-ის.

— კი ყოფილხარ უკვე საცოლე. დედა სარძლოს თავად ხომ არ ეძებს?

— ასეთი რამ დედაჩემს არ სჩვევია. თუმცა ვიღაც-ვიღაცებზე მიმანიშნებს ხოლმე (*იცინის*)...

— როგორი გოგოები მოგწონს?

— ლამაზები (*იცინის*). მოდი, სერიოზულად გიპასუხებ. რა თქმა უნდა, სილამაზეს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, მაგრამ მარტო გარეგნული სილამაზე საკმარისი არ არის. არიან გოგოები, რომლებიც ძალიან ლამაზები არიან, მაგრამ მათი შინაგანი თვისებები არანაირად არ მიგიზიდავს. ისეთი გოგოები მომწონს, რომლებშიც ეს ყველაფერი დაბალანსებულია (*იცინის*). უტვინო გოგოებს ვერ ვიტან, აზროვნების უნარი რომ არ გააჩნიათ.

— როგორი გოგოები გაღიზიანებენ?

— მატრაკვეცა ქალებს ვერ ვიტან — ისეთებს, ზემოდან რომ იყურებიან.

— შენმა მეუღლემ საოჯახო საქმეების კეთება რომ არ იცოდეს, რას იზამ?

— ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ვასწავლი.

— როცა გოგო მოგეწონება, მისი ყურადღების მისაქცევად, რას აკეთებ?

— იქიდან გამომდინარე, რომ ყველა მიცნობს, თამაში არავისთან გამომივა. ყველამ იცის, როგორი ვარ, თუმცა ბევრი მხოლოდ ტელეეკრანიდან მიცნობს და არ იცის, ცხოვრებაში როგორი ადამიანი ვარ. ღმერთმა დამიფაროს, ცხოვრებაშიც ისეთი ვიყო, როგორიც სცენაზე ვარ!..

— ხელმარჯვე თუ ხარ — ოჯახში რაღაც რომ გაფუჭდეს, შესძლებ შეაკეთო?

— ჩხირკედელაობა ბავშვობიდან მიყვარს. როცა რაჭაში ბაბუასთან ვისვენებდი, ყოველთვის რაღაცას ვაკეთებდი. ბაბუა არაფრის კეთებას არ მიშლიდა, პატარა ფიცრული სახლიც კი ამიგია. ნათურის გამოცვლას და ლურსმნის მიჭედებასაც ვახერხებ (*იცინის*).

— ვასო, ქართული ტრადიციები თუ მოგწონს?

— რაღაცები მომწონს, რაღაცები — არა.

— მაინც, რა არ მოგწონს?

— არ მომწონს, სუფრასთან ღვინის ყანწებით და „ბაკლებით“ სმა. ქართული სუფრა ძალიან მიყვარს. სუფრასთან 10 ჭიქაზე მეტს არასდროს ვსვამ. ქეიფი იმას არ ჰქვია, 40-50 ჭიქას რომ დალევ. ეს უკვე ღრეობაა.

— თამადობა თუ გეხერხება?

— კი. ხშირადაც მითამადია. რომ გითხრა, ღვინის სმით გამოვირჩევი-მეთქი, მოგატყუებ.

— სადღეგრძელოების თქმა კარგად გამოგდის?

— როგორც ამბობენ, კი. სადღეგრძელოებს მოკლედ და კონკრეტულად ვამბობ, 2-საათიან „რეჩებს“ არ „ვურტყამ“. ეს თამადა რა ყოფილაო?! — ამას არავის ვათქმევინებ (*იცინის*).

— შენს მეუღლეს მზითევი უნდა მოჰყვეს?

— როცა ადამიანი მიყვარს, მისი არც მზითევი მინდა და არც ქონება. მზითვის და ქონების გამო ცოლის მოყვანა როგორ შეიძლება, არ მესმის. მის ქონებას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

— თუ გიფიქრია იმაზე, რომ გრანდიოზული ქორწილი უნდა გადაიხადო?

— ჯერ მსგავს რაღაცებზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ამაზე, ცოლის მოყვანას რომ დავაპირებ, მერე ვიფიქრებ.

— როცა ცოლის მოყვანას გადაწყვეტ, მის მშობლებთან მიხვალ და მათი შვილის ხელს ოფიციალურად სთხოვ?

თუმცა ზოგჯერ მაინც მცნობენ, კაპიუშონს გადამიწევენ და მეუბნებიან, — მაინც ხომ გიცანითო (*იცინის*)!

— კონკრეტულ შემთხვევაში როგორ მოვიქცევი, ვერ გეტყვი. შეიძლება, უცებ „დამარტყას“ თავში და მოულოდნელად წავიყვანო.

— ანუ გაიპარებით?

— გაპარვით არ გავიპარებით, პატარა ბავშვი ხომ არ ვარ!.. მოკლედ, მანამდე რაღაცას მოვიფიქრებ.

— სიდედრს როგორ მიმართავ?

— (*იცინის*) ქალბატონო სიდედრრრ... როცა ადამიანი მიყვარს, მისი მშობლებიც მიყვარს. სერიოზულად გეტყვი (*იცინის*) — ალბათ „ქალბატონოთი“ მივმართავ.

— შენი წარმოდგენით, როგორი ქმარი იქნები?

— აბა, რა ვიცი?! ეგ ჩემს „ცოლებს“ უნდა ჰკითხოთ... ვხუმრობ, სიმართლე არ გეგონოს. ვფიქრობ, რომ ცუდი მეუღლე არ ვიქნები.

— თავს ევროპელ მამაკაცად მიიჩნევ თუ „აზიატად“?

— გააჩნია, „აზიატობაში“ რას გულისხმობ?! ისეთი „აზიატი“ ნამდვილად არ ვარ, მეუღლეს მოკლე კაბისა და დეკოლტის ჩაცმა რომ დავუშალო. ეს ჩემი აზრით, იდიოტობაა. ამას ეჭვით დაავადებული მამაკაცები აკეთებენ. თუ ადამიანი გიყვარს და უყვარხარ, მას ბოლომდე ენდობი.

— ეი. ეჭვიანი არ ხარ?

— არა. თუმცა, როცა შეყვარებული ხარ, გარკვეულწილად ეჭვიანობ კიდეც; თუ არ გიყვარს და უკაცრავად, „გკიდია“, მაშინ არც ეჭვიანობ.

— რამ შეიძლება ჩაგაგდოს დეპრესიულ მდგომარეობაში?

— ყოფილა ისეთ შემთხვევები, როცა ცუდ ხასიათზე ვყოფილვარ. მაგრამ სასოწარკვეთილებაში არასოდეს ჩავვარდნილვარ.

— ოდესმე ცრემლები თუ წამოგსვლია?

— ტირილით არასოდეს მიტირია, სატირალი არაფერი მაქვს, თუმცა ცრემლები ხშირად წამომსვლია — სიხარულის ან სინანულისგან.

— ვასო, ამ ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, შენი თაყვანისმცემლები შენთან შეხვედრას მოისურვებენ. თანახმა ხარ, რომელიმე მათგანს შეხვდე?

— კი, რატომაც არა?! მასთან შესახვედრად თავად ვერ წავალ, „ქლაბშოუს“ ჩაწერაზე დავპატიჟებ; როცა უნდა, მაშინ მოვიდეს. თუ სურვილი ექნება, გავესაუბრები კიდეც. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— ისე, თაყვანისმცემლები ხშირად გაწუხებენ?

— უფ!.. კი.

— ასეთ სიტუაციაში როგორ იქცევი?

— ხანდახან, ცოტას ვუხეშობ; როცა ტელეფონზე მირეკავენ, ვეუბნები, — სხვაგან ხვდებით-მეთქი (*იცინის*)...

— როცა ქუჩაში გხვდებიან?

— შეხედე, რამხელა კაპიუშონი მაქვს, ქუჩაში რომ გავდივარ, ვიხურავ, სათვალეს ვიკეთებ, მარტო ცხვირი მიჩანს და ვეღარავინ მცნობს (*იცინის*). თუმცა ზოგჯერ მაინც მცნობენ, კაპიუშონს გადამიწევენ და მეუბნებიან, — მაინც ხომ გიცანითო (*იცინის*)!

— დაბოლოს, რას ეტყვი შენს თაყვანისმცემლებს?

— იმრავლეთ!.. იხარეთ!..

P.S. ჩემი აზრით, მშვენიერი „სასიძო“ წარმოგიდგენთ. გოგონებო, იაქტიურეთ, გამომიგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(98)23.09.21. ვასო ერთ-ერთ თქვენგანს უეჭველად შეხვდება. წარმატებას გისურვებთ!

■

უყვარს კლასიკური ლიტერატურა. სიამოვნებას ანიჭებს ისეთი ნაწარმოებების გაცნობა, რომლებიც კითხვებს კი არ ბადებს, არამედ პირიქით — კითხვებზე პასუხს სცემს. შექსპირის ნაწარმოებების კითხვისას ეუფლება განცდა, თითქოს სონეტები მის ეპოქაში მცხოვრები შემოქმედის დაწერილია. ძალიან უყვარს ვაჟა-ფშაველა. თანამედროვე მწერლებიდან უპირატესობას გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებას ანიჭებს. წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს ამის სურვილი არაერთხელ გასჩენია. ამბობს, რომ წიგნი, რომელშიც ყველაზე დიდი თანხის გადახდა მოუწევს, ჯერ არ შეუძენია. ეს წიგნი, მოსკოვში გამოსაცემად მომზადებული მისივე ტეტრალოგია — „ნათელი ქრისტესი — საქართველო“ იქნება. „გამომცემლობა, როგორც ავტორს, ერთ ეგზემპლარს მჩუქნის, მაგრამ თუ შვილისთვის ან მეგობრისთვის მის ძღვნად მირთმევას მოვისურვებ, უნდა შევიძინო“. ამ წიგნის ფასი, არც მეტი, არც — ნაკლები, 2.500 დოლარია. მაშ ასე, „ერუდიტის“ დღევანდელი სტუმარია ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ნესტან კირთაძე.

2.500 დოლარად ღირებული წიგნი და მისი ავტორის ინტელექტი

თამუნა კვინიკაძე

— ჩვენ ვიცით, რომ კვირა 7 დღისგან შედგება, წელიწადში — 12 თვე, საათში — 60 წუთი, წრე კი 360 გრადუსია. პირველად სად გამოიგონეს ეს სათვალავი?

— თუ კარგად მახსოვს, ძველ ბაბილონში.

— მართალი ხართ. ზანგთა ტომები ერთმანეთს სავაჭროდ საგანგებოდ შერჩეულ, შემაღლებულ ადგილზე ხვდებოდნენ, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანდა. რატომ ირჩევდნენ ასეთ ადგილს?

— იმიტომ, რომ მტრულად განწყობილი ტომები მათ უეცრად არ დასხმოდნენ თავს.

— გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა, ჰაინრიხ ჰაინემ იმ დროისთვის წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინა — 6 წლის არაოფიციალური თანაცხოვრების შემდეგ, თავის საყვარელზე დაქორწინდა. ქალი გლეხის ოჯახიდან იყო. ვინ მიიწვია მან ქორწილში?

— ესპანეთის მეფე.

— მეფე მიიწვია თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მან ქორწილში მიპატიჟებული მეგობრები რაღაც ნიშნით გამოარჩია.

— გამახსენდა, ჰაინემ ის მეგობრები მიიპატიჟა, რომლებსაც საყვარლები ჰყავდათ და მათ ურჩია, მისთვის მიებაძათ. ერთ დროს, საყვარელზე დაქორწინება სიმამაცედ მიიჩნეოდა.

— სად აღმოცენდა პროტესტანტიზმის ნაირსახეობა — ლუთერანობა?

— გერმანიაში.

— რამდენი ხმოვანია ქართულ ანბანში?

— 5 (*იცინის*).

— რომელი ცხოველის ხორცს არ ჭამენ მუსლიმანები?

— ღორის ხორცს.

— რუკაზე, რომელ სასარგებლო წიაღისეულს აღნიშნავენ შავი, ტოლგვერდა სამკუთხედით?

— გულახდილად გეტყვით, რომ ასეთ ნიშნებში კარგად ვერ ვერკვევი.

— რკინის მადანს. რა გამოიგონა მორზემ?

— კოდური ანბანი.

— რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება ბარენცის ზღვა?

— (*ფიქრობს*) წყნარი ოკეანის აუზს.

— ცდებით, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის აუზს მიეკუთვნება... კორდილიერები, ურალი, ჰიმალაი, ანდები — ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე გრძელი მთათა ჯაჭვი?

— თუ არ ვცდები, ჰიმალაი.

— ჰიმალაის მთათა სისტემა სიმაღლით გამოირჩევა, ხოლო ჩამოთვლილთაგან ყველაზე გრძელი — კორდილიერების მთათა ჯაჭვია. რას ნიშნავს კონიაკის ეტიკეტზე გამოსახული ვარსკვლავები?

— დაძველების წლებს.

— დაასახელეთ ცნობილი ფრანგი მხატვარი იმპრესიონისტი. ის თავდაპირველად, ბირჟის მაკლერი იყო.

— (*ფიქრობს*) გოგენი?

— გამოიცანით. რას ნიშნავს სიტყვა „ვეტო“?

— აკრძალვას.

— რამდენი წლის იყო თამარი, როცა მამამ — გიორგი III-მ თანამმართველად გამოაცხადა?

— 12 წლის.

— სად მდებარეობს მოქმედი ვულკანი ეტნა?

— მგონი, სიცილიაზე. გამოვიცანი?

— დიახ. მზის სისტემაში არის ერთი იდუმალი ციური სხეული — მარსის თანამგზავრი ფობოსი. პირველად ხალხმა მისი არსებობის შესახებ ერთ-ერთი მწერლისგან შეიტყო, რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს ამბავი მეცნიერებმაც დაამტკიცეს. დაასახელეთ მწერლის გვარი და ნაწარმოები, სადაც ეს თანამგზავრია მოხსენიებული.

— ეს ის კითხვაა, რომელზეც ბატონი შალვა ნათელაშვილი აუცილებლად გიპასუხებდათ. მან ციური სხეულების განლაგება ზუსტად იცის. ამ მიმართულებაში მისი ტოლი და სწორი მეცნიერი თუ არსებობს, არ ვიცი.

— ამ რუბრიკაში ბატონ შალვას სიამოვნებით მოვიწვევთ. როგორია დღეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ღმერთის წყალობით, კარგადაა. წესით, თებერვლის ბოლოს უნდა ჩამოვიდეს.

— დასმულ კითხვაზე ვერ მპასუხობთ?

— სამწუხაროდ, ეს სფერო კარგად არ ვიცი.

— ფობოსი პირველად ჯონათან სვიფტმა — „გულივერის მოგზაურობაში“ აღწერა. რა ჰქვია სასამართლო სამედიცინო მიზნით საფლავიდან გვამის ამოღებას?

— ექსჰუმაცია.

— დღეს ეს სიტყვა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელთა მეტსახელია, ხოლო წარსულში მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტული იყო.

— ვერ გიპასუხებთ.

— ფარაონი. რა აქვთ საერთო პეიზაჟისტებს: ფრანგ ჟან ვერნეს, იაპონელ კაცუსიკა ჰოკუსაის, ინგლისელ უილიამ ტერნერს, ჰოლანდიელ ვან ჰოფ მესდაგს და რუს აივაზოვსკის? რა იყო მათი ნახატების მთავარი თემა?

— ისინი ყველაზე ხშირად, ზღვას ხატავდნენ.

— დიახ, ჩამოთვლილი მხატვრები მარინისტები იყვნენ. „კეთილი ადამიანები“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „ხევსურული ბალადა“, „შეხვედრა მთაში“ — ამ ქართული ფილმებიდან რომელი არაა შოთა მანაგაძის გადაღებული?

— თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ... (*გამეორების შემდეგ*) „შეხვედრა მთაში“.

— ეს სიტყვა არაბულად „მოადგილეს“ ნიშნავს, თუმცა საერო და სასულიერო ხელისუფლების მეთაურთა ტიტულია. თავდაპირველად, ასე მუჰამედ მოციქულის მოადგილეს ეძახდნენ, ხოლო შემდგომში, ალაჰის მოადგილეს.

— არ ვიცი.

— ხალიფა. დაასახელეთ შუა საუკუნეებში გავრცელებული წიგნი მაგიის შესახებ, რომლის ავტორი ისრაელის ბრძენი მეფე — სოლომონი იყო.

— „ბრძენთა ანბანი“.

— ცდებით, „სოლომონის გასაღები“. არსებობს ჰიპოთეზა, რომ ძველ ეგვიპტეში არსებობდა უძველესი რიტუალი, რომლის სახელწოდებაც ასე ჟღერდა — „ჰებ-სედი“. რიტუალის მთავარი მოქმედი პირი, მეფე ანუ ფარაონი იყო. რაში მდგომარეობდა რიტუალის არსი?

— როდესაც მეფე დაუძლურდებოდა და ქვეყნის მართვა აღარ შეეძლო, მას ამ რიტუალისას კლავდნენ.

— ყოჩაღ! ქალბატონო ნესტან, იქნებ, ისიც გაიხსენოთ, რა ერქვა ფეოდალთა უმაღლეს ფენას რუსეთში?

— ბოიარები.

— ალჟირი, კაირო, ნაირობი, ჯაკარტა — ამ ქალაქებიდან რომელი არაა აფრიკის კონტინენტზე?

— ჯაკარტა.

— რა არის ირიგაცია?

— (*ფიქრობს*)...

— მიგანიშნებთ, ნიადაგთან კავშირშია.

— გამახსენდა, ნიადაგის მორწყვას ირიგაცია ჰქვია.

— ძველად მას დაბალს ეძახდნენ.

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— ტყავის გამომყვანს. რომის რომელ იმპერატორს ჰყავდა გლადიატორებად ქალები და ჯუჯეები?

— ეს იყო ამაზრზენი სანახაობა. პასუხს ვერ გაგცემთ.

— დომიციანს. ამჟამად, რა ჰქვია კუნძულ ცეილონს?

— (*ფიქრობს*) შრი-ლანკა.

— ვის მიუძღვნა აკაკი წერეთელმა პოემა-ზღაპარი „ალექსი“?

— არ ვიცი.

— თავის ვაჟს. საფრანგეთი, შვედეთი, იტალია, ესპანეთი — ამ ქვეყნებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა?

— ყველაზე დიდია საფრანგეთი, ხოლო ყველაზე პატარა (*ფიქრობს*)... იტალია.

— რომელმა მხატვარმა მოიგონა სიკვდილი, რათა შემდგომ, მისი ნახატები უფრო ძვირად გაყიდულიყო?

— ვერ ვიხსენებ.

— რემბრანდტმა. ავტომანქანის მარკებში ერკვევით?

— ნაკლებად.

— „იაგუარი“, „ბენტლი“, „როლს-როისი“, „ლამბორჯინი“ — თუ მეტყვით, ჩამოთვლილთაგან რომელი არაა ინგლისური წარმოების ავტომანქანა?

— არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს.

— „ლამბორჯინი“. დაასახელეთ ინდოეთის ფულის ერთეული.

— რუპია.

— მონბლანი, იალბუზი, კილიმანჯარო, ვინსონი — ამ მწვერვალებიდან, რომელია ყველაზე დაბალი?

— არ ვიცი.

— მონბლანი. რა ჰქვია ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს?

— ორშიმო.

— იანვარი, აპრილი, აგვისტო, ოქტომბერი — ამ თვეებიდან რომელში არ არის 31 დღე?

— (*ფიქრობს*) აპრილში.

— „მეგობარო, გახსოვს წამი,/ შენ მოგიძღვენ ყელსაბამი,/ მე კი ჩემი გული წრფელი მოგიძღვენი./ მოგიძღვენი გული შენთვის ანაძგერი“, — ვინაა ამ სტროფის ავტორი?

— სამწუხაროდ, ვერ გიპასუხებთ.

— იოსებ ნონეშვილი. ფარდობითობის თეორიის ავტორს თუ გაიხსენებთ?

— (*იცინის*) აინშტაინი.

— გიორგი სააკაძე, დურუ ხუნჭუა, ბაში-აჩუკი, ყვარყვარე — კინოფილმების ამ გმირებიდან, რომელი განასახიერა ოთარ კობერიძემ?

— ბაში-აჩუკი.

— დაასახელეთ შვედეთის დედაქალაქი.

— სტოკჰოლმი.

— სეტერი, პუდელი, ბულდოგი, ნაგაზი — ამ ჯიშებიდან, რომელია მონადირე?

— სეტერი.

— სენა, ტიბრი, ტემზა, ხუანხე — ამ მდინარეებიდან რომელი არ გადის ქვეყნის დედაქალაქზე?

— (*ფიქრობს*) ხუანხე.

— იქნებ, ის მდინარეც გაიხსენოთ, რომელზეც ამერიკის და მექსიკის საზღვარი გადის.

— ვერ ვიხსენებ.

— რიო-გრანდე. დაასრულეთ ძველი რომაელი ფილოსოფოსის, ციცერონის სიტყვები: „არასდროს ვარ ისეთი მოუცლელი, როგორიც...“

— როგორც (*ფიქრობს*)... ეს გამონათქვამი არ მახსენდება. როგორ სრულდება?

— „...დასვენების საათებში“.

როდესაც მეფე დაუძლურდებოდა და ქვეყნის მართვა აღარ შეეძლო, მას კლავდნენ

1937 წლის სისხლიანი ქრონიკა, „დამნაშავეთა“ აბსურდული გრაფიკები და მკვლელი, რომელიც ფსიქიკურად შეიშალა

1937 წლის მასობრივი რეპრესიების სისხლიანი ქრონიკა, ათიათასობით დაპატიმრებული და დახვრეტილი ადამიანის ცხოვრებაა ასახული ფილმში „1937“, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების რედაქციამ საარქივო მასალებზე დაყრდნობდით მოამზადა. როგორი იყო არქივში მუშაობის პროცესი? რა უამბეს რეპრესირებულთა და ჯალათთა შთამომავლებმა? როგორ იხსენებენ წინაპარს, რომელიც ყოველღამე დახვრეტის ოპერაციას ხელმძღვანელობდა და საკონტროლო გასროლას თავად აკეთებდა? — ამ ყველაფერზე სასაუბროდ, ფილმის რეჟისორს — მიშა ბასილაძეს ვესტუმრეთ.

თამუნა კვინიკაძე

— ფილმში ყველა დეტალი დოკუმენტურად არის დადასტურებული. რამდენად რთული იყო არქივებში მასალების მოძიების პროცესი?

— 1937 წლის რეპრესიებზე სატელევიზიო სივრცეში ნაკლები მასალა იყო. ფილმის შექმნის იდეა 2006 წლის ბოლოს გაგვიჩნდა. 2007 წლის იანვრიდან კი უშიშროების არქივში მუშაობა დავიწყეთ. იქ რეპრესირებულთა გვარების მიხედვით, შექმნილია კატალოგი და თავმოყრილია 1937 წელს მომხდარი, სისხლის სამართლის საქმეებიც. ჩვენ მაშინდელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა საქმეებით დავინტერესდით, მაგრამ არქივში მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ბუდუ მდივნის საქმე აღმოჩნდა. 3-თვიანი მუშაობის შემდეგ, გარკვეული მასალა მოვიპოვეთ. ვინაიდან ბუდუ მდივანს საქართველოში „ტროცკისტული ცენტრის“ ხელმძღვანელობა ჰბრალდებოდა, მისმა საქმემ, რომელიც 9 ტომისგან შედგებოდა, პოლიტიკური ელიტის სხვა წარმომადგენლებზეც მოგვცა ინფორმაცია.

— როგორც ცნობილია, იმ წლებში საქართველოში „ტროცკისტული ცენტრი“ არც არსებობდა.

— ეს დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. მართალია, კომუნისტურ პარტიაში ოპოზიციურად განწყობილი პირები იყვნენ, მაგრამ მათი რაოდენობა არ იყო იმდენი, რამდენიც ეს 1937 წლის რეპრესიების დროს წარმოაჩინეს. მოგეხსენებათ, უშიშროების არქივის 85% თბილისის ომის (1991-92 წწ.) დროს დაიწვა, გარდა ამისა, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციანის, ევგენი მიქელაძის, სანდრო ახმეტელის და ა.შ. სულ 87 საქმე, არქივიდან გატანილია და არ დაუბრუნებიათ. უშიშროების არქივის გარდა, ცენტრალურ არქივში დაცული, მწერალთა კავშირის ოქმები და ყრილობების დადგენილებებიც შევისწავლეთ. ასევე შევხვდით რეპრესირებულთა შთამომავლებს.

— არქივებში მუშაობის დროს, რა აღმოაჩინეთ ისეთი, რამაც თქვენი გაკვირვება გამოიწვია და რაც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დღემდე უცნობია?

— ფილმისთვის საჯარო ბიბლიოთეკაში იმდროინდელ გაზეთებს გავეცანი. არ ვიცოდი, რომ 1937 წელს, საქართველოში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ არსებობდა, რომელიც რელიგიასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად და 1920-იანი წლების ბოლოს კომუნისტ მინეი ისააკის ძე გუბელმანის მიერ მოსკოვში იყო დაარსებული.

— საქართველოში „მებრძოლ უღმერთოთა კავშირს“ ვინ ხელმძღვანელობდა?

— ამ საკითხით, ბუნებრივია, დავინტერესდი, მაგრამ კავშირის ხელმძღვანელის ვინაობა ვერ დავადგინე. ამ კავშირში (მას სხვადასხვა ქვეყანაში ჰქონდა ფილიალები) 120 ათასზე მეტი ადამიანი ირიცხებოდა და საწევროსაც იხდიდა.

— 1937 წლის რეპრესიების თემას მივუბრუნდეთ. პატიმართა წამების მეთოდები მათ საქმეებშია აღწერილი?

— 1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხრუშჩოვმა რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოახდინა. ბუდუ მდივნის საქმეში ერთ-ერთი ტომი 1955 წლით არის დათარიღებული, რომელიც დახვრეტის საქმის გამოკვლევას ეხება. დაკითხული ყველა მონაწილე პირი და ზედამხედველები აღწერენ, თუ როგორ ექცეოდნენ პატიმრებს, როგორი მეთოდებით აწამებდნენ, როგორი იყო დახვრეტის სისტემა და ა.შ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული დადგენილებით, 1937 წლის მარტიდან, პატიმართა წამება, ოფიციალურად იყო ნებადართული. წინასწარ გამზადებული ჰქონდათ ე.წ. ცივი და ცხელი საკნები. ზამთარში ცივ საკნებში შეჰყავდათ პატიმრები, ასხამდნენ ცივ წყალს და პატარა სარკმელს ღიას ტოვებდნენ. განსაკუთრებით ურჩი პატიმრებისთვის, სპეციალურად თოვლიც შეჰქონდათ... ცხელ საკნებში, რომლებსაც ზაფხულში იყენებდნენ, გადიოდა საგანგებო მილი, რომელიც საქვაბიდან მოწოდებული ორთქლით ცხელდებოდა. ტემპერატურა 60 გრადუსამდე ადიოდა. პატიმარს კანი ეწვებოდა, სუნთქვა შეუძლებელი ხდებოდა... 1955 წელს დაკითხული ზედამხედველები ამბობდნენ, — როდესაც ცხელი საკნის კარს გავაღებდით ისეთი ორთქლი იდგა, პატიმარი აღარ ჩანდაო. ასეთ საკნებში მათ 3 დღით კეტავდნენ. დღის განმავლობაში მხოლოდ 1 პურს და 1 ჭიქა წყალს აწვდიდნენ. რადგან ჩვენების მიცემის გარეშე, არც ერთი პატიმრის სიკვდილი არ აძლევდათ ხელს, გულწასულები საკნიდან გამოჰყავდათ, გულში

ფილმის შექმნის იდეა 2006 წლის ბოლოს გაგვიჩნდა

ფილმის რეჟისორი მიშა ბასილაძე

ინიექციას უკეთებდნენ, მოასულიერებდნენ და ისევ საკანში აბრუნებდნენ. წამების ფორმა სხვადასხვაგვარი იყო. პატიმარს 4-5 დღის განმავლობაში დაძინების უფლებას არ აძლევდნენ. სპეციალურად რბილ სავარძელზე სვამდნენ და ყოველი ჩათვლემის დროს, სასტიკად სცემდნენ. ზოგს 18 საათის განმავლობაში, ფეხზე მდგომს გაუნძრევლად აჩერებდნენ. ბუნებრივია, ზედამხედველები იცვლებოდნენ. ბუდუ მდივნის საქმეში, გამომძიებლის დასმულ კითხვას — კონტრრევოლუციონერი ხარო? — პატიმრის უარყოფითი პასუხი მოჰყვება. რამდენიმე დაკითხვის შემდეგ ანუ მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის შედეგად, მდივანი ყველაფერს „აღიარებს“.

— პატიმართა წამება რომელ შენობაში ხდებოდა?

— თბილისის №1 სკოლის (ახლანდელი კლასიკური გიმნაზიის) უკან მდებარე შენობაში, რომელიც თბილისის ომის დროს დაიწვა. პატიმრების ნაწილს კი ორთაჭალის ციხის საკნებში აწამებდნენ. ბერიას „მარჯვენა ხელს“, შინსახკომის ხელმძღვანელი სერგო გოგლიძე და ბახჩო ქობულოვი წარმოადგენდნენ. დაპატიმრებულებს აბსურდულ ბრალდებებს უყენებდნენ.

— მაგალითად?

— მაგალითად, სრულიად აპოლიტიკური ადამიანი, რომელიც ფეხსაცმელს კერავდა, იმის გამო დააპატიმრეს, რომ მახათი ჩაარჭო გაზეთის იმ ნაწილში, სადაც სტალინის ფოტო იყო დაბეჭდილი და მახათის წვერმა სტალინს სახე გაუხვრიტა. მეწაღე, მასთან ფეხსაცმლის შესაკეთებლად მისულმა ერთ-ერთმა კლიენტმა დასმინა შინსახკომელებთან. ბუნებრივია, ამ „დანაშაულისთვის“ მეწაღე დააპატიმრეს და ბრალად, ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელობა წაუყენეს. წამების საშინელი მეთოდების შედეგად დააწერინეს, რომ ყველა ის კლიენტი, რომელიც მასთან დადიოდა, მისი ტერორისტული ჯგუფის წევრი იყო. ამ ბრალდებით კიდევ 50 ადამიანი დაიჭირეს.

— მეწაღეს ტერორისტული ჯგუფის წევრებად ვინ უნდა დაესახელებინა, თავად უკარნახებდნენ? ამ ადამიანებს რა ნიშნით არჩევდნენ?

— ყველგან აგენტურა მუშაობდა. დასაჭერ ადამიანთა დიდი სია ჰქონდათ. საქმე მხოლოდ 1 ადამიანის დაჭერით არ მთავრდებოდა. მისი „აღიარებითი ჩვენების“ შემდეგ, სხვებს იჭერდნენ და ეს ჯაჭვი უსასრულოდ გრძელდებოდა. მაგალითად, როდესაც კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი ქებაძე დააპატიმრეს და ბრალად წაუყენეს, რომ ის ჯაშუშობასა და საბოტაჟს ეწეოდა, მასთან ერთად, ქარხნის მუშებიც დააპატიმრეს, მოხუცი დარაჯის ჩათვლით. შინსახკომის თანამშრომლები ერთმანეთზეც აგროვებდნენ კომპრომატებს და არც იმ ადამიანებს ინდობდნენ, რომლებიც მათ ინფორმაციას აწვდიდნენ. ასე მოექცნენ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივანს, დავით დემეტრაძეს, რომელიც ერთ დროს მწერლების „ჩაშვებას“ მისდევდა. მისი დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ქუჩაში დემეტრაძის ტყუპისცალი ძმაც აიყვანეს. როგორც ჩანს, შინსახკომის თანამშრომელმა დავითის დაპატიმრების ამბავი არ იცოდა და ძმებს შორის ფიზიკური მსგავსება იმდენად დიდი იყო, ერთმანეთში აერია. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მალე გაირკვა, დავითის ძმა მაინც არ გაათავისუფლეს.

ბუდუ მდივანი

ლავით დემეტრაძე

თინათინ ჯიქია

— თუ არის ცნობილი, 1937 წლის რეპრესიებს სულ რამდენი ადამიანი შეეწირა?

— ზუსტი რიცხვი უცნობია. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ყოველღამე 20-დან 60 ადამიანამდე ხვრეტდნენ. დახვრეტა სოღანლუღში, ტრიალ მინდორში, წინასწარ ამოჭრილ ორმოებთან სრულდებოდა. ერთ ღამეში, 100 და 320 პატიმრის დახვრეტის ფაქტებიც ყოფილა. დამსჯელთა ჯგუფს შინსახკომის კომენდანტი ზახარ შაშურკინი ხელმძღვანელობდა. ყველა საკონტროლო გასროლა მისი იარაღიდან ხდებოდა. იმ პატიმრებს, რომლებიც არ მოსწონდა, თავად ხვრეტდა. სახლში შუაღამისას მიდიოდა, იძინებდა და მეორე საღამოს იმავეს იმეორებდა. 1937 წლის სექტემბერში, 1 ღამეში, ამ ადამიანმა შინსახკომის 40-მდე თანამშრომელი დახვრიტა. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვისთანაც ერთ დროს მეგობრობდა.

— მითხარით, რომ ფილმზე მუშაობის პროცესში, რეპრესირებულთა შთამომავლებსაც შეხვდით...

— დიახ, მათგან ისეთი ინფორმაცია მივიღეთ, რომელიც რეპრესირებულთა პორტრეტის შესაქმნელად იყო საჭირო. ეს დეტალები დაკითხვის ოქმებში ვერანაირად ვერ მოხვდებოდა. ბუდუ მდივნის 4 ბიჭი დახვრიტეს, ქალიშვილი და მეუღლე გადაასახლეს. მიუხედავად ამისა, მას შთამომავლობა მაინც დარჩა. რეპრესირებული თინათინ ჯიქიას შვილებმა მიამბეს, როგორ იკრიბებოდნენ მათ სახლში მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, რაზე საუბრობდნენ და ა.შ.

— რეპრესიებში მონაწილეთა შთამომავლებთან დაკავშირება არ გიცდიათ?

— როგორ არა?! ჩვენ ზახარ შაშურკინის შთამომავალს შევხვდით. ის, რაც მან გვიამბო, არქივში ვერ მოვიძიეთ. შაშურკინი ასტრახანელი თათარი იყო. 1918-1919 წლებში წითელ არმიაში რიგითად ირიცხებოდა. როცა აზერბაიჯანის გასაბჭოება დაწყებულა, წითელ არმიას ბაქოში ჩაჰყოლია და იქვე „ჩეკაში“ მუშაობა დაუწყია.

— საქართველოში როგორ მოხვდა?

— იმ წლებში აზერბაიჯინის „ჩეკას“ თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი ბერია იყო. როცა საქართველოში გადმოვიდა, შაშურკინიც თან წამოიყვანა. მას პირველ მეუღლესთან ჰყავდა ვაჟი, რომელიც შაშურკინის გვარით მოსკოვში ცხოვრობდა. შაშურკინმა საქართველოში მეორედ იქორწინა შვილიან ქალზე. ეს ამბები სწორედ მისმა გერმა გვიამბო. ზახარ შაშურკინი 1939 წელს პენსიაზე გავიდა. მალე ფსიქიკურად დაავადდა. სახლის ფანჯრიდან ქუჩაში მიმავალ მგზავრებს დახვრეტით ემუქრებოდა და ხელით იარაღის გასროლის იმიტაციას აკეთებდა... ■

ნინო ჩხეიძე იმიჯს იცვლის...

ქალაქური სიმღერების შემსრულებელ ნინო ჩხეიძეს, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა, არასოდეს ჰბეზრდება. რატომღაც საკუთარი თავი ახლა უფრო მოსწონს, ვიდრე თინეიჯერობის პერიოდში. მიაჩნია, რომ წლების მატებასთან ერთად, უფრო დაიხვეწა, კარგად იცის, რა უხდება და რა — არა. ის თავის თაყვანისმცემლებს თურმე სიურპრიზს უმზადებს: სულ მალე, მსმენელის წინაშე, განსხვავებული იმიჯით წარდგება.

„ახლა უფრო ჯარგად გამოვიყურები, ვიდრე ადრეულ წლებში"...

სოფო ჭონიშვილი

— ბავშვობაში, პრანჭია და თავმომწონე ნამდვილად არ ვყოფილვარ. მე-8 კლასამდე მსუქანი ვიყავი. ჭამა ძალიან მიყვარდა, ყოველ დილით ცხელ ფუნთუშასა და არაჟანს მივირთმევდი. სულ იმაზე ვფიქრობდი, რა მეჭამა (*იცინის*). მე-8 კლასის შემდეგ, უკვე პრანჭიაობა დავიწყე. აღარ მომწონდა ჩემი აღნაგობა, ამიტომ მკაცრად გადავწყვიტე, წონაში დამეკლო და სხვათა შორის, მიზანს მივაღწიე. მახსოვს, ვაშლის დიეტაზე ვიყავი... სკოლის დამთავრების შემდეგ, რადიკალურად შევიცვალე... მგონი, მაშინ ასაკით უფრო დიდს ვგავდი, ვიდრე — ახლა.

— რატომ? ძალიან იპრანჭებოდი?

— უფ... აბა, რა?! რატომღაც მინდოდა, ასაკით უფროსს დავმსგავსებოდი — სულ წითელ პომადას ვისვამდი; ვცდილობდი, კლასიკურად, ქალურად ჩამეცვა... ერთი სიტყვით, როგორც შემეძლო, „ვქალობდი" (*იცინის*). ახლა ამ ყველაფერზე მეცინება, თან მიკვირს, „ქალობას" ასე რატომ ვჩქარობდი (*იცინის*)?!

— ბავშვობის ფოტოებზე გრძელი თმა გაქვს.

— ძალზე სქელი თმა მქონდა, რის გამოც სულ ვიტანჯებოდი. მერე როცა გაპრანჭვა და კეკლუცობა დავიწყე, თმის ჟელეს ვისვამდი და შუბლზე გადაწეული თმით დავდიოდი. სკოლის პერიოდში, ძირითადად, ნაწნავს ვატარებდი. მერე იმდენი ვიწუწუნე, სქელი თმა მაქვს-მეთქი, რომ გამითხელდა.

— მაკიაჟს ყოველდღე იკეთებ?

— ადრე, შინიდან მაკიაჟის გარეშე გასვლა ვერ წარმომედგინა; ტონალურ კრემს, თვალების ტუშსა და წითელ პომადას საგულდაგულოდ ვისვამდი. ახლა კი პირიქით არის — თუ სადმე არ მივდივარ, სახის კანს ზედმეტად არ „ვაწუხებ".

— სტუდენტობის პერიოდში როგორ გამოიყურებოდი?

— უნივერსიტეტში ჯგუფელებისგან იმით გამოვირჩეოდი, რომ ძალიან ვიპრანჭებოდი. წითელი პომადა ყოველთვის მესვა. სტუდენტობის პერიოდში რადიკალურად არ შევცვლილვარ, უფრო, გათხოვებისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ შევიცვალე — არაფერს ვჭამდი, საშინლად გავხდი, 50 კილო ვიყავი. ხალხს ვეცოდებოდი, — ნეტავ, რამე ხომ არ სჭირს ამ გოგოსო?! — კითხულობდნენ, მაგრამ არაფერი მჭირდა. ახლა მეუბნებიან, სისუსტე არ გიხდებაო. თუმცა, როცა გამხდარი ვარ, თავს კომფორტულად ვგრძნობ. ისე, წონის პრობლემა არასდროს მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ არასწორად ვიკვებები.

— ნინო, რამდენი წლის გათხოვდი?

— არც ისე ადრეულ ასაკში — 22 წლის.

— თმის დაგრძელება რატომ გადაწყვიტე?

— საერთოდ, ერთფეროვნება არ მიყვარს, ამიტომ ვცდილობ, გარეგნულად ხშირად შევიცვალო. ამ ზაფხულს თმა მოკლედ შევიჭერი, მაგრამ მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი: მოკლე თმა საშინლად არ მომიხდა. დეპრესიაში ჩავვარდი. მერე ვიფიქრე, ვიფიქრე და, თმის დაგრძელება გადავწყვიტე. მიუხედავად იმისა, რომ მითხრეს — ძალიან მოკლე თმა გაქვს და ვერ დაგიგრძელებთო, რაღაც მაინც გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, იმ „კოშმარს" ნამდვილად სჯობს.

— მოკლე „ჩოლკას" რატომ აღარ ატარებ?

— საზოგადოებამ იმ მოკლე „ჩოლკით" გამიცნო. იმიჯის შეცვლა, კლიპის გადაღებისთვის გადავწყვიტე. სტილისტმაც მირჩია, გვერდზე გადაწეული „ჩოლკა" უფრო მოგიხდებაო. თან, სიმართლე გითხრა, მომბეზრდა კიდეც. მოკლედ, იმ სტილისტის კმაყოფილი ვარ. ყველა აღნიშნავს, რომ ეს „პრიჩოსკა" უფრო მიხდება.

— ნინო, ჩაცმის სტილს ხშირად იცვლი?

ადრე, შინიდან მაკიაჟის გარეშე გასვლა ვერ წარმომედგინა



— პერიოდულად ვიცვლი. ხან ძალზე კლასიკურ სტილში ვიცვამ, ხან — სპორტულად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სპორტული ჩაცმულობა ჩემი სტილი ნამდვილად არ არის. იყო პერიოდი, როცა სულ კაპიუშონიანი მაისურებითა და ჯინსით დავდიოდი. ბოლო დროს, ძირითადად, კაბებს ვიცვამ.

— ტანსაამოსს დიზაინერთან იკერავ თუ ბუტიკებში იძენ?

— საკონცერტო კოსტიუმებს, ძირითადად, ავთო ცქვიტინიძე მიკერავს. ყოველდღიურ სამოსს მაღიაზიებში ვყიდულობ. 26 წლის ვარ და რატომღაც მიმაჩნია, რომ ახლა უკეთ გამოვიყურები, ვიდრე 20-22 წლის ასაკში. წლების მატებასთან ერთად, ადამიანი იხვეწება; უფრო კარგად ხვდება, რა უხდება და რა — არა.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— გამომდინარე იქედან, რომ ხვეული თმა მაქვს, დავარცხნას თავად ვერაფრით ვახერხებ. ამიტომ სილამაზის სალონში კვირაში 3-ჯერ მივდივარ. ზაფხულში, როცა ზღვაზე ვარ, აბსოლუტურად ყველაფრისგან ვისვენებ, არც თმას ვივარცხნი, არც მაკიაჟს ვიკეთებ... ზღვაზე რომ მნახო, შეიძლება ვერც მიცნო.

— წარბების კორექცია როდის გაიკეთე?

— მაშინ, როცა გაპრანჭვა დავიწყე. ყურებიც იმ პერიოდში გავიხვრიტე. გათხოვების შემდეგ, ყური კიდევ ორ ადგილას გავიხვრიტე. ჩემი ქმარი კორეაში იყო წასული. როცა ჩამოვიდა, ერთ ყურზე სამი საყურით დავხვდი, თან ვუთხარი: რამდენჯერაც მარტოს დამტოვებ, ყურს იმდენჯერ გავიხვრეტ-მეთქი (*იცინის*).

— ეტყობა, სამკაულები ძალიან გიყვარს...

— სამკაულები და აქსესუარები ადრე არ მიყვარდა, ახლა კი მომწონს. საყურე, ბეჭედი, საათი ყოველთვის მიკეთია. საათების კოლექცია მაქვს. მიმაჩნია, რომ საათი ქალს ძალიან უხდება. სხვათა შორის, მიყვარს ასევე, ორიგინალური, ბრჭყვიალა აქსესუარებიც.

— შენი თვალების ფერი ბუნებრივია?

— ეს ჩემი ფერია. ერთი თვის წინ, ლინზები შევიძინე, მაგრამ ვერაფრით ჩავისვი. ბოლოს მივხვდი, ეს ჩემი მხრიდან დიდი მეტიჩრობა იყო — მშვენიერი ფერის თვალები მაქვს.

— ოდესმე იმაზე თუ გიფიქრია, რომ პლასტიკური ოპერაცია გაგეკეთებინა და საკუთარ გარეგნობაში რაიმე შეგეცვალა?

— დიდი ხანი ვყოყმანობდი, ცხვირის ოპერაცია გამეკეთებინა თუ არა; მაგრამ ერთი კვირის წინ, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ არ გავიკეთო; მივხვდი — ამით ინდივიდუალობას დავკარგავდი. თუმცა, კომპიუტერში რომ მანახვეს, როგორი იქნებოდა ჩემი ცხვირი, ძალიან მომეწონა. ასაკის მომატებისა და ნაოჭების გაჩენის შემდეგ, კანის გაახალგაზრდავებაზე აუცილებლად ვიზრუნებ.

— სოლარიუმში დადიხარ?

— დავდივარ, მაგრამ ძნელად ვირუჯები. ზაფხულის მერე აღარ ვყოფილვარ. თანაც ახლა, გარუჯვა მაინცდამაინც აღარ არის მოდაში. მიხარია, რომ ასეა, რადგან სოლარიუმში თავს მაინცდამაინც კომფორტულად ვერ ვგრძნობ.

— ბუნებრივად რა ფერის თმა გაქვს?

— ბუნებრივად ქერა თმა მაქვს და ძალიან არ მიხდება. ერთადერთი, რის შეცვლაზეც არასოდეს ვიფიქრებ, თმის ფერია: შავი ფერის თმა ძალიან მომწონს.

— სამოსიც, ძირითადად, შავი ფერის გაცვია ხოლმე...

— საერთოდ, ეს ფერი ძალიან მიყვარს, მაგრამ ფერად ტანსაცმელსაც ვიცვამ. ჭრელაჭრელა ფერები ზაფხულს უფრო უხდება. ზამთარში, ძირითადად, მუქი ფერის ტანსაცმელს ვატარებ.

— მანიკიურს და პედიკიურს თავად იკეთებ?

— კვირაში ერთხელ, ჩემთან სახლში მოდის ქალი, რომელიც პედიკიურსაც მიკეთებს და მანიკიურსაც.

— რას აკეთებ იმისთვის, რომ ყოველთვის კარგად გამოიყურებოდე?

— მიმაჩნია, რომ ყველა ქალი ლამაზია. მთავარია, მან თავის მოვლის სტიმული არასოდეს დაკარგოს. ქალი განსაკუთრებით მომხიბვლელი მაშინაა, როცა შეყვარებულია. ■

სამკაულები და აქსესუარები ადრე არ მიყვარდა, ახლა კი მომწონს

მიმაჩნია, რომ ყველა ქალი ლამაზია

ყრენინგზე გაცნობილი ბიბა მზეთუნახავი

ინგა ჯაყელი

ეს ამბავი რომ მოვისმინე, მეც ანეკდოტი და უსაქმურების მოგონილ-გაზვიადებული მეგონა, მაგრამ რამდენიმე დღეში მაჩვენეს კაცი, რომელიც მართალია, ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოუშვეს, მაგრამ დროდადრო ისე „ურევს“, რომ არც სახლში დაიტოვება მარტო და არც ქუჩაში გაიშვება, რადგან ლამაზი ქალის დანახვაზე, ისტერიკა ემართება და კივილს იწყებს: არ მომეკარო, თორემ შემომაკვდებიო!..

საცოდავ კაცს ყველა ურტყამს, ვისაც არ ეზარება, რათა როგორმე დააშოშმინონ და სახლის მისამართი ათქმევინონ, რომ პატრონს ჩააბარონ „საზოგადოებისთვის საშიში ელემენტი“...

მინდოდა, მისგან შემეტყო სიმართლე, მაგრამ საერთო ნაცნობმა გადამაფიქრებინა: — მაგ თემაზე რომ დაუწყო ლაპარაკი ცოცხალი ვერ გამოასწრებო! — და ამ კაცის თავგადასავალი თვითონ მიამბო.

მოკლედ, კაცს, რომელსაც პირობითად გოჩას დავარქმევ, ქალაქში არც ისე სახარბიელო რეპუტაცია ჰქონდა. გარეგნულად ნამდვილ აპოლონს ჰგავს და ქალები მასთან ქმრებს დაუფიქრებლად ღალატობდნენ, ბევრმა ქალწულობაც „ჩააბარა“ თურმე, მაგრამ პროფესიით გინეკოლოგი, პრობლემას არავის უქმნიდა — თუ რომელიმე მათგანი გათხოვებას დააპირებდა, პირდაპირ გერმანიიდან გამოწერილი უნიკალური ძაფით ისე „დაშტოპავდა“, რომ ახალგამომცხვარი ქმრები ადვილად ტყუვდებოდნენ და ბევრი მათგანი ისე ხდებოდა „ნაბიჭვრის“ მამა, აზრადაც არ მოსდიოდა ეჭვის აღება, როცა „შვიდთვიან“ მემკვიდრეს შეაჩეჩებდნენ ხელში...

იმდენი სისაძაგლე ჰქონდა ნაკეთები გოჩას, რა გასაკვირია, თავად დაჰგვიანებოდა დაქორწინება?! თუ ვინმე მოეწონებოდა, იმდენ ხანს უთვალთვალებდა და დასდევდა „სიგლახეში გამოსაჭერად“, რომ გულგაწვრილებული ქალები სხვებზე თხოვდებოდნენ და სალამზეც აღარ პასუხობდნენ, შემთხვევითი შეხვედრებისას...

არადა, მიუახლოვდა ორმოცს და გადაერივნენ გათხოვილი დები:

— სულაც არ გვინდა, სიბერეში ჩვენი მოსავლელი გახდე. იცოდე, უახლოეს ორ თვეში ან თავად შეარჩევ სასურველ ქალს, ან არა და, გაგკოჭავთ და ისე ჩაგიგორებთ ლოგინში ჩვენს არჩეულს!..

ალბათ, მაინც არ გაივლიდა დების ჭკუაზე, ახალგაზრდა ექიმი რომ არ მოსულიყო ქირურგიულ განყოფილებაში, რომელსაც განათლება ამერიკაში მიეღო და ახლა, ქართველ კოლეგებს უტარებდა ტრენინგებს პლასტიკურ ქირურგიაში...

ქალისთვის უჩვეულო ზომა-წონა კი ჰქონდა ლამის ორმეტრიანს და ხორცსავსეს, მაგრამ არც გოჩა იყო ნაკლები გაბარიტების. ქალი ისე აუუჟუნებდა ცისფერ თვალებს და სიარულისას ისე მიირხეოდა, რომ გოჩა კვნესას იწყებდა...



შეატყვეს სხვებმაც, რომ მოეწონა ახალი კოლეგა და შეუჩნდნენ:

— მთლად ერთმანეთის შესაფერისები ხართ. ღმერთი არ გაგიწყრეს, ხელიდან არ გაუშვა ეს მარწყვივით გოგო!..

მალე ისიც დაუდგინეს, რომ ქალი მარტო ცხოვრობდა, მოკრძალებულად და პატიოსნად...

ჰოდა, „მიუჩოჩდა“ გოჩა, დაუახლოვდა, სიყვარულში გამოუტყდა... არც იმას დაუწყია თავპატიჟი:

— დედა სულ მეუბნებოდა და მართალი ყოფილა — სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო!..

პირდაპირ აჯახა გოჩამ:

— ქალს ამერიკაში გისწავლია, მარტო გიცხოვრია და დავიჯერო, კაცი არ გყოლია?.. თუ ქალიშვილი არ ხარ, შენმა სიყვარულმა რომ მომკლას, ცოლად მაინც ვერ შეგირთავ... თან, ჩემი მოტყუება არც იფიქრო, რაც მე ქალიშვილობის აღდგენის პრაქტიკა მაქვს, შეუძლებელია, რამე გამომეპაროს!..

მაცდურად გაუღიმა ქალმა და თავი დახარა:

— თუ სხვა ნაკლს ვერ მამჩნევ, ქალიშვილობა ნუ გედარდება! — და თანხმობა უთხრა.

შეათვალიერა გოჩამ, კიდევ ერთხელ დარწმუნდა — არც კოჭლი იყო, არც ელამი...

მოკლედ, მალევე იქორწინეს და ორი კვირა ზღაპრული დრო გაატარეს, საქორწინო მოგზაურობაში. ეკლესია არ დაუტოვებია გოჩას, სანთელი რომ არ დაენთო ღმერთისთვის, მადლიერების ნიშნად — მის მსგავს ცოდვილს ასეთი წმინდანი რომ გამოუგზავნა...

დაბრუნდნენ და... ბედნიერი გოჩა თავის გინეკოლოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა, მისმა ცოლმაც გააგრძელა ტრენინგების ჩატარება, რომელზე დასწრების სურვილი ქმარმაც გამოთქვა და სწორედ მაშინ მოხდა ის, რამაც მარტო გოჩა კი არა, ყველა დამსწრე შოკში ჩააგდო: როცა სქესის შეცვლაზე დაიწყო ლაპარაკი, მონიტორზე ახალგაზრდა მამაკაცის სურათი გამოიტანა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა გოჩას ცოლს და სანამ უბედური კაცი სიმართლეს შეიტყობდა, გაიფიქრა: ძმა თუ არა, ბიძაშვილი მაინც იქნება ჩემი გამბედნიერებლისო!..

არადა, ყველამ რომ მისკენ დაიწყო ცქერა, მაშინღა ჩასწვდა მომხსენებლის სიტყვების აზრს:

— ეს მე ვარ. ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინ, ფიზიოლოგიურად სრულყოფილი მამაკაცი ვიყავი. თუმცა კი თავს დაბადებიდანვე ქალად ვგრძნობდი და ჩემი მდგომარეობა გაუსაძლისი რომ გახდა, ქირურგიით, კერძოდ — სქესის შეცვლის ტექნოლოგიით დავინტერესდი და ამერიკაშიც იმიტომ წავედი, რომ სწავლის პროცესიც დამეჩქარებინა და რამდენიმე რთული ოპერაციის გაკეთებაც, რის შემდეგაც უნაკლო და სრულყოფილ ქალად ვიქეცი. ერთი ისაა, რომ ბავშვის გაჩენა არ შემიძლია, თორემ სხვა მხრივ, წუნი რომ არ დამედება, ამას ჩემი ქმარიც დაგიდასტურებთ, რომელიც დღევანდელ ლექციას ესწრება და მას ყველანი კარგად იცნობთ. ისიც იცით, ქალების ფიზიოლოგიაში როგორცაა გარკვეული, მაგრამ იმის ეჭვიც არ გასჩენია, რომ ცოლად ყოფილი მამაკაცი შეირთო!..

ქალმა ქმარს მომხიბლავად გაუღიმა, ტრიბუნაზე ასვლა სთხოვა და დასძინა:

— იმედია, სიმართლე ჩვენს სიყვარულზე ვერ იმოქმედებს და ჩვენი ბედნიერებაც გაგრძელდება!..

გოჩას ჯერ სატირლად მოექცა ყბა, მერე რაღაცა გადაუბრუნდა ტვინში და ხარხარი დაიწყო...

მოკლედ, იქიდანვე გააქანეს ფსიქიატრიულში და კარგა ხანს უმკურნალეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ უშველეს...

მისი „ცოლყოფილი“ გაერიდა აქაურობას და სულ გადაიხვეწა საქართველოდან... რომ გაჯიუტებულიყო და დარჩენილყო, მაინც არ ჰქონდა აზრი — მის ლექციებს აღარავინ ესწრებოდა. მართალია, მათ გოჩაც ეცოდებოდათ, მაგრამ ამასთანავე, საოცრად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, როგორც მოტყუებული კაცები და დაიფიცეს, რომ სქესის შეცვლის ოპერაციებს ცხოვრებაში არ გააკეთებდნენ... ■

როდესაც საყვარელ ადამიანს ვკარგავთ

ამბობენ, რომ სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობა ამქვეყნიური ცხოვრების კანონზომიერებაა და ადამიანი მის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობს. მაგრამ მაშინ, როდესაც ვკარგავთ მათ, ვინც სიცოცხლეზე მეტად გვიყვარს, ვამბობთ, რომ ცხოვრება განსაკუთრებული სისასტიკით მოგვექცა...

„ირაკლის დაკარგვის აღარ მეშინია, ახლა მასთან შეხვედრის მოლოდინით ვცხოვრობ...“

ემა ტუხიაშვილი

როინ ვაჩნაძე, *61 წლის:*

— პირველად რომ ვიქორწინე, მხოლოდ 18 წლის ვიყავი, სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ვაბარებდი, მაგრამ ვერ მოვხვდი და ამიტომაც, მამამ სამსახურში მომაწყო. მართალია, მცირე, მაგრამ საკუთარი შემოსავალი გამიჩნდა. ჩვენ ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანში, იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით და მთელი სამეზობლო ერთი დიდი ოჯახივით ვიყავით. ჩემს მეზობელ გოგონას ხშირად სტუმრობდა მისი ჯგუფელი, ტანმაღალი, ლამაზი, ქერათმიანი გოგო. ლია კალათბურთელი იყო და საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. ხშირად, ვარჯიშიდან გვიან საღამოს ბრუნდებოდა და რადგან რუსთავში (იქ ცხოვრობდა) წასვლას ვერ ახერხებდა, ღამის გასათევად ნინოსთან რჩებოდა. ასეთი დღეები ჩემთვის ნამდვილი ზეიმი იყო. მთელ საღამოს ჩვენი სახლის ეზოში ვატარებდით ან ნინოსთან ვიკრიბებოდით, სავახშმოდ. მალე ყველა მიხვდა, რომ სიყვარულის ალმური მომედო და ჩემმა მშობლებმა ლიას ოჯახში მისვლა გადაწყვიტეს... პატარა ქორწილი გადავიხადეთ და ვინაიდან, ჩემი ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახლდათ, საცხოვრებლად ერთი ოთახი ვიქირავეთ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩემი გაბედნიერებიდან ცოტა ხანში, ჩემმა ძმებმაც იქორწინეს და ჩვენს პატარა ბინაში ვეღარ ვეტეოდით. მართალია, ნაქირავებ ოთახში მე და ლიას მხოლოდ ერთი საწოლი, მაგიდა და ორი სკამი გვედგა, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი წყვილი ვიყავით. რამდენიმე თვეში ვაჟი შეგვეძინა.

— **თქვენ მითხარით, რომ ლია კალათბურთში საქართველოს ქალთა ნაკრების წევრი იყო. შეუღლების შემდეგ სპორტს თავი დაანება?**

— არა, ლია კალათბურთს სიცოცხლის ბოლომდე თამაშობდა. მას ხშირად უწევდა გამგზავრება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, შეჯიბრებებზე. ასეთ დროს, ბავშვს მოსავლელად ხან მის, ხანაც ჩემს მშობლებს ვუტოვებდით. კალათბურთი მისი ცხოვრების ნაწილი იყო და როდესაც გარდაიცვალა, სხვა ნივთებთან ერთად, საფლავში კალათბურთის ბურთიც ჩავატანეთ.

— **რა გახდა თქვენი მეუღლის გარდაცვალების მიზეზი?**

— იმ საბედისწერო წელს, ზაფხულში, ქობულეთში გადავწყვიტეთ დასვენება. მე, ლია და ჩვენი შვილი, რომელიც მაშინ უკვე ხუთი წლის იყო, აჭარაში საკუთარი ავტომობილით წავედით. ქობულეთში ორი დაუვიწყარი კვირა გავატარეთ. ყველაფერთან ერთად, ლია იმითაც კმაყოფილი იყო, თბილისში კარგად გარუჯული რომ ბრუნდებოდა. თბილისკენ მომავალ გზაზე, ლიამ უეცრად, სისუსტე იგრძნო და ცოტა ხანში სისხლდენაც დაეწყო. ძალიან დავიბენი, ვიცოდი, რომ ხანგრძლივი სისხლდენა სიცოცხლისთვის სახიფათო იყო. ერთადერთი, ის მოვახერხე, რომ ლია უახლოეს სამედიცინო პუნქტამდე — ხარაგაულის რაიონის საერთო პროფილის ამბულატორიამდე მივიყვანე. იქ შევიტყვეთ, რომ ლია ორსულად ყოფილა, მუცელი მოშლოდა და სისხლდენის შესაჩერებლად, მეანის ჩარევა იყო აუცილებელი. მაშინ ის მეანი ჩემი გადამრჩენელი, ღმერთი მეგონა. აბა, რა ვიცოდი, მისი დაუდევრობით საყვარელ ადამიანს თუ დავკარგავდი?!

— **მაინც, რა მოხდა ასეთი?**

— ამ ამბიდან რამდენიმე თვეში, ლიას ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს. ექიმები ვარაუდობდნენ, რომ დაავადების გამომწვევი მიზეზი ხარაგაულის რაიონის ამბულატორიაში ჩატარებული მცირე ქირურგიული ჩარევა იყო: შესაძლოა, მეანმა არადეზინფიცირებული სამედიცინო ინსტრუმენტები გამოიყენა, რაც ლიას სისხლში აღმოჩენილი ცვლილებების მიზეზი გახდაო. 30 წლის წინ, ამ დაავადების დიაგნოზი სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მეუღლის გადარჩენის იმედს არ ვკარგავდი. ყველგან დავეძებდი ექიმებს თუ ექიმბაშებს, ვინც მისი გადარჩენის მცირედ შანსს მაინც მომცემდა. ჩემი ძალისხმევის მიუხედავად, ლიას მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. პირის ღრუში გამონაყარი გაუჩნდა და საკვების მიღება უჭირდა. სამსახური მივატოვე და გვერდიდან არ ვცილდებოდი, ჩემი ხელით ვაჭმევდი. მახსოვს, ყოველი ლუკმის ჩადებისას სახეზე ტკივილი ესახებოდა, მაგრამ ჩემი ხათრით და სიყვარულით, მაინც ჭამდა. ჩემი სიდედრი მთხოვდა, მისთვის ლიას წაყვანის უფლება მიმეცა: ქალი ვარ და უკეთ მოვუვლიო, მაგრამ მჯეროდა, რომ მას მხოლოდ ჩემი სიყვარული გადაარჩენდა. ლიამ ჩემს ხელში დალია სული. სიკვდილის წინ მთხოვა, მის კალთაში ჩამერგო თავი. როდესაც თავი ავწიე, ის ამქვეყნად აღარ იყო. სიმწრისგან, მის სასთუმალთან დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატი დავამტვრიე, რადგან სწორედ მას ვავედრებდი ლიას სიცოცხლეს. საშინლად მოვიქეცი და ამის გამო, კიდევ უფრო ვიტანჯები. ასევე ვნანობ იმას, რომ დაკრძალვის მთელი პროცესია ფოტოებზე აღვბეჭდე და ხანდახან მათი ნახვის სურვილი მიჩნდება, რაც განცდილ ტკივილს მიახლებს.

— **მეუღლის მიმართ ასეთი ძლიერი სიყვარულის მიუხედავად, მეორედაც იქორწინეთ...**

— ლიას გარდაცვალებამ შოკში ჩამაგდო და ერთი წლის განმავლობაში არავისთან ვურთიერთობდი, მათ შორის, არც ჩემს ექვსი წლის შვილთან. ყოველ ცისმარე დღეს ლიას საფლავზე ვათენვაღამდებდი. აქვე გეტყვით, რომ მისმა მშობლებმა ჩემი ცოლის ცხედარი რუსთავში დაკრძალეს: შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და შესაძლოა, კიდევ იქორწინო. ამ სიტყვების გამო, ჩემი ყოფილი სიდედრ-სიმამრი შევიძულე, რადგან მაშინ მხოლოდ ლიას გვერდით ყოფნაზე, სიკვდილზე ვოცნებობდი. უნდა ვაღიარო, ვაჟკაცობა არ მეყო იმისათვის, რომ ჩემი ხელით მომესწრაფებინა სიცოცხლე.

MK

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. რონალდ რეიგანი ცისფერთვალება იყო.

2. მისკიტო ნიკარაგუაში მცხოვრები ინდიელთა ტომია.

3. თანგირა სპილენძის მოზრდილი, ფართოძირიანი ქვაბია.

4. ანა ახმატოვას პორტრეტი ამადეო მოდილიანს აქვს დახატული.

5. ელვის პრესლი 42 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

6. მდინარე მისისიპი ამერიკის ათი შტატის ტერიტორიაზე მიედინება.

7. ფეხბურთელი ვიქტორ პონედელნიკი მოსკოვის „სკა“-ში თამაშობდა.

8. პანამის არხის მშენებლობამ 27000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

9. სტალინგრადის ბრძოლების დროს ყოველ 7 წამში ვიღაც კვდებოდა.

10. ბრილიანტების ყველაზე სახელგანთქმული აუქციონი ბელგიაში იმართება.

11. ადამიანისა და შიმპანზეს გენებს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს.

12. თბილისში პირველი საოპერო თეატრი „ქარვასლის“ შენობაში იყო განთავსებული. იგი 1847 წელს დაიწვა.

13. „ტებია პაპრაშუ ია სავრემენნი იკარ, ნე მოჟეშ ლეტატ, ნე მარაი ტროტუარ“, — წერს ანდრეი ალიაკინი.

14. XIX საუკუნემდე სოლოლაკს ავანაანთხევი ერქვა და იქ ქართველ წარჩინებულთა ბაღები იყო გაშენებული.

15. თამრიკო გვერდწითელი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, ვინც თბილისის ახალგახსნილ რიტუალების სასახლეში იქორწინა.

16. რამდენიმე დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსის დროს, 14 წლის მიხაილ ბოტვინიკმა კუბელი მსოფლიო ჩემპიონის, კაპაბლანკას დამარცხება შეძლო.

17. მელამ თქვა: ზღვას მუგუზალს შევუჩიჩხინებ და თუ ვერ დავაშრობ, ხომ დავაშიშხინებო?! — ღაღადებს ქართული ანდაზა.

18. მაიკლ ფარადეის უკანასკნელ ჩანაწერში მის მიერ ჩატარებული, რიგით 16041-ე ცდაა აღწერილი.

19. ლეგენდის მიხედვით, წინასწარმეტყველმა მუჰამედმა, მისი მოსასხამის კალთაზე მთვლემარე კატა რომ არ გაეღვიძებინა, კალთის ის ნაწილი დანით მოჭრა და ფეხზე ისე წამოდგა.

20. 1953 წელს, ელიზაბეტ II-ის მეფედ კურთხევის დღეს, ლონდონში სპეციალურამდენჯერაც თვითმკვლელობა ვცადე, ყურში ლიას სიტყვები ჩამესმა: ჩვენს შვილს მიმიხედე და ისეთი გამიზარდე, როგორიც გვსურდაო. ერთ დღეს კი სასწაულის ტოლფასი რამ მოხდა: ქუჩაში მანქანით მიმავალმა დავინახე ახლგაზრდა ქალი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ლიას. მანქანა სასწრაფოდ გავაჩერე და ქალს მივუახლოვდი. უცნობი ახალგაზრდა ქალბატონი მართლა ძალიან ჰგავდა ჩემს გარდაცვლილ ცოლს. ის ისეთივე მაღალი, ქერა და საოცრად ნაზი იყო. ფეხებში ძალა გამომეცალა, ქალმა კი ხელი გამომიწოდა და მითხრა, — მე ლია მქვიაო. თითქოს იმ დღეს ჩემთვის ცა გაიხსნა და საყვარელი ადამიანი საიქიოდან დამიბრუნდა. გულში ისევ სიყვარულის თბილი ნაკადი ჩამეღვარა და ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდი, ლიასთან ერთად და ლიას გარეშე. სხვათა შორის, ჩვენს ოჯახში ჩემი გარდაცვლილი მეუღლის ფოტო ახლაც ჩემი მშობლების ფოტოების გვერდით დევს და მის შესანდობარს ყოველთვის ვამბობთ.

ლაშა, *24 წლის:*

— არა მგონია, საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეულ სევდაზე უფრო მძიმე და მტკივნეული, კიდევ იყოს რაიმე. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მის გარდაცვალებაში საკუთარ თავს ადანაშაულებ. ნანუკამ ჩემი ცოლობა ვერ მოასწრო. ამიტომ ერთადერთი, რისი გაკეთებაც მისი სულისთვის შემიძლია, ის არის, რომ სიკვდილის კარამდე მისი ერთგული დავრჩები.

— მის გარდაცვალებაში თავს რატომ იდანაშაულებ?

— მისი გარდაცვალების დღეს, მე და ნანუკას პაემანი გვქონდა. მყუდრო კაფეში ვისხედით და მომავალს ვგეგმავდით. მე დედისერთა ვარ, არც მას ჰყავდა დაძმა და ვკამათობდით იმაზე, თუ ქორწინების შემდეგ სად უნდა გვეცხოვრა; ვკამათობდით იმაზეც, საქორწინო მოგზაურობა საფრანგეთში მოგვეწყო თუ იტალიაში. საუბედუროდ, ჩვენს ოცნებებს ასრულება არ ეწერა. იმ საღამოს ნანუკამ თავისი ავტომობილით შინ მიმიყვანა. დამშვიდობებისას, ლოყა ლოყაზე მომადო და მითხრა: ხვალამდე რა მოითმენს, უკვე უსაზღვროდ მენატრებიო. მეც, როგორც ყოველთვის, თვალები დავუკოცნე და მის სახეს კარგა ხანს, დაჟინებით ვუცქირე. მაშინ რა ვიცოდი, თუ საყვარელ ადამიანს უკანასკნელად ვხედავდი. იმ საღამოს ნანუკა ავტოკატასროფაში მოყვა. მისი სხეული და სახე ისე იყო დასახიჩრებული, რომ ცხედარს ვერც კი მივეფერე. ახლა მხოლოდ მისი ფოტოები, ვიდეოჩანაწერები დამრჩა და ამით ვცხოვრობ. ზოგჯერ ნანუკას მშობლების მოსანახულებლად დავდივარ — ისინიც ხომ ჩემი ოჯახის წევრები არიან, იმ ოჯახის, რომლის შექმნაც ვერაგმა სიკვდილმა არ მაცალა.

მან ჩემში იმდენი სიყვარული, სითბო და პოზიტიური ენერგია დაგოვა, რომ დღემდე, უამრავი სირთულის დაძლევაში მეხმარება

ძეთევან ნაცვლიშვილი, *40 წლის:*

— 17 წლის ასაკში გავთხოვდი, 23 წლის კი დავქვრივდი. ჩემი მეუღლე ჩემ თვალწინ, ვერაგულად მოკლეს და მისი მკვლელი დღესაც დაუსჯელი დადის. ახლობელ-ნათესავებმა ბესო ისე დაიტირეს და დაკრძალეს, რომ მე არაფერი გამიგია. მეუღლის დაკარგვით გამოწვეულმა სულიერმა ტკივილმა მძიმე შოკურ მდგომარეობაში ჩამაგდო. მახსოვს, ჩემი შვილები საწოლის სასთუმალთან დადგებოდნენ და ცრემლიანი თვალებით მეკითხებოდნენ: დედა, შენც ხომ არ მიგვატოვებო? მხოლოდ მათმა სიყვარულმა შემაძლებინა ფეხზე წამოდგომა და მივხვდი, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდება. შვილები გლოვის და ტირილის საშუალებას არ მაძლევდნენ, ფეხდაფეხ დამყვებოდნენ. მეუღლის გარდაცვალებიდან თითქმის წელიწადი, შავ ქვეშაგებში გავატარე. ერთხელაც, სახლში მისულს, შავად შეღებილი თეთრეული დაჭრილ-დაქუცმაცებული დამხვდა. მივხვდი, ჩემი საკეიელით ბავშვებსაც ვტანჯავდი და გარდაცვლილი მეუღლის სულსაც. უდიდესი ძალისხმევა დამჭირდა იმისათვის, რომ ჩემი სულიერი ტკივილი დამეამებინა და მთელი ყურადღება შვილების აღზრდაზე გადამეტანა... ახლა ჩემი უფროსი ვაჟი სტუდენტია და გარეგნულად მამას საოცრად ჰგავს. უმცროსი მე მგავს, მაგრამ ხასიათით ნამდვილი მამაა. ჰოდა, როდესაც ჩემს შვილებს ვუყურებ, გარდაცვლილი მეუღლე მახსენდება და მგონია, ცოცხალია. რაც მთავარია, ის მახარებს, რომ ყველაზე დიდი უბედურების ჟამს თავს ვძლიე, ძალა მოვიკრიბე და ბესოს ღირსეული ვაჟები აღვუზარდე. მიხარია, რომ როცა იმ ქვეყნად წავალ, მისთვის თვალებში შეხედვის არ შემრცხვება.

თორნიკე ლიპარტია, *31 წლის:*

— ჩვენი ქორწილიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, როდესაც ჩვენმა მეგობრებმა მე და ჩემი მეუღლე — ქეთი რესტორანში დაგვპატიჟეს. ვიმხიარულეთ, ცოტა დავლიეთ კიდეც და როდესაც შინ ვბრუნდებოდით, მანქანის საჭე ვერ დავიმორჩილე და გაჩერებულ სატვირთო ავტომობილს შევასკდით. ქეთი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, მე კი უმძიმეს მდგომარე-

როდესაც ირაკლის ლექსებს ვკითხულობ, თან ვტირი და თან — უზომოდ ბედნიერი ვარ

ობაში, საავადმყოფოში მოვხვდი, სადაც კომატოზურ მდგომარეობაში ექვსი თვე გავატარე. როდესაც მეხსიერება სრულად დამიბრუნდა, სხვა რომ ვერაფერი გავაწყვე, სიმწრისგან თითები დავიჭამე. ჩემი ტირილი და გოდება მთელ საავადმყოფოს ესმოდა. არავის ვურჩევ, საკუთარ თავზე გამოცადოს, თუ რა მძიმეა საყვარელი ადამიანის დაკარგვა. ვერანაირი ფიზიკური ტკივილი ვერ შეედრება სულიერ ტკივილს. მინდოდა, მეხსიერება ისევ დამეკარგა და ეს საშინელი ამბავი დამევიწყებინა. როდესაც საავადმყოფოდან გამომწერეს, პირველ რიგში ვაკის სასაფლაოზე მივედი და ჩემი ქეთი მოვინახულე. სახლში მისი ნივთები ხელუხლებელი დამხვდა, მხოლოდ მისი საქორწინო კაბა ვერ ვიპოვე. აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ კაბით დაუკრძალავთ. ქეთის ნივთებს შორის მისი პირადი დღიურიც აღმოვაჩინე (მისი არსებობის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდი). რაღაც პერიოდის განმავლობაში, ამ დღიურის წაკითხვას ვერ ვბედავდი, მეგონა, ისეთ რამეს შევიტყობდი, რასაც შესაძლოა, ჩემთვის გული ეტკინა. ბოლოს, მაინც გავბედე და ქეთის დღიურის კითხვას შევუდექი. ჰოდა, მანამდე ჩემთვის სრულიად უცნობი, ქეთის ჯადოსნური სამყარო აღმოვაჩინე. სხვათა შორის, ამ სამყაროს ერთადერთი გმირი მე ვიყავი. თუ ნებას დამრთავთ, მისი დღიურიდან ერთ ამონარიდს წაგიკითხავთ: „დღეს 19 წლის გავხდი, მაგრამ თავი ისევ ბავშვი მგონია. დაბადების დღე თორნიკემაც მომილოცა, ჩემმა ბატატომ. ის მე სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. რა ვქნა, მაპატიეთ, დედიკო და მამიკო, თქვენც ძალიან მიყვარხართ, თქვენი უზომოდ მადლიერი ვარ, მაგრამ თორნიკე ის ადამიანია, ვინც ჩემს ჯადოსნურ სამყაროს სრულყოფილებისთვის აკლდა. მასთან ერთად სიკვდილისაც არ მეშინია“... იყო მომენტები, როდესაც ჩემს უბედურებას ვერ ვუმკლავდებოდი და რამდენჯერმე თვითმკვლელობაც ვცადე, მაგრამ მშობლებმა იცოდნენ ჩემი სულიერი მდგომარეობის შესახებ; აქედან გამოდინარე, ყურადღება არასდროს მოუდუნებიათ და სიკვდილის უფლება არ მომცეს. დღეს რომ თქვენთან ვზივარ და გულახდილად გესაუბრებით, ჩემი სულიერი მოძღვრის დამსახურებაა. სწორედ მისი ლოცვის მადლით დავუბრუნდი სრულფასოვან ცხოვრებას. სამსახურშიც დავდივარ, მაგრამ ქეთი ყოველთვის ჩემთანაა, ჩემს გულში, ჩემს სახლში, სადაც მისი კუთხე მოვაწყვე. სამახურიდან დაბრუნებული, პირველად სწორედ მის კუთხესთან მივდივარ და თავს გადამხდარ ამბებს ვუყვები; მერე მის ნივთებს, ფოტოებს ვეფერები. შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ყოველ დღესასწაულზე ჩემი გარდაცვლილი ცოლისთვის ყვავილებსა და სუნამოებს ვყიდულობ.

24 თებერვალს ირაკლი ჩარკვიანის, იგივე მეფის გარდაცვალებიდან ორი წელი შესრულდა. მისი ქვრივი, ქეთათო ამბობს, რომ ადამიანს შეუძლია, თავს დატეხილი უბედურება ბედნიერებად აქციოს და რომ ფაქტობრივად, გარდაცვალება მეორედ დაბადებას ნიშნავს.

— მართალია, დღეს ირაკლი ჩემთან აღარაა, მაგრამ მან ჩემში იმდენი სიყვარული, სითბო და პოზიტიური ენერგია დატოვა, რომ დღემდე, უამრავი სირთულის დაძლევაში მეხმარება. იმისათვის, რომ ბედნიერი იყო, საყვარელი ადამიანის ფიზიკური სიახლოვე სულაც არაა აუცილებელი. მთავარია, მასთან სულიერ სიახლოვეს გრძნობდე. საშინელებაა, როდესაც იგებ, რომ ადამიანი, რომელიც გიყვარს, ამქვეყნად აღარ არის, მაგრამ უნდა გეყოს ძალა, რომ ზეცას ახედო და წარმოთქვა: გმადლობ, ღმერთო, იმისათვის, რომ ეს ტკივილი მეც განმაცდევინე, რადგან ასეთი ტკივილი მხოლოდ დიდი სიყვარულის შემდეგ შეიძლება განიცადო. ესაა ნამდვილი ცხოვრება, სიხარულითა და ტკივილით სავსე.

— ირაკლის გარდაცვალების შემდეგ, მისი სიმღერების ალბომი გამოუშვით, მისი ლექსები გამოაქვეყნეთ...

— მე ვიცი, რომ ეს ჩემი გზაა, ჩემი გასაკეთებელია. თუმცა, ზოგჯერ მართლა ძალიან მიჭირს ამის გაკეთება. მაგალითად, როდესაც ირაკლის ლექსებს ვკითხულობ, თან ვტირი და თან — უზომოდ ბედნიერი ვარ. შემდეგ, ჩვენი შვილი, ნანა გაგრძელებს იმას, რისი გაკეთებაც ირაკლიმ ვერ მოასწრო. ნანა ძალიან ჰგავს მამას. ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა და მე მას, როგორც პიროვნებას, პატივს ვცემ. მამამისივით მომთხოვნი და ძლიერია. აქვე იმასაც გეტყვით, ირაკლის სიცოცხლეში, მისი დაკარგვის ყოველთვის მეშინოდა, ახლა კი მასთან შეხვედრის მოლოდინით ვცხოვრობ. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

რად ააგეს ღია და გადახურული ტრიბუნები. ღია ტრიბუნაზე ბილეთი 4 გირვანქა სტერლინგი ღირდა, გადახურულ ტრიბუნაზე — 6 გირვანქა სტერლინგი.

21. ამერიკელთა მტკიცებით, ატლანტის ოკეანე თვითმფრინავით პირველად 1927 წელს, მათმა თანამემამულემ, ჩარლზ ლინდბერგმა გადაჭრა. სინამდვილეში, ამგვარი გადაფრენა პირველად ინგლისელმა მფრინავებმა: ჯონ ელკოკმა და არტურ უინტენბრაუნმა 8 წლით ადრე განახორციელეს. ლინდბერგისათვის პირველობის მიწერა მხოლოდ პრესის გადამეტებული ყურადღების გამო მოხდა — ამერიკელებს თავიანთი გმირი ესაჭიროებოდათ.

22. „ვი ნე ნა სტოლკო კრასივი, შტობი ტაკ მნე ხამიტ“, — გამოუცხადა მიხაილ ზადორნოვმა ერთ ქალბატონს, რომელიც მაღაზიაში უკმეხად მოემსახურა.

23. „ლამის ცხოვრებამ მე ჩემი მიყოს, უსაზღვოდ მტანჯავს კაცის გვარ-ტომი! — ყველას სურს, სხვისი ბატონი იყოს, ერთიც არ არის თავის ბატონი!“ — წერდა გოეთე.

24. „აღარ მწადიან ცხვარშია, მინდა რომ დავჯდე შინაო, ფეშტამალაად (წინსაფარია ერთგვარი. — გ.დ.) მაქცია, ქალებს ამაკრა წინაო. ანდა მაქცია რწყილადა, უბეში ჩამაძვრინაო, ლამაზის ქალაისადა, ძუძუზედ მაკბენინაო“, — ამ ხალხურ ლექსს „მწყემსის ნატვრა“ ჰქვია.

25. ევროპის უნივერსიტეტებში მუსლიმან ქალებს ტრადიციული თავსაბურავის, ხიჯაბის (ფარანჯის) ტარების უფლებას არ აძლევენ. ამის გამო ზოგიერთმა მათგანმა სასამართლოში იჩივლა და პროცესი მოიგო კიდეც... ავსტრალიაში ერთმა ფეხბურთელმა ქალმა ფედერაციისგან ნებართვა ითხოვა, თამაშის დროს ხიჯაბი ხურებოდა, რაზეც უარი მიიღო. მანაც იჩივლა სასამართლოში და პროცესი მოიგო. ფეხბურთის ფედერაცია იძულებული გახდა, წესები შეეცვლა და ახლა, ეს ფეხბურთელი ქალი ხიჯაბით თავშემოსილი ასპარეზობს. პარადოქსია — ქალი თავს ხიჯაბით იმოსავს, ტანზე კი მამაკაცის საფეხბურთო ტრუსი აცვია. მუსლიმანური ტრადიციის მიხედვით, ქალს უცხო მამაკაცთან დალაპარაკებაც ეკრძალება, თუკი ამ საუბარს მამამისი ან ძმა არ ესწრება. მაშინ რატომ არ დადიან ზემოხსენებული სტუდენტები ლექციებზე ძმებთან და მამებთან ერთად? ალბათ იმიტომ, რომ ყოველივე ეს რელიგია კი არა, წმინდა წყლის პოლიტიკაა და მას თვითდამკვიდრების ელფერი დაჰკრავს.

ბაბაჩაგეპულთა „ბაგაჩი“ „აგაში“

„გზის“ ფურცლებზე, ამ ცოტა ხნის წინ, რუბრიკა „თინეიჯერულ პონტებში“ დაიბეჭდა რეპერ სალეჯისა და მისი პროდიუსერის, „უკანასკნელი გმირის“ მონაწილის — დათოს ინტერვიუ, სადაც ბიჭებმა რეპერ ბიგ-თიკოზეც ილაპარაკეს. მათ ქალი-რეპერის წონას გაუსვეს ხაზი და თქვეს, რომ გოგონამ მას შემდეგ გადაწყვიტა გახდომა, რაც სალეჯიმ მასზე გარეპა. ამასთანავე, სალეჯიმ და დათომ თიკოსთან შეხვედრის სურვილიც გამოთქვეს... ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ თიკოც შემეხმიანა და ამ ადამიანებს შემახვედრეო, — მთხოვა. საბწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო, ამ შეხვედრას დათო ვერ დაესწრო. რეპერები ერთმანეთს რედაქციაში შევახვედრეთ.

ანუ კამათით დაწყებული მეგობრობა (?!)

ლიკა ქაჯაია

თიკო:

— **გიორგი, მოდი გამორიცხე შოუბიზნესი, მუსიკა, გარეპვის სტილი და სუფთა ადამიანურ ურთიერთობებზე ვილაპარაკოთ. შენ ხარ ნამდვილი ქართველი მამაკაცი, ხომ ასეა?**

სალეჯი:

— რა თქმა უნდა!

— **და გაქვს პრეტენზია იმისა, რომ გერქვას კაცის სახელი. მაინტერესებს, ბიგ-ლიპოთი და რაღაც სხვა სიტყვებით რატომ მომიხსენიებდი? ჩემზე ლაპარაკისას, ჩემს წონას რატომ უსვამდი ხაზს? თან, არც კი მიცნობდი. არ ვიცი, შეიძლება, ჟურნალისტებმა გამოიგონეს და დაბეჭდეს ის, რაც შენ არ გითქვამს, მაგრამ...**

— (*აწყვეტინებს*) მითხარი, კონკრეტულად, რის გამო გწყდება გული და რატომ?

— **გული კი არ მწყდება, არამედ მაინტერესებს, რატომ ამბობ იმას, რაც არ იცი? მაგალითად, შენ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვი, რომ მე „ბულკა“ და კარაქზე გაზრდილი ვარ.**

— ეს პირდაპირი მნიშვნელობით არ მითქვამს. მაგრამ ახლა არ მითხრა, რომ „ბულკი“ და კარაქი არ გიყვარს, რა...

— **ნამდვილად არ მიყვარს.**

— კარგი, ბავშვობაში მაინც ხომ გიყვარდა?

— **არც ბავშვობაში მიყვარდა...**

— თიკო, მაშინ, როცა მე შენს წონაზე გავამახვილე ყურადღება, ძალიან პოპულარული იყავი და აქედან გამომდინარე, გიცნობდი.

— **ცნობადობაში რას გულისხმობ? შენ არ იცი, კულისებს მიღმა ვინ ვარ.**

— ჰო, მაგრამ არც მე მილაპარაკია იმაზე, თუ სად ისვენებ, დედიკო რა კერძებს გიმზადებს და ა.შ. ის ვთქვი, რაც შენზე ვიცოდი. სხვათა შორის, შოუბიზნესში ჩემი შვილის გამო მოვედი. როდესაც შენზე დაწერილი ტექსტი „16 რაუნდში“ ვიბაზრე, ამით ბევრი დაინტერესდა. იცი, ერთმა შოუბიზნესის წარმომადგენელმა რა მკითხა? — თიკოს რეკლამას რატომ უკეთებო?

— **ჯიგარი ხარ. თურმე, ჩემზე ზრუნავდი და მაგარი რეკლამა გამიკეთე (*იცინის*).**

— მოიცა, რა... იცი, მას რა ვუპასუხე? აზრზე მოდი, თიკოს ჩემი რეკლამა რაში სჭირდება-მეთქი?

— **მერე, ვერ მიხვდი, ეს რატომ გკითხეს?**

— ეს ორაზროვანი კითხვაა, ჩემო კარგო და საერთოდ, როცა ასეთ კითხვებს მისვამენ, მათზე პასუხს არ ვცემ.

— **გასაგებია, რომ „რეკლამა“ გამიკეთე, მაგრამ პრესის მეშვეობით ამის აფიშირება რაში დაგჭირდა?**

— არაფრის აფიშირება არ გამიკეთებია. ეს ყველაფერი „16 რაუნდში“ მყოფმა საზოგადოებამ აიტაცა... ჩემო ლამაზო ადამიანო, შენ ბევრი რამ გეშლება, მაგარი „დაგრუზული“, ნაწყენი ხარ და ამ ინტერვიუზეც „დაქოქილი“ მოხვედი. ალბათ, მთელი ღამე იმაზე ფიქრობდი, თუ რა კითხვები უნდა დაგესვა ჩემთვის.

— **როგორ გეკადრება, რა. ძალიან ცდები!**

— კარგი, ბიგ-თიკო რატომ დაირქვი?

— **„მაესტროში“ ორი თიკო ვიყავით. ჰოდა, როცა რომელიმეს გვეძახდნენ, ორივე ვუპასუხებდით — ვერ ვიგებდით, რომელს გველაპარაკებოდნენ. მერე, მე დიდი თიკო, იმას კი — პატარა შეარქვეს.**

— ორივე თიკოს ტელეეკრანიდან გიცნობდით და ერთად რომ დაგინახეთ, სიმაღლით ტოლები იყავით...

— **ჰო, მერე რა? მე სიმაღლეზე არ გელაპარაკები.**

— ჰოდა, მეც მაგას ვამბობ, — იმიტომ შეგარქვეს ბიგ-თიკო, რომ მსუქანი იყავი.

— **ეგ მეც ვიცი და სიტყვა „დიდში“ სიმაღლე არ მიგულისხმია.**

— იცი, ღიპო კი არა, მაშინ შენზე ისეთი ბაზარი იყო, რომ ვიფიქრე, ჩემი ტექსტის მერე, ხალხს ეს სისულელეები დაავიწყდება-მეთქი.

— **რას გულისხმობ ან ვინ ბაზრობდა?**

— ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს?! ისე, შენზე დაწერილი ჩემი ტექსტი ხომ მოგეწონა? მიდი, აღიარე...

— **არ მომწონებია. მაგრამ სიმართლე გითხრა, მისი მოსმენისას ბევრი ვიცინე.**

— მაგას ნაღდად ამბობ? მართლა არ მოგეწონა? კარგი, მაშინ იმ ტექსტზე ანიმაციურ კლიპს რომ გადავიღებ და მასში სასწორით გარბენინებ, მერე ნახავ, რა.

— **რას ამბობდი ჩემზე, რამდენი კილოაო?**

— 93 კილო იყავი. თიკო, რამდენი იყავი სინამდვილეში?

— **84 კგ და 500 გ.**

— შენ დღეს სასწორი უნდა მოგეტანა.

— **სასწორი შენთვის და დათოსთვის უნდა მომეტანა, მაგრამ შემეშინდა, ჩხუბი არ მოგსვლოდათ (*იცინის*).**

— ისე, სასწორი ნეიტრალურმა ადამიანმა უნდა მოიტანოს (*იცინის*).

— **მაგრად ვიკაიფე შენი მეგობრის, დათოს (*უკანასკნელი გმირის მონაწილეს გულისხმობს.* — *ავტ.*) ნათქვამზე, რომელმაც აღნიშნა, რომ თურმე, მას შემდეგ, რაც სალეჯიმ ჩემს სიმსუქნეზე გაამახვილა ყურადღება, „დავიგრუზე“ და სასწრაფოდ გავხდი.**

— შენ მაგარი თავისუფალი, გამოსული გოგო ხარ და ეს ყველაფერი სერიოზულად როგორ მიიღე? ეს უბრალოდ, შაირობის პონტში თქვა.

— **ნურაფერს დაიბრალებ, რა. წონაში დაკლება გადავწყვიტე იმიტომ, რომ „კოსმოპოლიტენის“ და ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის სარეკლამო სახე ვიყავი.**

— რა ვიცი, ასე კი დაემთხვა და (*იცინის*).

— **მართალი ხარ, დაემთხვა... სხვათა შორის, შენც ღიპოსკენ მიდიხარ.**

— ნუ დასცინი სხვასაო, გადაეხდება თავსაო.

— **მიდი, მიდი, დაცინვას კაცი არ მოუკლავს. ისე, რამდენი წლის ხარ?**

— 30-ის. შენ? ხომ არ დაგვიბერდი?

— **რატომ, ნაოჭი „მოგარტყი“?**

— არა, ეგ რა შუაშია?! დედაჩემმა 30-ს კარგა ხანია, გადააბიჯა, მაგრამ ერთი ნაოჭიც არა აქვს.

— **იმიტომ, რომ ასეთი კარგი შვილი ჰყავს.**

— აბა, რა...

— **ასე რომ არ დაწყებულიყო ჩვენი ურთიერთობა...**

— (*აწყვეტინებს*) არ დაწყებულიყო, არა...

იცი, როგორები იყავით თქვენ, პოპულარული ადამიანები? — ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო, გვერდზე არ იყურებოდით.

— ასე რამ გაგაღიზიანა?

— სხვების პოპულარობა ნამდვილად არ მაღიზიანებს, მაგრამ მინდა, ისეთი ადამიანი იყოს პოპულარული, ვინც ხალხს გამოადგება. ჩემს შვილს იცი, როგორ უყვარს შენი სიმღერები? ის ცერებრარული დამბლითაა დაავადებული. ოდესმე ყოფილხარ ასეთ ბავშვებთან?

— ვყოფილვარ, თანაც ბევრჯერ და სხვათა შორის, იმ ბავშვებმა თავიანთი ნახატებიც მაჩუქეს.

— მერე, ამის შესახებ რატომ არსად გაჟღერდა? ეს ამბავი რატომ არ დააფიქსირე?

— მე ამის აფიშირება არ მჭირდება, არ ვტაბობ. შენ შენი აზრი გაქვს, მე — ჩემი და ასეთი რაღაცების აფიშირებისგან ძალიან შორს ვარ.

— შენ ქართული ხომ გესმის და მომისმინე, რა.

— თუ გინდა, ინგლისურად ვილაპარაკოთ.

— არ მინდა ინგლისური. „ტიპობა“ რა შუაშია?! როცა შენს მსმენელს მისცემ მაგალითს და უჩვენებ გზას, თუ როგორ უნდა მოიქცეს, ამაზე უკეთესს რას გააკეთებ?! რამდენი პოპულარული ადამიანი უკეთებს აფიშირებას იმას, რომ ვიღაცას დაეხმარა და რა, ისინი ძალიან ცუდები არიან, და მხოლოდ შენ ხარ მაგარი ტიპი?

— ყველამ თავის თავზე ილაპარაკოს, რა. მე ყოველთვის იმას გავაკეთებ, რაც სწორად მიმაჩნია...

— ისე, მართლა გამხდარი ხარ ანუ შემიძლია, ახლა სმოლ-თიკო დაგიძახო.

— არა, ჯერ მედიუმ-თიკო ვარ.

— შოუბიზნესში სერიოზულად ჩართვას აღარ აპირებ? თუ — კი, მაშინ სახელი უნდა შეიცვალო. გინდა, კარგი რამ შემოგთავაზო? — ბიგ-სმოლ დაირქვი, ძალიან მაგარი იქნება.

— მოდი, პირდაპირ მითხარი, რა გინდა, დუეტი ჩავწეროთ?

— ჰო, ცოტა ხანში დუეტი არ გავარტყათ?

— ლიკასთან რომ დავრეკე, ვუთხარი (თუ ვიტყუები, თქვას): შეიძლება, ყველა ინტერვიუში შენ გახსენოს უცნობმა ადამიანმა? დავიჯერო, მის გარშემო უფრო საინტერესო არაფერი ხდება? სალჯის ან ძალიან არ ვევასები, ან პირიქით — მაგრად ვევასები-მეთქი...

— მე დუეტი მინდა იმ ადამიანთან, რომელიც მესიმპათიურება. მე თუ არ გესიმპათიურები, შემოთავაზებაზე ეგრევე უარი უნდა მითხრა.

— (იცინის) როგორ გეკადრება. შემოთავაზებაზე უარს არასდროს ვამბობ.

— მე, მაგალითად, როცა ვინმე ან რამე არ მომწონს, მის შემოთავაზებაზე უარს ვამბობ. მაგალითად, ამას წინათ შავ პრინცთან ერთად, დუეტის ჩაწერა შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი.

— რატომ?

— გავაბოლოოოთ (*წაიმღერა*)... შვილი მყავს სახლში და „ვაბოლო“, თუ რა ვქნა?! შვილი რომ გეყოლება, ასეთ კითხვებს აღარ დასვამ.

— ეს უკვე სხვა ბაზარია, რა. მოდი, პიროვნულად ნურავის შევეხებით. ყველა ისე ცხოვრობს და იმას აკეთებს, რაც მოსწონს.

— პიროვნულად არც მე ვეხები ვინმეს, მაგრამ მისი შემოქმედება არ მომწონს... ზოგი რეპავს თემაზე: გავაბოლოთ, გავიჩხიროთ, შევისუნთქოთ — და მერე, ნარკომანიის წინააღმდეგ გამართულ აქციაში მონაწილეობს. ვფიქრობ, ასეთებმა ჩემი კრიტიკაც უნდა მიიღონ, მაგარს რომ შევუყვან ბაზარში...

— ისე, დუეტს რა დავარქვათ? იდეა მაქვს, ოლონდ ცინიზმის გარეშე — „მეგობრობა გზად და ხიდად“.

— „მეგობრობა გზად და ხიდად“ არა... მოდი, უფრო მაგარი რაღაც მოვიფიქროთ.

— ამ სიტყვების ავტორს რას უწუნებ?

— რა აქვს ჩემი დასაწუნი? უბრალოდ, შევეშვათ წინაპრებს და თავადვე მოვიფიქროთ რაიმე... კარგი, ამისთვის დრო გვაქვს.

— იცი, აქ რომ მოვდიოდი, დედაჩემს ვეუბნებოდი: წავალ და ასე ვიზამ, ისე ვიზამ-მეთქი. ბევრი იცინა და მითხრა: კარგი, რა, ვისზეც ასე თქვი, მეორე დღეს სახლში მომიყვანე.

— გაიცანი, ჩემი მეგობარიაო.

— შენს დედიკოს არ გამაცნობ?

— რატომაც არა?!

ამ დროს თიკოს მობილურმა დაიწკრიალა. რეპერმა ბოდიში მოგვიხადა და ტელეფონს უპასუხა.

— თიკო, შეყვარებული გირეკავდა?

— ???

— რა, შეყვარებული არ გყავს?

— მყავს, მერე?

— მერე, ამას ჟურნალისტებს რატომ არ უმხელ?

— ხომ გაგიგონია: სიყვარულსა მალვა უნდაო!..

— მერე, შენ შოთა რუსთაველი ხარ (*იცინის*)?

ისე, სანამ დუეტს ჩაწერთ, შენი ტელეფონის ნომერი უნდა მომცე

— შოთა რუსთაველი არ ვარ, მაგრამ მის მოსაზრებას ვიზიარებ... იცი, მაგარი იქნება, კიდევ რომ გავსუქდე. აუუ...

— კარგი, რა, რაებს ლაპარაკობ. ის კი არა, კიდევ უნდა დაიკლო წონაში. გაფიცებ ყველაფერს, მითხარი, როგორ გახდი?

— მსაჯებით, „ჯანმრთელად“- იცი, რამდენიმე ძალიან მაგარი პროექტი მაქვს. მაგალითად, რეპპერა მინდა გავაკეთო.

— ეს უკვე გაკეთებულია და კიდევ, ჯაზ-რეპიც გვაქვს.

— მე არ მითქვამს, საქართველოში რეპპერა არ არსებობს-მეთქი. თუმცა, მსგავსი რამ არ მომისმენია.

— ჩვენ გავაკეთეთ, მაგრამ გვბლოკავდნენ და...

— ვინ გბლოკავდათ?

— რა ვიცი, ვინ დაგვბლოკავდა შენი აზრით?

— თუ კარგი „ვეშია“, არავინ დაგბლოკავს.

— მე გეუბნები იმას, რაც ნაღდია, რაც „ჩესტნად“ ვიცი. გაწვებიან, ამას თუ არ გააკეთებ, მიზანს ვერ მიაღწევო. შენ ჭურში ხარ, რადგან კარს ყველა ფართოდ გიღებდა და გეუბნებოდა: მობრძანდიო. ჩვენ კი რაღაცის მისაღწევად კარის შემტვრევა გვიწევდა, ზეწოლას განვიცდიდით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ლექს-სენისა და შენთვის (ისე, თქვენ მართლა ძალიან კარგი მონაცემები გაქვთ), ჩვენ — ისეთ ადამიანებს არ შეგვეშალა ხელი, რომელთაც გვქონდა იმის ამბიცია, რომ თუ შოუბიზნესში მოვიდოდით, თქვენზე უკეთესი რაღაცის გაკეთებას შევძლებდით. როგორ ფიქრობ, ამის გამო ვიღაცები არ დაგვბლოკავდნენ, წინ გაგვიშვებდნენ?

— მე ნამდვილად არ შემიშლია შენთვის ხელი...

— იმიტომ, რომ შენთვის უკვე ყველა კარი ღია იყო.

— სხვათა შორის, სანამ ამ კარს გამიღებდნენ, 3 წლის განმავლობაში მეც კულისებში ვიდექი. ასე რომ, არც მე მივლია ია-ვარდებით მოფენილ გზაზე.

— და რა გააკეთე იმისათვის, რომ შენთვის ყველა კარი ღია ყოფილიყო? ფული გადაიხადე?

— როგორ გეკადრება?! ფული რა შუაშია?! ამ ყველაფერს ჩემი ნიჭითა და შრომით მივაღწიე. თავის დროზე მეც კულისებში ვმღეროდი და ყველაფერს მოთმინებით ვიტანდი, რადგან ვიცოდი, ჩემი დროც დადგებოდა.

— ჰოდა, ეს რომ ვიცი, იმიტომაც შემოგთავაზე დუეტი. ისე, სანამ დუეტს ჩავწერთ, შენი ტელეფონის ნომერი უნდა მომცე. ხომ მომცემ?

— რა თქმა უნდა.

— ჩემს ქორწილშიც ხომ მოხვალ (*შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ სალჯი დაოჯახდა და ამ ინტერვიუს ჩაწერიდან მეორე დღეს მას ქორწილი ჰქონდა. — ავტ*)? აი, მოსაწვევი.

— აუცილებლად მოვალ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

გაკოცხვაურება

„თავს ნუ იტანჯავ და იმ „აფაჩღნილ“ ბოგოს აჩ გაეკიდო!“

„გზის“ №8-ში დაიბეჭდა გიორგის მესიჯი, სათაურით – „შოუში ვარ, გოგოებისკენ გახედვაც აღარ მინდა...“ ის გვწერდა, რომ შეყვარებულმა უმიზეზოდ უღალატა, რასაც ძალიან განიცდის და რჩევას თანატოლებს სთხოვს.

მილანკა:

„გიო, ყველა გოგო ერთნაირი არაა და ასე ნუ ლაპარაკობ. გირჩევ, ეგ გოგო დაივიწყო და ისეთი ვიღაც მოძებნო, ვინც გაგიგებს და ვისაც ეყვარები“.

სოფო, *რუსთავიდან:*

„გული არ გაიტეხო. უბრალოდ იფიქრე, რომ იმ გოგომ ბევრი რამ დაკარგა, როცა დაგშორდა. ცხოვრებაში კიდევ შეხვდები კარგ გოგოს. გისურვებ წარმატებას და უფლის წყალობას! თუ შემეხმიანები, ვიმეგობროთ :))“.

კამელია:

„გამარჯობა, ლიკა. მინდა, გიორგის გამოვეხმაურო: მეგობარო, გულს ნუ გაიტეხ. იმ გოგონას მართლა რომ ჰყვარებოდი, არ მიგატოვებდა. შენი მესმის, მაგრამ გთხოვ, ერთი ცუდი მაგალითის გამო, ყველას ერთნაირად ნუ განსჯი... იცი, რამდენი ბიჭი ექცევა გოგოს ისე, როგორც შენ მოგექცა შეყვარებული?! ჰოდა, იმ გოგონებმაც რომ არ გაიხედონ ბიჭებისკენ, ბიჭებმა კი შენნაირად იფიქრონ, წარმოგიდგენია, რა მოხდება? — ნდობა და სიყვარული აღარ იქნება, ცხოვრება უაზრო გახდება. იმედს ნუ დაკარგავ, აუცილებლად იპოვი ისეთ გოგონას, ვინც მთელი გულით შეგიყვარებს“.

სოფო, *17 წლის:*

„შენ ნაწილობრივ მართალი ხარ, მაგრამ ყველა გოგო შენი შეყვარებულის მსგავსი ხომ არაა? მაგალითად, მეც გოგო ვარ, მაგრამ ასეთ რაღაცეებს ვერ ვიტანთ. დაელოდე და აუცილებლად გამოჩნდება ადამიანი, რომელიც დაუვიწყარ სიყვარულს გაჩუქებს. უფალი გფარავდეს! თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე“.

კესო, *14 წლის:*

„ნუ იქნები ასეთი მკაცრი. მართალია, გოგოები ძალიან დაუდევრები ვართ, მაგრამ ყველანი მოღალატეები ნამდვილად არ გახლავართ. დარწმუნებული ვარ, გამოჩნდება სუსტი სქესის ისეთი წარმომადგენელი, რომელიც აზრს შეგაცვლევინებს“.

თეთრი ვარდი:

„ჩემო კარგო, იმ ტიპს უნდა დალაპარაკებოდი და მისთვის კაცურად აგეხსნა, რომ ერთმანეთი გიყვარდათ. იქნებ, იმ გოგომ შენ გვერდით თავი დაუცველად იგრძნო? იცი, ამას რატომ გეუბნები? ჩემმა ყოფილმა შეყვარებულმა გაიგო, რომ სხვასაც ვუყვარდი, მაგრამ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისგან დავეცავი, თავი არ შეიწუხა. შემდეგ? — დავშორდი, რადგან მის გვერდით თავს დაცულად ვერ ვგრძნობდი. ვინ გამამტყუნებს ამაში?.. იმ გოგოს დაელაპარაკე. ვინ იცის, ასე რატომ მოიქცა...“

სოფო:

„მართალია, შეყვარებულმა გიღალატა, მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება! ამ ამბის მსგავსი რამ მეც შემემთხვა და ვიცი, ახლა როგორც გიჭირს. დამიჯერე, მას ნამდვილი სიყვარულით რომ ჰყვარებოდი, არ მიგატოვებდა. ჩემი აზრით, სიყვარული კარგი რამაა, მაგრამ ამავდროულად, ძალიან ძნელიც. გიორგი, ცხოვრება ძალიან უსამართლოა“.

„ეჰ, თურმე, ბიჭებსაც შეგძლებიათ სიყვარული“

მარი, *16 წლის:*

„გიო, ასეთი გოგო ბედნიერი ვერასდროს იქნება. მეც მატკინა ბიჭმა გული. თუ სურვილი გექნება, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი და დამიმესიჯე. ლიკ, ბოდიში შეწუხებისთვის და ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე“.

მა-კო:

„ვწუხვარ, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვარ, მეც მწარედ მომატყუეს. თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და შემეხმიანე“.

ჩორი-ჩორი:

„აუ, გიო, ნაცნობი ამბავია. 80%-ით დარწმუნებული ვარ, რომ გიცნობ. თუ არ შეწუხდები, შემეხმიანე, რა“.

მარი:

„თუ იცოდი, რომ მას ვიღაც ეკურკურებოდა, იმ ბიჭთან უნდა მისულიყავი და მისთვის მოგეთხოვა, შენი შეყვარებულისთვის თავი რომ დაენებებინა. აწი ველარაფერს შეცვლი, დროს უკან ვერ დააბრუნებ“.

ცისფერთვალება ნინი:

„ერთი გოგოს გამო ათასის გასვრა არ ღირს. ჯობს, მას სამუდამოდ შეეშვა და სხვა იპოვო. ის შენი ღირსი არ ყოფილა“.

სოროკა:

„ძმაო, გულს ნუ გაიტეხ. მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ მერე, ისეთი გოგო ვიპოვე, რომელსაც ნამდვილად ვუყვარვარ. ძმაო, ცხოვრება წინაა, ის გოგო დაივიწყე და ისეთი ვიღაც შეიყვარე, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე შენ გვერდით იქნება. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი და ვიძმაკაცოთ. წარმატებებს გისურვებ, „ბრატ“.

ნანა:

„გამარჯობა, გიორგი. შენი წერილი წავიკითხე და მინდა, ერთი რამ გირჩიო: გულს ნუ გაიტეხ და ნუ დაკომპლექსდები. მიმაჩნია, რომ ის გოგო შენი ღირსი არ იყო და მის გამო არც უნდა იდარდო. ჰო, კიდევ, სხვა გოგონებზე ნუ იფიქრებ, რომ ისინიც მოღალატეები არიან. დამიჯერე, გამონაკლისი ბიჭებშიცაა და გოგონებშიც. იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებ“.

ეკი:

„როგორც ჩანს, ის გოგო მართლა გიყვარდა (დღეს ასეთი ერთგულება იშვიათობაა). იცოდე, დაუვიწყარი და შეუცვლელი არავინაა. ირგვლივ მიმოიხედე და მერწმუნე, ღირსეულ გოგოს აღმოაჩენ. ჰოდა, ახლა გაიცინე, ნუ „იგრუზები“. ცხოვრება მშვენიერია. წარმატებებს გისურვებ!“

ლომუა:

„ვეხმაურები გიორგის წერილს. გიორგი, „ბრატ“, მინდა გითხრა, რომ შენ მისთვის ყველაფერი გაიღე და გააკეთე. მაგრამ როცა გოგო ამას ვერ ხედავს, ჯობს შეეშვა. ქალი ცრემლად ნამდვილად ღირს, ტანჯვად კი — არა. გიოჯან, შეეცადე, დაივიწყო, რადგან მან 4 წლის განმავლობაში თუ ვერ ისწავლა სიყვარული, ვეჭვობ, რომ ამ დიდი გრძნობის არსს ვერასდროს ჩასწვდება. ისე, რა დასამალია და, ქალი ამუცნობი ფენომენია. ისინი ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ, მესამეს აკეთებენ და მეოთხე გამოსდით. მაინც გირჩევ, რომ დაივიწყო. ვინც ვერ შეიშნობს, ის ვერც მოირგებს და აბა, დაფიქრდი, ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა სასურველია? ღმერთმა ხელი მოგიმართოს, გიოჯან. იცოდე,

ქუთაისელი ლომუა შენ გვერდით დგას. კაცები ვართ, არა, ძმაო?! ჰოდა, თუ საადარდებელია, ერთად ვიდარდოთ, თუ არა და, ერთად დავტკბეთ სამყაროს მშვენიერებით. ხომ გაგიგონია: იგი წავა და სხვა მოვაო... თუ არ მოვა და ჩვენ მივაკითხოთ. აბა, შენ იცი, ძმაო, წარმატებები! გვჯეროდეს, რაც გინახავს, კიდევ ნახავ“.

მარი:

„გიორგი, გამაგრდი, ცხოვრება გრძელდება და თავს ნუ დაიტანჯავ მასზე ფიქრით. მეც მსგავს სიტუაციაში ვარ და თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე“.

კლეოპატრა:

„გიო, იფიქრე იმაზე, რომ იმ გოგოს ბანძი გემოვნება აქვს, რადგან შენ მიგატოვა და სხვას გაეკიდა. ჰოდა, ნახავ, როგორ მოგეშვება.:)) ისე, ერთ რჩევას მოგცემ: ზოგჯერ გოგო უნდა აეჭვიანო, თორემ სულ „მიყვარხარ“, „მიყვარხარ“ თუ ეძახე, თავში აუვარდება და გაგიფრინდებაა.:)) ჰო, კიდევ, ყველა გოგო ერთნაირი არაა და ამიტომაც, დეპრესიაში ნუ ჩავარდები...“

ვერმახტი:

„გიორგი, მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ ხომ იცი, დრო ყველაფრის მკურნალია. ჰოდა, შენც გირჩევ, მის გამო თავს ნუ იტანჯავ და იმ „ავარდნილ“ გოგოს არ გაეკიდო!“

ლანა:

„გიო, მიკვირს, ამდენი ხნის სიყვარული ასე როგორ დამთავრდა? იქნებ, იმ გოგოს საერთოდ არ იცნობდი და მას კი არ უყვარდი, არამედ შენთან ერთობოდა? ან იქნებ, მერე მიხვდა, რომ სინამდვილეში სხვა უყვარდა?.. ფარ-ხმალს ნუ დაყრი, ამქვეყნად უამრავი კარგი გოგო დაიარება და მათკენ გაიხედე“.

ნინო:

„სასოწარკვეთილება უაზრობაა, რადგან გამოსავალი ყოველთვის არსებობს. მეც მიყვარდა ერთი ბიჭი. მის გამო 4 წლის განმავლობაში ვიტანჯებოდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ასეთი ადამიანების გამო დარდი არ ღირს. მერწმუნე, გავა დრო და შენი ტანჯვაც დასრულდება“.

ნათათო:

„გამარჯობათ. კიდევ ერთხელ მაპატიეთ და პატრიოტულ სიტყვას ვიძლევი, ყოველ ნომერში დაგიმესიჯებთ. გიოს მინდა გამოვეხმაურო: მსგავსი რამ მეც გადამხდა თავს, მაგრამ ჩემს გრძნობებს ვაჯობე და მივხვდი, რომ ცხოვრება მშვენიერია. თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიმესიჯე“.

ვოლფი:

„იცი, რა ქენი? უბრალოდ, ეგ გოგო დაიკიდე, რა. საერთოდ, გოგონები ასეთი სიურპრიზების მოყვარულები არიან. მაგრად ტეხავს, მაგრამ მასზე ნაკლებად უნდა იფიქრო. იმას ხომ კიდიხარ და თავისთვის აჯაზებს. ჰოდა, შენ რატომ უნდა იდარდო? „პროსტა“, მერე მაგრად „შეუსრულე“ და ეგაა, რა. დამიჯერე, ამის შანსი აუცილებლად მოგეცემა. სხვას ვერაფერს გირჩევ“.

ნუცა:

„გიო, სამწუხაროდ, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც ასე მოექცნენ. აი, ნახავ, სულ მალე შეხვდები ნამდვილ სიყვარულს. იყავი ოპტიმისტი“.

ბატ-ლაშა:

„ეჰ, გიო, ასეთ სიტუაციაში მეც ბევრჯერ აღმოვჩენილვარ, მაგრამ ბოლოს, კარგი ადამიანი ვიპოვე. შენც ეძებე და ღირსეულს აუცილებლად იპოვი“.

ნანა:

„მე ბიჭებისკენ გახედვაც აღარ მინდა, რადგან ერთ-ერთმა მათგანმა გული მატკინა... გიო, ცხოვრება გრძელდება და რწმენა არ უნდა დაკარგო. უფალი გფარავდეს! თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ. ჩემი ნომერი ლიკასთანაა“.

თიკა:

„კარგია, ის გოგო რომ გიყვარდა. რატომ? — როგორც ჩანს, სიყვარული შეგძლებია, ეს კი ულამაზესი გრძნობაა. მერწმუნე, ყველა გოგო ერთნაირი ნამდვილად არაა. გავა დრო და ისევ შეგიყვარდება ვინმე. ის გოგო კი იმ ბიჭთან ბედნიერი ნამდვილად ვერ იქნება, რადგან მალე სხვისკენ გაექცევა თვალი“.

თეა, *18 წლის:*

„გამარჯობათ. პირველად ვამესიჯებ და იმედია, დამიბეჭდავთ. გიორგი, გამაგრდი! არ ღირს მასზე ფიქრი, ვინც შენს გრძნობებს არაფერად აგდებს. 5 წელი მიყვარდა ბიჭი, რომელმაც საშინელი ტკივილი მომაყენა. მთელი ორი წელი (თუ მეტი არა) მატყუებდა. მან ჩემს გრძნობებს დასცინა და ჩემი სიყვარული არაფრად ჩააგდო. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს და მერწმუნე, ცოდვები ყველას მოეკითხება. დამშვიდდი და საკუთარ თავზე მეტი იფიქრე“.

9122:

„ხომ შეიძლება, იმ გოგოს ის ბიჭი დამუქრებოდა: გიოს თუ არ დაშორდები, რაღაცას დავუშავებო? მე მაგალითად, თუ მართლა მიყვარს, მის გადასარჩენად ყველაფერს გავაკეთებ (თუნდაც, დავშორდები). აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი. უფალი გფარავდეთ, ხალხნოოო“.

მეგი:

„მართლა რომ ჰყვარებოდი, სხვაში არ გაგცვლიდა, მაგრამ ზოგჯერ, ჩვენ არ გვინდა, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ და თავს ვიტყუებთ; ხანდახან ისეთი ვიღაც გვიყვარდება, ვინც ჩვენი ღირსი არაა, მაგრამ ამ ყველაფერს გვიან ვხვდებით“.

ანი (თელავი):

„ეჰ, გიო, გიო... თურმე, ბიჭებსაც შეგძლებიათ სიყვარული. შენ რა გირჩია, როცა თავადაც იმედგაცრუებული ვარ. იცი, რას მივხვდი? — სიყვარული კანფეტი ყოფილა და არა საღეჭი რეზინა, სიამოვნება ხანგრძლივად რომ მოგანიჭოს. ადრე თუ გვიან, ყველა არამყარ ურთიერთობას აქვს დასასრული. ღმერთი არასდროს გაგვიმეტებს მარტოობისთვის. იმედი მაქვს, იპოვი გოგოს, რომელიც შენი ღირსი იქნება. დრო ყველაფრის მკურნალია. თუ სურვილი გაგიჩნდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიმესიჯე. არა მგონია, ერთმანეთს ვერ გავუგოთ“.

მის რეალი:

„სამწუხაროდ, მოღალატე ბიჭებიც არსებობენ... ვიცი, ძნელია, მაგრამ ეს სირთულე უნდა გადალახო. სხვა თვალით შეხედე ადამიანებს და ადვილად ნუღარავის ენდობი. არ უყვარხარ? — თავის გზაზე გაუმარჯოს... გიო, უღირსის გამო არ იდარდო და გწამდეს, მალე ღირსეულს იპოვი“.

თამთა, *15 წლის:*

„ძნელია, როცა ადამიანი გღალატობს და სხვასთან მიდის. გამხნევდი, თავს ძალა დაატანე და ის გოგო დაივიწყე. მერწმუნე, ოდესმე მიხვდება, რომ სისულელე გააკეთა და თავის საქციელს ინანებს. ასეთ გოგოს არც უნდა გაეკიდო, ის შენი ღირსი არაა. წარმატებები“.

„მეშინია, ოჯახი არ დამეგმრეს...“

დიანა:

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. ვარ 18 წლის. 3 თვეა, გავთხოვდი და ახლა ორი თვის ორსული ვარ. მე და ჩემს მეუღლეს 5 წელი გვიყვარდა ერთმანეთი და მერე დავქორწინდით. ბოლო პერიოდში, მული ძალიან ცუდად მექცეოდა, ყვირილით მელაპარაკებოდა და ჩემს ნივთებს დაუკითხავად იღებდა (ახლა საერთოდ არ მელაპარაკება). მის გამო მეორე მულმაც ზურგი მაქცია. ახლა მდგომარეობა გამირთულდა, ნერვიულობისგან ტონუსი გამიძლიერდა და მეშინია, პატარა არ დავკარგო. ლიკა, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდე, მე ხომ ახლა ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება. ჰო, მული 33 წლისაა. დედამთილი არ მყავს და ის უვლიდა ოჯახს. ალბათ ამიტომაც, ჩემი მეუღლე მას ვერაფერს ეუბნება. ძალიან ცუდად ვარ და ხომ დამეხმარებით? თან მეშინია, ოჯახი არ დამენგრეს“.

P.S. თუ დიანას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

მეცნიერებმა მსუქნებს მათ მთავარ შეცდომაზე მიუთითეს

ჭარბი წონის დაკლების სურვილი თურმე, გაცილებით დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ვიდრე თვით სიმსუქნე. ამასთანავე, ეს მოვლენა უფრო მეტად, ქალებში შეინიშნება, ვიდრე მამაკაცებში.

კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტის მკვლევრებმა ჩაატარეს ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, რომელშიც სიმაღლის, წონისა და ასაკის გარდა, მოხალისეები იმასაც აღნიშნავდნენ, თუ რამდენი პროცენტით გახდომა სურთ.

გამოირკვა, რომ მამაკაცები, რომლებსაც საკუთარი წონის 1, 10 და 20 პროცენტისგან გათავისუფლება დაუსახავთ მიზნად, თვეში 0,1; 0,9 და 2,7 დღე ავადმყოფობენ, ქალები კი — 0,1; 1,6 და 4,3 დღე. ის მსუქნები, რომლებსაც საკუთარი წონა სრულებით არ ანაღვლებთ, ავადმყოფობასაც იშვიათად უჩივიან.

როგორც გამოკვლევის ავტორები ირწმუნებიან, მიღებული შედეგები იმას მოწმობს, რომ ჭარბი წონის პრობლემის გამო განვითარებულ სნეულებათა უმეტესი ნაწილი — იდეალური ფიგურის შესახებ დამკვიდრებულ შეხედულებათა შედეგს წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარეობს დისკომფორტი, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებაში „არასტანდარტულ“ ადამიანებად მიჩნეული ადამიანები განიცდიან. ■

მანგო, ხენდრო და ყურძენი კიბოს არჩენს

როგორც ჟურნალი Nature იუწყება, ჰონკონგელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მანგოში, ხენდროსა და ყურძენში შემავალი ლუპეოლი თრგუნავს თავისა და კისრის კიბოს ზრდას და მეტასტაზების გავრცელებასაც ეწინააღმდეგება. მათი თქმით, ლუპეოლის სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობა სადღეისოდ ქიმიოთერაპიაში გამოყენებულ პრეპარატებზე ბევრად უფრო მაღალი აღმოჩნდა.

თავისა და კისრის კიბო ის ახლო მონათესავე დაავადებებია, რომლებიც პირის ღრუს, ცხვირის სინუსისა და ცხვირის ღრუს, ფარისებრი და სანერწყვე ჯირკვლების, საყლაპავის, ხორხისა და კისრის ზედა განყოფილებების ლიმფური კვანძების კიბოს მოიცავს. ამ სიმსივნეების დიაგნოზის დასმა ხშირად მხოლოდ გვიან სტადიებზე ხდება და შემთხვევათა თითქმის ნახევარი ოპერაციას აღარ ექვემდებარება.

ჰონკონგის უნივერსიტეტის მეცნიერები თავიანთ ცდებს თავისა და კისრის კიბოთი დაავადებულ თაგვებზე ატარებდნენ. თაგვების ნაწილს ლუპეოლით, დანარჩენებს კი სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატ ციპლატინით მკურნალობდნენ. ლუპეოლით მკურნალობის შემდეგ სიმსივნეები პატარავდებოდა და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზებიც ნაკლებად ვრცელდებოდა. მის გამოყენებას ციპლატინის გამოყენებაზე უფრო სწრაფი ეფექტი ჰქონდა. ამასთან, სხვა ტრადიციული პრეპარატებისგან განსხვავებით, ლუპეოლის გამოყენება არც სხეულის მასის შემცირებას იწვევდა და პრაქტიკულად, არც რაიმე გვერდითი მოვლენა ახლდა.

„ლუპეოლს კიბოს უჯრედების ზრდისა და გავრცელების დათრგუნვა შეუძლია და ტრადიციულ პრეპარატებზე (კერძოდ, ციპლატინზე) ბევრად უფრო აქტიურად მოქმედებს“, — განაცხადა კვლევის ხელმძღვანელმა ენტონი იუენმა და ისიც დასძინა, რომ ამ პრეპარატების კომბინაციის გამოყენებისას, ციპლატინის კიბოს საწინააღმდეგო აქტიურობაც მრავალჯერ გაიზარდა.

მეცნიერების ვარაუდით, ლუპეოლის კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი იმით აიხსნება, რომ მას თავისა და კისრის კიბოს განვითარებაში უშუალოდ მონაწილე პროტეინ TALI-ს ბლოკირების უნარი აქვს. „ეს ცილა სხვა ონკოლოგიური დაავადებების, კერძოდ, წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატიტის), მკერდისა და ღვიძლის კიბოს განვითარებაშიც გარკვეულ როლს თამაშობს. ამიტომაც, პერსპექტივაში, ლუპეოლის გამოყენების სპექტრის საგრძნობი გაფართოებაცაა მოსალოდნელი“, — აცხადებს ენტონი იუენი.

უახლოეს ხანებში ჰონკონგელი მეცნიერები ცხოველებზე ცდების ჩატარების შემდგომ ეტაპზე გადასვლას გეგმავენ, მომავალში კი პრეპარატის კიბოთი დაავადებულ ადამიანებზე გამოცდასაც აპირებენ. ■

როგორ დავამარცხოთ ქრონიკული დაღლილობის სინდრომი

ფიზიკური და გონებრივი გამოფიტვა, თავის ტკივილი, ცუდი გუნება-განწყობილება, სიცოცხლის ხალისის დაკარგვა, უძილობა — ეს ე.წ. ქრონიკული დაღლილობის სინდრომის მაუწყებელი სიმპტომების ძირითადი ჩამონათვალია. აქვე აღვნიშნავთ, რომ სინდრომი აშკარად სახეზეა, როცა აღნიშნული მოვლენები სულ ცოტა, ერთი თვე მაინც გრძელდება.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომს უფრო ხშირად, ქალები უჩივიან, მათ შორის, ყველაზე მეტად — ახალგაზრდა კარიერისტი ქალბატონები, რომლებიც მიზანდასახულობითა და წარმატებით გამოირჩევიან. სამწუხაროდ, ისინი, არცთუ იშვიათად, ვერ ახერხებენ საკუთარი ძალების სწორად შეფასება-განსაზღვრას და ამის შედეგად, ორგანიზმი იფიტება.

თუ საკუთარ თავს დასახელებული სიმპტომები შენიშნეთ, სასწრაფოდ მიიღეთ ზომები: ძილს 8-9 სთ დაუთმეთ და აუცილებლად, კვირაში 2 დღე დაისვენეთ; აირჩიეთ სპორტის რომელიმე სახეობა და ივარჯიშეთ; მეტი ხილი და ბოსტნეული მიირთვით; მიიღეთ ორგანიზმის იმუნიტეტის გასაძლიერებული ვიტამინები ან ნაყენები. თუ ყოველივე ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო, გირჩევთ, ექიმს მიმართოთ, უმჯობესია — ფსიქოთერაპევტს. გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ, ქრონიკული დაღლილობის სინდრომს მიღმა, სერიოზული სნეულება იმალება. ■

ხელების მიხედვით დასმული დიაგნოზი

თუ ხელების რეგულარულ, ვთქვათ, თვეში ერთხელ გულმოდგინე შესწავლას წესად გაიხდით, მაშინ საკუთარი ორგანიზმის მდგომარეობის შესახებაც ყველაფერი გეცოდინებათ. ხელების კანის ფერი და მდგომარეობა, სახსრების მოქნილობა, ფრჩხილების ფორმა, ხაზებისა და ბორცვების მოხაზულობა, მგრძნობელობა და ტკივილზე რეაქცია... ეს იმ ნიშნების მხოლოდ მცირე სიაა, რომელთა მიხედვითაც ჯერ კიდევ ძველი ინდოელები უსვამდნენ დიაგნოზს თავის პაციენტებს. ამ პრაქტიკას არც თანამედროვე ექიმები უგულებელყოფენ. მათი აზრით, ადამიანის ხელები არა მარტო მემკვიდრეობითი ავადმყოფობებისადმი მიდრეკილების შესახებ არსებული ინფორმაციის უძვირფასესი წყარო, არამედ ორგანიზმის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ მოკლე ცნობების მიმწოდებელიცაა.

ფერადი მეჯამორეოზები

მიაქციეთ ყურადღება ხელისგულების ფერს

ვარდისფერი. მწვავე ვირუსული ანდა ქრონიკული დაავადებებისგან თავისუფალი, ჯანმრთელი ადამიანის ხელისგულების ბუნებრივი ფერია.

როგორ უნდა მოიქცეთ. ეცადეთ, ცხოვრების გონივრული წესით იცხოვროთ, რათა თქვენმა ხელებმა კვლავაც ერთადერთი სიგნალი — „ჯანმრთელი ხარ“ — მოგაწოდონ.

ყვითელი. დაღლილობის, სისუსტის, შარდის გამუქების თანმხლები ეს ფერი შეიძლება, ჰეპატიტ A, B, ან C-ს, ანდა შარდის ბუშტის დაავადების განვითარების დასტური იყოს. ხოლო თუ ხელისგულების გარდა, ლოყები და ფეხისგულებიც გაგიყვითლდათ (ხოლო სტაფილო და გოგრა თქვენი რაციონის ძირითადი შემადგენელია), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენს ორგანიზმს ბეტაკაროტინი „მოჰყირჭდა“. თუმცა ზოგჯერ გაყვითლებული ხელისგულები ავთვისებიანი სიმსივნის გაჩენის სიგნალიცაა.

როგორ უნდა მოიქცეთ. მიმართეთ თერაპევტს, რომელიც, თქვენი ჩივილებისა და ეჭვების მოსმენისა და პირველადი დათვალიერების შემდეგ, ანალიზების გასაკეთებლად მიმართვას მოგცემთ. ამის შემდეგ კი ან გამოკვლევების შედეგების შესაბამის მკურნალობას დაიწყებთ, ანდა საკუთარ შიშსა და ეჭვებზე გულიანად იცინებთ. და, რაღა თქმა უნდა, ცოტა ხნით ნარინჯისფერ ხილზე უარის თქმაც მოგიწევთ.

მეწამული ფითელი. ასეთ ფერს ხელისგულები ყველაზე ხშირად დიაბეტის, ღვიძლის დისფუნქციის ანდა ქიმიური მოწამვლის დროს იღებს. თუმცა თუ ქალბატონებს სიწითლე ხელისგულის ქვედა ნაწილში, გარეთა კიდის ახლოს გაგიჩნდათ, მაშინ შეიძლება, ფეხმძიმედაც იყოთ.

როგორ უნდა მოიქცეთ. ექიმის დახმარებით იკონტროლეთ სისხლში შაქრის დონე, აუცილებლობის შემთხვევაში კი რაციონიდან ტკბილი საკვებიც ამოიღეთ. შეიძლება, ზედმეტი არც სხვადასხვა გამოკვლევის, მათ შორის, ღვიძლის ბიოფსიის გაკეთება იყოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქიმიურ მოწამვლაზე ეჭვის მიტანის ყველა საფუძველი გაქვთ, ჯობს, „სასწრაფოს“ გამოძახება წამითაც აღარ გადადოთ.

ცისფერ-ჟანგისფერი. მოცისფრო-მონაცრისფრო ანდა მონაცრისფრო-მოცისფრო ფერები არისტოკრატიულობის მიმანიშნებელი კი არა, გულ-სისხლძრღვთა სისტემაში არსებული პრობლემების მაჩვენებელია. ასეთი უჩვეულო „შეფერილობა“ შეიძლება, წამლების ცუდად გადატანის, ძლიერი გადაცივების დროსაც გაჩნდეს, ანდა მოახლოებული ნერვული აშლილობის ნიშანი იყოს.

როგორ უნდა მოიქცეთ. პირველ რიგში, დამშვიდდით და ფინჯანი ჩაიც მიირთვით. ამ გზით იმაში უნდა დარწმუნდეთ, რომ გაყინვა ან ნევროპათოლოგის პაციენტობა უახლოეს ხანებში არ გემუქრებათ. გარდა ამისა, აუცილებლად ჩაიტარეთ გულისა და სისხლძარღვების კომპლექსური გამოკვლევა. ისე, ურიგო არც გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგადგამაჯანსაღებელი კურსის გავლა იქნებოდა.

მარმარილოსებური ნახატი. მსგავსი რამ სტრესის დროს მჟღავნდება და ვეგეტო-სისხლძარღვოვან სისტემაში არსებულ დარღვევებზე მიუთითებს.

როგორ უნდა მოიქცეთ. ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

 აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საagენტო
ელვა

ქ. თბილისი
თოსტბაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ცალკე დაავადება კი არა, იმ ნიშან-მინიშნებათა სინდრომია, რომლის მიხედვითაც სპეციალისტები გულთან, სისხლძარღვებსა და წნევასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების გამოთვლას შეძლებენ. ამდენად, გამოკვლევის ჩატარება აუცილებელია. და კიდევ, არამც და არამც არ უნდა ინერვიულოთ, რადგან თქვენთვის სტრესი ნელი მოქმედების ბომბია.

მტკივნეული წერტილები

ჩინელი მედიკოსების აზრით, ხელისგულის გარკვეულ ნაწილებზე დაწოლის შედეგად გამოწვეული ტკივილის შეგრძნებები შინაგანი ორგანოების მუშაობაში არსებული ნორმიდან გადახვევაზე მიანიშნებს.

- არათითისა და საჩვენებელი თითის მეორე და მესამე ფალანგებს შორის ადგილი (1, 2) მუხლის სახსრების პროექციაა. ახლო მომავალში მათ (სახსრებმა) შეიძლება, უსიამოვნებებს შეგყარონ. სახსრების შესივება და შეშუპება პოლიართრიტის ნიშანია. მიმართეთ რევმატოლოგს.
- ცერა თითი და წერტილი მის ფუძესთან, ხელისგულზე (3) სასუნთქი სისტემის ზონაა. მარჯვენა ხელის ცერა თითი — მარჯვენა ფილტვზე, ხოლო მარცხენა — მარცხენა ფილტვზე აგებს პასუხს. ამ ადგილში ტკივილსა და დაბუჟებას არაფრით წაუყრუოთ. შეეშვით მოწევას და ფლიუროგრაფია გაიკეთეთ.



- ცერა თითი და წერტილი მის ფუძესთან, ხელის ზურგის მხრიდან (4) გულის არეა. თუ ამ წერტილზე მეორე ხელის თითების მოჭერა ტკივილს იწვევს, სასწრაფოდ კარდიოლოგთან უნდა გაიქცეთ. შეიძლება, ორგანიზმი ამ გზით გულის იშემიური დაავადების დაწყების შესახებ გაფრთხილებდეთ.
- ბორცვი არათითსა და შუათითებს შორის (5) შარდ-სასქესო სისტემის მდგომარეობაზე აგებს პასუხს. ამ ადგილის ტკივილის შემთხვევაში უროლოგსა და გინეკოლოგთან ვიზიტი აღარ გადადოთ.
- ხელისგულის ცენტრი (6) ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობის წერტილ-ინდიკატორია. ამ ადგილზე დაჭერის დროს ტკივილი იმის დასტურია, რომ მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფებით. ასე ხომ ნერვულ აშლილობამდეც აღარაფერი დაგაკლდებათ! ამიტომაც ნერვებს ყველანაირად უნდა გაუფრთხილდეთ!
- ადგილი მაჯის მიდამოში, ნეკქვეშ (7) (დაახლოებით ხელისგულის ქვედა მესამედში) ნაღვლის ბუშტის ზონაა. ეჭვების გასაფანტავად ამ ორგანოს გამოკვლევას გირჩევდით. ■

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პატარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეაგროვე და აკინძე

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

ჟურნალი ჟურნალში

გზა ბილეები

28.02. – 5.03.2008



ერთ-ერთ შუქნიშანს არ დავემორჩილე და „X-5"-ს დავარტყი. ერთი „გზა" 3000 დოლარი დამიჯდა

მაშინ, როცა შუბლი უნდა მოეტრუსათ, ბა-ბახ! და ცხვარი აფეთქდა...

მეექვსე ცრემლობა

სიტუაცია

ერთ-ერთმა ალმოაჩინა, რომ ვიდრე თვითონ ახლობლების ცოლებისა და საყვარლების გაჭორვით იყო დაკავებული, მისი კავალერი სხვა ნაშას აბამდა...



ემიგრანტები



დედას უმუშავია ჯულია რობერტსის, ნიკოლ კიდმანის, ალ პაჩინოსა და ბევრი ცნობილი ვარსკვლავის ტანისამოსზე

მეექვსე მრძნობა

ხაჭაპურიჭამია ძაღლი, მაწვნის მსხვერპლი და პენისის რიგში მდგარი ციალა



მარი ჯაფარიძე

„მარი ჯაფარიძე, როგორც იურისპრუდენციაში კომპეტენტური პირი, ბრალად გდებ მილიონობით მესიჯის განსაკუთრებული სისასტიკითა და წამებით მკვლელობაში. მარი ჯაფარიძე, ცნობილი როგორც მარორიტა, „გზავნილების“ დედოფალი და ა.შ, მის კუთვნილ მობილურში მოტყუებით მისულ მესიჯებს მასობრივად „დელეთე“-ს „უშვრებოდა“. თუმცა, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, მოკლული მესიჯების პატრონების სახელით, შეიძლება გაპატიოთ, თუ: 1. დღეიდან მობილური გექნება ჩართული 24 საათის განმავლობაში; 2. არ დაიბეჭდება მესიჯები, რომლებიც შეიცავენ უნიკალური ქართული ლექსიკის დამახინჯებულ ფრაზებს, როგორიცაა — „პაკა-პაკაები“, „გატოცეები“ და ა.შ; 3. გაუქმდეს „ფოტოტესტი“, რომლითაც უდიდესი ცინიზმით გვეკაიფები გულუბრყვილო მკითხველს, როცა ფოტოს საათობით ვაშტერდებით; 4. შეიქმნას ახალი შემეცნებითი სახის რუბრიკა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ჩვენ, მგზავნელები. 5. მოვითხოვთ სიტყვის თავისუფლებასა და ოპოზიციური შინაარსის მესიჯების უცენზუროდ გაშვებას! მარიამ, არ „დამაცენზურო“. ღამურა“. ა, ბატონო, აკი ვამბობდი, ცილს მწამებენ-მეთქი? მაგრამ ნურას უკაცრავად, როგორც ოპოზიცია იფხრიწება ტყუილუბრალოდ და მთავრობა თავისას აწვება, ისე ვაწვები მეც და ვერავინ ვერაფერს დამაკლებს! 1. მობილური მთელი დღის განმავლობაში იმიტომ ვერ მექნება ჩართული, რომ ტელეფონზე ლაპარაკის მეტს ვერაფერს გავაკეთებ და „გზავნილები“ სულაც გვერდზე დამრჩება. არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ღამის 3 საათზე ვიღაცამ გამაღვიძოს და „გზა“ №25 (წინა წლის), მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი მკითხოს. 2. თუ არ დავბეჭდავ „პაკა-პაკები“-ს შემცველ მესიჯებს, მაშინ „გზავნილების“ ფურცლები ცარიელი დარჩება. 3. „ფოტოტესტის“ შესავალში მითითებულია, რომ ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში უნდა დააკვირდეთ და თუ თქვენ ჩემს შერჩეულ ფოტოს თვალს ვერ სწყვეტთ, ეს რა ჩემი ბრალია?! „ზნაჩიტ“, კარგ ფოტოებს ვარჩევ და იმიტომ (პრემიაც კი მეკუთვნის)! 4. შემეცნებით რუბრიკაში რას გულისხმობთ, ამიხსენით და კი, ბატონო, მზად ვარ, თქვენი სურვილი შევასრულო. 5. ამ კვირაში ფელამუშარა ხასიათზე იყო, არ ვიცი, მაგრამ 2 ძააალიან ვრცელი მესიჯი გამომიგზავნა და ორივე ადამიანის ექსკრემენტზე იყო აგებული. ამ მესიჯებმა ცენზურას ვერ გაუძლო და არ დავბეჭდე. ისევ თქვენს ნერვებს მოვუფრთხილდი და იმიტომ. აბა, ახლა რას იტყვით, ბატონო ღამურა? ველი თქვენს დამატებით არგუმენტებს, ცრუბრალდებებთან დაკავშირებით. ვიდრე რამეს მოიფიქრებთ, მანამდე დანარჩენი მკითხველების მესიჯები ვნახოთ.

რბილი დაშვება

„ახლა რასაც გწერთ, არა მეექვსე გრძნობას, არამედ სტიქიას ეხება. ავჭალაში ისეთი ქარი იცის, ანალოგს ვერსად იპოვით. ტორნადოსავით რომ დაუბერავს ხოლმე, მაშინ უნდა ნახოთ, ერთჯერადი და მრავალჯერადი პარკების თოვა, რომელსაც შიგადაშიგ ვიღაცის წითელი ბიკინი თუ ტოტებიანი ნიფხავი გაერევა ხოლმე. პატრონი თავის სარეცხს ველარ ცნობს, ვისი ვის თოკზე კიდია, ვერ გაიგებ. ზოგჯერ კი უგზო-უკვლოდაც ეკარგებათ. სწორედ ამ სხვისი დაკარ-

გული და მის მიერ მოხეკილი ტანსაცმლის წყალობით მოითბო ხელი მეზობლის ქალმა და „მეორადების“ მაღაზია გახსნა. ქარში თუ დააპირებ გარეთ გასვლას, „პადიეზდიდან“ არგასული, უკვე გაჩერებასთან ხარ. ამას წინათ, მეც ასეთ ქარაშოტში გავედი შინიდან, პლუს ამას, თოვლი და ყინვაც იყო. დუტას „ჯეოსელის“ გათამაშებაში ვაპირებდი დარეკვას და ბარათი უნდა მეყიდა. მაღაზიაში მისვლა მოკლე გზით გადავწყვიტე და იქვე, პატარა დაღმართზე დავეშვი. არა, უფრო სწორად, დაშვებას ვაპირებდი, მაგრამ ვინ მაცალა? ქარმა ისეთი სიმძლავრით დამიბერა, რომ შესაშური სისწრაფით დავსრიალდ-დავქანდი თავქვე და ისეთი ინერციით დავეჯახე საპირისპირო მხრიდან მომავალ ბიჭს, გააზრებაც ვერ მოვასწარი, რომ თვალის დახამხამებაში განერთხა საბრალო, მიწაზე. მე კი უფრო რბილი დაშვება მხვდა წილად, მის სხეულზე. იმ წუთას რომ ქმარს დავენახე, ოტელოდ მომევლინებოდა და დეზდემონას ბედს გავიზიარებდი. სწრაფად წამოვხტი და მთელი ხმით ვუყვირე, ქარში ხმა რომ გამეგონებინა მისთვის — მაპატიეთ-მეთქი. — რას ამბობთ, რისი ბოდიშიო! — დაზარალებულმაც მიყვირა, თან სულელური ღიმილით იფერთხავდა ტანსაცმელს — ასე სასიამოვნოდ ცხოვრებაში არ დავცემულვარ, დიდი მადლობა ქარსო. (არადა, დუტას და „ჯეოსელსო“, უნდა ეთქვა), დღეიდან ქარში ამ აღმართის ხშირი სტუმარი ვიქნები, იმედია, ოდესმე ისევ დამეჯახებით და ასე სწრაფად აღარ წამოხტებითო. აღვშფოთდი. მერე რა, რომ დავეჯახე, თავიც მაგრად ვახლეევინე მიწაზე და ტანსაცმელიც დავუსვარე? მაინც ზედმეტად თავხედობდა. ჰოდა, დავარიგე — სანამ საინფორმაციო ღრუს გააღებ, ტვინში დაგროვილი აზრების სხვა ადამიანის სასმენ ორგანოზე მისაწოდებლად, მანამდე კარგად გადაამუშავე, რას ამბობ-მეთქი. თან გავაფრთხილე, რომ ჩემთან, დენთან და ცეცხლთან თამაში არ შეიძლებოდა. P.S. მას შემდეგ სრულად ჩავწვდი იმ ანდაზის არსს — შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო. ჰოდა, იმ დაღმართით აღარ ვსარგებლობ, მით უმეტეს — ქარში. კამელია“.

საწყალი ცხვარი

„მატნელები რომ მაგარი „პრიკოლი“ ხალხია, ამას არ უნდა ლაპარაკი. ჰოდა, აწყურთან სალოცავია — თეთრი გიორგი. მატნელებმა წაიყვანეს ცხვარი დასაკლავად. სამჯერ შემოატარეს ეკლესიას ცხვარი და მაშინ, როცა შუბლი უნდა მოეტრუსათ, ბა-ბااااخ! და ცხვარი აფეთქდა. თურმე მატნიდან ცხვარი საბარგულით წამოუყვანიათ. იქ ბენზინი ყოფილა დაღვრილი და ბეწვი გაეულინთა საწყალ ცხვარს. კახელი სალომე. P.S. მატნელებო, არ გეწყინოთ. სიმართლე — სინათლეა“.

მეხუთე აკლია

„ჩემი საყვარელი კითხვა სუფრასთან იცით, რა არის? — რატომ ვუჭახუნებთ ჭიქებს ერთმანეთს? ამ კითხვით გამოცდილი თამადებიც ჩამიჭრია. :) ჰოდა, ვინაიდან ჩვენთან თითქმის ყველა პროფესიის, სოციალური ფენის, ასაკისა და სქესის წარმომადგენელი ამესიჯებს, ვფიქრობ, რომელიმე გამოცდილი თამადაც იქნება. ამიტომ, გაგანდობთ ჩემს „სამხედრო საიდუმლოს“, ოღონდ, ჩუუ, არვინ გაგვიგოს! :) მოკლედ, როცა ჭიქას ვიღებთ და სასმელს ვსვამთ, სახეზეა ოთხი გრძნობა: 1. მხედველობა. ვხედავთ სასმლის ფერს. 2. ყნოსვა. ვგრძნობთ მის სუნს. 3. შეხება. ვეხებით სასმისს. 4. გემო. ვსვამთ სასმელს. არ არის მეხუთე გრძნობა — სმენა. ჰოდა, ვუჭახუნებთ ჭიქებს და ამით თანამესუფრეს ვეუბნებით, ხუთივე გრძნობით შენთან ვარო. ახლა კი, მგზავნელებო, გთხოვთ, მოიფიქრეთ ისეთი რამ დალევის დროს, რომ მეექვსე გრძნობაც ჩავაქსოვოთ. P.S. მარ, ჩემი მესიჯები ძალიან ცოტა იბეჭდება და მგზავნელებმაც დამივიწყეს. აღარავინ მიმესიჯებს. ილინ, მგლის და, ლელუჩია, ნელკა, ჩუქჩა, პავლიკ, სესი, ლიმონა, GREEN GIRL და ა.შ. მარტო მაშინ გახსოვვართ, როცა თბილისში ვარ? გული მეტკინა. მეგრელი კანიბალკა“.

მსგავსების მსხვერპლი

„შვილმკვდარი ქალი გადამეკიდა. ამბობს, რომ მის გარდაცვლილ თემოს ვგავარ. ფოტოც მაჩვენა. ვერ ვიტყვი, ჩემი ასლია-მეთქი, მაგრამ რაღაც მსგავსება მართლაც არის. მთხოვს, მათთან სტუმრად მივიდე ხოლმე. თავს იოლად დავიხსნიდი, მაგრამ ჩემი რეპეტიტორის მეზობელია. მასწავლებლის გამოცვლა ამ წლის ბოლოს, თან უნარებში, არც ისე ადვილი საქმეა. ჩემებს ვე-

რაფერს ვეუბნები. არ მინდა, რომ ინერვიულონ. მეც უკვე აღარ შემიძლია, დაძაბული ვარ. ვისაც რჩევა ვკითხე, ყველამ გაურკვევლად თქვა, დაიკიდეო. არადა, როგორ? იქნებ მგზავნელები დამეხმარონ. ისე, შენი რჩევაც მაინტერესებდა“.

ძაღლის დაკბენილების შემოტევა

„ერთხელ დილიდან ვმორიგეობდი და უსაქმურობისგან, რომ იტყვიან, კედლებს ვაწყდებოდი. შუადღემდე ერთ პაციენტსაც არ შემოუღია განყოფილების კარი. ბოლოს ტელევიზორის ოთახში შევყიალდი. ვიფიქრე, რამეს ვუყურებ და გავერთობიმეთქი, მაგრამ როგორც სააკაშვილი იტყოდა, ნურას უკაცრავად, ვერ მომართვეს! მორიგე ბრიგადა ზღაპარს უყურებდა ბაბა-იაგაზე და პულტი დამიმალეს — თუ გინდა, უყურე, თუ არა და, სხვა არხზე არ გადაგართვევინებთო. ამის ცქერას ოცი ძაღლის დაკბენილის აცრა მირჩევნია-მეთქი, განვაცხადე და კაბინეტიდან გამოვედი. არადა, თითო დაკბენილის ჭრილობის დამუშავება-შეხვევას, საბუთების შევსებას, დიეტის შესახებ და შემდგომ აცრებზე ინფორმირებას, ვაქცინაციას და რეაქციაზე დაკვირვებას ნახევარი საათი მაინც სჭირდება. დერეფნის ბოლოს მამაკაცი შევნიშნე, დაბნეული აქეთ-იქით იყურებოდა. თქვენ ვის ეძებთმეთქი? ვკითხე. ძაღლმა მიკბინა და აცრა მინდა, გავიკეთოო. მორიგე ექიმს შევძახე კაბინეტში, ძაღლის დაკბენილი მოვიდა-მეთქი. მას ხუმრობა ეგონა და მითხრა — გაიხურე კარი, ხუმრობის ხასიათზე არ ვარო. არ ვხუმრობ-მეთქი. ჰოდა, რომ შევედით ანტირაბიულ კაბინეტში, ვეღარ გამოვედით. რიგი დადგა და გასტუმრებას ვეღარ ავუდიოდით. ზოგი მძიმე დაკბენა იყო. ექიმი ჯუჯღუნებდა, რა დაეტაკათო.

იმ დღეს კიდევ სამი პაციენტი გავგზავნე სხვა კლინიკაში. როგორც იქნა, დამთავრდა დღე. დილით სანიტარმა დამიძახა დერეფნიდან, პაციენტი გელოდებაო. კაბინეტიდან ბატონი ექიმი გამოეპასუხა, რა სჭირსო? ძაღლის დაკბენილი იქნებამეთქი, ვუპასუხე. — შენსას არ იშლიო? — მოისმა გაბრაზებული ხმა. გუშინ ორ ძაღლის დაკბენილს ველოდი და ერთი დამაკლდა-მეთქი, ვიხუმრე. ამ დროს პაციენტიც შემოვიდა და ძაღლმა მიკბინაო, რომ თქვა, ლამის მოსასულიერებელი გავხდი. ფინტიკოზა“.

ჭკვიანი გიჟები

„იცოდით, რომ გიჟები ჭკვიანებზე მეტად ჭკვიანები ყოფილან? მე ამაში ერთ-ერთმა ჟურნალმა განმანათლა. თურმე, ერთ ჩვეულებრივ ადამიანს ჰკითხეს, რა საერთო აქვს მთვარესა და ჭიქასო? მან კი ვერ უპასუხა. შემდეგ მეორე შეკითხვა დაუსვეს — ფეხსაცმელს და საწერ კალამს შორის რა მსგავსებაა? არც ეს იცოდა. როცა გიჟს იგივე ჰკითხეს, მან მაშინვე გასცა პასუხი: — ჭიქა და მთვარე ორივე ივსება, ფეხსაცმელი და კალამი — ორივე კვალს ტოვებსო. თქვენ იცოდით, მგზავნელებო? ახლა მე გკითხავთ: — რა აქვთ საერთო ბოკერიას და გივი თარგამაძეს? თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ამაზე ბევრი პასუხი მაქვს. რადგან პოლიტიკას შევეხე, მინდა გითხრათ, რომ ამ ბოლო დროს ოპოზიცია იდეებში მოიკოჭლებს. გრანდიოზულ შიმშილობას ვაწყობთო, ამბობენ. ვითომ ახალი თქვეს რამე?! მიშას მაინც ვერ აჯობებთ, გენაცვალე, ეგ 4 წელია, უგრანდიოზულესად აშიმშილებს ხალხს. მიშა „ამეებში“ თქვენზე მაგარია. კამელია“.

„ბორჯომი“ ფეხებში

„ახლობლის ბავშვი, 3 წლის ელენიკო დასვეს „გარშოკზე“. დიდხანს მოუწია ჯდომამ და უცებ ამბობს, ფეხებში „ბორჯომი“ მაქვსო. ვერაფრით მიხვდნენ, რას გულისხმობდა. თურმე, ფეხები დაუბუჟდა, ბჟუილმა „ბორჯომის“ ბოთლის გახსნა გაახსენა და ასე დაუკავშირა ერთმანეთს. P.S. იმდენი ხანია ვზივარ, ოღონდ — მაგიდასთან, რომ თუ არ ავდექი, მეც გამიჩნდება ფეხებში „ბორჯომი“. EMILY“.

„სკლანენიების“ მცოდნე

„წინა კვირას „გზავნილები“ რომ ვნახე, თვალში ერთი სიტყვა მომხვდა — „გრიობანნი პიდარასტ“. რუსულ გინებასთან ვერ ვარ კარგად, არ მესმის, რაღა... ჰოოოდა, მივუცუცქდი დედაჩემს (რუსულის მასწავლებელია) და განათლება ვთხოვეეე. — „ტეტუუუ!“ — შეკივლა, — „სად



პოლა შალიმ ჭყვანუშის მოსმენა მინდა, მაშინვე ლაპარაკს ვიწყებ.

გაიგონე?“ — ოოო, რა მნიშვნელობა აქვს, მითხარი, რას ნიშნავს-მეთქი. თან ცალი თვალით ჟურნალში ჩავიჭვრიტე... — „გზაში“ ნახე, არაო? მე, რა თქმა უნდა, უარვყავი. ის არ გეყო, მთელი კვირა იდაყვი რომ ლოკე, ახლა გინება დაიწყეო (ძველი ცოდვებიც გამიხსენა)? მოკლედ, ნახევარსაათიანი ვედრების შემდეგ, როგორც იქნა, მითხრა, მაგრამ ამჯერად მე დავრჩი გაკვირვებული. ჰმ, უყურე შენ დედაჩემს, მე მეგონა, „სკლანენიების“ მეტი არაფერი იცოდა. ილინი“.

მკვდრის ამომცნობი

„ჩემს დაქალს აქვს ერთი საოცარი ჩვეულება და უნარი, რასაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მისი მეექვსე გრძნობა: რამდენიმე კილომეტრში გრძნობს მიცვალებულის სუნს. მაგ საქმის ოსტატია. მე რომ აბსოლუტურად ვერაფერს ვგრძნობ, ის უცებ შედგება, ჰაერს შეისუნთქავს, თითს მრავალმნიშვნელოვნად ასწევს ზევით და პროფესიონალის სახით იტყვის: „2 კორპუსის იქით მიცვალებულია!“ — თან, არ არსებობს, მანძილში შეცდეს. ზუსტად გეტყვით, რამდენ მეტრშია მიცვალებული. გაოცებული ვარ, პირდაპირ, როდის დასუნა მკვდარს, რომ ასე კარგად ცნობს მის სუნს? პენსიონერი“.

მოხიბლული სადედამთილო

„მეექვსე გრძნობა მეუბნება: მიდი, მისწერე მარის, დაგიბეჭდავს აუცილებლად, გულს არ გატკენსო. :) იცი, რატომ მინდა, ეს მესიჯი რომ დამიბეჭდო? მე და ჩემმა დაქალმა ბუსიკამ გავაკეთეთ დღიურები, სადაც ჩვენს თავგადასავლებზე ვწერთ და სადაც განსაკუთრებული ადგილი ჟურნალ „გზაში“ დაბეჭდილ მესიჯებს უკავია. ამიტომ, ძალიან მინდა, ეს მესიჯიც დამიბეჭდო. მაშ ასე, დავიწყე მოყოლა იმ იმედით, რომ დამიბეჭდავ. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გადავედი ბუსიკასთან. ეზოში მეზობლის ქალები ისხდნენ, სუფთა ჰაერზე და ჭორაობდნენ. ბუსის დავუძახე და იქვე ახლოს ველოდებოდი. აჭარაში გარიგებით დაოჯახება გავრცელებული იყო და დღესაც ასეა. 30 წლის ბიჭების დედები წუხან თავიანთ ვაუებზე და გაფაციცებით ეძებენ სარძლოებს. თან, იცით, როგორებს? გოგო მაღალი, ლამაზი, პატიოსანი, განათლებული, კარგი მეოჯახე, კარგ ოჯახში აღზრდილი, მდიდარი, ერთი სიტყვით, უნაკლო უნდა იყოს. იმას კი არ ფიქრობენ, ეგებ გოგომ დაიწუნოს ბიჭი. ასე ამბობენ: „ჩემს ბიჭს რა სჭირს მაგის დასაწუნი?“ ან — „ჩემს ბიჭზე უკეთესს, ვის უნდა გაჰყვეს?“ და ა.შ. ერთი სიტყვით, ერთ-ერთი მეზობელი სარძლოს ეძებდა. დამინახა. სიმაღლით კი ვარ მაღალი, მაგრამ სილამაზისა რა მოგახსენოთ?! ვერ დავიკვეხნი, ნამდვილად. ჩემი სიმაღლით კი მოიხიბლა, მაგრამ სახეზეც ხომ აინტერესებდა, როგორი ვიყავი? ზურგით ვიდექი და ვერ მხედავდა. ციცავ, დიგინახვო, შემობრუნდიო, დამიძახა. მეც არ დავაყოვნე და დავენახვე. ნუ, გარეგნობითაც მომიხიბლავს, სადედამთილო. შემდეგ დაიწყო — ვინ არის, როგორია, სად ვცხოვრობსო და ა.შ. საბოლოოდ, სახლში ევრორემონტი გააკეთა, უახლესი ავეჯი შეიძინა. ერთი სიტყვით, ბინა გააახლა. ახლა კი ბიჭის ჩამოსვლას ელოდებიან, მოსკოვშია სამუშაოდ წასული და ალბათ ცოტა ხნით შეწყდება ჩემი ვიზიტები ბუსიკასთან. ნამდვილად არ მინდა გათხოვება, თანაც, 30 წლის ბიჭზე. რაც ყველაზე მთავარია, უსიყვარულოდ ვერასოდეს გავთხოვდები. სხვა მრავალი მიზეზიც არსებობს, მაგრამ ყველაზე მთავარი ესენი არიან... მე კი ჩემით ვცდილობ, თავიდან ავიცილო უსიამოვნება და ბუსის დედას ვუთხარი, მოატყუე, ვითომ შეყვარებული მყავს და მასზე სერიოზულადაც კი ვფიქრობ-მეთქი, მაგრამ არ გაჭრა პირველმა ცდამ — ნინო ჩემს ბიჭზე უკეთესს ვერავის გაჰყვება, ამიტომ უარი არ თქვასო, უბრძანებია სადედამთილოს. ახლა მეორის იმედად ვარ, ეგებ ბიჭმა დამიწუნოს! თუ ამანაც არ გაჭრა, მაშინ მართლა ხუმრობით ჩემს ქორწილში დაგპატიჟებთ (ღმერთმა დამიფაროს). კიკო“.

სიზმარა

„მეექვსე გრძნობაა ალბათ, რასაც სიზმარში ნახავ. ჩემმა კლასელმა, როცა სკოლაში დავდიოდით, სიზმარში ნახა და ყველას გვითხრა, ვინც ისტორიის ტურზე გავდიოდით — ერთ-ერთი საკითხი 1832 წლის შეთქმულება იქნებაო. თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა ასე მოხდა, მაგრამ სასაცილო იცით, რა იყო? იმ გოგოს გარდა ეს საკითხი ყველამ დავწერეთ. თვითონ კი გაკვირვებული გაიძახოდა — ვაა, მართლა იყო და მე არ ვიცოდიო. აი, ჩემი სიზმარი კი პირიქით ახდა. ჰოლანდიის საელჩოდან ვიზაზე პასუხს ველოდებოდი და სიზმარში ვნახე, რომ დამირეკეს, ვიზა მზად არისო. იმ დღეს მართლა დამირეკეს და მითხრეს, უარია, მობრძანდით და პასპორტი წაიღეთო. ესეც ჩემი მეექვსე გრძნობა. პაცანა“.

მზის ღმერთი

„ამას წინათ, ჩემი დაქალი „გზის“ სკანვორდს ავსებდა და მკითხა: — მზის ღმერთს რა ჰქვიაო? ვუპასუხე: — „რა“. — მზის ღმერთი,

მზისო!“ — ახლა უფრო ხმამაღლა მკითხა. მეც ერთი ტონით ხმამაღლა ვუპასუხე: — „რა!“ — „მზიიის ღმერთი“, — ახლა უკვე დამიმარცვლა და მოლოდინით მომაშტერდა. მოთმინება დავკარგე და — რაااა-მეთქი, ვუღრიალე. — შენ მართლა დაყრუვდი, გოგო თუ მეკაიფებიო? — დაეჭვებული შემეკითხა. ახლა უკვე იცის, რომ მზის ღმერთს ჰქვია რა. :)თქვენი ცხრაპარასკევა მგზავნელი, ისევ... მამაცი თოჯინა“.

თვალგაქცეული

„ჩვენს ციალას ცოტა თვალი „გაურბის“. სურათი დასჭირდა, პასპორტისთვის. მივიდა ფოტოგრაფთან, სკამზე მოკალათდა და გადაღებამდე სთხოვა: ბატონო, ამ მარჯვენა თვალს დაუკვირდით და სწორად რომ იქნება, მაშინ გადამიღეთო. ფოტოგრაფი ჯერ სიცილით ჩაბეჭერებულა, მერე კი უთქვამს: ქალბატონო, ოპერაციას ვერ გაგიკეთებთ და როგორიც ბრძანდებით, ისე გადაგიღებთო. ციალა ქუთაისის „პასილიოკის“ კოლორიტია. ლეო91“.

კულტურული სვანები

„ისე, ხალხო, იცოდეთ, რომ სვანები ყველაზე კულტურული და სანდო ხალხია. ასე რომ, მარის უსამართლობას ნუ სწამებთ (მესიჯების გამო, რა). ერთხელ მეგობრები კაფეში ვიყავით. ერთმა გურულმა ჩხუბი ატეხა და ვერავინ დააწყნარა. ჰოდა, მივიდა სვანი და წყნარად გაარჩია საქმე. თან ისე, რომ ხმისთვის არ აუწევია. ყველა გაოცდა, ეს რანაირი სვანიაო? მოკლედ, კვიციანი მაგარი კაცია. მეექვსე გრძნობა კი სიყვარულია. ჩემს „ლოვეს“ თან ვყვებოდი, ვზრუნავდი, მაგრად მიყვარდა, მაგრამ მიმატოვა და ძველ „ლოვესთან“ წავიდა. ახლა გაიგო ჩემი ფასი და დამდევს უკან, მაგრამ PK! აბა, კაცებს თავში ჭკუა აქვთ? ეჰ, რას იზამ, „გვიანია თითზე კბენა“. მიყვარხართ ყველა. მპუაა. სელენა, სვანების ფანი“.

წინადაცვეთის „ნაშთი“

„ერთხელ ჩემი ძმაკაცის ბაბუას და მის მეგობრებს ახალციხიდან ვაშლი წაუღიათ აზერბაიჯანში, გასაყიდად. ღამის გასათევად ერთ ადგილობრივ მოლას შეუფარებია და დასაძინებელი ადგილი სხვენზე მიუცია. ამათ მოშივებიათ და ვაშლი უჭამიათ, მაგრამ მაინც შიოდათ. სიბნელეში სხვენზე ხელი მოუფათურებიათ და გამხმარი ჩირი (ასე იფიქრეს) უპოვიათ ჩამოკიდებული, თან, დიდი ოდენობით. მთელი ღამე რაც ვჭამეთ, ვჭამეთ, რაც არა და, ვლეჭეთ და ვყარეთ, ზოგიც ჯიბეში ჩავიყარეთო, მერე ამბობდნენ. დილით კი აღმოჩნდა, რომ თურმე „ჩირი“ წინადაცვეთის „ნაშთი“ იყო. ელისო“.

სკოლა-ჯოჯოხეთი

„ეჰ, ჩემს სკოლაში რა ხდებაა... მასწავლებელმა გაიგო, რომ მის საგანში სხვასთან ვემზადები და ომი გამომიცხადა... როცა თოვდა, დირექტორმა გვითხრა, გაკვეთილები მე-9 კლასთან ერთად ჩაგიტარდებათ, რომ ბევრი შეშა არ დაიწვასო. წარმოიდგინეთ, 2 მასწავლებელი ერთად რომ ხსნის გაკვეთილს. ხან ერთს ვუსმენდი, ხან — მეორეს. მერე ჩემს ამხანაგს პაკლომ ფოტო გადაუღო და იმან ერთი ამბავი დააწია, სულ ჩანთა ურტყა თავში. შემოსასვლელში ისეთი ყინულია, ჯოხებით დავდივარ. შარშან ოთხმა მასწავლებელმა მოიტეხა ფეხი. ნუ, ჯოჯოხეთია, რა... აბეზარა“.

გახარებული

„ასე მგონია, ზუგდიდი თეთრ, საქორწილო კაბაში გამოპრანჭული პატარძალია, ისე ბარაქიანად მოგვითოვა... დიდთოვლობამ გზები ჩახერგა და „გზამ“ ვერ ჩამოაღწია ზუგდიდამდეო, ყველა გამყიდველი ასე მპასუხობდა და ხელცარიელს მიშვებდა. ძალიან უღიმღამო ყოფილა ხუთშაბათი, „უგზოდ“. პარასკევის დილა კი ყველაზე სასიამოვნო აღმოჩნდა, რადგან ახალგაღვიძებულს სასთუმალთან „გზა“ დამხვდა. იცის დედაჩემმა, როგორ გამახაროს. :-) წელამდე თოვლს მიაპობდა თურმე, დილაუთენია, ჩემთვის „გზა“ რომ მოეპოვებინა. :-) წინა კვირას ერთ გამყიდველ ქალს რომ ჩავაცივდი, რა უფლებით არ გაქვთ „გზა“-მეთქი, მითხრა — შვილო, ხვალ გვექნება აუცილებლად, ხუთშაბათობით გამოდისო, იმართლა თავი. ოთხშაბათი ყოფილა. :-) მეექვსე გრძნობა მეჩურჩულება (ვინ სთხოვა, რო?) ტყუილად წერ, მარი მაინც არ დაგიბეჭდავსო. :-) მაინც დავწერ, მეექვსე გრძნობის ჯინაზე! აბა, მაგას დავეჩაგვრინები? ნურას უკაცრავად!!! :-) პოეზიის დედოფალი“.

დიდი ასოები

„სკოლაში, დაგვიანებულები სიაში ვეწერებით.

ვწერთ სახელს, გვარს და კლასს! ერთი გაფითრებული გოგო უარზეა, არ დავწეროო. ნუ, დირექტორმა ბევრი ჩალიჩის და ჩხუბის მერე დაიყოლია. მივეცი ამ გოგოს კალამი. ხედავს, ერთ რიგზეა ჩამოწერილი გვარ-სახელები და მეკითხება, სად დავწეროო? სიის შუაში მივუთითე. — ჯერ სახელი თუ გვარი? — სახელი, გვარი და მამის სახელი, თანაც, დიდი ასოებით-მეთქი. არც დაეჭვებულა, დიდი ასოებით მიაწერა და გაბრუნდა. ჩავბეჟირდი სიცილით და ვეღარ გავჩერდი. ეს გოგო მომიტრიალდა და მკითხა: — „აუ, ძალიან დიდი ასოები გამომივიდა, ხომ?“ ჩორი-ჩორი“.

წინასწარმეტყველი

„მოგესალმებით ყველას. მეექვსე გრძნობა ალბათ მაქვს, თორემ აბა, როგორ ხდებოდა, რომ როცა მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, წინასწარ ვხვდებოდი, რა შემხვდებოდა გამოცდაზე. მაგალითად, ვიცოდი, რომ მათემატიკაში ლოგარითმებს მკითხავდნენ, ქართულში „მერანი“ და „დიდოსტატის მარჯვენა“ შემხვდებოდა, ინგლისურში კი — წინადადების დალაგება. ჰოდა, ვარ ახლა უფასოზე და ვხურავ მეოთხე კურსს. ჰო, კიდევ ხშირად ვხვდები, კარტის თამაშისას მოწინააღმდეგე რას ატარებს. კაი რამეა მეექვსე გრძნობა. პერფექტ“.

კარი

„ჩემი ქმრის „უსამართლო“ გადაწყვეტილების შესახებ მოგიყვებით და თქვენ განსაჯეთ, თუ რამდენად უსამართლოა იგი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სახლში რემონტს ვაკეთებდით და ერთმა კეთილისმსურველმა შემოგვთავაზა, კარ-ფანჯრის შეცვლას თუ აპირებთ, ძალიან კარგ ხელოსანთან დაგაკავშირებთო. მოგვცა ნომერი, დავრეკეთ ხის საამქროს შეფთან (შეფი ქალბატონი აღმოჩნდა), შევჩივლეთ ჩვენი გასაჭირი. მოვიდნენ, აიღეს ზომები, ამა და ამ დროს კარს მოგიტანთო, შეგვპირდნენ და წავიდნენ. იმ დღიდან დაიწყო, რაც დაიწყო. ქალბატონი შეფი ხშირ-ხშირად მირეკავდა და ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდებოდა. ჰო, შიგადაშიგ კარზეც ჩამომიგდებდა ხოლმე სიტყვას. თუ ტელეფონით ვერ მიკავშირდებოდა, მაშინ არც მოსვლაზე მზარდებოდა. მოვიდა დათქმული დღე, დილიდან ველოდებით კარს. ამ დროს მირეკავს ქალბატონი შეფი: — შემოგევლე, ახლა ჩემი ბიჭები მოვლენ და შენი კარის ზომებს თავიდან აიღებენო. გამიკვირდა, კარი არ დაგიმზადებიათ ჯერ-მეთქი? — კარი მზადაა, გენაცვალე, მაგრამ თავს ვიზღვევთ, რაიმე უზუსტობა არ გაგვეპარო-სო. ცოტა კი გაგვიკვირდა მე და ჩემს მეუღლეს, მაგრამ ვიფიქრეთ, ალბად ასეა საჭირო-თქო. დავთანხმდით ხელახალი ზომების აღებაზე და აი, მანდ დავუშვით შეცდომა. იმ დღიდან, კვირაში ერთხელ მოდიოდნენ ხელოსნები ბოსის თანხლებით და იღებდნენ კარის ზომას. შიგადაშიგ კარიც მოჰქონდათ (აშკარად სხვისი) და გულმოდგინედ ცდილობდნენ, ხან დიდი და ხან პატარა კარის ჩვენი კარის ჭრილში მოთავსებას. ვამჩნევდი, ყოველ მოსვლაზე როგორ ეცვლებოდა ჩემს მეუღლეს სახის გამომეტყველება. ისიც შევამჩნიე, რომ ყოველ მოსვლაზე ხელოსნები იცვლებოდნენ (ძველები აშკარად გაურბოდნენ ჩვენთან შეხვედრას). ამ ხელოსნების გადამკიდე, მთელი ზაფხული თბილისში გავატარეთ. ზაფხულის მიწურულს, ერთ მშვენიერ დღეს,

ხოო!

„მამაჩემის ძმაკაცია ერთი, ნუგზარი. „რუსის“ ჯარში მსახურობდა. საშინლად არ უყვარდა წერილების წერა და სულ ემდურიოდნენ. ჰოდა, ერთმა მეზობელმა თელავიდან ნ-გვერდიანი წერილი მისწერა. „ნუგზარ, გახსოვს, ალაზანზე რომ ვიყავით? მერე შუამთაში რომ დავთვერით? ისიც გახსოვს, ნადიკვარზე...“ და ასე შემდეგ, კითხვების კორიანტელი. ნუგზარისგან წერილი მოვიდა(?!). სასწაული! გულის ფანცქალით გახსნეს კონვერტი და... შიგ მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „ხოო!“ აბა, მე კი არ მგავდა. კახელი სალომე“.



ოჯახი ყველაფერს ცვლის. ვიდრე დაოჯახდები, ყარგად დაფიქრდი, „ყველაფერი“ გრჩევნია თუ ოჯახი.

გამოგვეცხადა პირტიტველა ჭაბუკი, „შლოპანცებით“ და შორტებით, ხელში ე.წ. „რულეტკით“ და მოკრძალებულად გვთხოვა, თუ შეიძლება, კარის ზომას ავიღებო. ეს იყო უკვე კულმინაციااااა და ჩემს ქმარს უკვე ნერვებმა უმტყუნა. ეცა იმ საცოდავს, შემოათრია სახლში, დააგდო დივანზე და უთხრა: — მე შენი აქედან გამშვები არ ვარ, ა, შენ 1 ბლოკი სიგარეტი, ა, სასმელ-საჭმლით სავსე მაცივარი. მე მივდივარ, შენ აქ ეგდე და ისიამოვნე, ვიდრე კარს არ მომიტანენო. თუ გნებავთ, დაარქვით ამ გადაწყვეტილებას უსამართლო, მაგრამ ფაქტია, რომ მე დღეს ზუსტად ისეთი კარი მაქვს, როგორზეც ვოცნებობდი. „ვოტ ტაკ“! მუტანტის ცოლი“.

მოხუცთა მფარველი

„ზოგიერთებს მიზნად მოხუცთა დახმარება დაუსახავთ. მომწონს. თუმცა, მე რა მაქვს სათქმელი? გუშინწინ რეპეტიტორთან ფეხით მივიჩქაროდი. მოხუცი დავინახე, რომელიც მძიმე ტვირთს მიათრევდა. მივეხმარები, მადლია-მეთქი, მტკიცედ გავივლე გულში. მოხუცს თავს დავაცხერი და დახმარება შევთავაზე (ყურსაცვამები მეკეთა და როგორც ჩანს, ზედმეტად ომახიანად მომივიდა). ალბათ ჩემი ფიზიონომიით ბებომ მაშველს ვერ მიმამსგავსა ან ფრაზა წარმოვთქვი არადამაჯერებლად. დაფეთებულმა ქალმა იფიქრა, წართმევა უნდაო და ხელები გაასავსავა: რას ამბობ, ბებო, მაგაზე როგორ შეგაწუხებო, ამოთქვა საწყალმა. თან თვალების ცეცება დაიწყო (ალბათ პატრულს ეძებდა). — რას ამბობთ, რა შეწუხებაა-მეთქი? შევეწინააღმდეგე უფრო ხმამაღლა. საცოდავმა ქალმა ელვის უსწრაფესად სტაცა თავის ჩანტებს ხელი და მისი ასაკისთვის შესაშური სისწრაფით გადაარბენინა ქუჩის მეორე მხარეს. — კარგად, ბებო-მეთქი, დავყივლე საკუთარი „სიკეთით“ კმაყოფილმა. ვაარ თუ არა, ნამდვილი ჯენტლმენი? მაგრამ არა უშავს, მთავარია მონდომება. თუ გული გულობს, ჩიფსი ორი ხელით იჭმებაო, უთქვამს ძია ლეოს. ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი... ჯენტლმენტიმიტატორი, ლეო91“.

პენისის რიგში

„ერთი სვანი მეზობელი მყავს. ჰოდა, ერთ დღეს მოწყენილი სახით მოვიდა და გულდაწყვეტით თქვა: — მთელი დღე პენ- ისის რიგში ვიდექი და არ შემხვდაო. — სად, სადო? ჩაეკითხნენ გაოცებული მეზობლები. — რა ვერ გაიგეთ, ხალხო, სად და პენ-ისის რიგში — დაუმარცვლა ციალამ, — ყველას შეხვდა, ჩემ გარდაო. რაღა ბევრი გავაგრძელო და ჩვენს სვანს პენისის თქმა უნდოდა“.

იღბალა

„მამაჩემმა „გზა“ წამართვა, ეგ ჩემი ნაყიდია და ჯერ მე უნდა წავიკითხოო. გაბრაზებული გარეთ გავვარდი, დავქოქე ჩემი „მოსკვიჩი“ და წავედი ქუთაისში. სულ 100-ით ვიარე. ერთ-ერთ შუქნიშანს არ დავემორჩილე და „X-5“-ს დავარტყი. ერთი „გზა“ სამი ათასი დოლარი დამიჯდა. გასაოცარი ის იყო, რომ იმ მანქანას გოგო მართავდა. ახლა მის პალატაში ვარ და „კლინიკურის“ „გზავნილებს“ ვკითხულობ. აუ, რა ლამაზი გოგოა, იცი, მარი? თანაც, ჯაფარიძეა. 20 წლისაა, მე კი 21-ის. მისმა მშობლებმა მოილაპარაკეს, რომ გამოჯანმრთელდება, ცოლად გაგაყოლებთო. ვაუ!“

ქვეშაფსია

„განა უსამართლო გადაწყვეტილება არაა, მეორეკლასელ ბავშვს ტუალეტში რომ არ გაუშვებს მასწავლებელი? ჰოდა, ერთ დღეს, როცა მეორე კლასში ვიყავი, სოფო მასწავლებელს ვთხოვე, საჭირო ოთახში გავეშვი. მან კი უარი მითხრა და თან დაფასთან გამიძახა. ჰოდა, ვერ მოვითმინე და შუა კლასში გავუშვი. უკვე X კლასში ვართ და ბავშვები დღესაც დამცინიან. ქეთიშა“.

შეშლილი „ვიკროიკა“

„მეექვსე, ხომ? ეგ არ უხსენოთ დედაჩემს, თორემ მაშინვე იტყვის, ჩემს შვილს 5 ძირითადიც არ უვარგა და რომელი მეექვსეო? ყურები მიხატული გაქვსო, ისე მეჩხუბებიან, თითქოს ჩემი ბრალი იყოს. ჯერ „ვიკროიკა“ რომ შეეშალათ და ბიჭის მაგივრად გოგო ვარ, ისიც ეყოთ! ნუ მიმახატავდნენ, ბატონო, და მექნებოდა მიბმული! უგრძნობი ხარო! ერთხელ, სოფელში „გზავნილებს“ ვკითხულობდი და გახურებულ ღუმელზე დავჯექი. მას მერე გამიტყდა სახელი. სახლში არაფერს მავალებენ, თუ რამეა მოსაძებნი. ცხვირწინ რომ ედოს, ვერ ხედავსო... ერთი ცხვირ-პირიღა მაქვს წეს-

რიგში. ააახლა გედეევეით მეექვსე გრძნობაზე... რომ გითხრათ, მიწისძვრა-უბედურების მოსვლას ძაღლკატასავით ვგრძნობ-მეთქი, იმხელა ტყუილი გამომივა, „გზის“ ფურცლები ვერ დაიტევს. არაფერს ვგრძნობ, არააფეეერს! ისე კი კარგი წინათგრძნობით გწერ და იმედია, დამიბეჭდავ. თუ არ გამართლდა ეს წინათგრძნობა, მეექვსე გრძნობის წრეკას თავს დავანებებ და ხვალვე მივალ „პროფილაქტიკაში“, იმ 5 ძირითადის შესაკეთებლად! P.S. ზმიზმი დაბრუნდა და საა

და კიდევ, თუ შეიძლება, აღვნიშნო, რომ სესი, დუჩი, ლელუჩია, იკჩო-სიხჩო, ლორელაი, სევდიანი, მგელო, ვერმახტი, კამელია, მამაცი თოჯინა... მაგრები არიან, მაგრამ ლიმონა სულ სხვაااა. ჩორი-ჩორი. ეეჰჰჰ“...

„იცით, „გზავნილებს“ ხშირად ვკითხულობ. ხშირად ერთსა და იმავეს 9-ჯერაც კი გადავიკითხავ ხოლმე. მიყვარს და რა ვქნა? ;) არასდროს დამიმესიჯებია, მაგრამ ახლა მომინდა... უბრალოდ, მაინტერესებს, დაიბეჭდება თუ არა ჩემი მესიჯი. თემა არ მახსოვს, რა არის, მაგრამ მე ხომ იმისთვის დავამესიჯე, რომ უბრალოდ, მიყვარხართ. :) მონასტერში მივდივარ და იმედია, ხუთშაბათს „გზაში“ ჩემს მესიჯს ვნახავ. :) გკოცნით და გეხვევით, თქვენი ბაჩა“.

„რამდენიმე თვის წინ ბებიაჩემმა სათვალე იყიდა. ეს სათვალე იკეცება ცხვირთან, თვალებთან, ყურებთან და ბოლოს რჩება ნეკა თითისხელა. ჰოოოდა, ამ სათვალეს ძაან საყვარლობა ჩასადები ჰქონდა, რომელსაც ყიდვისთანავე დავადგი თვალი. ბებოს რომ ვუთხარი, მომეციმეთქი — ბებო გენაცვალოს, ეს სათვალე რომ გაფუჭდება და ბუდე აღარ დასჭირდება, მერე მოგცემო. ეს პასუხი რაღაც, არ მესიამოვნა და ცოტა ფიქრის მერე გადაწყვეტილებაც მივიღე. სურვილის ასასრულებლად, სათვალის უდროოდ დაზიანება გადავწყვიტე და „სახსრებში“ „ვინტები“ ამოვაყრევინე. ბებოს ეჭვიც არ აუღია ჩემზე. ბუდე მე გადმომცა და სათვალის გამომშვებს გულზე დააყარა შავი მიწა. მესიჯომანი“.

„ძალიან მაგარ ხასიათზე ვარ! დღეს ყველაზე მშვენიერი კომპლიმენტი მივიღე. თანაც, ვისგან? ჩემი სათაყვანებელი და უსაყვარლესი ლექტორისგან. მეორე სახელი ელა მქვია და მკითხა, შენი სახელის წარმოშობის ისტორია ტროას მშვენიერი ელენეს სახელს რომ უკავშირდება, იციო? კი-მეთქი. კარგია, გენაცვალე, სახელს ნამდვილად ამართლებო. გეთაყვანებით, ბატონო გ...! ქედს ვიხრი თქვენ წინაშე! ილინ, ჩემო კარგო, შენც ელენე გქვია, ხომ? ჰოდა, დაველოდოთ, როდის დაიწყება ჩვენი მიზეზით ომი. ნიღბოსანი“.

„რამდენიმე წლის წინ, როცა გაუფერულდა ჩემთვის სამყარო, როცა ტკივილი, იმედგაცრუება და მარტოობა გახდა ჩემი მეგზური, მაშინ პირველად, სულ შემთხვევით გადავშალე ჟურნალი „გზა“, გადავშალე, შევიყვარე და ყველა ნომერს ჩემს ოთახში მივუჩინე ადგილი. რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები ჩემს სამართლიან გადაწყვეტილებაში. უსამართლოდ კი ამ ჟურნალში არდამესიჯებას მივიჩნევ. გპირდებით, ყოველთვის დავამესიჯებ ამ დიდ ოჯახში, სადაც სითბო, სიყვარული და თანადგომაა. იმედი მაქვს, ჩემი მესიჯებისთვისაც გამოძებნით პატარა ადგილს. ყველანი მიყვარხართ. ნამი“.

„ამ ხუთშაბათს „გზის“ ძებნაში მთელი ბათუმი მოვიარე. რა დაგიკარგავს, რას ეძებ? თურმე ყველაფერი თოვლის ბრალია! მარტო ჩვენი მესიჯები კი არა, მთელი „გზა“ გაიყინა 2 დღით და შაბათს ძლივს ვიშოვე. მარი, კიდო კაი, ერთი მესიჯი მაინც დაგიბეჭდავს. ისე, ყოველთვის ვგრძნობ, რომელს დამიბეჭდავ, მაგრამ სისულელეების წერას მაინც ვერ ვეშვები. აბლახანუმი“.

„ძალიან მინდა, ბათუმელი მგზავნელები შევკრიბო და გთხოვ, აუცილებლად დამიბეჭდე. შაბათს, 2 საათზე, ერას მოედანზე, საათთან გელოდებით ყველას და იმედია, ამჯერად აღარ დაგვაღალატებთ მე და ვერმახტს. ლელუჩია“.

„გადავწყვიტე, თქვენთან აღარასდროს დამემესიჯებინა, რადგან ამდენი მესიჯიდან ჯერ არც ერთი არ დამიბეჭდა მარიმ და ჩემი თავი ჯერ ვერ გავაცანი მგზავნელებს. გადავწყვიტე, მარის ნომერი საერთოდ ამომეშალა, მაგრამ მაინც ვერ გავიმეტე. გაუმართლებელი“.

„როცა პარასკევი დილაა და ჯერ კიდევ არ გაქვს „გზის“ ახალი ნომერი, ეს ცუდია, თან ძაან ცუდი, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია. ათასობით ადამიანმა ხომ უკვე წაიკითხა „გზა“, შენ კი ეს სიამოვნება ჯერ კიდევ წინ გაქვს. თაისი“.

„ერთმა ბიჭმა დამიმესიჯა, გამიცნო და თავი შემაყვარა. მერე მითხრა, ვკვდები და დამივიწყეო. შემეცოდა და ვუთხარი, მიყვარხარ და არ მიგატოვებ-მეთქი. ცოტა ხნის წინ კი მესიჯით შემატყობინა, ერთად ვერ ვიქნებით, ცოლიანი ვარ და მაპატიეო. ხიპიშა“.

„მეექვსე გრძნობა? ამ გრძნობას ქალურ ინტუიციას დავარქმევდი, რაც მე საერთოდ არ გამაჩნია.

ბავშვში ხარ, თუ ნეშისძიერ შაჰზე ბავლი ოჯახსოხებ.

შეიძლება კარგიც კი არის, ამ გრძნობის არქონა. მარი, მე დავბრუნდი, მაგრამ ნიკი შევიცვალე, გარკვეული მიზეზის გამო. ანიკა“.

„გაჩერებაზე ვიდექი. იქვე მდგომმა ქალმა ტელეფონით სადღაც დარეკა და ყვირილით ალაპარაკდა: — მაია, გოგო, „მარშრუტკაში“ „ბუმაჟნიკი“ ამომაცალეს, ფული, პირადობა, „პრავა“, საკრედიტო ბარათები, ყველაფერი იქ მქონდა, ჰოდა, ქალო, ლალის ნომერი მომწერე, ალბათ ისიც იქ მედო და დავკარგეო. გასაკვირი ისაა, რომ აღფრთოვანებული, გაბრწყინებული და გაღიმებული ჰყვებოდა ამას. გაძარცვა ასე თუ გაახარებდა... ალბათ, ესეც ნერვების ბრალია. ჩორი-ჩორი“.

„ეჰ, მარი, მარი... ახლა ნამდვილად მივხდი, ეტყობა, კარგ მესიჯებს ვერ ვგზავნი, თორემ რით დავიმსახურებდი შენს გულისწყრომას? :(არა, არა, არ გეგონოს, რომ გსაყვედურობ. ყველაზე მეტად მაგას ვერ ვიტან, გსაყვედურობენ ხოლმე, მაგრამ ახლა მეც ვიწვნიე და რაღას ვიზამ? :) ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, შემოგევლე? შენი თაფლაკვერა“.

„თემამ დამაბნია. არაფერი განსაკუთრებული არ მახსენდება. ალბათ უნიჭო ვარ სიყვარულში. თუმცა, იქნებ სულაც არ არსებობს ეს თქვენი სიყვარული? ბევრი გამკიცხავს, ბევრი გაიცინებს, მაგრამ ჩემთვის სიყვარული ვნებაა. ვნება და ლტოლვა საპირისპირო სქესისადმი, როცა მხოლოდ ხორციელი გრძნობა გამოძრავებს. სიყვარული ფარსია და მეტი არაფერი. სიყვარული საკუთარი თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. ევას სიყვარულმა აცდუნა ადამიანი, ტროაც სიყვარულმა გაანადგურა, ლაშა-გიორგი სიყვარულმა მოკლა, როგორც მეფე. სიყვარულმა დაღუპა მილიონობით ადამიანი. ყოველივე ამის შემდეგ, ღირს კი, სიყვარული? ღამურა“.

„მოკლედ, ბოხოზე ვგიჟდები, რა! მის ფან-კლუბში გამაწევრეთ, თუ შეიძლება. საერთოდ, ყველანი მიყვარხართ, ყოველთვის გელოდებით და უუუუერთგულესი ვარ. ჩემი მეექვსე გრძნობა არის სწრაფვა „გზის“ მოსაპოვებლად. გკოცნით და არ ვიცი, უთქვენოდ ხუთშაბათ დღეს რა გადამატანინებდა. თქვენგან გამეექვსეგრძნობებული, ათი-ნათი“.

„აფერისტი ვინც აკადრა ჩვენს საყვარელ მარიკუნას, მის ადგილას ახლა ყოფნა, ჩემმა მტერმაც არ ისურვა! მგზავნელები „ავშხფოთდებით“ და გავმართავთ მიტინგებს, დედოფალს ვინც გაგვილანძღავს, მკაცრად დავსჯით იმ ტიპებს. სანამ ბოდიშს არ მოიხდის, არ შევწყვიტავთ აქციას, ნეტავ ეს ვინ გაგვიბედა, ქალია თუ კაცია? ჩვენი თუ არ შეეშინდა, ბოხოზე არ იფიქრა? ციხეში რომ ეკრა თავი, ცილისწამებისთვისა. მინდა ვუთხრა: — უკაცრავად, აფერისტებს თუ ეძებთ, „გზაში“ მასეთების პოვნას, რომც ეცადოთ, ვერ შეძლებთ. უხეშობა არ მინდოდა, მხოლოდ ცოტა ვიბრაზე, მარი ყველაზე კარგია, მთელ ჩვენს დედამიწაზე! P.S. ალბათ იცით, ჩვენი ბოხო თოვლში როცა ჩაგვირჩა, მიხვდა, სტიქიასთან ბრძოლა, ნერვების შლად არ ღირდა. მუხლისთავებს დააცქერდა, მგზავნელებზე ჩაფიქრდა, ჩრდილო-დასავლეთიდან, ჩახუტებას დაგვპირდა. კამელია“.

„ჰოოდა, რა უნდა მეთქვა. მგონი, გალღვა ჩემი გული და ვინცხა მიყვარდება. ნუ, ამ ზამთარმა როგორ იცის ხოლმე, ჩემი გაყინვა, მაგრამ ახლა ვერ მოახერხა. რაც კი გრძნობა მაქვს, 1, 2, 3, 4, 5, 6 თუ 9, ყველა ერთ ადამიანს ეკუთვნის. ჩემო ცისფერთვალებავ, მგონი, მიყვარხარ! ეს ჰო და კიიდო, პავლიკას უნდა ვუთხრა, რომ ნუ დამიფხაჭნა უბნის ქუჩები აქ სიარულით, თორემ... პუკიიი, მიკალქალ. აუ, პენსიონერი და ლორელაი გავიცანი. დაცემა და „დაზღერთება“ ხალხია. სევდიანო, გამოჩნდი, ოლეგარიო, შენ სადღა ხარ? ბოხო, ძაან მაგა(დ)ი ხარ, იმდენი ვიცინე დუდუნა წვიმაზე, როოო... GREEN GIRL და გველი-16 სად არიან, ნეტავ? ნელკაააა, გამოჩნდი! ლანკა, რა გინდა, ქალო, სოფელში? ყველა მიყვარხართ. სესი“.

„მეექვსე გრძნობაა თუ მეთვრამეტე, არ ვიცი, მაგრამ როცა ვინმე მიყურებს და მე ვერ ვხედავ, კეფა მეწვება მაგრად და ვინც მიყურებს, მაშინვე შევხედავ ხოლმე. ფელამუშა“.

„მარ, წუხელ დედაჩემმა, იცი, რა მიქნა? მთელი ღამე ტირილში გამათენებინა. საქმის ვითარება შემდეგია: დედიკო ადრე დაწვა დასაძინებლად. მოგვიანებით მეც შევედი და ჩვეულებისამებრ, ძილის წინ ვაკოცე. ის არც განძრეულა, თან ცივიც მომეჩვენა და ინსტინქტურად, კანკალი დავიწყე და ცრემლები წვიმასავით წამომივიდა. თან მთელ ხმაზე ვყვიროდი — დედიკო-მეთქი. მერე დავიჩოქე მის წინ და საბანი გადავხადე. უკვე მეგონა, რომ დედიკო აღარ მყავდა. მერე ღმერთს შევთხოვე, დედა მიცოცხლე-მეთქი. უცებ დედიკომ წამოყო თავი და მითხრა — ხომ მაგრად შეგაშინე, გეგონა, მოვკვდიო? კარგა ხანს გიჟივით, ხან ვიცინოდი, ხან — ვტიროდი. მერე ლოგინში ჩავწექი და დაახლოებით 3-4 საათის განმავლობაში მაკანკალებდა და ცრემლებს ვერ ვიკავებდი. თან არ მინდოდა, დედიკოს გაეგო... ახლა კიდევ უფრო დავრწმუნდი, რა არანორმალურად მიყვარს დედაჩემი. ღმერთს ვთხოვ, იქამდე არ

მაცოცხლოს, როცა დედიკო სამუდამოდ დახუჭავს თვალებს. მეშინია. დეე, გთხოვ, ასე აღარასდროს მოიქცე, თორემ მოვკვდები, გეფიცები. კანიბალკა“.

„ახლა ვარ ჭიათურის ერთ-ერთ სოფელში. აქ ისეთი ქარია, მიაქვს ყველაფერი და თოვს, გადაუღებლად. ამხელა თოვლი ცხოვრებაში პირველად ვნახე. უკვე 4-ჯერ დავეცი. 3 თოვლის ბაბუა მაქვს აშენებული და როცა ქარი ჩადგება, მეოთხესაც ავაშენებ. მოკლედ, ჩემზეა ნათქვამი, უნახავმა რა ნახაო. მის ბელურა“.

„ტრაფარეტებს ცვლიდნენ გურჯაანში. ჰოდა, ძირკოზეც (სოფელია) მიდგა საქმე. „ძირკ“ აქვთ დაწერილი. მივიდნენ ძირკოკელები და ჰკითხეს: ისევ ძირკოკი უნდა დააწეროთო? არა, ახლა ტოკიოს დაგიწერთო, უპასუხა გაბრაზებულმა კაცმა ძირკოკელებმა კი ის კაცი, მაგრად სცემეს. :) კიდევ იცით, რა საინტერესო წარწერა აქვთ მაღაზიაზე გაკრული? 2 „პონჩიკი“ 20 თეთრი. ხომ მაგარია? მის რეალი, თელავი“.

„მეექვსე გრძნობაა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ რასაც ვიტყვი ან გავიფიქრებ, ზუსტად ისე მიხდება ყველაფერი. შიშით ვეღარ ვეხუმრები ვერავის. მერე ჰგონიათ, ეშმაკზე სულმიყიდული ვარ. ჰოოდა, ახლა, როცა ჩემი დედამთილი ავადმყოფობს, ისევ რაღაცის მოლოდინშია ჩემი გული. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობია და, კი დავისვენებ! ყველა „დედიკო“ ერთნაირი ქოფაკია! მგონი, თემას გადავუხვიე. რა ვქნა, მე ჩემი მტკივა. :) გული მიგრძნობს, მალე მე და ჩემი ქმარი მარტონი ვიცხოვრებთ. ანტალია“.

„ვააჰ, მარი, რას მიშვრები, ქალო, შენ, ჰაა? კი გითხარი, აწი არასოდეს შეგეხვეწები, დამიბეჭდე-მეთქი და ასეც ვაკეთებ, მაგრამ სინდისიც კაი საქონელია, ჩემო კარგო. როგორ ვიფიქრო, რომ ჩემი გზავნილები უინტერესოა? მდაა, უკვე ეჭვი შემეპარა საკუთარ თავში და არა მარტო მე... სხვებიც არიან ამ სიაში. :-) ნუ, რადგან ასე ამბობ... ლიმონა“.

„მეექვსე გრძნობის სრულუფლებიანი მფლობელი გახლავართ, ხალხო. თუ გინდათ, გეტყვით იმას, რომ ახლა თქვენ ჩემს საყვარელ ჟურნალს კითხულობთ და ბოლო სიტყვა, რომელიც ახლა წაიკითხეთ, არის „არის“. აბა? „ვოტ!“ გიჟი მოცეკვავე“.

„გზაში“ დაბეჭდილ მესიჯებს, რა წაშლის დახევის მეტი? „გზაში“ გაგზავნილ „პრიკოლებს“, ვინ დაბეჭდს, მარიკოს მეტი? „გზავნილებს“ ყველა კითხულობს, გვაკრიტიკებენ, გვლოცავენ, თუ მარი ჩარჩოს გვაღირსებს, სიხარულითაც მოსთქვამენ. გადის კვირები, თვეები, მეექვსე გრძნობაც გამიჩნდა, ხუთშაბათს „გზას“ რომ ვიყიდი, მე სხვა დღეები რად მინდა? ვგზავნი და ვგზავნი მესიჯებს, გზა კი აქვთ, დიდად სავალი, მგზავნელებს, სვანებს, კახელებს, ყველას მუდმივი სალამი. კახელ ბიცოლა სალომეს მოკითხვა. :) მის რეალი, თელავი“.

„მარი, ძალიან მიყვარხარ. არ მეგონა, ცილი რომ დაგწამე, მაგის გამო პირველივე მესიჯით, საქვეყნოდ გამომიყვანდი. არა უშავრს რა, ავიტან. ახლა კიდევ, რაღაც პატარა კურიოზი შემემთხვა. დედა გარეთ მიდიოდა და „გზა“ დავაბარე. რომ დაბრუნდა, სხვა ჟურნალი მომიტანა. საყვედური რომ ვუთხარი, ჩხუბი დაიწყო და შენც გადმოგწვდა — მთელ საქართველოს თავგზას უბნევსო“.

„იცი, მარ? თავი ვალდებულად ჩავთვალე, მომეწერა. წლებია, „გზას“ ვკითხულობ და არ მომიწერია. გიკვირთ, ხომ? განა იმაზე დიდი ბედნიერება რაა, შენს მესიჯს რომ მთელი საქართველო წაიკითხავს (რახან მივხვდი!). ვხვდები, რომ ჩემი გულის კარი გაგიღიათ და ისე შემოპარულხართ, ისე შეგიყვარებიათ თავი ჩემთვის, ვერც კი გამიგია. არ ვიცი, რამდენად მოგეწონებით, მაგრამ ვნახოთ... სანამ ეს მესიჯი თქვენამდე მოვა, ჯერ მარის მოწონება უნდა დავიმსახურო. მაარ, გთხოოვ, რაა (მაგრამ არა, თხოვნის უფლება არ მაქვს, მე ხომ პირველად გეხმიანებით.). აუ, გჯერათ? ნიკზე ახლა ვფიქრობ, რა დავირქვა-მეთქი. მოვიფიქრეე... ბევომენ“.

„არ ჩამოვთვლი, მაგრამ ყველა ძველ მგზავნელს ვეხუტები გულში! თქვენს აქ ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს! გენაცვალეთ! აწი მეც დავიბრტყელებ თითებს წერით. გრუზინი“.

„ერთხელ ქუჩაში კაცი და ქალი ჩხუბობდნენ და თან ხაჭაპურებს ჭამდნენ. უცებ ქალს ფეხი აუსრიალდა ყინულზე და ეს 200-კილოიანი ქალი არ გადაფრინდა და არ დაეტყეპა მიწაზე? ამ დროს გაუვარდა ხაჭაპური. ეს დაინახა თუ არა მეზობლის ძაღლმა, გავარდა და იმ „მფრინავ“ ქალბატონს ზრდილობიანად მოჰპარა ხაჭაპური. აი, ასე მოიქცა ხაჭაპურიჭამია ძაღლი“.

ძვირფასო მგზავნელებო, მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ — სასაცილო ამბავი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61. ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა „მოკლე ჩართვისთვის“ — როდის ვარ ღიღინის ხასიათზე? ●

დაალაგეთ ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და ამოირჩიეთ ნივთი, რომელსაც ამ ნატურმორტიდან აიღებდი. შემდეგ ტესტის პასუხებს გაეცანი.

1. თუ ჩიბუხს დაისაკუთრებდი, სავარაუდოა, რომ სიძველეების მოყვარული ადამიანი ხარ და სხვადასხვა ნივთის შეგროვებით ხარ გატაცებული. თუ მამაკაცი ხარ, ალბათ უცოლო ხარ და თანაც, უფროსი ასაკის ქალები მოგწონს. თუ ქალბატონი – დარწმუნებული ვარ, რომ შენი გარდერობი მუდამ სავსეა დიდი ხნის წინ ნაყიდი, ჯარგად შენახული ტანისამოსით. პატივს სცემ ტრადიციებსა და ოჯახურ რელიკვიებს.

2. თუ ბროწეულს ან ყივის აირჩევდი, შესაძლოა, ფოტოტესტის ყითხვის დროს მშიერი ხარ და მხოლოდ საჭმელზე ფიქრობ. შენი არჩევანი შესაძლოა, რომანტიკულ ბუნებაზეც მეტყველებდეს. ახლა სწორედ შენი დროა, რადგან გაზაფხული მოდის. ეს რომანტიკოსთა სულის ფორიაქის პერიოდია.

3. თუ სასმლით სავსე ბოთლს აირჩევ, სავარაუდოა, რომ ალკოჰოლთან დიდი მეგობრობა გაკავშირებს. ალბათ ახლაც ნაბახუსევი ხარ და გგონია, „ვეჩეროვკა" გიშველის, მაგრამ სულ ტყუილად გაქვს იმედი, რადგან „პახმელიას" თავს მაგით ვერ დააღწევ. მახსოვს, ამბობდნენ, თუ დილით, უზმოზე ერთ სუფრის ყოვზ „ვეჩეროვკას" დალევ, თირკმლის დაავადებას შველისო.

4. თუ ზანდუკსა და მასში მოთავსებულ სამკაულებს აირჩევ, ალბათ ოპტიმისტი ხარ. ფიქრობ, რომ შიგნით გაცილებით ძვირფასი სამკაულები აწყვია, ვიდრე ფოტოზე ჩანს. ან იქნებ შენი წინაპრები მეკობრეები იყვნენ და მიგაჩნია, რომ ეს სწორედ ის განძია, რომელიც მათ ბრძოლით მოიპოვეს, მაგრამ გაურკვეველ ვითარებაში ისევ დაკარგეს.

5. თუ კალამს აირჩევ, ალბათ წერაკითხვის ოსტატი ხარ და ეს ნივთი შენთვის ყველაზე ძვირფასია. თუ ასეა, გილოცავ! რას? ამას „გზავნილების" 30-ე გვერდზე გაიგებ.

რუსული პონტები „მატრიოშკაში“, ქართული ქეიფი „ფორტუნაში“

და ევროპული ძიგძიგი – „პიკნიკში“

სიყვარული რომ მაგარი „ვეშია“, ეს ყველამ ჯარგად იცის. ჰოდა, ერთი ჯარგი დღესასწაული ხომ ეჯუთვნის? ეჯუთვნის! ვიღაც მადლიანმა 14 თებერვალი შეყვარებულთა დღედ დააწესა და ხალხს უთხრა: აგერ, სიყვარულის დღე და აგერ თქვენ, აბა, თქვენ იცით, „აწი“ როგორ შეირგებთ ამ დღესასწაულსო.

ამ დღეს ქალაქი სავსე იყო შეყვარებული წყვილებითა და ბედნიერი სახეებით. თურმე ამ დღეს იმდენი ყვავილი გაიყიდა, რაც მთელი წლის განმავლობაში იყიდება ხოლმე (ერთ კაცს, სულ ცოტა, 2 თაიგული მაინც ხომ უნდა ეყიდა?).

ვისაც საყვარელი მამაკაცი არ ჰყავს, იმისთვის ნაცნობი იქნება გრძნობა, როცა შეჰყურებ შეყვარებულ წყვილებს, ყვავილებითა და საჩუქრებით „შეიარაღებულ“ ქალბატონებს და სადღაც, გულში, სინანულის გრძნობა გაგკრავს, რომ შენ, ამ მშვენიერ დღეს, ყურადღების, ერთი „საცოდავი“ ვარდისა და სულ რაღაც „ექვსთეთრიანი“, სასიყვარულო მესიჯის ღირსიც კი არ გახდი.

ჰოდა, რამდენიმე უქმრო, უკაცო და „უპატრონო“ მეგობარმა გადავწყვიტეთ, ფარხმალი არ დაგვეყარა და ჩვენც ღირსეულად აღგვენიშნა ეს დღე. მოვითათბირეთ, სად შეიძლებოდა კარგი დრო გაგვეტარებინა და დავასკვენით, რომ ამ საქმეში რუსებს ვერავინ შეედრება და ჯობდა, რუსულ „მატრიოშკაში“ წავსულიყავით. ადგილები წინასწარ შევუკვეთეთ და ისიც გავიგეთ, რომ თურმე ამ დღისთვის საგანგებო შოუპროგრამა ჰქონიათ მომზადებული. დღე „მშვენიერი საღამოს“ მოლოდინში გაილია და ზუსტად 9 საათზე რესტორანს მივადექით.

მენიუს რომ გადახედავ, მიხვდები, რომ ნამდვილ რუსულ „პონტში“ გაიჩითე — მოხარშული კარტოფილი, თევზი, პელმენი, „ბლინები“, უხა და ა.შ. ჰოდა, ჩვენც ის შევუკვეთეთ, რისი საშუალებაც მენიუმ და საკმაოდ ძვირმა ფასებმა მოგვცა (ეს ჩვენი საქმე არ არის, ფული თუ არ გაქვს, სახლში დაჯექი და „ტყვილი“ ბორშჩი მიირთვი). ცოტა ხნის შემდეგ კი თეფშზე დალაგებულ „ბლინებს“ ვითვლიდით — „რას ბლინ, დვა, ბლინ“ (ჩვენ უფრო მეტი თვლა ვიცოდით, მაგრამ ერთი ულუფა „ბლინი“ მეტის გამომუღავნების საშუალებას არ გვაძლევდა)... იმ დღეს რესტორანში ქართულ ბაზარზე ახალშემოსული რუსული არყის (ემბარგო რუსეთმა დააწესა ქართულ პროდუქციაზე, თორემ იქიდან კი შემოდის ყველაფერი „რიხინ-რიხინით“) პრეზენტაცია მიმდინარეობდა და ამ ფირმის წარმომადგენლებს კონკურსები და გამარჯვებულებისთვის პრიზები ჰქონდათ დაწესებული. პირველი პრიზი სიყვარულის საუკეთესო ახსნისთვის ერთმა საშუალო ასაკის მამაკაცმა მიიღო. ალბათ გაინტერესებთ, როგორ აუხსნა ქალს (იმედია — ცოლს) სიყვარული, არა? ახლავე გეტყვით, იქნებ რჩევა თქვენც გამოგადგეთ. სცენაზე ასულმა ჯერ ის აგვიხსნა, რომ უკრაინულად „კოხაიუ“ იგივეა, რაც ქართულად — „მიყვარხარ“. ჰოდა, „ნინო, „ია ტებია, კოხაიუ“, ამაღამ „ბუდუ კოხატ“! — სახალხოდ შეჰპირდა ქალბატონს და წინასწარ კოცნა გაუგზავნა.

— ბედნიერი ქალი ხართ, რომ „სეგოდნია ბუდუტ კოხატ“, — მწარედ ამოიოხრა შოუს წამყვანმა ქალბატონმა. იმ საღამოს სტუმრებმა (რა თქმა უნდა, ჩვენც) ბევრი იცეკვეს რუსულ მელოდიებზე და დროც მშვენივრად გაატარეს, მაგრამ მერე, ჩვენი სუფრის ერთ-ერთ წევრს სიმღერა მოუნდა (სხვათა შორის, მაგრად მღერის) და სცენაზე ასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ჩვენთან სიმღერა არ შეიძლება, ჩვენ ჩვენი პროგრამა გვაქვსო (თუმცა, მათი პროგრამა ამ დროისთვის უკვე დამთავრებული იყო), გამოგვიცხადეს. ხან საკმაოდ დიდი თანხა შევთავაზეთ, ხან ვეხვეწეთ, მაგრამ არაფერმა გაჭრა. საქმეში მენეჯერიც ჩაერია. „შე კარგო და კეთილო ადამიანო, აბა, რესტორანში სატირლად ვინ დადის? ადამიანი ცოტას რომ დალევს, მერე სიმღერა და ცეკვა მოუნდება და 3 წუთი გენანებათ? ჩვენ რომ 2 „ბლინში“ ერთი თვის ხელფასი არ დაგვენანა, კარგი იყო?“ — დავანამუსეთ, მაგრამ... არა, რაც მართალია, მართალია, ყველაზე კარგად ამ რესტორანში „უ-ჰუუ!“-ს „აკეთებენ“ (ეს ის არის, რუსული ცეკვის დროს ქალები რომ შეჰკივლებენ ხოლმე) და ამის დაუნახავობა არ შეიძლება. — ამათი პროგრამაც „კოხაიუ“ და

ამათი „ბლინებიც“, — ჩაიბურტყუნა ჩემმა მეგობარმა, როცა განაწყენებულები იქიდან ვიბარგებოდით.

რამდენიმე დღის შემდეგ, რუსული პონტით უკმაყოფილოები ქართულ რესტორანს ვეწვიეთ. იქ კი იმღერე, რამდენიც გინდა... უზარმაზარი დარბაზი მოქეიფეებით იყო გადაჭედილი. შეზარხოშებულ სტუმრებს სკამზე დაჯდომა აღარ უნდოდათ. — დაუკარით და დაუკარითო, — მოუწოდებდნენ მუსიკოსებს. ყველა თამადა კი, როგორც ერთი, მოითხოვდა, რომ მუსიკოსები ცოტა ხანს გაჩერებულიყვნენ, სუფრის წევრებს საღღეგრძელოს შინაარსი რომ გაეგოთ. აჭარული, ქართული, ოსური ცეკვა ერთმანეთს ენაცვლებოდა და მოცეკვავეებიც ოფლს უშურველად ღვრიდნენ. ზოგი თავისთვის, მარტო ცეკვავდა, ზოგს 3 ქალი ერთად ჰყავდა დათრეული და არც ერთის დათმობა არ სურდა. ასეთ დროს, თუ შენთვის, კუთხეში მიმჯდარი, მოცეკვავეებს თვალყურს ადევნებ, მაგრად იხალისებ. თუმცა, მერე ქართული ჩხუბისა და გაწევ-გამოწევის მცდელობაც იყო: ხან ერთი მამაკაცი დაიწყებდა ყვინჩილასავით ცალ ფეხზე ხტუნვასა და ფხორვას, ხან — მეორე, მაგრამ დაცვის დროული ჩარევით ყველაფერი მშვიდობიანად სრულდებოდა. ამ ბოლო დროს ერთ დასკვნამდე მივედი: ქართველი ხალხი არასოდეს ისე ერთიანი და შეკრული არ არის, როგორც მაშინ, როცა რესტორანში უცნობის სიმღერას მღერიან. საკმარისია, გაიგონონ — „სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს“ და მაშინვე ყველა — უცნობი თუ ნაცნობი ერთმანეთის ზურგს ჩაებღაუჭება და „ვაგონად“ გადაიქცევა ხოლმე, ყველა ერთად კი — ერთ გრძელ შემადგენლობად და მაგიდებს შორის დარბის. თუ ვინმეს დააგვიანდა და დაძრულ „მატარებელს“ ვერ „შეახტა“, ის თავისთვის აგრძელებს ცეკვას. — „დაილოცოს ქართული პურმარილი და ქეიფი, „ნი ტო, ჩტო ვ რუსსკომ რესტორანე“, სიყვარულის დღე, — გაიხსენა ერთმა ჩვენგანმა. — მოდი, ახლა ევროპული პონტი ვნახოთო, — შემოგვთავაზა მეორემ და ეს წინადადება ყველამ ერთხმად ავიტაცეთ. ცოტა ხანში „პეროვზე“, „პიკნიკში“ ვისხედით და ყინულიანი წვენით გულს ვიგრილებდით.

იქურობას რომ გადავხედე, გამეღიმა. მართლაც, სულ სხვა სიტუაცია იყო. ფულიანი საზოგადოება, ჰალსტუხიანი ბიძები, გრძელფეხება ნაშები, „პოლუმრაკი“, ევროპული მუსიკა, ძიგძიგი, ხახუნი და ამბავი მიდიოდა... სექსუალური მოძრაობები, მიბნედილი თვალები, სიგარეტის კვამლში გახვეული წყვილები და ძაან „ტაკოი“ საუბრები... „ვაიმე, გუკას ახალი ნაშა ნახე?“ „გლდანელი გოიმია“... „მაგარი ტანი აქვს“... „გოიმია, რა, ტანი კი არა, რაც უნდა ჰქონდეს, მაგარი „დერევნიაა“... „გუკას ფულის მეტი რა აქვს? ჩააცმევს, დაახურავს და გამოიყვანს სვეტში“... „მე „ლიჩნად“ მაგ გოგოსთან არანაირი კონტაქტი არ მინდა“... „გუკას ხათრით, მოგიწევს“... „კაი, რა“...

ნუ, მოკლედ, გუკას ნაშა გაჭორეს, მერე ნიკას „კრუტოი“ მანქანას გადასწვდნენ, მისი ცოლის შესახებ კი ის გავიგე, რომ ქმარზე ახალგაზრდა, თავისზე 12 წლით უმცროსი ბიჭი დაუთრევია და თურმე, ის ბიჭი მასთან იმიტომაა, რომ ნიკას ფულები აინტერესებს და რომ ნიკა მეტის ღირსი ყოფილა, იმიტომ, რომ ვინმე ნათია დაიწუნა და ცოლად სოფლელი მოიყვანა. თურმე, „მერე რა“, რომ ნათია ნიკამ თავის დროზე ძმაკაცს დააწერა, „ზატო“ მაგარი „დერზკი“ ნაშა ყოფილა და ნიკას სოფლელში არ უნდა გაეცვალა. ახლა კი ნიკაზე ყველაფერი ახია. კიდევ ის გავიგე, რომ ვინმე ლადოს ახლა მალე მინისტრის მოადგილედ დანიშნავენ და მალე მინისტრობასაც გამოჰკრავს ხელს, მაგრამ შეუხედავი ცოლი ჰყავს და დროა, გამოცვალოს, რომ დანარჩენი მინისტრის მოადგილეების ცოლების გვერდით გამოჩენის არ შერცხვეს და თურმე, ლადოს ცოლი პატიოსანი იმიტომაა, რომ მახინჯია და სხვა კაცი არც კი შეხედავს. მოსაუბრეებს გულწრფელად უკვირდათ, თვითონ ლადო როგორ ჟიმავდა ცოლს. მერე, ერთ-ერთმა აღმოაჩინა, რომ ვიდრე თვითონ ახლობლების ცოლებისა და საყვარლების გაჭორვით იყო დაკავებული, მისი კავალერი სხვა ნაშას აბამდა და იქ ამბავი აიწიაა... ქალები კარგი ვაუკაცებივით საქმის გასარჩევად გარეთ გავიდნენ, მამაკაცები კი სუფრასთან დარჩნენ და რაღაცაზე გულიანად ხითხითებდნენ.





ერთი სიტყვით, იქ საჩვენო სიტუაცია არ იყო და ბარი მალე დავტოვეთ. იქიდან წამოსულები კარგა ხანს ვდუმდით. ალბათ ერთსა და იმავე თემაზე ვფიქრობდით. მერე გადავწყვიტე, ეს ყველაფერი თქვენთვის მომეყოლა და განსჯაც თქვენთვისვე მომინდვია.

ამერიკაში გაზრდილი ტიპური ქართველი, ბოლომიანი ჩინელი და ზომბირებული პენსიონერების „გულობა“



სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოდან ბევრი ადამიანი უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა და თითოეულის ცხოვრება თავისებურად წარიმართა. ზოგიერთმა იქ დამკვიდრება და ცხოვრების აწყობა მოახერხა, ზოგიერთმა — ვერა. უამრავი ემიგრანტის შესახებ დაწერილა ჩვენს ჟურნალში. რაღაც შემთხვევის წყალობით, ამერიკაში გაზრდილი ბარი გიორგობიანი გავიცანი, რომელიც საქართველოში დასაქორწინებლად ჩამოვიდა. მისი რჩეული, პროფესიით ჟურნალისტი, ქეთი კვანტალიანი გახლავთ. წყვილს შევხვდი და იქაურ თუ აქაურ ამბებზე ვესაუბრე.

— თბილისის სამოქალაქო ომის დროს, მამაჩემმა გადაწყვიტა, საზღვარგარეთ წავსულიყავით. მამა „სუხიშვილებში“ ცეკვავდა და მისთვის საზღვარგარეთ წასვლა სიძნელეს არ წარმოადგენდა. მთელი ოჯახით ამერიკაში გავემგზავრეთ. აქ ჩემი უმცროსი ძმა, საბა დარჩა, რომელიც დედამ მოგვიანებით ჩამოიყვანა. მამამ საზღვარგარეთ დიდხანს ვერ გაძლო და საქართველოში დაბრუნდა, მე და დედა კი დავრჩით. მაშინ ცხრა წლის ვიყავი.

— როგორი იყო შენი პირველი შთაბეჭდილება და ბავშვის თვალით დანახული ამერიკა?

— დაბადებიდან ტყიბულში ვიზრდებოდი. ეს პატარა და მშვიდი ქალაქია. ამერიკაში ჩასულმა, ცათამბჯენები და უამრავი მანქანა რომ დავინახე, გაოცებისგან პირი დავაღე. იმ წუთში ყველაფერი დამავიწყდა. მართალია, ენა არ ვიცოდი, მაგრამ იქაურობას მალე შევეჩვიე. როცა დედაჩემმა სკოლაში შემიყვანა, ინგლისურად თითქმის ვერ ვლაპარაკობდი. ერთხელ იმის გამო, რომ თანაკლასელმა არასწორი გამოთქმის გამო დამცინა, წიგნი ვესროლე და თავში მოვარტყი. ამის გამო მასწავლებელმა დედას უსაყვედურა. მან კი გადაწყვიტა, რომ ერთი წლის მანძილზე ჯერ ენა ესწავლებინა და სკოლაში მხოლოდ ამის შემდეგ დამაბრუნა.

— შენ ბავშვი იყავი და სირთულეებს ალბათ ნაკლებად აწყდებოდი. საინტერესოა, დედამ როგორ მოახერხა ამერიკაში დაფუძნება?

— დედაჩემმა ძალიან რთული გზა გაიარა. მან უცხო ქვეყანაში ცხოვრება ნულიდან დაიწყო. იშრომა, იბრძოლა, იწვალა და საკმაოდ ბევრს მიაღწია. თავდაპირველად, ის ტანისამოსის ქიმწმენდაში მუშაობდა, სადაც საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდა შრომა და ძალიან იღლებოდა, ხელფასიც დაბალი ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს, გადაწყვიტა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა და უნივერსიტეტში, ტანსაცმლის დიზაინის ფაკულტეტზე ჩაებარებინა. კურსზე ასაკით ყველაზე უფროსი იყო, მაგრამ სწავლას ისე წარმატებით გაართვა თავი, რომ დამთავრების შემდეგ წინადადება მიიღო, ლექციების კურსი წაეკითხა. მან უარი თქვა. დიპლომის მისაღებად, ბოლო გამოცდა კაბის შეკერვა გახლდათ. მახსოვს, დედამ ქსოვილები შინ მოიტანა და მთელი ღამე კაბას კერავდა, მეორე დღეს კი გამოცდაზე წავიდა. მასთან ერთად, ერთი ჩინელი გოგონა ამთავრებდა უნივერსიტეტს და დედის შეკერილი ლამაზი კაბა რომ ნახა, ისე შეშურდა, რომ ლექტორებს განუცხადა, ამ ქალმა ეს კაბა მაღაზიაში იყიდა და ისე მოიტანაო. ლექტორებმა დედას სთხოვეს, დაემტკიცებინა, რომ კაბა მისი შეკერილი იყო. მან უპასუხა: კაბას დავშლი და ერთ საათში ავაწყობო, და ასეც მოიქცა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დედა „ფენდისა“ და „გუჩის“ ფირმებში მუშაობდა. ამჟამად კი ის ივ სენ ლორანის მაღაზიაში მუშაობს. იქ დიზაინერის შექმნილი ინდივიდუალური მოდელები იყიდება, რომელიც მხოლოდ ერთი ცალია შეკერილი. როდესაც მყიდველს ეს მოდელი მოსწონს, მაგრამ ვერ ირგებს, დედას მისი გადაკეთება და კლიენტის ტანზე მორგება ევალება.

— ამ მაღაზიაში ალბათ ცნობილი ადამიანებიც შედიან, არა?

— კი, დედას უმუშავია ჯულია რობერტსის, ნიკოლ კიდმანის, ალ პაჩინოსა და ბევრი ცნობილი ვარსკვლავის ტანისამოსზე. ყველა მათგანთან სურათი აქვს გადაღებული.

— ცნობილი ადამიანები მადლიერების ნიშნად საჩუქრებს არ უძღვნიან?

— კი, რამდენჯერმე ფულიც აჩუქეს, მაგრამ ეს არ შეიძლება, რადგან ფირმის სახელის შებღალვად მიიჩნევა. კომპანიის მფლობელი მიიჩნევს, რომ მისი ფირმა საკმაოდ პრესტიჟულია და თანამშრომლებს იმდენად მაღალი ხელფასი აქვთ, რომ კლიენტმა დამატებით არ უნდა გადაუხადოს. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა დედისთვის შოკოლადი და ყვავილები მიუძღვნიათ.

— სკოლის დამთავრების შემდეგ სად გააგრძელე სწავლა?

— საერთაშორისო კრიმინალური იუსტიციის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ეს გახლავთ ყველაზე ახალი სპეციალობა, რომელიც უნივერსიტეტს დაემატა და ამერიკის გარდა, ეს ფაკულტეტი მხოლოდ საფრანგეთში არსებობს. ჩემი დიპლომი საშუალებას მაძლევს, რომ სამსახურის ფართო არჩევანი მქონდეს. თუმცა, ეს დიპლომი კონკრეტულ სპეციალობას არ გაძლევს. კიდევ 2 წელია საჭირო, კონკრეტული სპეციალობა რომ შევითვისო. ამის შემდეგ სამსახურის შოვნა აღარ გამიჭირდება. მაგრამ, ბაკალავრის სტატუსი საამისოდ საკმარისი არ გახლავთ. იქ, სულ ცოტა, მაგისტრი უნდა იყო, გზა რომ გაიკვალო.

— კარგი სამსახური რას ნიშნავს, როცა კარგი გასამრჯელო გაქვს თუ როცა შენთვის საინტერესო საქმეს აკეთებ?

— ამერიკაში და ალბათ ყველგან მიიჩნევენ, რომ კარგი სამსახური კარგ გასამრჯელოს ნიშნავს. თუმცა, ყველაზე კარგი ვარიანტია, როცა ერთი მეორეს ემთხვევა. ჩემი აზრით, თუ შენი საქმე არ გიყვარს, ისე წარმატებას ვერ მიაღწევ და ვერაფერს გააკეთებ. ამის გარეშე კი ამერიკაში მაღალ ხელფასს ვერ მიიღებ.

— საქართველოში დაბრუნება არ გინდა?

— მინდა? ვგიჟდები, ისე მინდა, აქ ვიცხოვრო. მიუხედავად იმისა, რომ 9 წლიდან ნიუ-იორკში ვცხოვრობ და უკვე 15 წელია, იქ ვარ, იქაურობას ვერ ვეგუები. როცა საქართველოში ჩამოვდივარ, ვგრძნობ, რომ ეს ის ადგილია, სადაც ყველაზე დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი.

— რა გიშლის ხელს, რომ დაბრუნდე?

— აქ ძალიან ძნელია სამსახურის შოვნა, თავის დამკვიდრება და გატანა. მე ცხოვრებისგან ბევრს არ ვითხოვ. საკმარისია, იმდენი ფული მქონდეს, რომ ოჯახი უზრუნველვყო, მანქანაში ბენზინი ჩავასხა და კვირაში ერთხელ მეგობრების სადმე დაპატიჟებისა და გართობის საშუალება მქონდეს.

— ეს „ქართული საზომით" საკმაოდ ბევრია...

— ეს მინიმუმია ადამიანის არსებობისთვის. ამერიკაში როცა მუშაობ, ამის საშუალება ყოველთვის გაქვს.

— ვიცი, რომ საქართველოში სიყვარულმა ჩამოგიყვანა. მიამბე გულის სწორთან შენი ურთიერთობის შესახებ.

— ამერიკაში ბევრი შეყვარებული მყავდა. მათ შორის, არც ერთი ქართველი არ ყოფილა. ვერც ერთ გოგოს ვერ გავუგე. ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ ქართველის გარდა ჩემი ცოლი ვერავინ გახდებოდა. საქართველოში ყოველ ზაფხულს ჩამოვდიოდი ხოლმე და სულ უფრო აშკარად ვგრძნობდი სხვაობას აქაურ და იქაურ გოგონებს შორის.

ქეთი:

— გარი 3 წლის წინ გავიცანი. მისი მამიდაშვილი ჩემი მეგობარია და ერთ ზაფხულს, როცა ის ამერიკიდან ჩამოვიდა, სწორედ ჩემი მეგობრის სახლში ვნახე. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ რამდენიმე მეგობარი დასასვენებლად გარის მამიდაშვილთან, ჭიათურაში წავსულიყავით. გარიც ჩვენთან ერთად წამოვიდა და სწორედ მაშინ დავუახლოვდით ერთმანეთს. თავიდან არც მიფიქრია, რომ ჩვენ შორის სერიოზული გრძნობა გაჩნდებოდა, რადგან იმ პერიოდში სხვა ადამიანი მომწონდა და მასზე ვფიქრობდი, მაგრამ ჭიათურაში გატარებულმა დღეებმა დამარწმუნა, რომ გარი ძალიან კარგი ადამიანი იყო და შემიყვარდა კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ მისი პიროვნებად ჩამოყალიბება ამერიკაში მოხდა, ბუნებით ტიპური ქართველია. ეს კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. როცა გარი ამერიკაში დაბრუნდა, ძალიან განვიცდიდი, მაგრამ ის ყოველდღე მირეკავდა, ხშირად ვკონტაქტობდით და დროც ზაფხულამდე სწრაფად გადიოდა. ზაფხულში კი გარი 3 თვით საქართველოში ჩამოდიოდა და ურთიერთობის საშუალება გვეძლეოდა.

დედას უმუშავია ჯულია რობერტსის, ნიკოლ კიდმანის, ალ პაჩინოსა და ბევრი ცნობილი ვარსკვლავის ტანისამოსზე. ყველა მათგანთან სურათი აქვს გადაღებული



გარი:

— ასე ვიყავით 3 წელი. ეს იყო ჯოჯოხეთი. წარმოიდგინე, როცა საყვარელი ადამიანი გენატრება და მისი ნახვის საშუალება არ გაქვს და იცი, რომ კიდევ რამდენიმე თვე ვერ ნახავ. რა ძნელია! ის 3 თვე კი ისე უცებ გაირბენდა ხოლმე, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ ვასწრებდი.

ქეთი:

— თითქმის ერთი წელია, ქორწინებაზე ვლაპარაკობთ და ძლივს მოვაბით თავი. ბოლო წელი მართლაც გაუსაძლისი იყო.

გარი:

— ახლა საგანგებოდ ქეთის დასანიშნად ჩამოვედი. ხელი მოვაწერეთ, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ მე უკან უნდა წავიდე და ქეთი დროებით აქ დარჩება. ის მხოლოდ სექტემბერში მოახერხებს ჩემთან ერთად წამოსვლას, რადგან საბუთების გაკეთებას დრო სჭირდება. ასე რომ, წინ განშორების რამდენიმე თვე გველის. მე უნდა წავიდე, აქ კი ძალიან ძვირფასი ადამიანი დავტოვო. თუმცა, საქართველოდან წასვლა არც მე მინდა. ამერიკაში ქართული ყველაფერი მენატრება. აქაურობის მონატრებას ქართული სიმღერებით ვიქარვებ ხოლმე. ერთხელ რადიოში ძალიან მაგარი სიმღერა აღმოვაჩინე. აღფრთოვანებული ვიყავი და კასეტაზე ჩაწერაც მოვახერხე. მერე დავურეკე აქედან ჩამოსულ ქართველ მეგობარს — სასწრაფოდ მნახე, მაგარი ქართული სიმღერა გავჩითე და უნდა მოგასმენინომეთქი. ის კი სიცილით მოკვდა. ეს სიმღერა „დარიდური" იყო და მას სასაცილოდ არ ეყო, მაგრამ ჩემთვის ძალიან ძვირფასი გახლდათ.

ქეთი:

— როცა ამერიკიდან ჩამოდის, აეროპორტში, პირველი, რასაც აკეთებს, მიწას კოცნის. უცხოელებს ეს ძალზე აკვირვებთ.

გარი:

— სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ამერიკაში უამრავი ეროვნების ადამიანთან მქონია ურთიერთობა — უკრაინელებთან, რუსებთან, ჩინელებთან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულებთან და ნოსტალგიის გრძნობა ისე ძლიერად არავის აქვს, როგორც ქართველებს.

— ახლა ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდია. როგორი განწყობილება აქვთ ამერიკელებს?

— შემიძლია გითხრათ, რომ იქ ვერასოდეს გახდება პრეზიდენტი ქალი ან შავკანიანი. ეს არის ამერიკელი ხალხის პრინციპი. ისე, ამბობენ, რომ არჩევნები იქაც ისევე ყალბდება, როგორც საქართველოში. მაგალითად, ჯორჯ ბუში რომ პრეზიდენტი გახდა, მაშინ ყველაზე მეტი ხმა ფლორიდის შტატში მოაგროვა. ამ შტატში დეპუტატი მისი ძმა გახლდათ. ბუშის რეიტინგი ერაყის ომის გამო დაეცა. ამას ამერიკელი ხალხი ვერასოდეს აპატიებს.

— რაიმე უცნაური კანონები, აკრძალვები თუ არსებობს?

— კი, როგორ არა. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ერთი ქუჩის მარჯვენა მხარეს სიგარეტის მოწევა იყოს აკრძალული. თუ მოწევა გინდა, ქუჩის მეორე მხარეს უნდა გადახვიდე. საქართველოში შეხვალ მაღაზიაში, ლუდს იყიდი, ქუჩაში გამოხვალ და დალევ. იქ ამის გამო დაგაჯარიმებენ. ქუჩაში ლუდის დალევა სასტიკად აკრძალულია. საკუთარ ოჯახში ზედმეტი ხმაურიც კი არ შეიძლება. შესაძლოა, მეზობელმა პოლიცია დაგაყენოს თავზე თუნდაც იმის გამო, რომ რადიო ხმამაღლა გაქვს ჩართული. იქ რაღაცნაირი, დაპროგრამებული ხალხი ცხოვრობს. თითქოს ზომბირებულები არიან. მთელი დღე მუშაობენ, საღამოს კი შინ ბრუნდებიან, რომ დაისვენონ და მეორე დღეს ისევ სამსახურში წავიდნენ. პარასკევ საღამოს და შაბათს კი თავს უფლებას აძლევენ, ბარში წავიდნენ, გაერთონ, ლუდი დალიონ, იცეკვონ, მაგრამ ამას კვირა დღეს არაფრის დიდებით გააკეთებენ, რადგან ორშაბათს ისევ სამსახურში უნდა წავიდნენ და დასვენება უნდა მოასწრონ. მთელი ცხოვრება გეგმის მიხედვით ცხოვრობენ. ამერიკელი 60 წლამდე იმისთვის მუშაობს, რომ პენსიაში გასვლის შემდეგ განცხრომით იცხოვროს. 60 წლის შემდეგ ამბობენ — ახლა ვიწყებ ცხოვრებას, ახლა წავალ ევროპაში სამოგზაუროდ, გავერთობი, „ვიგულავებ" და ყველაფრის ნახვას მოვასწრებო. წარმოგიდგენიათ? ძალიან უცნაური ხალხია და გულწრფელად მეცოდება. ჩემს მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობს, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოში, გაეროს დაცვაში მუშაობდა. როცა გაიგო, რომ ქართველი ვარ, მითხრა: — ძალიან მაგარი და უცნაური ხალხი ხართ ეს ქართველები, ასეთი განათლებული და დიდი ტრადიციების მქონე ერი ჯერ არ მინახავს და ძალიან მიკვირს, როგორ ცხოვრობთ ასეთ გაჭირვებასა და უსამართლობაშიო. ●

ფიქრები

დასაწყისი იხ. „გზა“, №45-8

უკვე რამდენიმე თვეა, „გზაში“ რეალური მოვლენის საფუძველზე აგებული დეტექტიური ამბავი იბეჭდება, რომელიც ე.წ. „რუსთაველი მანიაკის“, ფრიდონ პირტახიას მიერ ჩადენილ, სერიულ მკვლელობებს ეხება. ეს ტრაგედია 1999 წლის აგვისტოში დაიწყო და ბოლო მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული. ჩვენ მიერ წარმოდგენილ რეალურ ამბავში ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია, მთავარი პერსონაჟის გარდა. ამბის თხრობას იმ მომენტიდან განვაგრძობთ, როდესაც სამძებრო განყოფილების უფროსი, დავით ფრუიძე და მისი მოადგილე, ფრიდონის მიერ ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაულის ადგილზე მიდიოდნენ.



მარი Хაშარიძე

დანარჩენი მკვლელობებისგან კი იმით განსხვავდებოდა, რომ ქალი საკუთარ სახლში იყო მოკლული

— წავიდეთ, აბა, რა უნდა ვქნათ? — უთხრა დავითმა და წამოდგა.

ადგილზე მისულებს საშინელი სურათი დახვდათ. დავითი გინებ-გინებით დადიოდა ოთახში და სიმწრისგან ბრდღვინავდა.

— როგორ ვერ უნდა დავიჭიროთ ერთი ჭკუასუსტი მანიაკი? როგორ უნდა გვაჯობოს? დარწმუნებული ვარ, რომ დაჭერილი ჰყავდათ და გაუშვეს, ვერ მიხვდნენ, რომ ეგ იყო ამ სისაძაგლეების ჩამდენი. იმ დღეს განყოფილებაში მიყვანილი ყველა ეჭვმიტანილი დღესვე უნდა გადავამოწმოთ და თუ საჭირო იქნება, ხელახლა დავკითხოთ. გაიგე, ზურა?

— კი, გავიგე. გამოდის, 300 კაცზე მეტია დასაკითხი.

— 300 კი არა, 3 ათასიც რომ იყოს, ხელიდან ვერ უნდა დაგვისხლტეს.

იქიდან წამოსულმა დავითმა სასწრაფო თათბირი მოიწვია და ყველას რაღაც დაავალა. ოპერატიული მუშაკები ენაგადმოგდებულები დარბოდნენ, დამნაშავეს გამალებით ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ყველა მკვლელობა ისე იყო ჩადენილი, რომ კვალი არ რჩებოდა. ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ.

ბოლო მკვლელობიდან რამდენიმე თვე იყო გასული, როცა პოლიციის განყოფილებაში ერთი ინფორმაცია კიდევ მივიდა.

9-სართულიანი კორპუსის X სართულზე, საკუთარ ბინაში აღმოჩენილი იქნა ახალგაზრდა, ეროვნებით რუსი ქალის გვამი, რომელიც საკუთარი ბიუსტჰალტერით იყო დამხრჩვალი. ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტი, რომ ეს მანიაკის შემდეგი მსხვერპლი იყო. დანარჩენი მკვლელობებისგან კი იმით განსხვავდებოდა, რომ ქალი საკუთარ სახლში იყო მოკლული. სამზარეულოში მაგიდა აულაგებელი იყო. როგორც ჩანს, მკვლელობამდე მსხვერპლი და მანიაკი ვახშმობდნენ, შემდეგ კი საწოლში

გადაინაცვლეს და დანაშაულიც სწორედ იქ მოხდა.

პოლიციელები საგონებელში ჩაცვივდნენ. გამოსავლის მოძებნა უჭირდათ. რუსთაველიც პანიკას მოეცვა. ხალხი შეშინებული იყო. საღამოს 6 საათის შემდეგ ქუჩაში

რუსთაველი მამაკაცი დავაკავეთ, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვები მუქარის ძალით ტყისკენ მიჰყავდა

ვერც ქალს ნახავდით და ვერც კაცს. პოლიციის განყოფილებას დღეში 100 ადამიანი მაინც აკითხავდა. ყველა ჩიოდა, რომ ქუჩაში მანიაკი აეკიდა და ხელიდან ძლივს დაუსხლტა. პოლიცია იჭერდა ყველას, ვისზეც მოწმე მიუთითებდა. ერთი დამნაშავის მაგივრად უამრავი ეჭვმიტანილი ჰყავდათ დაკავებული, მაგრამ არც ერთი მათგანი, ციხიდან უკან გამოსული არავის უნახავს. ყველა დაკავებულის საქმე სასამართლომდე მიდიოდა. ციხე „მანიაკებით“ გაივსო, მაგრამ ნამდვილი დამნაშავის პოვნა ძალიან გაჭირდა.

ქუჩაში მამაკაცს ბავშვი რომ მოსწონებოდა და უბრალოდ, კანფეტით გამასპინძლებოდა, ისიც კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდებოდა. მარტო მოსახლეობა კი არა, პოლიციაც პანიკამ მოიცვა.

დამნაშავე კი ახალ „სიურპრიზს“ ამზადებდა. ცოტა ხანში მან კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა. ქალაქის გარეუბანში, საერთო საცხოვრებლის სარდაფში გარდაცვლილი ქალის გვამი იპოვეს, ისიც — საკუთარი ბიუსტჰალტერით დამხრჩვალი.

პოლიციის გააქტიურება დანმაშავეს თითქოს ნადირივით ახელებდა და დანაშაულის ჩადენის სურვილს უმძაფრებდა.

ეს იყო ბოლო მკვლელობა, რომელიც ფრიდონმა ჩაიდინა. ამის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია აღარ გავრცელებულა, მაგრამ პოლიცია დამნაშავის ძებნას მაინც განაგრძობდა, თუმცა — უშედეგოდ.

გაუხსნელ საქმეებზე ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული, როდესაც დავით ფრუიძეს მარტვილის რაიონიდან პოლიციის უფროსმა დაურეკა.

— დავით, ერთი რუსთაველი მამაკაცი დავაკავეთ, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვები მუქარის ძალით ტყისკენ მიჰყავდა. ჩვენთან ახალგაზრდა ბიჭი მუშაობს, რომელიც ადრე რუსთავში მუშაობდა. მან გვითხრა, რომ ეს კაცი ძალიან ჰგავს იმ ფოტორობოტს, რომელიც მანიაკის საქმის გამო შეადგინეთ. თანამშრომელი გამოგზავნეთ, იქნებ მართლაც ის არის?

— კარგი, ახლავე გამოვდივარ, — აფორიაქდა დავითი.

გული უგრძნობდა, რომ ცოტა ხანში მართლაც იმ კაცს უნდა შეხვედროდა, რომელსაც წლების განმავლობაში უშედეგოდ დასდევდა. ზურას უხმო და ორივენი მარტვილისკენ გაემგზავრნენ.

ადგილზე ჩასულებს, პოლიციის შენობის ეზო ხალხით სავსე დახვდათ. დავითს ჟურნალისტები შემოესივნენ.

— მართლა მანიაკია დაკავებული? — ეკითხებოდნენ მდუმარედ მიმავალ დავითს. როგორც ჩანს, ინფორმაციამ საიდანღაც გაუონა.

ოთახში შესულ დავითს პოლიციის უფროსი მიეგება და ხელი ჩამოართვა. იქვე, ოთახის ერთ კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან წვერგაბურძგნილი, მობუზული მამაკაცი იჯდა. მის წინ კაი გვარიანი პურმარილი იყო გაშლილი. მაგიდაზე მოხარშული დედალი და დაჭრილი ხაჭაპური იდო. თუმცა, ეტყობოდა, სტუმარი ჭამის განწყობილებაზე არ გახლდათ.

— ეს არის? — კუთხეში მჯდარ მამაკაცზე თავით ანიშნა დავითმა.

— ჰო, დაუდასტურა მასპინძელმა.

— კარგი, დავიწყებ დაკითხვას, — ჩუმად თქვა დავითმა და საპირისპირო მხარეს დაჯდა.

— სახელი, გვარი...

— პირტახია ფრიდონ, — თავაუღებლად წარმოთქვა კაცმა, იქვე, მაგიდაზე დადებულ სიგარეტის კოლოფს დასწვდა, ერთი ღერი ხელის კანკალით ამოაძვრინა და მოუკიდა. თითქოს სიმხნევე შეემატა, თავი ასწია და დავითს თვალებში შეხედა.

— სად ცხოვრობ?

— რუსთავში.

— ოჯახი გაქვს?

— კი, დააქნია თავი.

— რამდენი შვილი გყავს?— დავითის ხმაში თითქოს თანაგრძნობა გამოიხატებოდა. ეშინოდა, კაცი არ დაეფრთხო. ცდილობდა, რბილად დალაპარაკებოდა. ძალიან უჭირდა თავის შეკავება და აგრესიის დაფარვა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ ჩერდებოდა, რომ შესაძლებელი იყო, ფრიდონი სულაც არ ყოფილიყო ის კაცი, ვისაც ამდენი ხნის განმავლობაში ნადირივით კვალში ედგა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ძალიან ბევრ ლაპარაკი
დაიწყოს, ადამიანი ოცნებასაც
მეგობარსაც დაკარგავდა.

სამოგზაურო მარშრუტები ექსტრემალებისთვის

ნანატრი შვებულების ეგზოტიკურ ქვეყანაში გატარება ჯარგია, მაგრამ ბანალური ერთფეროვნებაც მოსაწყენია. ამიტომ, შემიძლია შემოგთავაზოთ ის მარშრუტები, რომლებიც თავად გავიარე და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილებაც დატოვა. თუ ამ მარშრუტს გაჰყვები, მეგობრებისთვის ბევრი მოსაყოლი და თავის მოსაწონებელი გექნება.

ბრაში თარხანი

აღმოსავლეთ ტიმორი

ეს ქვეყანა 27 წლის განმავლობაში ინდონეზიის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა და ტურისტებისთვის დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი გახლდათ. ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ეპისკოპოსმა კარლოს ფილიპე ხიმენეს ბელომ 1996 წელს ნობელის პრემია მიიღო. აღმოსავლეთის ზღაპრული ქვეყანა

დიდ სიურპრიზებს გპირდება. ტიმორი აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ყველაზე იაფი მუშახელითაა განთქმული. მაგალითად, სპეციალურ ბაზარში, სრულიად მისაღებ ფასში შეგიძლია მონის ყიდვა. საწყალი მონები გასაყიდი პირუტყვივით შეყრილი ჰყავთ შემოღობილში. მყიდველი ჯერ მათ კბილებს, კუნთებსა და ჯანმრთელობას უსინჯავს, მერე მფლობელს ფასზე ევაჭრება და მონას ისე ყიდულობს. თითქოს დაუჯერებელია XXI საუკუნეში მონებით ვაჭრობა, მაგრამ ფაქტია.

მოგზაურობის დროს შესაძლოა, გადააწყდე როგორც წყალდიდობას, მეწყერსა და ცუნამს, ისე ტროპიკულ ციკლონებს. ექსკურსია ეკლესიაში მისვლით იწყება, შემდეგ კი შეგიძლია, შენს ნებაზე ისეირნო. თუ ყურთან ტყვიის ზუზუნი მოგბეზრდება, შეგიძლია გაეროს წარმომადგენლებს გამოელაპარაკო, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებიან. ამ დროს კი შესაძლოა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შენ თვალწინ ისე იჩხუბონ, რომ სეირის საყურებლადაც კი შეჩერდე.

ტიმორი საქართველოდან 13 ათას კილომეტრზე მდებარეობს.

კოლუმბია

ამ ქვეყანაში მოგზაურობა „კოკაინ-ტურს“ ნიშნავს. თუ იქ რომელიმე საექსკურსიო ბიუროს საშუალებით მოხვდი, წინასწარ აუცილებლად იკითხე, ვახშამი შენს გამტაცებლებთან ერთად, საგზურის ფასში შედის თუ არა.

თუ ავანტიურისტი ხარ და გადაწყვეტ, რომ ამ საოცარი ქვეყნის საიდუმლო ამოხსნა, მაშინ საშუალება მოგეცემა, ნარკობარონებს შორის საქმის გარჩევა საკუთარი თვალითაც იხილო. ასევე, შესაძლოა, რომელიმე პარტიზანულ ან ბანდიტურ დაჯგუფებას შეუერთდე და საკუთარი თავი ნარკოტიკების მსოფლიო ექსპორტში წილის მოსაპოვებლად ბრძოლაში გამოცადო. ეს დაჯგუფებები ქვეყნის ნახევარს აკონტროლებენ.

მოგზაურობის დროს შესაძლოა, ჰეპატიტით, მალარიით, ტროპიკული ციებ-ცხელებითა და ყვითელი ციებ-ცხელებით დაავადდე ან ტვინის შერყევა მიიღო.

ამაზონიის ჯუნგლები უამრავ გასართობს გპირდება. კოლუმბიისა და პანამის ჯარები ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად არიან ჩართული. ამის გამო, შესაძლოა, ქუჩაში შეიარაღებულ შეტაკებასაც გადაეყარო.

კოლუმბია საქართველოდან 12 ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

პაკისტანი

პაკისტანურ კურორტებზე შეგიძლია მსხვილი ტერორისტული დაჯგუფებების წევრებთან ერთად დაისვენო. ეს იმდენად სტუმართმოყვარე ქვეყანაა, რომ ტერორისტული დაჯგუფებების წევრები მას თავის მეორე სახლს უწოდებენ. „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ წარმომადგენლებიც კი არ ამ-

ბობენ უარს აქ დასვენებაზე. ამერიკელებს ძალიან უყვართ იმ ადგილების დაბომბვა, სადაც ეს „პატივცემული“ ხალხი ისვენებს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ბინ ლადენი ჯერ კიდევ გაქცეული იყო.

პაკისტანს ხშირად აზანზარებს მიწისძვრები და მუსონები. ძალიან ცოტაა სასმელი წყალი. სამაგიეროდ, უხვადაა ბაქტერიოლოგიური საშიშროება და სავსებით შესაძლებელია, რომ „ა“ და „ბ“ ჰეპატიტით დაავადდე. ტიფი, მალარია, ცოფი და ლეიშმანიოზი ჩვეულებრივი მოვლენებია. შესაძლოა, ისლამაბადში აფეთქების ადგილზეც კი მოხვდე. ტურისტებისთვის საინტერესო ყველა ადგილი ტერორისტებს მიზანში აქვთ ამოღებული და როდის აგაფეთქებენ, კაცმა არ იცის.

საქართველოდან პაკისტანამდე 5 ათასი კილომეტრია.

ღაზას სექტორი

ეს არის მიწის მცირე მონაკვეთი ისრაელს, ეგვიპტესა და ხმელთაშუა ზღვას შორის. თავიდან ის ბრიტანელების ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა, შემდეგ ეგვიპტის, მოგვიანებით — ისრაელის. ახლა კი პალესტინას ეკუთვნის. ისრაელს თავისი ჯარი იქ 2005 წელს



უნდა შეეყვანა. მოსახლეობის 99%-ს პალესტინელები შეადგენს, მათი უმეტესობა ეგვიპტიდან და ისრაელიდან ლტოლვილია.

აქ ფანატიკოს თვითმკვლელებსაც კი შეხვდები. პალესტინასა და ღაზას სექტორს ჰამასის პოლიტიკური პარტია მართავს. თუ მის ტერორისტულ წარსულს გაითვალისწინებ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ კარგი დასვენება და სასიამოვნო თავგადასავლები გელოდება.

ხშირია გვალვა, მოსახლეობა სხვადასხვა მძიმე დაავადებითაა შეპყრობილი, რომელიც სასმელი წყლით ვრცელდება. საკანალიზაციო სისტემა საუკუნის წინანდელია, სასმელი წყალი კი — საშინლად დაბინძურებული.

ქალაქში ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობს. თუ დაძრულ ავტობუსს შეახტები და ისრაელის საზღვართან ჩამოხვალ, ფრთხილად უნდა იყო, რომ ტყვიის მსხვერპლი არ გახდე. თავგადასავლების ნამდვილ მოყვარულებს შეუძლიათ, ლტოლვილებს შეუერთდნენ, რომლებიც საზღვრის გადაკვეთას ცდილობენ და მათთან ერთად „აბა, ტყვიას გაექეცი“ ითამაშონ.

ღაზას სექტორი საქართველოდან 4500 კილომეტრითაა დაშორებული.

ჰაიტი

კარიბის ამ კუნძულზე რაც თავში მოგივა, ყველაფრის გაკეთება შეგიძლია, რადგან რეალურად, პოლიცია აქ არ არსებობს. 1994 წელს ამერიკელებმა მისი ოკუპაცია სცადეს, მაგრამ უმალვე გადაიფიქრეს. გართობის უმაღლეს საფეხურს ბანდფორმირებების მიერ მოწყობილი თავდასხმები და ძალადობა წარმოადგენს. ზოგიერთ მათგანს სახელმწიფო მხარს უჭერს, ზოგიერთი კი მის წინააღმდეგ იბრძვის.

აქ შესაძლებლობა მოგეცემა, საკუთარი თვალით ნახო, როგორ სჯიან მას, ვინც მთავრობის წინააღმდეგ იბრძვის.

ჰაიტი საქართველოდან 11 ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

ერაყი

კეთილი იყოს, თქვენი მობრძანება ამერიკის 52-ე შტატში! ეს ქვეყანა ტეხასს ძალიან ჰგავს, მაგრამ აქ გაცილებით მეტი ბომბი და ნავთობი იშოვება.

ერაყი არასოდეს ყოფილა პოპულარული. მსოფლიოს ყველა ქვეყანა აქ თავის ჯარისკაცებს გზავნის, სხვადასხვა მუსლიმანური სექტა ერთმანეთს ებრძვის. ერაყში ჩასულმა, შეგიძლია, საკუთარი ომი წამოიწყო, ვის წინააღმდეგაც გსურს.

მალარია, ყვითელი ცხელება და ჰეპატიტი გარანტირებული გაქვს.

რაც შეეხება სანახაობას, თვალს უდაბნოსა და დაცარიელებული ქალაქების ცქერით დაატკბობ. შეგიძლია, ნებისმიერ შემხვედრს დაემუქრო, ვინც საეჭვოდ მოგეჩვენება. დაკითხვის საუკეთესო მეთოდებსაც შეისწავლი, როცა ადგილობრივ მოსახლეობას იმ იარაღის შესახებ ჰკითხავ, რომლის გამოც ამერიკამ ომი დაიწყო და რომელიც ჯერ ვერ აღმოაჩინეს. „ალ ჯაზირას“ ტელევიზია თავისუფლად, ყოველგვარი სირთულის გარეშე დაგითმობს ეთერს და დიდი ხნის ოცნებას აისრულებ (ხომ ოცნებობდი ტელეეკრანზე გამოჩენას?). მერე რა, თუ ამ დროს შენს ზურგს უკან 3 ჩადრიანი დგას და არაბულად ტექსტს კითხულობს? შენ შეგიძლია, ამ დროს საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ილოცო, ახლობლებს მოკითხვა გადასცე და ბუშს სთხოვო, ერაყიდან თავისი ჯარი გაიყვანოს. მოგზაურობის დროს ფოტოაპარატის გამოყენებას არ გირჩევ, რადგან მის განათებას შესაძლოა, განსხვავებული იარაღით უპასუხონ.

ერაყი საქართველოდან 3 ათასი კილომეტრითაა დაშორებული.

რეპორტიორ ქალებისა შინაბერქალებად

გრაფი თარხანი

თუ ქვემოთ მოყვანილ რეკომენდაციებს შეასრულებ, მაშინ აუცილებლად გაუთხოვარი დარჩები. თუ ამის სურვილი არ გაქვს, ჯობს, სტატია ბოლომდე ჩაიკითხო და ყველაფერი უკუღმა გააკეთო.

ჩვენს დროში დაკარგული ქალწულობის აღდგენა არავითარ სირთულესთან არ არის დაკავშირებული. მსგავსი ოპერაციები ძვირი სულაც არ ღირს, მაგრამ ამჯერად ქალწულებზე არ ვისაუბრებთ. შინაბერობა, პირველ რიგში, სულიერი განწყობილებაა. ნებისმიერი შინაბერა, მამაკაცებთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. ის მამაკაცებისადმი ან გულგრილია, ან მტრულადაა განწყობილი.

პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა შთააგონო, რომ ყველა მამაკაცი, მიუხედავად ასაკისა, წარმომავლობისა, კანის ფერისა, ერთნაირი ნაძირალა და „ცუდი ტიპია“, რომელიც მხოლოდ სექსზე ფიქრობს. მათი უმეტესობა მატყუარაა და ათასგვარ ინტრიგას ხლართავს, საწოლში რომ შეგითრიოს. ასე უნდა იფიქრო, თუ გინდა, რომ შინაბერად დარჩე.

თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ისინი საკვებზე, აზარტულ თამაშებზე, პოლიტიკასა და ათასგვარ სისულელეზეც ფიქრობენ, მაგრამ ეს ამ თემასთან არაფერ კავშირშია. როგორც მიხვდით, საუბარი სექსზე გვექნება. უფრო სწორად იმაზე, როგორ უნდა მოიქცე, რომ სექსი არ გქონდეს.

მამაკაცებისგან თავი შორს დაიჭირე. არავითარ შემთხვევაში არ გაეცნო უცხო მამაკაცს და არც ტელეფონის ნომერი მისცე. დაიმახსოვრე, თუ მამაკაცმა შეხვედრა გთხოვა, მას შენთან სექსი აქვს დაგეგმილი.

თუ მეგობრები, ნათესავები და ოჯახის წევრები თქვენთვის მამაკაცის გარიგებას ცდილობენ, გაჯიუტდი და არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმო მათ. არ უპასუხო მის ზარებს, შეხვედრაზე კატეგორიული უარი განაცხადე, მოიმიზეზე, რომ ავად ხარ და განუკურნებელი სენით ხარ შეპყრობილი. შეაგნებინე, რომ ის არაფერში გჭირდება და მისი ადგილი შენს ცხოვრებაში, გულში, სულსა და საწოლში არ არის. რაც უფრო მალე მოახერხებ ამას, მით უკეთესი.

თუ ამდენი მცდელობის მიუხედავად, მამაკაცი მაინც ვერ მიხვდა, რას გრძნობ მის მიმართ, მაშინ აიძულე, რომ დიდი ხნის მანძილზე იაროს შენ გვერდით, მაგრამ შეხების უფლება არ მისცე. ცოტა ხანში ის თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა.

შეარჩიე ვინმე, ვისაც შენს კერპად აქცევ. ის აუცილებლად უნდა იყოს მომხიბვლელი მამაკაცი, მაგრამ — შენთვის მიუწვდომელი. შესაძლოა, იყოს პოპულარული შოუს წამყვანი, კინოვარსკვლავი, სპორტსმენი ან პოლიტიკოსი. ყველა დანარჩენი მამაკაცი, რომელიც შენი თვალთახედვის არეში მოხვდება, მას შეადარე და წუნი დასდე. აბა, როგორ შეიძლება, რომ მეზობელ სადარბაზოში მცხოვრები გურამა ან ნოდარა ბრედ პიტზე ან ლეონარდო დიკაპრიოზე უკეთესი იყოს? ხომ სასაცილოა? ეს იგივეა, რომ „მერსედესი“ და „ზაპოროჟეცი“ ერთმანეთს შეადარო.

რაც შეიძლება მეტი დრო გაატარე შინ ან სამსახურში. კარგი იქნება, თუ დღის მანძილზე ისე დაიღლები, რომ საღამოს ფეხზე დგომა გაგიჭირდება. თუ თავისუფალი დრო მაინც დაგრჩება, სახლი დაალაგე, იატაკი რამდენჯერმე მოწმინდე, ავეჯი გადააადგილე, ფანჯრები გაწმინდე და ყველა თარო კიდევ ერთხელ დაალაგე. თუ საკუთარი სახლის დალაგებას მორჩები და დრო მაინც დაგრჩება, მეგობარს ეწვიე და მისი სახლიც დაალაგე. ოღონდ, აუცილებლად მიაქციე ყურადღება, რომ შემთხვევით ახლომახლო მამაკაცი არ იყოს. თუ მეგობარი გთხოვს, რომ მისი ბავშვი დაიტოვო, უარი არ უთხრა. მეგობარი პაემანზე გაუშვი, შენ კი მის შვილს მიხედე.

ახლა ცოტა რამ გარეგნობაზეც. ვინც ამბობს, რომ ქალისთვის მთავარი გარეგნობა არ არის, ტყუის. თუ ქალი ეშმაკივით შეუხედავია, არ მგონია, რომ რომელიმე მამაკაცი მისი შინაგანი ბუნებით დაინტერესდეს. თუ ლამაზი ხარ, ყველა მამაკაცის ყურადღების ცენტრში მოხვდები. ამიტომ, ეცადე, გარეგნობას ყურადღება არ მიაქციო. დიდი-დიდი, პირი დაიბანე ხოლმე. მაშინ არც ერთი მამაკაცი შენით არ დაინტერესდება და შინაბერობაც გარანტირებული გაქვს.

დაივიწყე მოკლე და შეჭრილი ქვედაბოლო, ტანზე მომდგარი, დეკოლტირებული მაისურები, სილამაზის სალონი და მანიკიური. უნდა იცოდე, რომ ლამაზი ფეხები მამაკაცების ყურადღებას იპყრობს. თუ ფეხების სილამაზით ვერ დაიკვეხნი, მაშინ აუცილებელი პირობაა, მოკლე ქვედაბოლოს ჩაცმა, რომ მამაკაცები დააფრთხო.

მამაკაცის ყურადღების მისაპყრობად ქალს კიდევ ერთი „სახიფათო ზონა“ აქვს. ეს არის მკერდი. საუკეთესო ვარიანტია, თუ ძალიან პატარა მკერდი გაქვს, მაგრამ როგორ უნდა მოიქცე, თუ ბუნებამ დიდი, ფუმფულა მკერდით დაგაჯილდოვა? მაშინ — არავითარი დეკოლტე! უნდა შეარჩიო ტომარასავით შეკერილი ბლუზა და თუ რომელიმე მამაკაცს შენი მკერდისკენ ხელი მაინც გაექცევა, მაშინვე კბილებში მუშტი უნდა ჩასცხო. ●

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის ფავორიტი ქალბატონი კვლავ მე-3 მესიჯის ავტორია, 26 ხმით. მეორე ადგილზე მე-2 ნომერი, – 18 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე – მე-5 მესიჯის ავტორი, 16 ხმით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 34-ე მესიჯის ავტორმა დაიმსახურა, 15 ხმით. მეორე ადგილზე 43-ე მესიჯის ავტორია, 15 ხმით, ხოლო მესამე ადგილზე, 35-ე მესიჯის ავტორი, 11 ხმით.

ქალბატონი



1. ვარ 25 წლის გოგო. ვცხოვრობ თბილისში. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 29 წლამდე ბიჭს. მაკა.

2. გამარჯობა. გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის 20-25 წლამდე ასაკის მამაკაცს. უნდა ჰქონდეს კარგი სამსახური, იყოს ბინით უზრუნველყოფილი. მე ვარ მაგარი გარეგნობის გოგონა.

3. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №7, 27-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

4. ვარ მაღალი, გამხდარი, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28-32 წლამდე ასაკის, მაღალ, გამხდარ, სასიამოვნო გარეგნობის თბილისელ, დასაქმებულ მამაკაცს.

5. გამარჯობა, ძალიან გთხოვთ, „გზა“ №7, მე-20 მესიჯის ავტორის ნომერი მითხარით. გმადლობთ.

6. ვარ 32 წლის, ლამაზი. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 37 წლამდე ასაკის მამაკაცს. მსურველებმა დარეკეთ.

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ნამდვილ ქართველ მამაკაცს, თბილს და ყურადღებიანს, რომელსაც ოჯახი ეყვარება. დავიღალე მარტოობით. ვარ 32 წლის.

8. სამეგობროდ გამომეხმაუროს ყველა „რეალის“ გულშემატკივარი. არ აქვს მნიშვნელობა, სქესს, ასაკსა და საცხოვრებელ ადგილს. გელოდებით. მის რეალი. :)

9. ვარ 22 წლის, სიმპათიური გოგო. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 25-30 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, დასაქმებულ და ერუდირებულ, თბილისელ მამაკაცს. დაბლები და უსიმპათიოები ტყუილად ნუ შეწუხდებიან. ვარ, მართალია, ძალიან თბილი და მეგობრული, მაგრამ საკმაოდ მძიმე ცხოვრება მაქვს გამოვლილი. იმედი მაქვს, ვიპოვი მეგობარს.

10. ვარ კარგი აღნაგობის, სასიამოვნო გარეგნობის, 38 წლის, დასაოჯახებელი ქალბატონი. მინდა გავიცნო 40-44 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი, ოჯახის შესაქმნელად. ეკა.

11. გამარჯობა. ახლა ვნახე ამ წლის პირველი ნომერი და რუბრიკა „მობილი-ზაცია“. დავინტერესდი მე-16 ნომრის ბედით. გთხოვთ, მომცეთ მისი მობილურის ნომერი. მე ლია მქვია.

12. ვარ 27 წლის, კარგი წარსულის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 27-35 წლამდე ასაკის, ქართველ ვაჟკაცს. მთავარია, დაიბადოს ორმხრივი სიყვარული.

13. მე მქვია ლალი, ვარ 45 წლის, ქვრივი. ვეძებ ადამიანს, ვისაც ლამაზი ოჯახი უნდა.

14. ბევრი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე. იქნებ, მეც მეძებს ვინმე? ვარ 50-ს გადაცილებული, საშუალო ტანის, საშუალო სიმაღლის, წყნარი, სიმშვიდის მოყვარული, დასაქმებული.

15. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, სიმპათიური მამაკაცი. ვარ განათხოვარი. მამაკაცი უნდა იყოს ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი.

16. გავიცნობ მაგარ ბიჭს. ვარ 18 წლის, მაღალი, თაფლისფერი თვალებით, ძალიან კარგი გოგო. ბარტყი, ბათუმიდან.

17. გამარჯობა, ვარ 26 წლის გოგო. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს. თაკო.

18. გთხოვთ, მომცეთ 26-ე მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი.

19. ვარ სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობ დასაქმებულ, სიმპათიურ მამაკაცს, 65 წლამდე.

20. არ მინდა, დარჩენილი ცხოვრება მარტომ გავატარო. ვარ განათხოვარი. ვცხოვრობ მშობლებთან. ვარ ნორმალური გარეგნობისა და ხასიათის ქალი, 39 წლის. მინდა, ოჯახი შევქმნა.

21. ვარ 31 წლის, ქმარს გაშორებული. მყავს 1 გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, 40 წლამდე მამაკაცს. იმერეთი.

22. ვარ 33 წლის, პატიოსანი გოგო. ძალიან მინდა, სიყვარულით შევქმნა ოჯახი. ვეძებ ნორმალურ, სერიოზულ, დასაქმებულ პიროვნებას, რომელსაც უნდა ოჯახის შექმნა.

23. ვარ 45 წლის ქალბატონი. მსურს გავიცნო სიმპათიური, თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი, 45-50 წლამდე. დანარჩენი — პირადად.



24. მომწერეთ „გზა“ №48, მე-2 მესიჯის ავტორის ნომერი.

25. დამაკავშირეთ „გზა“ №46, მე-3 მესიჯის ავტორ ქეთისთან.

26. ვარ თბილისელი მამაკაცი, 38/172/72, უპრობლემო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ მანდილოსანს. ლადო.

27. ვარ სპორტული აღნაგობის, 30/182/82, სიმპათიური მამაკაცი. სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონებს, რომლებიც მოკლებულნი ხართ სიყვარულს.

28. ვარ 46/182/98, დასაქმებული. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 37 წლამდე ასაკის, შესაფერისი მონაცემების მქონე ქალიშვილს.

29. სალამი. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №6, 21-ე მესიჯის ავტორთან. გმადლობთ.

30. რით გაგილამაზო ცხოვრება, მარიკ? მომწერე შენი ნომერი და შევეცდები, თავი ქალად გაგრძნობინო და ცხოვრება გაგილამაზო.

31. ვარ 22/178/70, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ თბილისელ გოგოს, ინტიმური, ფარული შეხვედრებისთვის, თუნდაც ქალიშვილს.

32. გთხოვთ დამაკავშიროთ „გზა“ №5, მე-6 მესიჯის ავტორს.

33. ვარ მაღალი, სიმპათიური, პატიოსანი, 28 წლის ბიჭი. თუ ვინმე დედისერთა, ლამაზ, თბილისში მცხოვრებ გოგოს უნდა, რომ გვერდით ჯანმრთელი და კარგი ქმარი ჰყავდეს, დამიმესიჯეთ.

34. პრივეტ. გავიცნობ 16-19 წლის, ლამაზ, შავთვალება და შავთმიან გოგოს. თუ ხართ ასეთები, დამიმესიჯეთ. ვარ 19 წლის.

35. გავიცნობ თბილისელ, სუფთა, 17-35 წლამდე ასაკის გოგოს, საიდუმლო სექსშეხვედრებისთვის. ვარ მანქანით და სამსახურით უზრუნველყოფილი, 30 წლის, ცოლშვილიანი ბიჭი. ოღონდ, სერიოზულად.

36. მინდა გავიცნო „გზა“ №7, მე-3 მესიჯის ავტორი. ვარ 22 წლის, ცისფერთვალება, ქერა ბიჭი. სერგი.

37. ვარ 56/180/82, ცოლშვილიანი, დასაქმებული, მანქანით, დაცვით. ვთხოვ გამომეხმაუროს თბილისელი, სუფთა წარსულის მქონე ქალბატონი, მუდმივი, არახშირი შეხვედრებისთვის.

38. ვარ 38/183/78, სიმპათიური, თბილისში დასაქმებული მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ მანდილოსანს, თბილისში.

39. 30-45 წლის ქალბატონებო, 1 შტატი მაქვს, მეგობრობისთვის. ხართ მსურველი, ნამდვილი მეგობრობისა? მაშ, გელით. ალერსი.

40. გავიცნობ სამეგობროდ პატიოსან, ჰიგიენურ მანდილოსანს, კვირაში 1-2 ღამით ტკბილი სიყვარულისთვის, სულიერი და მატერიალური მხარში დგომით. ვარ 47/170/72. გაზაფხული.

41. სად არ ვყოფილვარ, ყველგან ძალიან ლამაზი გოგონებია, მაგრამ გორელებმა გამაკვირვეს. ასეთი ლამაზები და კარგები რატომ ხართ? დამიმესიჯეთ 25 წლამდე ლამაზმა გოგონებმა.

42. ვარ 40 წლის, დაოჯახებული, თბილისელი მამაკაცი. ინტიმური ურთიერობისთვის გავიცნობ შესაბამის მდგომარეობაში მყოფ, თბილისელ ქალბატონს.

43. გავიცნობ 25-40 წლამდე ასაკის, სუსტი აღნაგობის მანდილოსანს, თბილისელს, ინტიმური ურთიერთობისთვის.

44. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით, 22 წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგოს. თბილისში ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 21/180/75, სიმპათიური ბიჭი. გუჯა.

45. ვარ 45 წლის, თბილისელი, ქვრივი, თბილი მამაკაცი. გავიცნობდი მხოლოდ თბილისელ, მარტოხელა ქალბატონს, ბინით უზრუნველყოფილს, ოჯახის შექმნის მიზნით.

46. ვარ თბილისელი, 34 წლის მამაკაცი, დასაქმებული. ვცხოვრობ დამოუკიდებლად.

47. გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს, რომელსაც კიდევ სჯერა სიყვარულის არსებობის და მისთვის მთავარი სიყვარულია, რადგან სიყვარულს მოაქვს ყოველგვარი სიმდიდრე.

48. რუსთაველ გოგოს, ქალბატონს ავუსრულებ ყველაანირ სიამოვნებას, რეალურად. შეგხვდებით და არ ინანებთ.



ზამთარში
ყოველთვის მაღაზის
გაყიდვას აკეთებენ.

49. დიდი სურვილი მაქვს, მყავდეს sms მეგობარი. დამიმესიჯეთ და ვიმეგობროთ.



• კოსა, ძამი, მენატრები, სად დამეკარგე? დამიკავშირდი. თამო.

• დიდი ხანია, ასე ცუდ ხასიათზე არ ვყოფილვარ. ალბათ ხვალ უკეთესი დღე მელოდება. ცხოვრება მაინც მშვენიერია. გაკოცეთ. ყველას ნამდვილად არა! :) ვასასი.

• რავა ხართ, ბოვშვებო? იმედია, გახსოვვართ. რავი, იმედს ვიტოვებ. ჰო, მართლა, მეგრელო მგელო და ashley pcd, აქ ნუ ჩხუბობთ, რა! ეს ჟურნალი „გზაა“ და არა „ბარი“! დუჩი.

• ნათათო, ქალო, მომენატრე. ყველას მოგიკითხავთ, დიდი სიყვარულით. ჩორი-ჩორი, მაშ პარადი მეგრელებს მიჰყავთ, არა? ეჰ, რას იზამ? უნდა გავუძლოთ. მააშ. დუჩი.

• მომენატრეთ, მიყვარხართ, გკოცნით. დუჩი.

• გაუ, როგორ ხართ? აუ, რისი თქმა მინდოდა? ვერ ვიხსენებ... აუ, ჰო, მართლა, კანიბალკას კლუბში მინდა. ვნახოთ, აბა, როგორი პონტი გაიჩითება. ლიფსო.

• პრივეტ, სიხარულებიი! დიანა, შენთან ვართ, გაიღიმე, ცხოვრება ისეთი მცირეა, თავს ბედნიერების უფლება უნდა მივცეთ. ვიმეგობროთ. გაკოცეთ. პავლიკას მოკითხვა. ჭიათურა.

• ბავშვებო, მომილოცეთ! 16 თებერვალს დაიკო შემეძინა! იცით, რა სიცოცხლეა? ნანკა დავარქვით. ძალიან მიხარიაააა! :) ისე, აქ ვინმე ხართ, 16 თებერვალს დაბადებული?

• ახლა ცალ-ცალკე დავდივართ და ვთბებით მზის სხივებითო, იკა, თუ სადმე შევნიშნე, შენს ლოვეს ვითრევ თმებითო (უჰ, მეშველება, რამე? მგონი არა). უიმედო მაკუნტა.

• კანიბალკა და ლეო91, ძაან მაგრები ხართ. არაა საჭირო ვიკითხო, შეიძლება თუ არა. ვიცი, მიმიღებთ. წინა კვირას ჩემს 2 მესიჯს ნიკი არ მიაწერეს. პატარა გიჟუნია.

• პრივეტები, ძვირფასებო, როგორ ხართ? ჯონი დეპს და მაზოხისტკას ვულოცავ დაოჯახებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. ვინმეს არ მოგნატრებიათ ვინმეს სიყვარული?

• პანკი, შენს პანკ-კლუბში გამაწევრე. ნამდვილ პანკს ვუსმენ. სუმ-პისტოლ.

• არ აღაშფოთეს ჩვენი გივიკო?

• როგორ ხართ? მეგრელო მგელო, მაგარი ხარ, შენსას მიაწექი, ბოლომდე. შენ გვერდში მიგულე. აბა, კარგად. შავტუხა.

• მივესალმები ლევა მადრიდს. განცხადებებში გავგზავნე მესიჯი. ასე რომ, ნომრის გაგება შეგიძლია. შემეხმიანე. :) აწყურის პრინცო, საბრალო რატომ ხარ? გაიხარე. მის რეალი.

• ენჯი, გეთანხმები, ცუდია, რომ გვივიწყებენ ოლეგარიო, კაკუ, ნელკა, ჩუქჩა, ლეო91, ზაზუნა, შეწირული, ნიკოლი, პენსიონერი, მონასტრის ბიჭი, როზი, სად ხართ, ხალხოო?

• ვაჰ, კაცოო, აქ რა ხდება, ხალხო, რასა ლანძღავთ? ვისა ლანძღავთ? რათა, შვილო, რა დაგიშავა? რა ვიცი, რა ვიცი, სოფა, საიდან ასეთი აგრესია, რათა? არ გინდა, რაა, გთხოვთ! 9122.

• მარ, ძალიან მენატრებით ყველა. შეწირულო, შენი ნომერი ვერ გავიგე. ცოდო ვალ, ცოდო. მარ, მომწერე რა, შეწირულის ნომერი. ლუნა.

• ჩემს ხაშურელ გიჟს მინდა ვუთხრა, იქნებ თავი დააღწიოს ხაშურის მკაცრ ამინდს და შემხვდეს. მიჭირს მის გარეშე და რა ვქნა? ძალიან მიყვარს. გთხოვ, შევხვდეთ. შენი უგულო.

• მაგარი კურიოზა ვარ. სამესიჯოდ გაცნობილი ბიჭი სიგიჟემდე მიყვარს. ღმერთს ვთხოვ, ეს სიყვარული კურიოზად არ დატოვოს. მინდა, ბედნიერი ვიყო. მიყვარს და რა ვქნა? უგულო.

• პირველ რიგში მოგესალმებით. მართლა ძალიან მომენატრეთ. ზმიზმი, შენს დაბრუნებას არ ველოდი. :) არა, არ გავთხოვილვარ. ამბობენ, ვინც გესიზმრება, გენატრებაო. :) ნელკა.

• ლევა მადრიდ, მისს რეალ, ზიზუ-10 და 9122, ბარტყებო, არ გინდათ, „რეალის“ ფან-კლუბი შევქმნათ? რეალის თავგადაკლული ფანი, ashley pcd.

• blawy-emo-girl, მეც ემო ვარ, მაგრამ როკერის იმიჯი საერთოდ არ მაქვს. ძაან ტაკოი ვარ, მაგრამ ძაან გიჟმაჟი. გამეცნობი? მაკუნტა, deep hearT, რუსკა, გამცანით. ashley pcd.

• მაკუნტა, ეგ რა მოგსვლია, ქალი! ჟასმინის ჩაი? ჰიჰ! ძველებო, სად ხართ? განსაკუთრებით baby smile მიყვარდა. „ბარელო“ ბიმი, არ აპირებ, შემირიგდე? ashley pcd.

• სოფა, რა უფლებით ლანძღავ კანიბალკასა და მამაც თოჯინას? ეგ გოგონები „გზის“ სიხარულები არიან და შენ უკეთესი გგონია თავი? ashley pcd.

• გუგა, რამდენი წლის ხარ? როგორმე დამიკავშირდი, კაი? ლუნა-16.

• ილინიც გამოჩნდაა! :) ბალი რატომ გაქვს გამორთული? შემეხმიანე. ბავშვებო, მარტო ფართი მაქვს და მაგიტომ ვერ გეხმიანებით. :(ლორელაის გაუმარჯოს, უმაგრეს ადამიანს! :)ვერმახტი.

• გამარჯობა, მე პირველად გწერთ. კაკუ, სად იკარგები, სიხარულო? პიროვნებად — ლუსი.

• თუკი სხვა გიყვარს, იყავი სხვისი.

• მარი, შენს ნომერზე ველარ მოგწვდი და აქედან მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადო, მესიჯის დაბეჭდვისთვის, თანაც, ჩარჩოში. ხალხო, თუმცა ნიკი დამრჩა

ჩვენი სინდისი
სუფთაა, მადლობა
ამ ჟიურნალს.

სადღაც. ახალი ვარ, ხომ მიმიღებთ? გაიხარეთ, ასეც ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდით. :-) მთიელი.

• იკჩო-სიხჩო, ორელაი, ემილი, მიღებულები ხართ, გელოდებით სხვებსაც. ჰო, და კიდევ, საყვარლები ხართ. გენათალეთ ყველას. life is beauTiful. ჩორი-ჩორი.

• იცით, მაინტერესებს, აქ ბაღდათიდან თუ გზავნის ვინმე მესიჯს?

თოვლი მონაზვნებისთვისაც მოსულა

• იკჩო-სიხჩო, სესი, დუჩი, ლელუჩია, ლორელაი, ვერმახტი, პავლიკა, მგელო, სევდიანი, მამაცი თოჯინა, კარგები ხართ, მაგრამ ლიმონა სულ სხვაااااა. მპუა, ყველას. ;-) ჩორი-ჩორი.

• ჩორი-ჩორი, გეძღვნება შენ და ჩემს ჩოლკას: ჩ—ორი-ჩორი, ო—რი-ორი, ლ—ამაზ გრძნობას უნდა ორი, კ—ალმით ნახატს, გრძნობას ლამაზს, ა—ღარ უნდა ჭორი-ჭორი. ლუნა.

• პენსიონერო, კანიბალკა, ილინ, კარდიოლოგო, გერასიმე, კამელია, ემილი, ვირუსა, მის ბეღურა და დანარჩენებო, სიამოვნებით გაგიცნობდით. კარგები ხართ, გენათალეთ. ჩორი-ჩორი.

• ერთი ახლობელი მყავს, სვანია და თან — პატენტი (სვანეთში ერთხელ არაა ნამყოფი). ამას წინათ სვანებს ეჩხუბა. იდგა და აგინებდა სვანებს, ვითომ თვითონ რაჭველი იყოს. :) გიჟუნია.

• ახლა გზაზე მივდივარ და ვინცხას მანქანაში „დაისი“ აქვს ჩართული. დედაა, როგორ მომინდა ახლა ქართულის ცეკვა ძმასთან ერთა

გარდაცვალებიდან დღეს 1 თვე გავიდა, მაგრამ ჩემთვის ცოცხალი ხარ, მარინა ძალო. მიჭირს წარსულში საუბარი. 26 თებერვალს დაბადების დღე გაქვს. ვაი, რომ...

• პრივეტები ყველას, მანდ. :) როგორ ხართ? მე არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ დაიკო შემეძინა! ძალიან მიხარია! :)

• ჯაგარ ჯაგარიჩ, დათო ქავთარაძე, რობერტა, რამაზა, კოსა, ყველას მოკითხვა ზურასგან. თამო.

• ჯონ-ჯოლი, გმადლობთ. ჯონი, ბიჭი ხარ, გეტყობა. რომ მკიდია, იმიტომაც მომშორდა, კაცი ტილს მოიშორებს და მე კი ძლივს მოვიშორე, რაა. შენა და ჯოლი გევასება, ტოო? მეგრელი მგელო.

• თეო, მოგკლავ, სულს ამოგხდი, დაგახრჩობ, დაგჭრი, დაგჩეხავ, აგკუწავ, გაგბრდღვნი, გაგტყიპავ, აგაფეთქებ, თვალებს დაგთხრი, სახეს აგახევ, ხელებს მოგაჭრი, მეორედ ჩემს რვეულს თუ დაჯღაბნი. სატანიზატორო, გველაძუა, მელაძუა, კუდიანი ხარ. შენი ნათლული. ამას რომ ნათლული მოგწერს... ნეტავ, გადავურჩები, რომ მნახავს? მიშველეეთ! მეგრელი მგელო.

• ვერმახტუნაა, მადლობა, ბიჭი, ფსიხოჩკა სადღაა? ჩემი ნათესავი? ზმიზმი, აქ ხარ? ლიმონა და ჩორი-ჩორი, პაჩებიი! ლეო, დაგვიბრუნდი, იმერელო? მეგრელი მგელო.

• 27 თებერვალს ჩვენი კახუჩელა 30 წლის ხდება. კახ, მაგარი ფეხბურთელი ხარ. როგორ მინდა, გაგიცნო, იცი? კახა კალაძე მაგარია. წაიკითხავს, ნეტავ? ჰაა? ეეეჰ... მეგრელი მგელო.



მეჩ გავიზდები და მეჩ დავლევ ლუდს...

• ბექა, თუ გახსოვს ქორწილი 20 ოქტომბერს, ხაბუმეში? მას მერე მოსვენება დავკარგე. ქურთუკი გაიძრე, მოისროლე და საცეკვაოდ გამიწვიე.

• ვერმახტ, სიხარულო, ძალიან მაგარი და ჯიგარი ადამიანი ხარ. ნუ მოიწყენ, ok? გაკოცე. მე სულ შენს გვერდით ვიქნები და დაგეხმარები, რითაც შემიძლია. ლორელაი.

• სოფა, გეთანხმები. ამ თინეიჯერებმა მაგრად გადაამლაშეს აქაურობა. მართლა ქაჯები არიან. არ მოგწყინდათ, გაუთავებელი ჩხუბი? ნანიკა.

• მარი, სიხარულო, არ შეიძლება, სალანძღავი გზავნილები რომ არ დაბეჭდო? თინეიჯერებო, აბა, გადაბარგდით „ოსკარში“ და „ბარში“ და იქ იჩხუბეთ, რამდენიც გინდათ. ნანიკა.

• სესი, მაგარი ქალი ხარ. ლიმონ, გაიხარე! თოჯინავ, რა დროს გამითავდა sms-ები? ჩორი, არ წახვიდე და ნუ მეკარგები, ტიტანიკ. უჰ, მომენატრა აქაურობა. ახლებს გაუმარჯოს! ლორელაი.

• ზმიზმი, გმადლობთ მოლოცვისთვის, შენთვისაც მალე მომელოცოს. :) არც მე მინდოდა, ასეთი დასასრული. :(რაც მოხდა, შენი ბრალია. ბედნიერებას გისურვებ, ღმერთს ებარებოდე. მაკუშა.

• მივესალმები ყველას. ჯიგრები ხართ, მიყვარხართ ძაან. მოვიკითხავ ჩემს დაიკო ლორელაის, ჩორი-ჩორის, ილინს. მაგრები ხართ. მეც მინდა, თქვენს სასტავში. მილანკა.

• ვაუ, ოქრო კაცი დაგვიბრუნდა. :-) სად გაიპარა აგენტი 8-07? სტიქიავ, სად ხარ? დაბრუნდი, რა. ბოტოტა-17.

ვსარგებლობ

• მინდა მთელმა ქვეყანამ გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს ლადო. მთელი ათი წელია, სულ მენატრება. ამწუთას კი ისე ძალიან, რომ ლამის მეოთხე სართულიდან გადავხტე. ლადო, ისევ ისე ძალიან მიყვარხარ, როგორც მაშინ. შენ გამო ჩემი ქვეყანაც კი დავტოვე, მაგრამ ვერაფრით დაგივიწყე. თამთა.

• ზურა, რაც უნდა მოხდეს და რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ყოველთვის მეყვარები. ჩემი გული ხარ. ბევრს გკოცნი. შენი თამო.

• ზურა, ბედნიერი ვარ, შენნაირი თბილი ადამიანი რომ შემხვდა. მიყვარხარ და მჭირდები. შენი თამო.

• ზურა, რამაზა, კოსა, ჯაგარა, რობერტა, მუშთა, ვიტალი ჩოჩიევო, ჯიბე, პითერა, ბესო დევდარიანო, კობა, პატარა აგნეცა, ყველანი მიყვარხართ. თამო.

• ქუთაისელო გოგა ხერგიანო, მაგრად მიყვარხარ, სიცოცხლეს მირჩევნიხარ. ვიტანჯები, რომ ვერ გხედავ. ასე შორს ვარ შენგან... ნეტავ, არ გამეცანი. ნეკო.

ბალიკა





• საყვარელ დათუნიას და მავნე პაატა კანკიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას, საყვარელ ოჯახთან ერთად. პატ, მაგარი კასეტები „მარშრუტკისთვის", ჩემზე იყოს. მარიკუზა.

• ჩემს სიხარულს 21 თებერვალს აქვს დაბადების დღე. ვულოცავ მას, ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს და ყველა სურვილის ასრულებას. ფერია.

• ვულოცავ საქართველოს ყველა მამაკაცს, „კაცების დღეს", სულ ბედნიერად და სიყვარულით გეცხოვროთ, ჩვენთან ერთად. :-) გურულირუსთაველი, სალუკა:-)

• დედის დღეს, 3 მარტს ვულოცავ ჩემს დედიკოს. დე, გისურვებ ჯანმრთელობას, ღვთის მფარველობას და დიდხანს სიცოცხლეს. non stop.

• „ბარელ" ოლივიას ვულოცავ დაბადების დღეს, 28 თებერვალს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. ashley pcd.

• ნინო კომახიანს დაბადების დღეს ულოცავს საუკეთესო დაქალი, ნატალია ჩიხრაძე და ძმა, ირაკლი კომახიანი. ვუსურვებთ სიტკბოებას და ბედნიერებას, მთელი გულით.

• ჩემს გოგოს ვულოცავ დისშვილიშვილის შეძენას. მიყვარხარ, შე ახალგაზრდა ბებიავ. deep hearT.

• ლან, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ზღვა სიხარულს და შენი სიყვარულის მარადიულობას გისურვებ. შენი პაწუა ტატოს მომავალი ნათლია, ნინო. კიკო.

• გორში, სოფო კილიტაურს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს, ჩემო კარგო. გკოცნის თამო ხაშურიდან და ზურა, რუსთავის მეექვსედან.

• მინდა მივულოცო დაბადების დღე დათო ბობოხიძეს. 8 მარტსაა დაბადებული. მიყვარხარ და მენატრები, დავით. დღეებს, თვეებს, წლებს ვითვლი. სვაბოდას გისურვებ. მენატრები.

• ჩვენს გიუ ქალს, ლანკას ვულოცავ დაბადების დღეს (4 მარტს). ბედნიერება და ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოს ღმერთმა. იხარე და იბედნიერე, საყვარელ ადამიანებთან ერთად. მეგრელი მგელო.

• 4 მარტს მამიკოსაც აქვს დაბადების დღე. მამი, გილოცავ! სულ ჯანმრთელი და ეგეთი კარგი იყავი. სულ მოგეცეს ჩემთვის ფულები, როგორც ახლა. :) მამი, შენი შვილი ვარ, ქაჯაია. მეგრელი მგელო.

• ჩემს ულამაზეს და უსაყვარლეს მეგობარს, ნატა ერაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. გფარავდეს ღვთისმშობლის მადლი. მუკობაზიერი.

• ჩემს საყვარელ მამიკოს, დათო პავლიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 3 მარტს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენთან ერთად. უზმოდ მიყვარხარ. შენი მაკუშა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ დაიკოს, მაიკოს და ძმისშვილს, უსაყვარლეს და უმაგრეს ბიჭს, გიორგი ხელაძეს, ათენიდან. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. ქეთი.

• ნატალია, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. აბა, თქვენ იცით, კარგად იქეიფეთ და ჩემი სადღეგრძელო არ დაგავიწყდეთ. გკოცნი და გეფერები. ათენიდან, კატო.

• 1-ელ მარტს, ჩემს ვაჟიშვილს, რევაზ ჯანაშიას ვულოცავ დაბადების დღეს. დედი, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და უფლის წყალობას, საყვარელ ოჯახთან ერთად. გკოცნი, მონატრებული დედიკო, ათენიდან.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფიფქიკალენდარი



1 მარტი

კატების მსოფლიო დღე

ყველა კატას ვულოცავ „პროფესიულ დღესასწაულს“ და მოვუწოდებ ყველა ადამიანს, რომ არ აწყენინონ ამ საცოდავ ცხოველს. ფელინოლოგია (მეცნიერება კატების შესახებ) ირწმუნება, რომ კატა გონიერი და ჭკვიანი არსებაა და თუ ძაღლივით, პატრონის მიერ გადაგდებული ჯოხი არ მოაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ხვდება, ეს სულელური საქციელია. ამას წინათ, მეზობლის კატა კიბეზე რომ შეგხვდა და წიხლი ამოარტყი, ხომ გახსოვს? თუ ამ დღეს რამენაირად შემოირიგებ, მთელი წელი კატის იღბალი გექნება.

2 მარტი

ბებიების მსოფლიო დღე

თურმე, მთელ მსოფლიოში ამ დღეს ყველა ბებიას და იმ ქალბატონებს, ვისაც 55 წელი შეუსრულდა, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. მაგალითად, კეთილი ფრანგი ბებიები, რომლებიც გარგნულად „კლასიკურ“ ბებიებს სულაც არ ჰგვანან, გამოიპრანჭებიან და ლიქიორის დასალევად იკრიბებიან. რაღა თქმა უნდა, საჩუქრებსაც იღებენ. ესპანეთში ამ დღეს რესტორნები სპეციალურ მენიუს ადგენენ, ხოლო მაღაზიებში, მხოლოდ ბებიებისთვის, ფასდაკლებაა.

3 მარტი



მწერლების მსოფლიო დღე

1986 წლიდან, საერთაშორისო pen-კლუბის გადაწყვეტილებით, მსოფლიო მწერლის დღეს აღნიშნავს. ალბათ არ იცით, რომ კლუბის სახელწოდება ინგლისური სიტყვების — poets — პოეტები, essayists — ესსეისტებისა და novelists — რომანისტების პირველი ასოებისგან შემდგარი აბრევიატურაა, თუმცა, pen — ინგლისურად კალამსაც ნიშნავს.

საქართველოში ამ დღეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან დღესასწაულს — დედის დღეს აღვნიშნავთ. ყველა ქართველ დედას და დედამიწის ზურგზე ყველა მწერალს გაუმარჯოს!

8 მარტი

ქალთა საერთაშორისო დღე

კლარა ცეტკინის დამსახურებაა, რომ ქალებს საკუთარი „პროფესიული“ დღესასწაული გვაქვს. ეს ის დღეა, როდესაც მამაკაცები ქალებს პატივისცემით(?!) უნდა მოეპყრან, საჩუქრები მიუძღვნან და რესტორანში დაპატიჟონ. თუ მამაკაცს ფული არ აქვს, ერთი სიტყვა — „მიყვარხარ“ საკმარისი იქნება, ქალის გულის მოსაგებად (ვისაც ამ სიტყვებზე გაეცინა, ის ამის ღირსიც არ არის). და კიდევ ერთი — მამაკაცებო, ნუ შეაგინებთ კლარა ცეტკინს. ჯერ ერთი, დიდი ხნის წინ გარდაიცვალა და მეორეც — ქალია.



17 მარტი

მოკრივის დღე

ეს დღესასწაული ლეგენდარული მოკრივის, ნაიკხანომ ტომის ხსოვნის დღეს ეძღვნება. ის ბირმელებმა ტყვედ აიყვანეს 1775 წელს და აიძულეს, რომ ბირმელ მოკრივეებთან ეჩხუბა. მან ყველა დაამარცხა, რის გამოც ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

თუ ამ დღეს გიორგი კანდელაკს ორთაბრძოლაში გამოიწვევ, ჩათვალე, რომ დღესასწაული ღირსეულად აღნიშნე.

18 მარტი

საგადასახადო პოლიციის მსოფლიო დღე

თურმე, 2000 წელს ეს დღესასწაული პირველად რუსეთში აღნიშნეს. ამჟამად კი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ზეიმობენ ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს. „ჩვენებმა“ რაღა დააშავეს? არა, არა, არ აფასებს მთავრობა დამსახურებისამებრ მათ მუშაობას. გაზრდილი ბიუჯეტი, შევსებული ხაზინა, მთავრობის კეთილდღეობა ხომ მათი დამსახურებაა? ჰოდა, გაუმარჯოს ქართველ „საგადასახადოელებს“! არა! „მთავრობაზე“ მუშაობენ და მათ ადღეგრძელონ? კარგი, როგორც გინდათ.

20 მარტი



ასტროლოგიის დღე

ათეული წლის წინ ასტროლოგებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ეს დღე 20 მარტს აღენიშნათ. მაშინ, როცა ასტროლოგიური წელი მთავრდება და მზე ვერძის ნიშნის ქვეშ იმყოფება. მსოფლიო სტატისტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში, ასტროლოგია, ბიზნესმენებსა და პოლიტიკოსებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს, ზოგიერთი, ვარსკვლავების რჩევის გარეშე ნაბიჯსაც არ დგამს. თუმცა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ წინასწარმეტყველებით თავდავჯერებულობას მოკლებული ადამიანები არიან დაინტერესებული. ასეა თუ ისე, გაუმარჯოს ასტროლოგიას, ვარსკვლავებსა და პროფესიონალ ასტროლოგებს!

რიტრიტ დაფფარიტი ნაკლი



ყაბა ქალის გარდერობის განუყრელი ნაწილია და სწორად შერჩეულ ყაბას შეუძლია ნებისმიერი ნაკლი დაფაროს და ქალი მომხიბვლელი გახადოს. რამდენიმე რჩევა მათთვის, ვისაც პლასტიკური ქირურგიისთვის ფული არ აქვს და სურს, რომ ყარგად გამოიყურებოდეს.

1. განიერი თეძოები

თუ მიგაჩნია, რომ განიერი თეძოები გაქვს, უნდა ეცადო, ისინი ვიზუალურად დაავიწროო, ამისთვის კი თხელი ქსოვილი (მაგალითად, აბრეშუმი) გამოგადგება. კაბა თეძოზე მჭიდროდ მომდგარი არ უნდა იყოს. ღრმა დეკოლტე ყურადღებას სხეულის ზედა ნაწილზე გადაიტანს. ასეთი აღნაგობის ქალს ფერადი ქსოვილისგან შეკერილი კაბაც მოუხდება. თუმცა, უმჯობესია, თუ მკვეთრ ფერებს არ შეარჩევ.

2. ულამაზო მხრები და მკლავები

თუ ეს ნაკლი გაქვს, მისი დაფარვა აუცილებელია. ამის გაკეთება კი გრძელსახელოიანი კაბითაა შესაძლებელი. იმისათვის, რომ ასეთ კაბაში ქალურად და სექსუალურად გამოიყურებოდე, უმჯობესია, უჩვეულო ფორმის სახელოს შერჩევა. მაგალითად, ე.წ. „ფანარიკების“.

3. თუ მსუქანი ხარ

ფუმფულა ქალებს ძალიან უჭირთ შესაფერისი მოდელის შერჩევა. თუმცა, შეუძლებელი არაფერია. მთავარია, კაბის „ფასონი“ სწორად შეარჩიო. კარგი იქნება, თუ მუქი ფერის ქსოვილით საშუალო სიგრძის კაბას შეიკერავ. ასეთ ქალებს ნაკეცებიანი ქვედაბოლოც მოუხდება.

4. განიერი მხრები

ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან ასეთი მხრები, აღნაგობას ქალურ ფორმას უკარგავს. თუმცა მისი მოგვარებაც შესაძლებელია ისეთი კაბის შერჩევით, რომელიც მხრებს ვიზუალურად დააპატარავებს. ასეთი აღნაგობის ქალებისთვის იდეალური ვარიანტია მრგვალსაყელოიანი კაბა. მოტკეცილ ჯინსთან ერთად, უნდა ერიდო ფუმფულასახელოიანი და თავისუფალი სტილის მაისურის ჩაცმას.

5. პატარა მკერდი

თუ დიდი მკერდით თავის მოწონება არ შეგიძლია და სილიკონებიანი თეთრეულის ჩაცმაც არ გიყვარს, უმჯობესია, მაღალწელიანი (მკერდს ქვემოთ გადაჭრილი) კაბა შეიძინო. ის მკერდს ვიზუალურად ზრდის და ქალურ ფორმას მოგანიჭებს.

8. ზედმეტი სიგამხდრე

გამხდარ ქალბატონებსაც ძალზე უჭირთ კაბის შერჩევა. გირჩევ, მკვეთრი ფერის ქსოვილისგან შეკერილი კაბა შეარჩიო. ის ქალურსა და მიმზიდველს გაგხდის. ასევე მოგიხდება მაქმანიანი, ნაოჭიანი და ფუმფულასახელოიანი კაბები.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

პირველსკოლელთა „პარლამენტი“ და „პარლამენტარების“ ბუტაფორული ჯერი და ჯილი

უჩვეულო „ღია გაკვეთილზე“ არც საკლასო ჟურნალი გვაქვს და არც სიას ვკითხულობთ, რადგან ისედაც ცხადია, რომ უმრავლესობა აცდენს. შეხვედრის ადგილი არაფრით ჰგავს საკლასო ოთახს, იგი მოგონებების ზარდახშას უფრო წააგავს, ოღონდ – ძალიან ნათელს...

ირმა ხარშილაძე

ამჯერად, თბილისის პირველი საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულებს ვხვდებით. უფრო სწორედ, მათ ორ წარმომადგენელს — ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ლევან კობალაძეს და ფილოლოგს ლევან ორახელაშვილს.

ლევან კობალაძე:

— ეს იყო პირველი საშუალო სკოლის რიგით პირველი 0 კლასი. ამ ეზოდან — ზუბალაშვილების №2-დან სამნი ვსწავლობდით იმ კლასში: მე, ლევან ორახელაშვილი და ბესიკ კოკაია, რომელმაც დღეს ვერ მოიცალა მოსასვლელად. იქვე ახლოს, კიდევ სამნი ცხოვრობდნენ: გრიბოედოვის ქუჩაზე — კახა ჩხეიძე, ძერჟინსკიზე — ლევან აბაშიძე და დევიკო ქათამაძე.

ლევან ორახელაშვილი:

— ყოველ დილით ვურეკავდით ერთმანეთს და ვთანხმდებოდით, იმ დღეს სკოლაში მოკლე შარვალი ჩაგვეცვა თუ გრძელი (*იცინის*).

— სულ პირველი პირველი სექტემბერი გახსოვთ?

კობალაძე:

— საპირველსექტემბროდ პირველ სკოლას აქვს ტრადიციები, რომელსაც არასდროს ღალატობს: იწვევს სხვადასხვა თაობის პირველსკოლელებს — ცნობილ, სახელოვან ადამიანებს, თბილისის კოლორიტებს, მერე ისინი სიტყვით გამოდიან და ასე შემდეგ (სხვათა შორის, ერთი-ორჯერ მეც მომიწია სიტყვის წარმოთქმამ), ამიტომ აქ თაობებს შორის კავშირი არასდროს გამწყდარა. ორი პირველსკოლელი, სადაც უნდა მოხვდეს და რა თაობისაც უნდა იყოს, გეგონება, ორი ძალიან ახლობელი ადამიანი შეხვდა ერთმანეთს, ბავშვობას დაუბრუნდა და სკოლას იხსენებსო. სხვათა შორის, რამდენიმე მასწავლებელი, რომელიც მამაჩემს ასწავლიდა, დღესაცაა სკოლაში...

— ანუ თქვენი ოჯახის წევრებიც პირველსკოლელები არიან?

— (*ერთხმად*) აბა, რა!

ორახელაშვილი:

— ბაბუაჩემი, ვანო ხელაია იქ სასწავლო ნაწილის გამგე იყო. სხვათა შორის, ვანო ბაბუა გოკა გაბაშვილის ბაბუაცაა.

— როგორ ფიქრობთ — დღევანდელი და უწინდელი პირველსკოლელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

— პირველ სკოლაში სწავლობდნენ მთაწმინდელები, „პლეხანოველები“, ვაკელები, ვერელები, საბურთალოელები — ლამის მთელი ქალაქი იქ დადიოდა. შესაბამისად, რაღაც განსაკუთრებული ურთიერთობები მყარდებოდა. ქალაქური მეგობრობაც აქედან იჩეკებოდა, იწყებოდა — თითოეული უბნის საძმაკაცოები ვერთიანდებოდით და ვმეგობრობდით. თითქოს ერთი ორბიტის გარშემო ტრიალებდა ჩვენი თაობის დიდი ნაწილი. არ იგრძნობოდა ზღვარი უფროს და უმცროსკლასელებს შორისაც. ირაკლი ბათიაშვილი ჩვენზე ცოტათი უფროსი იყო, გია ჭანტურიაც, რემკა — გიორგი რევიშვილი კი — უმცროსი, მაგრამ სულ ერთად ვიყავით.

ეს იყო პირველი საშუალო სკოლის რიგით პირველი 0 კლასი

კობალაძე:

— უფროსები გვპატრონობდნენ და გვიცავდნენ კიდეც, უმცროსებს კი მეტი რიდი გვქონდა. დღეს ეს რიდი და კიდევ ბევრი ტრადიცია დაიკარგა ჩვენს სკოლაში. ახლა უმცროსი თითქოს ძალით ცდილობს უფროსის მორევას.

— რატომ?

— უკეთ რომ მიგახვედროთ, ისევ პირველსკოლელთა ტრადიციებს გავიხსენებ. 1856 თუ 1857 წელს, პირველი სკოლის დარბაზში (მაშინ თეატრი არ იყო თბილისში) გიორგი ერისთავის „გაყრის“ დადგმამ საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას — ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, „ბოლო ზარზე“ იმ წლის გამოშვებას სპექტაკლი უნდა დაედგა. იმავე დღისთვის ჩვენმა სკოლამ დაამკვიდრა წინსაფრებსა და პერანგებზე ხელმოწერების გაკეთებაც და კიდევ ერთი ტრადიცია იყო — გამოსაშვები კლასი იკრიბებოდა რუსთაველის ძეგლთან, იქიდან იწყებდა მსვლელობას შუა რუსთაველზე და ბოლოს საზეიმოდ შედიოდა სკოლაში პირველსკოლელთა ჰიმნის მღერით: „პირველსკოლელი ხარ შენ, პირველსკოლელი ვარ მე, მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს, პირველსკოლელი ვართ ჩვენ“ (*მღერის*)... რაღაც ამდაგვარი რიტუალი სრულდებოდა შეძახილით: „პირველ სკოლას გაუმარჯოს!“ სხვათა შორის, ეს ჰიმნი დეიდაჩემის თაობამ შექმნა, მაშინ სწავლობდნენ: კაკო ასათიანი, დათო ყიფი-

ანი, ლევან ერისთავი... იმასაც გეტყვით, რომ ჩემი კლასი იყო ბოლო, ვინც ასეთი ზარ-ზეიმით გამოიარა რუსთაველის პროსპექტზე. მახსოვს, ბესიკის ქუჩის კუთხესთან ვიღაც პარტიულმა მუშაკმა მანქანა ჩაგვიყენა, რომ არ გაგვევლო, მაგრამ ბავშვებმა ზემოდან გადაურბინეს და იმ ტიპმა ძლივს მოასწრო მანქანაში შეხტომა (*იცინის*). ჩვენ ასე იოლად ვერ დაგვაშინებდნენ — საკმაოდ ძლიერი თაობა ვიყავით, მყარად ვიდექით ფეხზე, რადგან სწავლითა და ცოდნით გამოვირჩეოდით. შემდეგი თაობიდან კი, ვისაც, ასე ვთქვათ, სკოლა ეჭირა ხელში და ბავშვებს შორის ავტორიტეტი ჰქონდა, სწავლის მხრივ მოიკოჭლებდა, დირექტორმა შეაშინა: თუ ასეთ მსვლელობას მოაწყობთ, ატესტატებს არ მოგცემთო და მთაწმინდაზე გაუშვა — ადით, ყვავილები დაკრიფეთ და პანთეონში მიიტანეთო... კიდევ პირველ სკოლაში გვქონდა ე.წ. პარლამენტი. ეს იყო ბიჭების ოროთახიანი ტუალეტი, რომელიც გარდა ძირითადი ფუნქციისა, თავშეყრისა და სკოლაში ურთიერთობების მოსაწესრიგებელ-დამაბალანსებელი ადგილი

I სკოლის ბაღში. III კლასი. დგანან II – ქეთინო ფირცხალავა, IV – ლევან აბაშიძე, V – ლევან კობალაძე

იყო. „პარლამენტს“ ჰყავდა „თავმჯდომარე“ — იმ თაობის ავტორიტეტული მოსწავლე, რომელიც თავის „სკამს“ სკოლის დამთავრების შემდეგ მომდევნო თაობის ავტორიტეტს გადაულოცავდა ხოლმე. იმ „პარლამენტში“ ისე ვარჩევდით საქმეებს, არავინ ზარალდებოდა, დიდი-დიდი, ვინმესთვის თავში წამოერტყათ — იქიდან ყველა დაზავებული გამოდიოდა. დღეს სკოლაში დაცვა და ვიდეოკამერები დგას, თითქოს ათასნაირად ამოწმებენ ბავშვებს, მაგრამ რა?.. შესვენებაზე კლასში ჩემი ბიჭი ისე დაჭრეს სამ-ოთხ ადგილას, ძლივს გადარჩა. ჩვენს დროს ასეთი რამ არ მოხდებოდა, თუნდაც იმ „პარლამენტის“ წყალობით.

— თქვენი „პარლამენტის თავმჯდომარე“ ვინ იყო?

— ჩვენი კლასელი, სერგო კოტრიკაძის ბიჭი — დათო კოტრიკაძე. საწყალი, ახლა გარდაცვლილია... ჩვენამდე, სხვათა შორის, იმ ტუალეტში ათასგვარ წარწერას აკეთებდნენ. ჩვენ ავკრძალეთ ბილწი სიტყვების წერა

მერე, შეკრებებზე იმდენი გამოტყდა, — ლევანი მიყვარდაო, — გაოცებულები ვუსმენდით...



კედლებზე, ფერადი საღებავებით მოვხატეთ იქაურობა და ნაძვის ტოტებითა და გირლანდებით გავაფორმეთ...

ორახელაშვილი:

— გახსოვს, ერთხელ მე, შენ, ლევანამ (*აბაშიძეს გულისხმობს. — ავტ.*) და ბესიკა კოკაიამ მთელი ტუალეტი შლანგით რომ გავრეცხეთ? (*იცინიან*)

— გოგონებსაც ჰქონდათ თავიანთი „პარლამენტი“?

კობალაძე:

— არა. გოგონები თავიანთ ფუნქციას ასრულებდნენ და არა ისე, როგორც დღეს — გენდერულ თანასწორობას ვგულისხმობ. სხვათა შორის, ამ თანასწორობაზე მეტი იყო ჩვენი მაშინდელი ურთიერთობა — სხვა პატივისცემა არსებობდა, ერთ სიტყვას მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე ახლანდელი გაკაპასებული გოგონას ჩხუბს, რომელსაც შეუძლია, გაბრაზებულ გულზე დანაც დაგარტყას.

— მოდი, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ. თუნდაც ლევან აბაშიძე — როგორ სწავლობდა?

ორახელაშვილი:

— ხუთოსანი ნამდვილად არ იყო. კარგი გაგებით, ყველანი „ნარუშიტელები“ ვიყავით.

კობალაძე:

— იცით, რა გამახსენდა? მეოთხე-მეხუთე კლასში ვსწავლობდით და მაგ დროს გადიოდა ფილმი შოტლანდიურ ნაგაზზე — „ლესი“. მაშინ ლევანს უყიდეს ძაღლი, კოლი. ბილი დაარქვა. ჭკუაზე არ ვიყავით. სკოლიდან დაბრუნებისთანავე ლევანი ამოიყვანდა ბილის და დავასეირნებდით პარლამენტის ეზოში. დღეს რომ ჩარაზეს ყველა კარი, მაშინ ეგრე კი არ იყო — პარლამენტის ეზოში სულ ფეხბურთს ვთამაშობდით. მის უკან რომ ბაღია, იმას ცეკას ბაღს ვეძახდით და იქაც ხშირად ვიკრიბებოდით. არავინ გვიშლიდა იქ ყოფნას.

ორახელაშვილი:

— შტაბი რომ ჰქონდა ლევანს სახლში?.. მაღალჭერიან ბინაში ცხოვრობდა და სააბაზანოს თავზე „ანტრესოლი“ გააკეთა შტაბად. თოკის კიბე დაკიდა და იმით ვძვრებოდით. „იატაკზე“ ფარდაგი ეგო, კარგად მოვკალათდებოდით ხოლმე და ჩუმად ვეწეოდით სიგარეტს. შინიდან რომი მიმქონდა და არომატისთვის იმ საზიზღარი სიგარეტის („დაისს“ და „თბილისს“ ვეწეოდით) ფილტრს ვაწობდით რომში.

კობალაძე:

— უცხოეთიდან „სუპერსტარის“ (როკოპერის) დისკი ჩამოუტანეს, ორმაგი ალბომი იყო, ბოლო ხმაზე დაუსრულებლად ვუსმენდით.

— ლევანი, ალბათ, სკოლაში ბევრ გოგონას უყვარდა...

— ძალიან ბევრს. ეგ კი არა, მერე, შეკრებებზე იმდენი გამოტყდა, — ლევანი მიყვარდაო, — გაოცებულები ვუსმენდით... ჩვენს კლასში კიდევ „მზიურელები“ სწავლობდნენ — ქეთი ფირცხალავა და ეკა გოდერძიშვილი. ქეთის დედ-მამა ვიეტნამში მუშაობდა

და როცა საქართველოში დაბრუნდნენ, ჩვენთან მოიყვანეს — მაშინ მეორე კლასში ვსწავლობდით. არ მავიწყდება, პირველად რომ შემოვიდა კლასში, ზოლიანი ქვედაბოლო და „შლოპანცები“ ეცვა. ეტყობა, იქ დატანტალებდა ასე. ჰოდა, წავართვით ეს „შლოპანცები“ და ვაბურთავეთ კარგად. ქეთიც ბევრს უყვარდა სკოლაში.

ორახელაშვილი:

— სხვათა შორის, ერთხანს, ნანა პატარკაციშვილიც ჩემს კლასში იყო. ჩვენს სკოლაში კიდევ ერთი „მზიურელი“ სწავლობდა — თამრიკო ხორავა. ჩვენზე ცოტათი უფროსი იყო და მახსოვს, ერთხელ, ფიზკულტურის გაკვეთილზე დარბაზში ისხდნენ ქეთი, ეკა და თამრიკო და ჭორაობდნენ. შევედით სამივე ლევანი და გოგონები გვეუბნებიან: შენ, თამრიკო ჭოხონელიძე უნდა დაგაჯახოთ, აბაშიძეს — ეკა კახიანი და კობალაძეს — მაია ჯაბუაო (*იცინიან*). ბოლოს და ბოლოს გაგვაცნეს, ძალიან დავმეგობრდით და მათ კონცერტებზე კულისების ვიზაც კი გვქონდა. სხვათა შორის, ეკა კახიანი დღეს ჩემი მეჯვარის მეუღლეა!

კობალაძე:

— ძალიან ლაღად ვიზრდებოდით. დღეს უფრო სჭირდებათ ბავშვებს „დევნა“. გაკვეთილის შემდეგ საძმაკაცო, როგორც წესი, აქვე, რუსთაველზე, მხატვრის სახლის ქვეშ რომ სახინკლე იყო, — ან იქ, ან დღევანდელი „მერიოტის“ ქვემოთ, სახინკლეში დავდიოდით. მესამე-მეოთხე კლასში ვიყავით მაშინ.

ორახელაშვილი:

— იქ ორსართულიანი მაგიდები იყო და ხინკალი ფეხზე მდგომს უნდა გეჭამა. ჩვენ მაგიდის პირველ სართულს უკვე ვწვდებოდით. მახსოვს, სკოლის ფიზკულტურის, შრომისა და სამხედროს მასწავლებლებმა გვიცნეს ერთხელ, ისინიც იქ „ხინკლაობდნენ“. კლასის დამრიგებელთან ჩაგვიშვეს და იმანაც „ლოცვა-კურთხევა“ არ დაგვაკლო — ქოქოლა და მეხი არ დაიშურა ჩვენთვის. ხელწერილებიც კი დაგვაწერინეს (*იცინიან*)... გახსოვს, შოთა აბაიშვილი?

კობალაძე:

— მგონი, ყველა თაობას ასწავლიდა ფიზიკას.

ორახელაშვილი:

— მაგარი კაცი იყო, თბილისის კოლორიტი. ყიფშიძის ქუჩაზე ცხოვრობდა, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ერთხელ, გაკვეთილზე სასხვათაშორისოდ იკითხა: ყველაზე სწრაფად ვინ დარბისო? ლევან აბაშიძე წამოხტა: მე დავრბივარო — ეგონა, თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. შოთამ მანეთიანი ამოიღო და, — „ბორჯომი“ მომიტანეო, — რუსთაველზე, „ლაღიძის“ გვერდით, „ბორჯომის“ მაღაზიაში გაგზავნა. რაღას იზამდა? გავარდა და მოუტანა...

უეცრად, კლასის პიონერულ ფოტოს დავხედე — ეტყობოდა, რაზმეული მნიშვნელოვანი საქმისთვის შეეკრიბათ.

ორახელაშვილი:

— პიონერთა რიგებში სულ ბოლოს, მე, აბაშიძე, კობერიძე და კიდევ ერთი-ორი ბიჭი მიგვიღეს. ჩანს, ღირსები არ ვიყავით. იცით, ეს როდის მოხდა?.. სხვები კომკავშირში რომ შედიოდნენ (*იცინიან*).

კობალაძე:

— შენ კარგად არ გახსოვს, ალბათ — იმ დღეს სკოლაში არ იყავი. კომკავშირში ყველა ერთად მიგვიღეს, თანაც, საზეიმოდ — მაია ჩიბურდანიძის (ისიც ჩვენი სკოლელი იყო) მსოფლიო ჩემპიონობის აღსანიშნავად.

ორახელაშვილი:

— საპატიო ყარაულშიც კი ვყოფილვარ, მაშინ პიონერი არც ვიყავი, „ბედნიერი შემთხვევის“ წყალობით მოვხვდი და დროებით, ყელსახვევიც გამიკეთეს. ისტორიული დღე იყო — უცნობი ჯარისკაცი ვაკის პარკში სწორედ მაშინ დაკრძალეს...

ტრადიციულად, ყველა კურსდამთავრებულს სკოლიდან დახასიათებას ატანდნენ და ვაი იმის ბრალი, ვისაც ცუდ რამეს ჩაუწერდნენ!.. ჩვენი რესპონდენტები და მათი მეგობრები, მონათხრობიდან გამომდინარე, ასე თუ ისე, გავიცანით. საინტერესოა, თვითონ რა დახასიათებას გაიმეტებდნენ თანაკლასელებისთვის, თუნდაც, ან განსვენებული ლევან აბაშიძისთვის?

ორახელაშვილი:

— კეთილშობილი იყო, სულ ცდილობდა ეარტისტა... ხიფათიანი იყო, ქრონიკულად, ტრავმა ჰქონდა, თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებზეც ხელმოტეხილი გამოცხადდა. ვაჟკაცი ბიჭი იყო და მეომრის თვისებებიც ჰქონდა. აფხაზეთში იარაღის ხელში აღებაც ვერ მოასწრო, პირველსავე დღეს დაიღუპა.

— კლასი როგორი გქონდათ?

— გაკვეთილი არასდროს ჩაგვიშლია, „შატალოზეც“ კი არ ვყოფილვართ. სკოლაში ისეთ დროს ვატარებდით, გაპარვა აღარსად გვჭირდებოდა.

— ხშირად იკრიბებით კლასელები ან იცით, სად არიან დანარჩენები?

კობალაძე:

— კომპიუტერში მონაცემთა ბაზა მაქვს, შესაბამისად, იოლად ვუკავშირდები თითოეულს. ადრე, ყოველ გარდაცვლილ თანაკლასელს შავ ჩარჩოში ვათავსებდი, მერე ისე გაიზარდა მათი რიცხვი, ძალიან დავითრგუნე და ჩარჩოები მოვხსენი... პირველად, ათი წლისთავი აღვნიშნეთ. მე, ვალოდია ჯინჭარაძის მისია ვიკისრე, ოღონდ პირობა წამოვაყენე — მეუღლეების გარეშე უნდა შევკრებილიყავით. ბოლოს, 2007 წლის ზაფხულში შევკრიბე; მერე, პარალელურ კლასთან ერთად, ბანკეტიც დამიკვეთეს და სექტემბერში შევუსრულე — „ბითლზ-კლუბში“ შევიკრიბეთ. ისე გაუტკბათ, ინტერვალებს ამცირებენ — საშუალება რომ მისცე, ყოველდღე შეხვედრაზეც არ იტყვიან უარს.

— ამდენი დრო გავიდა, რა გასწავლათ სკოლამ?

პირველად, ათი წლისთავი აღვნიშნეთ. მე, ვალოდია ჯინჭარაძის მისია ვიკისრე, ოღონდ პირობა წამოვაყენე – მეუღლეების გარეშე უნდა შევკრებილიყავით

— გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი ცოდნა მოგვცა, ცხოვრება გვასწავლა — კაცობა, ქალ-ვაჟისა და უფროს-უმცროსის ურთიერთობა და, რა თქმა უნდა, დიდი სამეგობრო დამიტოვა. სხვათა შორის, სიამოვნებით დავბრუნდებოდი მეექვსე-მეშვიდე კლასში და ყველაფერს თავიდან დავიწყებდი. ■

ქალის სიიუმორი...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-8

სვეტა კვარაცხელია

ახალ გარემოს მალე შევეჩვიე, ორ კვირაში უკვე ყველას შევაყვარე თავი, გარდა... ნანკასი და სანდროსი. ნანკასთან საერთო ენა ვერა და ვერ გამოვნახე, ხოლო სანდრო ძველებურად გამირბოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო შორს ეჭირა ჩემგან თავი. დამინახავდა თუ არა, გულგრილობის ნიღაბს აიფარებდა სახეზე და ისე ჩამივლიდა გვერდით, თითქოს ვერც მამჩნევდა, არც ვარსებობდი. სამაგიეროდ, ბექა არ მშორდებოდა. გამუდმებით ჩემ გარშემო ციბრუტივით ტრიალებდა. არც მე ვიყავი მთლად გულგრილი, მსიამოვნებდა მისი ყურადღება. გარდა ამისა, თუ საჭიროება მოითხოვდა, ადვილად შემეძლო მისი გამოყენება სანდროს წინააღმდეგ, საეჭვიანოდ.

ბექაზე ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული. ექიმები ქალების რისხვას ეძახდნენ. ყოველი მეორე თეთრხალათიანი ქალი მასზე იყო შეყვარებული. ის კი ზედაც არავის უყურებდა. ერთადერთი გამონაკლისი, მგონი, მე ვიყავი. ეს მიხაროდა, თანაც ძალიან. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, სუფთა, ხალასი, უბოროტო, ამასთან — ბრწყინვალე გარეგნობის. ერთი სიტყვით, სასურველ საქმროდ მიიჩნეოდა არა მარტო კლინიკაში, არამედ მთელ თბილისში.

დღეს პირველი რთული ოპერაცია მქონდა. ცოტას ვნერვიულობდი. გამოუცდელი არ ვიყავი, მაგრამ მაინც. შუადღისას ახალგაზრდა ბიჭი მოიყვანეს, რომელიც დეიდაშვილმა დაჭრა. სამი ჭრილობა ჰქონდა ზურგიდან მიყენებული — ფილტვში, თირკმელსა და ფერდში. პირველი და მესამე არ იყო საშიში, მაგრამ რაც შეეხებოდა თირკმელს, ცალი მთლად დაფლეთილი ჰქონდა, მარჯვენა. ამასთან, უგონოდ იყო მთვრალი. ბევრი სისხლი დაუკარგავს, ყოველი წამი ძვირფასი იყო. სანდრომ გაუკეთა ოპერაცია. ექვსი საათი მუშაობდა. სასტიკი უარი განაცხადა თირკმლის ამოჭრაზე, ვეცდები, შევუნარჩუნოო. დაჭრილისთვის ნარკოზის დამატებამ ორჯერ მომიწია, რომ არ გამოფხიზლებულიყო. ვფრთხილობდი, შეცდომა არ დამეშვა. ძალიან სარისკო საქმე იყო. იმდენად სერიოზული ოპერაცია კეთდებოდა, მთელი კლინიკა ფეხზე დადგა. დავიღალე. ცალკე ნერვიულობით, ცალკე — დაძაბულობით. მთელი ექვსი საათი პაციენტის მაჯა მეჭირა ხელში და მის გულისცემას ვამოწმებდი. ხანდახან სანდროსკენ გავაპარებდი მზერას. ოსტატურად მუშაობდა, შესაშური სიმშვიდით აკეთებდა თავის საქმეს. ტყუილად არ შეურქმევიათ მაესტრო. რამდენჯერმე მთხოვა, შუბლიდან ოფლი მომწმინდეო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიამოვნებით გავაკეთებდი ამ საქმეს. თან ოფლს ვწმენდდი, თან გულში ჩემთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: „ჩემო სიხარულო, როგორი დაღლილი სახე გაქვს“. ერთხელ შემომხედა მხოლოდ, თითქოს გრძნობდა, რასაც ვამბობდი...

ოპერაცია საღამოს რვის ნახევარზე დამთავრდა. ძალაგამოცლილი კაბინეტში გავედი და ხანში შესულ ექთანს, ზინას ვთხოვე, ყავა მოედუღებინა ჩემთვის.

ესეც ასე. პაციენტი გადარჩა. ახლა მთავარია, არაფერი გაურთულდეს. თან, ამაღამ, მე ვარ მორიგე რეანიმაციაში, სადაც ხუთი ავადმყოფი წევს. ერთ-ერთი მათგანი, თხუთმეტი წლის ბიჭია, შემთხვევით გასროლილი ტყვია მუცელში მოხვდა. გამჭოლი ჭრილობა აქვს. სავარაუდოდ, ხვალ გადაიყვანენ პალატაში. მეორე, საშუალო ასაკის მამაკაცია, კენჭი ჰქონდა შარდის ბუშტში. ერთსაც — პროსტატის ოპერაცია გაუკეთა ბექამ, მგონი, მისი მეგობრის მამა უნდა იყოს და ერთიც — სომეხი კაცია, მოხუცი, თითქმის უპატრონო. შვილი ერევანში ჰყოლია, რომელიც ხვალ დილით ჩამოვა. გაჭრეს, მაგრამ ეგრევე გაკერეს, რადგან სიმსივნე აღმოაჩნდა. შესაძლოა, დილამდე ვერც გაატანოს. მეხუთე, ჩვენი ახალი პაციენტი დაემატა, რომელსაც ყველაზე რთული მდგომარეობა აქვს — ერთდროულად სამი ოპერაცია გაუკეთდა.

ზინამ ყავა შემომიტანა. საამო ცხელი სურნელით გაიჟღინთა ჰაერი.

— უღრმესი მადლობა, ქალბატონო ზინა, გაიხარე! — გავუღიმე ქალს და მაგიდიდან ქაღალდები ავიღე, ადგილი რომ გამეთავისუფლებინა.

— ქალბატონოს ნუ მეძახი, სოფიო, გენაცვალე, სახელით მომმართე, — თბილად მითხრა ჭაღარა ქალმა და ფინჯანი ფრთხილად დადგა, — მირთვი, ტკბილად შეგერგოს, ნამდვილად იმსახურებ, შემოგევლე, ოქროს ხელები გქონია. არ მოგერიდოს, როცა მოგინდეს, დამიძახე და მაშინვე მოგიდუღებ, არ მეზარება, იცოდე.

— დიდი მადლობა, ზინა, გაიხარე.

ექთანი გასული არ იყო, რომ სანდრომ შემოაღო კარი.

— დღეს შენი მორიგეობაა, არა? — ცივად მკითხა და გულგრილად შემათვალიერა.

— ჰო, — რატომღაც, ფეხზე წამოვდექი.

— აი, დანიშნულების ფურცელი. ამ წამლებს გაუკეთებ ამაღამ. ყოველ ერთ საათში კი წნევას და ტემპერატურას გაუზომავ.

— გასაგებია.

— წავალ, ცოტას წავუძინებ, თორემ სიქა გამძვრა, ფეხზე ველარ ვდგავარ, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და გავიდა.

გული დამიმძიმდა. რა იქნებოდა, ერთი თბილი სიტყვა მაინც ეთქვა? მადლობაც კი არ გაიმეტა, იმდენ ხანს მის გვერდით ვიყავი.

მოულოდნელად თავი შემოყო კაბინეტში.

— კარგად იმუშავე, ამისთვის დიდი მადლობა, — შემომძახა და პასუხს არ დალოდებია, ისე გაიხურა კარი.

სიმწრისგან თავი მაგიდაზე ჩამოვდე. რა საშინელი კაცია, როგორ მექცევა!..

ცოტა ხანში კარზე ისევ გაისმა კაკუნი. მობრძანდით-მეთქი, — დაღლილი ხმით გავძახე.

ბექა შემოვიდა, შუა ოთახში გაჩერდა და ხელები ხალათის ჯიბეებში ჩაიწყო.

— გინდა, მორიგეობა გაგიცვალო?

— არა, რატომ, — მხრები ავიჩეჩე.

— გადაღლილი ხარ და იმიტომ. შეგცვლი, ჩემთვის პრობლემა არ არის. რაც მთავარია, ცოლი არ მელოდება შინ, — ეშმაკურად გამომხედა.

— არც მე, — კეკლუცად ავზიდე წარბები.

— ნუთუ? მე კი მეგონა, ორი წყვილი ცოლ-შვილი თუ წვრილშვილი გელოდებოდა პირდაფჩენილი, — ვალში არ დამრჩა ბექა. — რა გაცინებს? მე სამსახური შემოგთავაზე, შენ კი მაფრქვევ აქ შენს ატომურ ღიმილს და თან მაშაყირებ. ეგ ბოროტებაა.

— ხომ გითხარი, ცუდი გოგო ვარ-მეთქი.

— კარგი, კიდევ ერთხელ გავიგე, რომ ასეა. რადგან ამ ცუდ გოგოს არ უნდა ჩემი დახმარება, წავალ მაშინ, სხვა რაღა დამრჩენია.

— გმადლობ, ბექა, მაგრამ მართლა არა ვარ დაღლილი, მირჩევნია, დავრჩე.

— „ო კეი“, „ძილი მშვიდობისა“, ლამაზმანო.

გამეცინა. რა უკუღმართი ლაპარაკი იცის, საოცარი ვინმეა.

— ტყუილად იცინი. შენს დანახვაზე მოკლე ჩართვა მემართება, ამიტომაც ვურევ სიტყვებს. ასე რომ, ნუ დამცინი, — საყვარლად გამიღიმა და თითი დამიქნია.

— არა გრცხვენია? სულაც არ დაგცინი. უბრალოდ, მეცინება შენს „ლექსიკონზე“.

— იცინე, იცინე, დაცინვას კაცი არ მოუკლავს. აბა, წავედი. იმედია, ლოთივით მაგიდაზე არ ჩამოგეძინება და ყავაში არ ჩაყოფ თავს. შიგადაშიგ დაგიმესიჯებ და გამოგაფხიზლებ.

— მოუთმენლად ველი შენს მფრინავ ფრაზებს, ბატონო მთავარი ექიმის მოადგილევ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატო და ასე შემდეგ.

— „მარიაჟი“ დაგავიწყდა.

— მაგას სხვა დროს გეტყვი, მარაგში დავიტოვებ.

— ო-ჰო-ჰო-ჰო! ისე იკბინები, როგორც კარგი სტაჟიანი შინაბერა.

— ვარ კიდეც, ეჭვი არ შეგეპაროს. წამო, გაგაცილებ.

— სახლამდე? — გაიხუმრა და თვალები ჭინკებით აევსო.

— კიდევ რა გინდა? მაგას ვერ ეღირსები. კარამდე მიგაცილებ მხოლოდ, ესეც გეყოფა.

სანამ გავიდოდა, თავი მოაბრუნა და შემომხედა. თვალებში სევდა ჩასდგომოდა.

— მსიამოვნებს, შენი ტკბილი სუნთქვის სურნელი რომ მცემს სახეში. ესეც ბანალურია? — მკითხა და ისე გამიღიმა, შემეცოდა.

— არც ისე, გამოგივიდა, რა, — მხარზე შევახე ხელი.

— არა, შევცდი. ყავის სურნელი ყოფილა თურმე, — თავისი ეშმაკობით კმაყოფილს ისევ გაუნათდა თვალები.

— საძაგელო, ბოროტი ხარ! — მწარედ დავუტყაპუნე ხელი მკლავზე.

— არა, ისეთივე ცუდი ბიჭი ვარ, როგორი ცუდი გოგოც შენ, — თქვა და გავიდა.

ღამის ოთხ საათზე კიდევ ერთხელ დავიარე რეანიმაცია. ახალნაოპერაციები ბიჭი ბორგავდა, კვნესოდა. ტკივილები აწუხებდა. ვერ გავბედე დანიშნულების გარეშე მორფინის გაკეთება, დიმედროლანალგინით დავკმაყოფილდი. წნევა ნორმალური ჰქონდა, მაგრამ სიცხემ აუწია, 38 და ორი ხაზი მიჩვენა თერმომეტრმა. სხვები მშვიდად იყვნენ, ის სომეხი წუხდა მხოლოდ, საწყალი მთლად გაყვითლებულიყო სახეზე. ხელით მანიშნა, ახლოს მოდიო. მისკენ დავიხარე.



— წყა-ლი, — ამოიხავლა საცოდავად.

— წყალი არ შეიძლება, ბაბუ, როგორმე დილამდე უნდა მოითმინოთ, — თბილად ვუთხარი, ბამბა დავასველე და ტუჩებზე მოვუსვი.

— ჩემი ბიჭი ჩამოვა? — ჩურჩულით, ძლივს ლაპარაკობდა.

— აუცილებლად ჩამოვა, ნუ ნერვიულობთ. მითხრეს, ხვალ დილით აქ იქნებაო. ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, — ხელზე ხელი შევახე.

ფაფუკი ხელისგული ჰქონდა, თბილი. მძიმედ სუნთქავდა. „არა, ეს დილამდე ვერ გაატანს, უეჭველი“, — გავიფიქრე და ზინას დავუძახე, ერთი ყლუპი წყალი დაალევინე-მეთქი. ძალიან შემებრალა. ჯანდაბას, დალიოს წყალი, მაინც არ უწერია დიდი ხნის სიცოცხლე.

შემოვლა დავამთავრე და კაბინეტში შევბრუნდი. უძილობისგან თვალები მებლიტებოდა, დაღლილობისგან კი ფეხები მეკეცებოდა. დივანზე წამოვწექი და თვალები მივლულე. ფიქრებით სანდროს გადავწვდი. ვინ იცის, ალბათ, წევს ახლა თბილ ლოგინში და ნიტასთან ჩახუტებულს მშვიდად სძინავს. უსიამოვნოდ გამცრა ტანში. ამ დროს ზინამ შემოაღო კარი.

— სოფიო, სანდრო ექიმი მოვიდა, — გამაფრთხილებელი ტონით მაუწყა.

ელვის სისწრაფით წამოვხტი, დაწოლილს არ შემომისწროს-მეთქი. თმა და ქვედაბოლო გავისწორე და მაგიდას მივუჯექი. განა, რა უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც არ მინდოდა, უსაქმოდ დავენახე. ესე იგი, შევცდი, ესე იგი, არ სძინავს? მით უმეტეს, ნიტასთან?

დრო თითქოს გაიწელა, ის კი არა და არ შემოდიოდა. „რისთვის მობრუნდა? იქნებ, ჩემს სანახავად? თუ ასე იცის ხოლმე რთული ოპერაციის შემდეგ?“ — ფიქრები მაწვალებდა. ამ დროს ქარივით შემოიჭრა ოთახში.

— დანიშნულება სად არის? — არც შემოუხედავს, ისე იკითხა.

— საორდინატოროში რა ხდება?

— მორფინი მოამზადე და გაუკეთე.

— ვიფიქრე, მაგრამ უშენოდ ვერ გავრისკე.

— რაღაც არ მომწონს მისი მდგომარეობა. სიცხემ დაიწყო კლება, მაგრამ სისხლდენა არ კლებულობს.

— დრენაჟი ხომ...

არ მაცალა წინადადების დამთავრება.

— არა და არ მთავრდება ეს კოლტები. დავიჯერო, ვერ შევინარჩუნებთ თირკმელს? — შეფიქრიანდა.

— დამშვიდდი, ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. სულ რამდენიმე საათი გავიდა ოპერაციიდან.

— მიდი, მიდი, ნემსი გაუკეთე, მე კი იქნებ ყავა დამალევინოთ, ზინას სთხოვე, მომიდუღოს.

— ახლავე, — კაბინეტიდან გაბრუებული გამოვედი, თან მსიამოვნებდა, თან ვბრაზობდი, ასე მორჩილად რომ ვასრულებდი მის ყველა ბრძანებას...

ცოტა ხანში ყავით ხელში შევბრუნდი. სავარძელზე გადაწოლილიყო თვალებდახუჭული და თავი სუზურგზე დაედო. მომეჩვენა, რომ ეძინა.

— როგორ არის? — არ განძრეულა, ისე მკითხა.

— მალე დაწყნარდება, ნემსი გავუკეთე.

— წამალი აღრიცხე?

— აბა, რა ვქენი!

— შენ მოადუღე? — თავი ასწია და გამჭოლი მზერა მესროლა.

— ჰო, — ჩავილუღლუღე და დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით გავწითლდი.

— საწამლავიც ხომ არ ჩამიყარე? — უცნაურად გამიღიმა.

— შენი გულისთვის ციხეში ვერ ჩავჯდები, უკაცრავად, — აგდებულად ვუპასუხე.

— მე შესაყვარებელ საწამლავს ვგულისხმობ...

— მჩხიბაობა ჯერ არ დამიწყია, შენდა საბედნიეროდ. ამასთან, არ მჭირდება ეგეთი მეთოდები, თუ მოვინდომე, ისედაც მივაღწევ ჩემსას.

— მერე?

— რა, მერე?

— რატომ არ ინდომებ?

— ხომ გითხარი, სხვა გეგმები მაქვს-მეთქი.

— ვის უმიზნებ?

— ეგ შენი საქმე არ არის.

— შენც იმ ქალების გზას ხომ არ დაადექი...

— ნართაულით ნუ მელაპარაკები, თუ სათქმელი გაქვს, პირდაპირ მითხარი.

— შენც ბექას ხომ არ ეპრანჭები?

— შეცდი. ამ დროს პირიქით ხდება, რომ იცოდე!

— პირიქით, რას ნიშნავს?

— ბექა მეპრანჭება, — საზეიმო ტონით წარმოვთქვი და გამარჯვებულის იერით შევხედე, თუმცა იმწამსვე ვინანე, ბექა რომ გავეცი.

— შენთვის გაუსროლია „ავრორას“, — ბოროტად ჩაიცინა და ყავა მოხვრიპა.

— რატომაც არა, ერთხელ მეც გამიღიმოს ბედმა, არ შეიძლება? — მის ყოველ შემოტევას შეტევითვე ვუპასუხებდი.

— როგორ არ შეიძლება. განუმეორებელი წყვილი იქნებით.

— ეჭვი არ შეგეპაროს. მიყვარს ძლიერი მამაკაცები.

— ამით რა გინდა მითხრა, რომ მე ძლიერი არ ვარ?

— შენ მშიშარა ხარ, თანაც ძალიან მშიშარა, უფრო მეტიც, ამ სიტყვის აღმატებითი ხარისხით ანუ „უმშიშრესი“. ახლაც კი გეშინია, ამდენი წლის შემდეგ.

— გეთანხმები. იცი, რისი მეშინია? გაორება არ დამემართოს.

— ვერ გავიგე?

— ჩემი სულის ერთ ნაწილს ნიტა უყვარს, მეორეს შენთან უნდა ყოფნა. აი, ეს არის გაორება. ახლა გაიგე?

ჰმ, ალბათ, გულწრფელობის საათი დაუდგა. როგორ გადამიშალა გული?! არადა... ნიტაზე თქვა, მიყვარსო, ჩემზე კი — არა. მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ჩემთან ყოფნის სურვილი აქვს. რატომ? რატომ გაურბის ამ სიტყვას, როცა ჩემთან ურთიერთობაზე იწყებს ლაპარაკს?

— შენ უფრო მეტის გეშინია, — ისევ „დავესხი“ თავს.

— მართლა? და რისი?

— წარსულში დაბრუნების.

— შენ არ გეშინია ამის?

— მე დღემდე ამ წარსულით ვცხოვრობ, ამიტომაც არაფრის მეშინია.

— რა გინდა, სოფიო, ერთხელ და სამუდამოდ გამაგებინე.

— არაფერი.

— სხვა? კიდევ ხომ არ დაგრჩა რამე სათქმელი? — თქვა და წამოდგა. ნახევრად დალეული ყავის ჭიქა ჩემკენ მოსწია.

— აზრი არა აქვს, — ხმადაბლა ვთქვი და გული ამიჩქროლდა, არ წავიდეს-მეთქი.

— რატომ გგონია? — მაგიდას ხელებით დაეყრდნო, ჩემკენ გადმოიხარა და სახე ახლოს მომიტანა.

ოფლმა დამასხა, ხელები გამიცივდა, მისი სუნთქვა ისე ახლოს ვიგრძენი.

ამ დროს ფანჯრები შეზანზარდა. ორივე შევკრთით. უკან მივიხედე. ქარი ამოვარდნილიყო.

— შენნაირი ცვალებადია ეს მარტი, ვერაფერს გაუგებ, — ორაზროვნად თქვა სანდრომ.

მისი სიტყვები თითქოს ბუდოვნად ჩამესმოდა, ფიქრებით ქართან ვიყავი. რატომ მაინცდამაინც ახლა? მშვენიერი ამინდი იყო, საიდან გაჩნდა ეს ქარი? რისი მანიშნებელია? არადა, ქარის დროს ყოველთვის სული მიფორიაქდებოდა, თითქოს უცნაურად აღვეგზნებოდი რაღაცის მოლოდინში. ახლაც იგივე დამემართა. მოლოდინით ავივსე.

— ასე მგონია, შენც ისევე აბობოქრდები, როგორც ეს ქარი. შემთხვევით, შენ ხომ არ შეუკვეთე ასეთი ამინდი? — ხუმრობანარევი ხმით წარმოთქვა და ისევ სავარძელში ჩაესვენა.

— ბუნებასთან ვერ იკამათებ, როცა უნდა წვიმს, როცა უნდა ქარია, — „ვიმართლე“ თავი.

— რატომ მითხარი წეღან, აზრი არა აქვსო? აზრი ყველაფერს აქვს, მით უმეტეს, ჩვენს შემთხვევაში, — ძველ თემას დაუბრუნდა და დანისლული თვალებით მომაშტერდა.

მეც შევხედე. კარგა ხანს უსიტყვოდ ვუყურებდით ერთმანეთს. თითქოს მბურღავდა მისი შემოხედვა, რენტგენის სხივებივით სხეულში ატანდა მისი მზერა. თავით ფეხებამდე დამიარა სასიამოვნო ჟრუანტელმა.

მეტი ვეღარ მოვითმინე.

— ღმერთო ჩემო, სანდრო, რა ვქნა, მითხარი, როგორ მოვიქცე? იქნებ მითხრა, რამდენი მილიონი ამოოხვრა იქნება საჭირო, ჩემი სიყვარული რომ დაგიმტკიცო? — თითქოს თავისით წამოვიდა სიტყვები გულიდან, ჩემი ნებართვის გარეშე.

შეცბა. როგორც ჩანს, ასეთ აღსარებას არ ელოდა.

— მომისმინე, სოფიო... არ გიფიქრია იმაზე, რომ შენთან ხელახლა დაწყებულმა ურთიერთობამ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს? ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ ნიტას რას ერჩი, რატომ ცდილობ, იმ ქალს ცხოვრება დაუნგრიო?

— მან მე უკვე დამინგრია ცხოვრება. ასე რომ, ბარი-ბარში ვიქნებით.

— ის არაფერ შუაშია. მისი ბრალი არ იყო, რაც მოხდა. გადაწყვეტილება მე მივიღე. ასე ჯობდა საქმისთვის და იმიტომ.

— მერე მე? ჩემზე რატომ არ იფიქრე? იმ დღის მერე ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერმა დაკარგა აზრი, ვერა და ვერ ავაწყვე პირადი ცხოვრება. დღემდე მარტოსული ვარ.

— რატომ, მეგობრები არ გყავს?

— არა და არც მინდა. მათ გარეშე უფრო იოლია ცხოვრება. მას შემდეგ ვერავის ვენდობი, ასე მგონია, ყველას ჩემი სულის რაღაც ნაწილის წართმევა და მითვისება უნდა.

— ასე არ შეიძლება, სოფიო, ცხოვრება გრძელდება... — დაიბნა სანდრო, თანდათან დაურბილდა ხმა.

— შენ ვერ გაიგებ... მარტოობა ადამიანის მდგომარეობაა, ამას ვერავინ შეავსებს, იმის გარდა, რამაც ეს მარტოობა გამოიწვია. არ დაგიმალავ და ყველაფერს გეტყვი, რადგან ჩემთვის უკვე სულერთია, შენ როგორ მიიღებ

ამას, რა რეაქცია გექნება. აქამდე მოვედი უშენოდ და ამის შემდეგაც გავაგრძელებ... პრობლემა არ არის. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ ერთი დღე არ მიცხოვრია შენი სიყვარულის გარეშე. რაც უფრო ვშორდებოდი წარსულს, მით უფრო მძაფრდებოდა ეს სიყვარული და ამას ბოლო არ უჩანს. ახლა თითქოს მოგიახლოვდი, მაგრამ უარესი აღმოჩნდა... მაინც არ ნელდება ძველი გრძნობა.

— კი, მაგრამ რას აპირებ? როდემდე?.. — სანდრო სავარძელში შეირხა და შუბლი შეიჭმუხნა, ალბათ, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა.

— როგორ გითხრა... სიყვარული მანამდე იზრდება, ვიდრე მისი შემჩერებელი არ გამოჩნდება, — ვთქვი და ამოვიოხრე.

— იმედია, ამ მისიას მე არ დამაკისრებ.

— არა, ამას — არა.

— მაშინ, რა გინდა ჩემგან, რით შემიძლია დაგეხმარო?

— გეტყვი, მაგრამ სულერთია, მაინც ვერ შეძლებ.

— იქნებ შევძლო.

— კარგი, გეტყვი. ვიცი, აზრი არა აქვს, მაგრამ მაინც გეტყვი, — ვთქვი და სუნთქვა შევიკარი, დავიძაბე...

ქარი ღმუოდა, თითქოს თავს ესხმისო, ისე ასკდებოდა ფანჯრის მინებს. წვიმამაც წამოუშინა. ქარისგან გამოსროლილი მსხვილი შხეფები სასოწარკვეთით ეხეთქებოდა მინას და წამით ზედვე ეწებებოდა.

— ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოცადე ეს საოცრება — დაწექი მასთან, ვინც გიყვარს, — ვთქვი და შვებით ამოვისუნთქე, თითქოს სული დავიცალე ზედმეტი სიმძიმისგან.

— ურთულესი მისია დამაკისრე, სოფი, — წამიერი პაუზის შემდეგ მოულოდნელად იდუმალი გაუხდა ხმა, „სოფიმ“ ხომ საერთოდ შემძრა, ისეთი გრძნობით იყო ნათქვამი...

და წამოდგა...

და მომიახლოვდა...

...ის მკოცნიდა... გახელებული... სუნთქვაგახშირებული... თვალებდახუჭული... ისე ძლიერად მიკრავდა გულში, თითქოს ჩემში შემოსვლას ცდილობდა...

...ის მკოცნიდა, ჩემს სხეულს კი უფრო და უფრო ემატებოდა სიმხურვალე, მეტი და მეტი ველური ვნება... ყოველი უჯრედი, ყოველი წერტილი გიჟური თრთოლვით პასუხობდა მამაკაცის ალერსს და მის ყოველ შეხებაზე სხვაგვარი კვნესა აღმომხდებოდა...

ის მკოცნიდა... მისი ტუჩები ხარბად ისრუტავდა ჩემს სურნელს. მკოცნიდა ყველგან, სადაც მოუხვდებოდა — შუბლზე, თვალებზე, წარბებზე, ცხვირზე, ყელზე, მკერდზე, ტუჩებზე... თითქოს ეშინოდა, რომელიმე ნაკვთი არ დარჩენოდა დაუკოცნავი; თითქოს ჩქარობდა, დროში ჩატეულიყო... თითქოს წამმზომი იყო სადღაც ჩართული...

აღარაფერი მახსოვდა, გონი დავკარგე ლამის, მთელი არმია რომ შემოსულიყო ამწუთას, აღარ ვინაღვლებდი, ვისაც უნდა დავენახე, არ მადარდებდა... ჩემთვის ახლა მხოლოდ სანდრო არსებობდა, მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით ამ ქვეყანაზე. წამიც და ერთ სხეულად გარდავიქმნებოდით ორივე, რომ...

უცებ მობილურმა დაიწრიპინა. გავხევედი. ვიცოდი, ბექა იქნებოდა. ხომ მითხრა, დაგიმესიჯებო. რა დროს ეგ იყო, ღმერთო, რატომ ღვიძავს ამ დროს, რატომ არ იძინებს, რატომ?

— გიხმობენ, — სანდრომ ხელი ცივად შემიშვა და ოდნავ უკან დაიხია.

შევხედე. სახე არეული ჰქონდა, თვალები — ამღვრეული, ცდილობდა, ხმამაღალი სუნთქვა დაეოკებინა.

იძულებული გავხდი, მესიჯი მენახა. „დილა ნებისა“, ლამაზმანო... ხომ არ ჩაგეძინა?“ — მწერდა ბექა.

— რაო, რა მინდაო? — ირონია გაისმა სანდროს ხმაში.

— არაფერი, ახლობელია.

— ჰო-ო? არ წამაკითხებ? — ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი.

ჩემდა უნებურად უკან დავიხიე და შეძრწუნებულმა ტელეფონიანი ხელი ზურგს უკან დავმალე. ახლა რომ წაიკითხოს, ყველაფერი დამთავრდება, გამიელვა გონებაში.

— არა! — განწირული ხმით შევძახე.

— მაინტერესებს, უნდა წამაკითხო! — თავისას არ იშლიდა მამაკაცი და ჩემკენ ნელა მოიწევდა.

— არა! — იმავე ხმით გავიმეორე და ფანჯარას მივეყრდენი. უკან გზა აღარ იყო.

მომეახლა... კიდევ... კიდევ... მომეტმასნა, ცალი ხელი წელზე მომხვია და ტუჩებით ყელზე დამაკვდა... თითქოს ოდნავ მოვეშვი... მეორე ხელით მობილური ამართვა... რაც მოსახდენია, მოხდეს, ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა...

კვლავ უკან დაიხია და თვალებმოწკურულმა ეკრანს დახედა... წაიკითხა... მომეჩვენა, რომ რომელიღაც ნაკვთი შეერხა სახეზე.

— ვხედავ, დროს ტყუილად არ კარგავ, — შესაშური გულგრილობით წარმოთქვა და ზიზღით გამიღიმა.

— ეს ის არ არის, შენ რაც გგონია, — ხმა შემეცვალა, ნერწყვი ძლივს გადავაგორე, პირი გამიშრა.

— მართლა? შენ რა იცი, რა მგონია? — ტელეფონი მაგიდაზე დადო და ხელები გაშალა. — მხიარულად ცხოვრობ, ლა-მაზ-მა-ნო! ვერაფერს იტყვი!

— ცდები... ჩემი ცხოვრება საკმაოდ მოსაწყენია! — წამოვიძახე, ნერვიულობისგან ხელები მიკანკალებდა.

— კიდევ უფრო მოსაწყენი გახდება... გპირდები. — თქვა და გატრიალდა.

— ულმობელი ხარ.

გაოცებული შემობრუნდა.

— მე-ე? კიდევ მე ვარ ულმობელი? — გულზე მიიდო ხელი. — შენ? შენ თვითონ ვინ ხარ? საკუთარ თავში ჩაიხედე, კარგად ჩაიხედე. გინდა, გითხრა, რა იქნება ხვალ? შენგან ბოზის მეტი არაფერი გამოვა... დაიმახსოვრე!

— მაგ სიტყვებს არ ვიმსახურებ, — გაფითრებულმა წამოვისროლე.

— სრულიად დამსახურებული შეფასებაა.

— ნუ იქნები ასეთი გულცივი, გთხოვ! ეს მესიჯი არაფერს ნიშნავს.

— სამწუხაროდ, ჩემთვის ბევრს ნიშნავს, — თავი გადააქნია და კარს მიუახლოვდა.

— იცი, ახლა ვის მაგონებ? ზუსტად იმ სანდროს, თოთხმეტი წლის წინ „ბავშვთა სამყაროში“ რომ შევხვდი, ჩემთან შეხვედრას რომ გაურბოდა და დამალობანას რომ მეთამაშებოდა იმ უზარმაზარ შენობაში. არა მარტო მშიშარა, საშიშიც ხარ! შენც დაიმახსოვრე! — მივაძახე გაგულისებულმა.

კარი გამოაღო და ცინიკური მზერით მომიტრიალდა.

— რატომ, მკვლელი ვარ თუ ქურდი?

— არც ერთი და არც მეორე. შენ გულგრილი ადამიანი ხარ. ეს კი, გაინტერესებს, რას ნიშნავს?

— აბა, ერთი გამანათლე?

— ერთიც გჯობია და მეორეც. მკვლელს შეუძლია მოკლას, ქურდს — გაქურდოს. შენ კი... შენ გულგრილი ხარ — ყველაზე უმოქმედო, უნერვო და უემოციო. შენნაირები უფრო საშიშნი არიან, იმიტომ, რომ თავიანთი გულგრილობით მეტი ზიანის მოტანა შეუძლიათ, ვიდრე მკვლელებს ან ქურდებს.

— ძალიან სასტიკი ხართ, სოფიო ექიმო, თუმცა კარგად მესმის თქვენი.

— არ წახვიდე, სანდრო, გთხოვ, ასე ნუ წახვალ, — ჩემი გაგულისება მუდარაში გადაიზარდა.

— ასე ნუ წავალ? აბა, როგორ წავიდე? გაგიღიმო? გაკოცო? იქნებ, მოგეფერო?.. ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, სოფიო. თუმცა არც არაფერი ყოფილა არასდროს... კიდევ კარგი, რომ ასეა... — თქვა და კარი გაიჯახუნა.

წამით გავირინდე... საოცარი სიჩუმე შევიგრძენი. ფანჯარას მივუახლოვდი... ცხვირ-პირით მინას მივეჭყლიტე და გარეთ გავიხედე... ქარი ჩამდგარიყო...

საოცრება ამას ჰქვია... ქარიც კი გამეთამაშა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკვირველი

„გზის“ ერთგულ მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქეთ თვალი.

1. დაასრულეთ ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები: „მე, მამაჩემ ფილიპეს ვუმადლი იმას, რომ ვცხოვრობ, ხოლო ჩემს მასწავლებელ არისტოტელეს ვუმადლი იმას, რომ...“
2. ვისი მმართველობაა მერიტოკრატია?
3. რატომ ვერ მოხვდნენ მათემატიკოსები ნობელის ლაურეატთა სიაში?
4. რატომ ეძახიან რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიას ზემელს?
5. დაასახელეთ საქართველოს მეფე, რომელზეც მემატიანე წერს: „ქართველ კაცს დაუბრუნა რწმენა რწმენისა“.
6. დაასრულეთ ჯონ კენედის სიტყვები: „გამარჯვებას ათასი მამა ჰყავს, დამარცხება კი...“
7. რატომ ერიდებიან ტელეწამყვანები ლურჯი ფერის ტანისამოსის ჩაცმას?
8. პრუსიაში — ქალაქი პოტსდამი, რუსეთში — ტულა, გერმანიაში — აუგსბურგი, ავსტრიაში — ფერლახი და ვენა, იტალიაში — მილანი და ფლორენცია. რას ამზადებდნენ ამ ქალაქებში საუცხოოდ?
9. ტიბეტელი ბერები ხელჩართული, უიარაღო ბრძოლის პირველი ოსტატები იყვნენ. რამ განაპირობა მათი ამგვარი დახელოვნება?
10. XVI საუკუნეში ინგლისელი, რომელსაც ბევრი ვალი ჰქონდა, სახლიდან არ გამოდიოდა. რატომ?
11. ნეპალელები მას საგარმატხას ეძახიან. დაასახელეთ მისი ტიბეტური და ევროპული სახელწოდებანი.
12. ქორწილის დროს რას ამაგრებდნენ მანქანის კაპოტზე მოსკოველი ნუდისტები, თავიანთ შეხედულებათა სადემონსტრაციოდ?
13. რისი შესწავლის მიზნით გამოიგონა ინგლისელმა ჯონ ფლოუერსმა წამების აღმნიშვნელი საათის ისარი.
14. როგორ მოიკლა თავი ვან გოგმა?
15. თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღე 8 თებერვალს სპეციალურად დაამთხვიეს. რა აღინიშნება საქართველოში ამ დღეს?

ანეკდოტები

***

სვანი მიდის უდაბნოში, ლასტებითა და აკვალანგით. შეხვდა არაბი.

— შორია ზღვამდე? — ეკითხება სვანი.

— ასი კილომეტრი იქნება.

— ჰმ... ერთი ვიცოდე, ამხელა პლაჟი რა ჩემ ფეხებად გინდათ?

***

— წარმოგიდგენია, ჩემმა ცოლმა ჯგუფური სექსი მომინდომა.

— მერე, რა მოხდა, შე კაცო, შენც ადექი და სცადე ერთხელ. იქნებ, ისეთი რამეა, ქვეყნად რომ არაფერი სჯობს?!

— ჯგუფში ვის შევყავარ, რო?..

***

სვანმა ორი ზომით პატარა ფეხსაცმელი იყიდა. დგას და ტკივილისაგან იგრიხება.

— კი, მარა შენი ზომა რატომ არ იყიდე? — ეკითხება მეგობარი.

— ხომ არ გადაირიე? იცი, ჩემი ზომა რა ძვირი ღირდა?!

***

— ასე გვიან სად მიდიხარ? — ეკითხება დედა ქალიშვილს.

— „სვიდანიაზე“.

— ამ შუაღამისას „სვიდანიაზე“ კი არა, „დასვიდანიაზე“ უნდა მიდიოდე.

***

— ძვირფასო, დღეს სტუმრები გვეყოლება და თუ შეიძლება, ვახშამი მოამზადე.

— კარგი, ძვირფასო, ოღონდ ის მითხარი, როგორ მოვამზადო — კიდევ რომ მოვიდნენ თუ ცხოვრებაში ახლოს რომ აღარ გაგვეკარონ?

***

მოსაზრება: როცა ოჯახში ერთი ცოლია, იგი ეგოისტად ყალიბდება.

***

— ჩემი ცოლი იმდენად ცუდი კულინარია, რომ პიკნიკზე წასვლისას ჭიანჭველებისათვის კუჭის ტკივილის წამალი მიმაქვს.

***

— მიხო, როგორი ცოლი შახვდა ზაქრუასა?

— ეე, მთლა ჩემი „ვოლგის“ „პაკრიშკასავითაა“. ქვეყანაზე რო ლურსმანი არსა იყოს, ეგ მაინც ნახამს და ტ...ში შაირჭობს.

***

— ოფიციანტ, რაიმე მსუბუქი საჭმელი მომიტანეთ.

— კატლეტს მოგართმევთ, ბატონო, სულ 17 გრამს იწონის.

***

აზერბაიჯანელი მოსკოვში ცოლისთვის ქურქს ყიდულობს.

— რა ზომა გნებავთ? — ეკითხება გამყიდველი.

— 52!

მოუტანეს 52 ზომა. წელზე კარგად აქვს, თეძოებში — ვიწრო. მოუტანეს 54 ზომა. წელზე ისევ კარგად აქვს, თეძოებში — ვიწრო. მოუტანეს 56 და 58 ზომები. ქალს არც ესენი მოერგო. გამყიდველმა ველარ მოითმინა:

— ზნაიტე, ვაშა ჟენა დეფეექტნაია!

— ეტა ვ მასკვე დეფეკტნაია, ა ვ ბაკუ ეფეკტნაია! — ამაყად განაცხადა აზერბაიჯანელმა.

***

ლოთი მამა მეხუთე ბოთლ ლუდს ცლის:

— მამი, ხომ შეიძლება, ბოთლები ჩავაბარო და პური ვიყიდო? — ეკითხება შვილი.

— მიდი, შვილო, მიდი. ეჰ, მე რომ არ გყავდეთ, რა გეშველებოდათ?!

***

ქალს საშოში ჭიანჭველა შეუძვრა და ისე შეაწუხა, რომ ბოლოს, ქმარმა გინეკოლოგთან წაიყვანა.

— პაციენტი შემოიყვანეთ, — გასცა განკარგულება ექიმმა. — ქმარი კი გარეთ დაელოდოს!

ქმარი ბრძანებას დაემორჩილა — ზის და ელოდება. გავიდა ათი, ოცი წუთი, ნახევარი საათი, მაგრამ ცოლი კაბინეტიდან არა და არ გამოდის. ქმარმა კარი გამოაღო და რას ხედავს: ექიმი მის ცოლს აუპატიურებს.

— რას შვრები, შენი დედა რო ვატირე! — აყვირდა ქმარი.

— პინცეტით ბევრი ვეწვალე, ჩემო კარგო, მარა ვერაფრით გამოვიყვანე. აგერ, ახლა მივიმწყვდიე და იქნებ, მივაჭყლიტო სადმე...

***

— ყველაფერი მქონდა: ფული, სახლი, მანქანა... მყავდა ლამაზი ქალი, რომელსაც ვუყვარდი და უცებ, ყველაფერი გაქრა.

— რატომ, კი, მარა?

— ცოლმა გაიგო...

***

— რავაა, რაჟდენიჩ, შენი სიდედრი? — ეკითხებიან გურულს.

— რა ვიცი, მიიწევს ნელ-ნელა „ზალისკენ“.

***

სვანის ცოლმა იმშობიარა.

— შენს ცოლს ძუძუ თუ აქვს? — ეკითხება ექიმი.

— კი, ორი ცალი!

***

— მამაშენივით სულელი და ხისთავიანი ხარ! — უყვირის დედა შვილს. ამ დროს ოთახში ქმარმა შემოყო თავი:

— ეს მე ვარ სულელი და ხისთავიანი, არა?

— შენზე ვინ რას ამბობს, ერთი ვიცოდე! — ხელი ჩაიქნია ქალმა.

***

ტურისტებით სავსე გემი ერთ-ერთ კუნძულს მიადგა. კაპიტანი აცხადებს:

— ამ კუნძულის მოსახლეობის ნახევარი ასთმითაა დაავადებული, ნახევარი — შიდსით.

ერთმა მგზავრმა კარგად ვერ გაიგო:

— რაო, რა თქვა კაპიტანმა?

— რაო და ვინც არ ახველებს, იმასთან სქესობრივ კონტაქტს ნუ დაამყარებთო.

ჭრილების საკანონმდებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „...კარგად ვცხოვრობ“.
2. ასე უწოდებენ ნიჭიერთა მმართველობას.
3. ალფრედ ნობელის ანდერძის გამო, მათ ეს პრემია არ ენიჭებათ.
4. ძველად აქ აფთიაქი იყო, რომლის მეპატრონე გვარად ზემელი გახლდათ.
5. გიორგი V ბრწყინვალე.
6. „...ობოლია“.
7. ეს ფერი ეკრანზე თვალს ჭრის და სიშიშვლის ეფექტს ახდენს.
8. იარაღს.
9. მათ რელიგია იარაღის ხმარებას უკრძალავდა.
10. მაშინდელი კანონით, მოვალის საკუთარ სახლში დაპატიმრება იკრძალებოდა.
11. ჯომოლუნგმა და ევერესტი.
12. შიშველ თოჯინებს.
13. პულსის.
14. მუცელში ტყვია დაიხალა.
15. 8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა.

ჩვენი ფოტო მაღლერეა

რა ასაკის უნდა იყოს თქვენი რჩეული მამაკაცი

დაოჯახების პრობლემა ყველავაც აქტუალურია და ბედის ჭირვეულობას უამრავი ადამიანი უჩივის. თუმცა ბევრიც არ ეპუება ცხოვრებისეულ სიძნელეებს და მიზანმიმართულად ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. იმ შემთხვევაში კი, თუ მიზანი ზუსტი და გარკვეული არ არის, ძიება აზრს კარგავს, რადგან წარმატების მიღწევის შესაძლებლობა ნულამდე დადის. და კიდევ: მტკიცე გადაწყვეტილებების მიღებაში, ზოგს, საზოგადოებაში დამკვიდრებული მითებიც უშლის ხელს.

მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ სიმპათიური უნდა იყოს

ყველამ ვიცით, რომ გარეგნობა ხშირად მაცდურია. ყველაზე თვალსაჩინო სილამაზეც კი დროთა განმავლობაში იცრიცება. გარდა ამისა, საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ მამაკაცის გარეგნობა მთავარი არ არის.

სინამდვილეში: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების თვალში ფიზიკურად ლამაზი ადამიანები არა მხოლოდ უფრო მიმზიდველები, არამედ უფრო კეთილები, მომხიბვლელები და თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო კომპეტენტურებიც არიან. ეს მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გადაჭრით უარვყოთ ყველა, ვინც ბუნებამ ალენ დელონის გარეგნობით არ დააჯილდოვა, მაგრამ მორიდებულობამ არ უნდა გაიძულოთ, არასასურველ მამაკაცთან ერთად ცხოვრებაზე იფიქროთ.

ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები ერთმანეთს იზიდავენ

ბევრი ქალი დაახლოებით ასე მსჯელობს: „დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, უმეტესწილად, მიჭირს. ამიტომ გაბედული და შეუპოვარი მამაკაცი მჭირდება გვერდით“; ან „ხშირად ცუდი განწყობილება მეუფლება, ამიტომ ისეთ მამაკაცს ვეძებ, ვინც გამამხიარულებს“.

სინამდვილეში: მსოფლმხედველობის, ინტერესებისა და ცხოვრებაზე შეხედულებების მსგავსება პარტნიორთა სიახლოვის საწინდარია. გაცნობის საწყის ეტაპზე პარტნიორებს შორის ძლიერი კონტრასტი დამაინტრიგებელია, მაგრამ შემდგომში, ხშირად თავს იჩენს კონფლიქტები. მამაკაცი და ქალი ისედაც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და დამატებითი განსხვავებების ძიება საჭირო არ არის.

მამაკაცი უფროსი უნდა იყოს

„ოჯახის უფროსის“ ტრადიციული როლი გულისხმობს, რომ მამაკაცი ისეთ თვისებებს უნდა ფლობდეს, როგორიცაა სიბრძნე და პასუხისმგებლობა. ეს კი მოწიფულობის ასაკთან ასოცირდება.

სინამდვილეში: ფსიქოლოგები განასხვავებენ „პასპორტის ასაკსა“ და „ფსიქოლოგიურ ასაკს“. ხშირად ახალგაზრდა ადამიანი ასაკოვანს მოგაგონებთ, ასაკოვანი კი — ახალგაზრდასავით იქცევა. პარტნიორის ფსიქოლოგიური წლოვანების განსაზღვრა ძალიან ადვილია: სთხოვეთ, გაიხსენოს მოვლენები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მისი პიროვნება, ცხოვრების სტილი, და ისინი ქაღალდზე წერტილებით აღნიშნოს. იგივე გააკეთეთ თქვენც. შემდეგ წერტილების რაოდენობა შეადარეთ. ვის ფურცელზეც მეტი წერტილი იქნება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფროსიც ის არის.

საუკეთესო ვარიანტია, თუკი ერთმანეთს ბედს დაუკავშირებენ ფსიქოლოგიური და არა კალენდარული თანატოლები. ■

ხშირი და ლამაზი წამწამები რომ გქონდეთ...

გრძელი და აპრეხილი წამწამები თვალს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებს, მაგრამ ბევრმა არ იცის, როგორ მოუაროს მათ. თუ წამწამების ასაპრეხად ტუშს ყოველდღე იყენებთ, მალე დაგჭირდებათ კოსმეტოლოგის კონსულტაცია — თუ რა მოუხერხოთ წამწამების ორად გაყოფილ ბოლოებს. უხარისხო საღებავმა შესაძლოა, ქუთუთოების წვა და ქავილიც გამოიწვიოს, რასაც საბოლოოდ წამწამების ცვენა მოჰყვება. ამიტომ, ქუთუთოს სულ უმნიშვნელო შეწითლების შემთხვევაშიც კი აუცილებელია, წამწამების მოვლაზე იზრუნოთ.

დილით გაკეთებული მაკიაჟი, ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ კოსმეტიკური რძის საშუალებით.

წამწამების მოვლა ზეითუნის ზეთის რეგულარული გამოყენებით დაიწყეთ. ჯერ კარგად ამოიბანეთ თვალები თბილი წყლით, შემდეგ კი წამწამებზე ზეითუნის ზეთი წაისვით — წამწამები გახშირდება, გამუქდება და ბზინვარება მოემატება. თუ ძილის შემდეგ თვალის კუთხეებსა და წამწამებზე ლორწოვანი გამონადენი გიგროვდებათ, თვალები გვირილის თბილი ნაყენით (1 ჩ/კ გვირილა, ს ჩ/ჭ წყალში) უნდა ამოიბანოთ. შეგიძლიათ საამისოდ ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ.

წამწამების სამკურნალოდ საკმაოდ ეფექტურია აბუსალათინის ზეთი. სპეციალური, ბამბადახვეული ჩხირი დაასველეთ ზეთში და თხელ ფენად წაისვით წამწამებზე. ჩამობანა საჭირო არ არის. ეს პროცედურა სასურველია, საღამოობით, მაკიაჟის მოცილების შემდეგ ჩაიტაროთ. ■

მასაჟები ყელისათვის

კოსმეტიკური თვალსაზრისით, ყელი ადამიანის სხეულის ყველაზე რთულად მოსავლელი ადგილია. ყელზე კანი ძალზე მალე ბერდება. კოსმეტოლოგები ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც სახეზე პირველი ნაოჭი ჩნდება, ყელს უკვე ცხადად ემჩნევა „წრიული რგოლები“.

იმისათვის, რომ ყელის არეში კანი არ მოიმჩვაროს, საჭიროა მისი ყოველდღიური დაზელა გვირილის, ცაცხვის ყვავილის, პიტნის, არყის კვირტების ან სალბის ნახარშით. ამ ნახარშში დასველებული ბამბის ტამპონით უნდა გაიწმინდოთ ყელი, ზევიდან ქვევით მოძრაობით, ნიკაპის ქვეშ კი პირიქით — ქვემოდან ზევით.

ბალახების ნახარშის ნაცვლად, შესაძლებელია, აგრეთვე კიტრის ლოსიონის გამოყენებაც. ქორფა კიტრი გახეხეთ სახეხზე. მიღებულ ფაფისებურ მასას დაუმატეთ 20-30 გრამი არაყი და გადაწურეთ. ლოსიონი მაცივარში შეინახეთ. მისი გამოყენება ყოველდღიურად შეგიძლიათ. ლოსიონით გაწმენდის შემდეგ აუცილებელია მკვებავი კრემის წასმა, რომლის მომზადების წესი ასეთია: 1 კვერცხის გული, 1 ჩ/კ თაფლი, 2 ჩ/კ მცენარეული ზეთი, 1 ჩ/კ გვირილის ყვავილის ნაყენი, 15 მლ ქაფურის სპირტი, 15 მლ ლანოლინი ან ვაზელინი უნდა აურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ხანგამოშვებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კანი ყელის არეში დამჭკნარია, სასარგებლოა კონტრასტული კომპრესების დადება. ცხელი კომპრესი 1-2 წუთით უნდა გაიჩეროთ ყელზე, ცივი — 5 წუთით. ცხელი კომპრესის გაკეთება უმჯობესია პიტნის ფოთლების ნაყენით ან სალბის ნახარშით. სასარგებლოა აგრეთვე ცხიმოვანი კომპრესები. ყელზე, 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ 40-50 გრადუსამდე გაცხელებული მცენარეული ზეთით გაჟღენთილი ბამბა ან დოლბანდი. სასურველია, კომპრესს ზემოდან პოლიეთილენი დააფინოთ და მარლით შეიხვიოთ.

კვირაში ერთხელ შეიძლება ე.წ. „კლეოპატრას აბაზანის“ მიღებაც: 1 ლ რძე გააცხელეთ, მაგრამ არ აადუღოთ. მეორე ჯამში წყლის ორთქლზე გააცხელეთ 1 ჩ/ჭ თაფლი. თაფლი რძეში კარგად გახსენით და დაუმატეთ 2 ს/კ ნუშის ზეთი. მიღებული ნარევი ჩაასხით წყლით სავსე აბაზანაში. ამგვარი აბაზანის რეგულარული მიღების შემდეგ კანი საოცრად ნაზი, ელასტიკური და გლუვი ხდება. ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Æåíñêèé æóðíàë	11.65	69.7
4. Æåíñêîå çäîðîâüå	7.00	41.8
5. Ñàíäðà	4.00	24.0
6. Âñå äëÿ æåíùèíû	0.80	19.9
7. Ãëàìóð	7.20	43.2

პრესის გავრცელების საკონტროლო

ქ. თბილისი
ოსლბის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

ფრჩხილების მტვრევა უამრავი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ჰიპოვიტამინოზი (ერთი ან რამდენიმე ვიტამინის ნაკლებობა), ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მავნე ქიმიურ და ფიზიკურ ფაქტორთა ზემოქმედება...

რატომ იმტვრევა ფრჩხილები

დერმატოლოგები ფრჩხილებს ჯანმრთელობის სარკედ მიიჩნევენ — მათი უჩვეულო ფორმა, ფერი, სისქე და სხვა მახასიათებლები ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე მიუთითებს.

ფრჩხილების ქსოვილი მეტისმეტად მგრძნობიარეა ფიზიკურ და ქიმიურ ფაქტორთა მიმართ. ძალიან ცხელ წყალში რეცხვა უარყოფითად მოქმედებს ზედაპირული შრის უჯრედებზე — ისინი ზიანდება და იფიტება. ფრჩხილების დაზიანებას ხშირად სარეცხი საშუალებებისა და უხარისხო ლაქის გამოყენებაც იწვევს.

თუკი ფრჩხილებთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, ლაქის ხშირად წასმას არ გირჩევთ. ფრჩხილებს სუნთქვის საშუალება უნდა მისცეთ და გამაღიზიანებელ ფაქტორებთან კონტაქტს მოერიდოთ. ამ მიზნით კოსმეტოლოგები სპეციალური დამცავი ლაქის გამოყენებას გირჩევენ.

გაითვალისწინეთ:

ხელი გლიცერინის შემცველი საპნით დაიბანეთ. მიიღეთ ვიტამინების და მიკროელემენტების შემცველი კომპლექსი.

დღეში ორჯერ (დილა-საღამოს) მარილიანი აბაზანები გაიკეთეთ: აიღეთ 1 ჩ/კ თბილი წყალი, დაუმატეთ 3-4 წვეთი იოდის ხსნარი და ამ ნარევში 15-20 წუთი გააჩერეთ თითები (ფრჩხილის შემცველი ფალანგები ბოლომდე უნდა იფარებოდეს წყლით). ასეთი აბაზანა ამაგრებს ფრჩხილებს.

ძილის წინ, თითები 10 წუთით ქაცვის ნაყენის აბაზანაში გააჩერეთ. აბაზანის შემდეგ, თითებზე შერჩენილი ზეთი ინტენსიური მასაჟით, კანში შეიზილეთ და ისე დაიძინეთ. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-8

პირობის მიუხედავად, გამზათი მაინც არ ელოდა ტარბას სოხუმში ჩასვლას. ეს გამზათისთვის აფხაზის შემოწმებას ჰგავდა. თუ ის გულწრფელი იყო და ჩაჩბას ხალხთან შეხვედრაც არ აფიქრებდა, მაშინ, თორიას დასაფლავებაზე მისვლაც არ უნდა შეშინებოდა. იყო კიდევ ერთი გარემოებაც, გამზათს აინტერესებდა, თუ რამდენად მორჩილი იყო მისი ახალი „პადელნიკი“. შეიძლება, ტარბას მართლაც არ შეშინებოდა ჩაჩბას ხალხის. რაც არ უნდა ყოფილიყო, რუსლანს სოხუმში თავისი ავტორიტეტი, გავლენა და მდგომარეობა ჰქონდა. ნებისმიერი გაითვალისწინებდა, რომ მასზე თავდასხმას უეჭველად შურისძიება მოჰყვებოდა. მაგრამ ამის მიუხედავად, ტარბა თავისით არასდროს მივიდოდა ჩაჩბას „მარჯვენა ხელის“ დაკრძალვაზე. შესაძლოა, ეს თავისებურ გამოწვევადაც კი მიეჩნიათ. ტარბა კი ფრთხილი და ანგარიშიანი კაცი იყო და არასოდეს გადადგამდა დაუფიქრებელ ნაბიჯს. და თუ გამზათის ბრძანებით მაინც წავიდოდა ამაზე, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ახალ პატრონს ყველაფერში ენდობოდა და ემორჩილებოდა. თუ არ ჩამოვიდოდა, უკვე გასაგები გახდებოდა, რომ აფხაზი უმართავი ან კიდევ ისეთი მშიშარა იყო, რომ მას არ გამოადგებოდა. მისდა სასიხარულოდ, რუსლანმა მოლოდინი გაუმართლა და ზუსტად დათქმულ დროს მივიდა თორიას სახლთან.

თორიას ახლობლები მოღუშული სახეებით შეეგებნენ მანქანიდან გადასულ ტარბას. რამდენიმე მათგანი კი, მაშინვე მისკენ დაიძრა. მაგრამ გამზათმა მათ ტარბასთან მიახლოების საშუალება არ მისცა. მკაცრად შეუძახა: უკან დაიხიეთო!.. მერე კი აფხაზს ხელკავი გამოსდო და გვერდზე გაიყვანა.

— კმაყოფილი ხარ?! — ბრაზით წამოიწყო ტარბამ. — ხომ გაგაფრთხილე, რომ არაფერი გამოვა. ეს იდიოტები გეგეშიძის ძმაკაცად მიმიჩნევენ!

— ნუ ართულებ ვითარებას, — უდარდელად უპასუხა გამზათმა, — ანგარიში გაუწიე ბიჭებს. შენს გამოჩენას არავინ ელოდა!

— არავინ ელოდა?! — დაიბნა რუსლანი, — შენ რა, არაფერი გითქვამს ჩაჩბას ხალხისთვის?!

— არა... არ დაიწყო ახლა, რატომ და რისთვისო?.. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

— ამიხსენი! — კატეგორიულად მოითხოვა რუსლანმა.

— ზედმეტი ფიქრით გონებას ნუ გადაიღლი. უბრალოდ, სირის მდგომარეობაში არ ჩავიგდე თავი. ბიჭებისთვის წინასწარ არაფერი მითქვამს — რომ არ ჩამოსულიყავი?!.

— მე სიტყვა ვთქვი! — კბილებს შორის გამოცრა ტარბამ.

— ჰო, მაგრამ ხომ იცი, ჩვენს საქმეში წამი წყვეტს ყველაფერს... დაწყნარდი? — მეგობრულად დაასრულა გამზათმა.

— კარგი... დავივიწყოთ... — ტარბამ სახლის შესასვლელს გახედა და მერე დასძინა: — არ შევიდეთ?

— რისთვის? — მხრები აიჩეჩა გამზათმა.

— აბა, რისთვის ჩამომიყვანე აქ? — გაუკვირდა ტარბას.

— ნუ ბავშვობ!.. თუ გინდა, მის სიდედრსა და ცოლს მიუსამძიმრო, მიდი, ხელს არ შეგიშლი, მაგრამ საქმეზე აქ ვერ ვიბაზრებთ.

— მაშინ, წავედი!.. დამიკავშირდი, როცა მოიცლი! — თქვა ტარბამ და მაშინვე თავისი მანქანისკენ შებრუნდა.

— მოიცადე!.. — გამზათი მხარში სწვდა, თავისკენ შეაბრუნა და ხმადაბლა განაგრძო: — „ლიშნი“ ბაზარი არ გვინდა. მე აქ „ვენოკების“ მოსატანად არ მომიყვანიხარ. ცოტა ხანს მოიცადე. ჯერჯერობით აქ ვიტრიალოთ. მინდა, რომ ხალხმა ჩემ გვერდით განახოს. მერე საქმეს მივხედავთ... ჯერ ცალკე მოვილაპარაკებთ, მერე ჩაჩბას ხალხსაც შევხვდებით.

— ცალკე? — გაოცებით ჰკითხა ტარბამ. — მე და შენ რაღა გვაქვს საბაზრო?

— ვიბაზრებთ მე, შენ და ჩვენი ძმა, რომელზეც მოსკოვში გელაპარაკე, — უპასუხა გამზათმა, მერე კი ხელკავი გამოსდო, იქვე მომლოდინე ჩაჩბას ხალხისკენ წაიყვანა და თანაც დაამატა: — წამოდი... რამდენიმე ჩვენს ძმას ახლავე გაგაცნობ!..

გამზათს საღამომდე არ გადაუდვია ლაპარაკი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა რუსლანი. როგორც კი თორიას კუბო სასაფლაოსკენ მიმავალ გზას გაუყენეს, სტუმარი მანქანაში ჩაისვა და საპირისპირო მხარეს წაიყვანა.

ალბათ, სამი წელი იქნებოდა გასული, რაც რუსლანი ერთხელაც არ იყო ყოფილა სოხუმსა და გუდაუთას შორის მდებარე აგარაკებზე. კომპლექსი, რომელშიც კომუნისტური ხელისუფლების მაღალჩინოსნები ისვენებდნენ, წარსულშიც აკრძალულ ზონად მიიჩნეოდა. ომის მსვლელობისას, ოდესღაც ელიტურმა კომპლექსმა სხვა ანალოგიური დაწესებულებების ბედი გაიზიარა. ის პირწმინდად გაიძარცვა და გაპარტახდა. აგარაკები ასეთ მდგომარეობაში რამდენიმე წელი დარჩა. შემდეგ კი, ყველასთვის მოულოდნელად, კომპლექსს მაღალი ღობე შემოავლეს და ისევ აკრძალულ ზონად გამოაცხადეს. რა ხდებოდა ამ მაღალი კედლების მიღმა, რუსლანმა ზუსტად არ იცოდა. მხოლოდ ის სმენოდა, რომ ამ კომპლექსს აფხაზეთის ხელისუფალნი მაღალი რანგის სტუმრების, ძირითადად, რუსების მისაღებად იყენებდნენ. როგორც ჩანს, გამზათი კომპლექსის ხშირი სტუმარი იყო. დანახვისას მცველები მიესალმნენ და მაშინვე გააღეს ჭიშკარი. იგივე მოიმოქმედა გამზათმაც. ხელის აწევით მიესალმა და ჭიშკრის გავლის შემდეგ, ნაძვნარში ჩაფლული მანქანა განაპირა აგარაკისკენ მიმართა. ორიოდე წუთში მანქანა მარმარილოთი მოპირკეთებულ კიბესთან შედგა, რომელზეც რამდენიმე შეიარაღებული ჩეჩენი იდგა.

— შენი ბაითია? — გამზათს გახედა ტარბამ.

— მოგწონს?

— მაგარია, — შეუქო ტარბამ.

— ჩემ გვერდით დადექი და უკეთესს დაითრევ, — უპასუხა გამზათმა და მანქანიდან გადავიდა.

სოხუმში გამგზავრებისას, რუსლანი დიდხანს ფიქრობდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო „ძმა“, ვისთან შეხვედრაზეც ლაპარაკობდა გამზათი. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს რომელიმე გავლენიანი ჩეჩენი კრიმინალი უნდა ყოფილიყო. ადამიანი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა მოსკოვში. ასეთი სულ რამდენიმე ეგულებოდა, მაგრამ რამდენადაც მისთვის იყო ცნობილი, ამჟამად ერთი მათგანი „ბუტირკაში“ იჯდა, მეორე — საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მესამე კი — ფედერალურ ძებნაში ირიცხებოდა და ნაკლებსავარაუდო იყო, რომ მას აფხაზეთში ჩასვლა გაებედა. აფხაზეთში, რომელსაც მთლიანად რუსული სპეცსამსახური აკონტროლებდა. ასე რომ, მათი სოხუმში ყოფნა, თავისთავად, გამორიცხული იყო. ამ სამის გარდა, არსებობდა კიდევ ათამდე სხვადასხვა რანგის ავტორიტეტი, მაგრამ გამზათს ისინი წვრილფეხობად მიაჩნდა და ასეთ საქმეში არასოდეს ჩართავდა. ასევე არ მოინდომებდა ურთიერთობას რუს ავტორიტეტებთან, რომლებთანაც ყოველთვის მტრული დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო „ძმა“, ვის გასაცნობადაც მიიწვია სოხუმში?.. ამ კითხვაზე ტარბამ პასუხი ვერ გასცა; ვერ გასცა იმ

დრომდე, ვიდრე აგარაკის სასტუმრო ოთახში მის პირისპირ არ აღმოჩნდა. მისდა გასაკვირად, ის არც ჩეჩენი იყო, არც — რუსი და არც — აფხაზი...

— ნეჯეთ! — არაბი ტერორისტის დანახვისას, ტარბა გაოგნებული გაშეშდა.

— მიდი... მიდი... — გამზათმა ხელი მხარში უბიძგა. — აბა, ვის ნახვას ელოდი?!

ტარბამ უკმაყოფილო მზერა ესროლა ჩეჩენს. მერე ოთახი გადაკვეთა და არაბი ტერორისტის პირისპირ, სავარძელში ჩაჯდა.

— მგონი, ჩემი ნახვა არ გიხარია! — ცივად წამოიწყო ნეჯეთმა.

— არა! — გულწრფელად უპასუხა ტარბამ.

— რატომ? — საუბარში გამზათი ჩაერთო. — რა არ მოგწონს?!

— როდის აქეთ დაიწყე ქურდების საქმეებში ჩარევა? — ფრთხილად იკითხა ტარბამ. ახლა სიფრთხილე სულაც არ იყო ზედმეტი. პირადად არასოდეს შეხვედროდა ნეჯეთს, მაგრამ ბევრი რამ სმენოდა მის შესახებ. ყველა, თავზე ხელაღებულ მკვლელად ახასიათებდა და ტარბაც გრძნობდა, რომ მცირე შეცდომისთვისაც კი ჩეჩენი და არაბი მაშინვე სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ.

— ეგ შენი... — წამოიწყო გამზათმა, მაგრამ ნეჯეთმა არ დაამთავრებინა.

— დამაცადე!.. — ხელი აუქნია ჩეჩენს. მერე კი ტარბას მიუბრუნდა და უთხრა: — ესე იგი, იცი, ვინც ვარ!

— არა... მაგრამ რაღაც მაინც მსმენია შენზე.

— მაინც რა გსმენია? — ჩაეძია ნეჯეთი.

— ის, რომ შავებთან და ქურდებთან არაფერი გაკავშირებს!

— მერე რა?.. ეგ შეუშლის ხელს ჩვენს ახლობლობას?..

— ახლობლობა სხვაა, საერთო საქმე — სხვა! — შენიშნა ტარბამ.

— საინტერესოდ ბაზრობ, — ჩაიცინა ნეჯეთმა, — მაგრამ იქნებ ამიხსნა, რა არ მოგწონს ჩემში?

— სხვა ცხოვრებით ცხოვრობ!

— უფრო ზუსტად?

— სხვისი პრობლემების მოგვარებას არ ვაპირებ!

— არც — მე!.. ხომ არ გგონია, რომ გეგეშიძე ჩემი პრობლემაა?! არა!.. ის კაცი არაფერში მიშლის ხელს. პრობლემა თქვენ გაქვთ და გამზათმა თვითონ მთხოვა დახმარება! — ცივად მოსხიპა ნეჯეთმა.

ტარბამ უსიტყვოდ გახედა გამზათს. მე აღარაფერი მაქვს სათქმელიო.

— მართალია... ასე იყო, — სწრაფად დაუდასტურა მან, — ნეჯეთს მე ვთხოვე დახმარება.

— მერე, აქამდე რატომ არ მითხარი? — გაუკვირდა ტარბას.

— რა უნდა მეთქვა?.. ნეჯეთმა დღეს თქვა „დაბრო“.

— კარგი... — ხელი ჩაიქნია ტარბამ. — გავიგე, რომ ნეჯეთს შენ სთხოვე დახმარება, თუმცა აქამდე მარტო ჩემი დახმარებით აპირებდი საქმის მოყომარებას!.. ისიც გავიგე, რომ „დაბრო“ დღეს მიიღე!.. მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, რაში უნდა დაგვეხმაროს ნეჯეთი, როცა რიბკინისთვის გეგეშიძის ჩაბარებაზეა ბაზარი?!

— მე გიპასუხებ, — ალაპარაკდა არაბი, — რაც შეეხება გეგეშიძეს, ეგ მთლიანად შენი და გამზათის საქმეა, მაგრამ საამისო ხალხი არ გყავთ. შენ თვითონ თქვი, ღირს თუ არა შენი ხალხის გეგეშიძესთან გაშიფვრა?

— რა თქმა უნდა, არა და ჩემი ხალხიც არ წავა ამ საქმეზე! — უპასუხა ტარბამ.

— ძალასაც ნუ დაატან... საქმეში თქვენი ხალხის ჩარევა ჩვენს ინტერესებში არ შედის. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ რაღაც

> — ნეჯეთ! — არაბი ტერორისტის დანახვისას, ტარბა გაოგნებული გაშეშდა.
> — მიდი... მიდი... — გამზათმა ხელი მხარში უბიძგა

დროის გასვლის შემდეგ, ეს ხალხი ყველაფერს არ გააბაზრებს?

— ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ შენი ხალხი არ გააბაზრებს ყველაფერს? — კითხვითვე უპასუხა ტარბამ.

— მე! — ცივად მოსხიპა ნეჯეთმა. — ყველა მათგანმა იცის, რომ ამისთვის გრძელ ენასა და თავს ერთად დაკარგავს.

— გრძელი ენები ჩემს ხალხსაც არა აქვს, — შენიშნა ტარბამ.

— ვიცი, მაგრამ გეგეშიძე კარგად იცნობს შენს „სასტავს“. მას შენი ხალხი არ სჭირდება. მარტო შენთან აქვს „ატნაშენიე“. გამზათის ხალხს მტრად მიიჩნევს და მათ ახლოს არ გაიკარებს. აი, ჩემი ხალხი კი არასოდეს უნახავს და არც მათი გამოჩენა დააფრთხობს.

— გასაგებია, მაგრამ გეგეშიძესთან დიდ ჩალიჩს არ ვაპირებ. ყველაფერი ერთიორი შეხვედრით მოყომარდება. ამაში არც შენი და არც ჩემი ხალხი არ მჭირდება.

— კარგი, ვთქვათ, ჩემი დახმარების გარეშე მოუყომარებ გეგეშიძეს. მაგრამ ნამდვილი საქმე ამის შემდეგ დაიწყება.

— რა საქმეს გულისხმობ?

— არაფერი გითქვამს? — გამზათს გახედა ნეჯეთმა.

— მარტო ჩაჩბას ხალხზე ვიბაზრეთ, — უპასუხა ჩეჩენმა.

— აიყვან ახალ „სასტავს“? — ტარბას მიუბრუნდა არაბი.

— ეგ, ჩემი და გამზათის საქმეა. აფხაზეთში მართლაც დიდი ავტორიტეტი გაქვს, მაგრამ მოსკოვში შენს სიტყვას რა ფასი აქვს?

— ცდები. ეს პირადად ჩემი საქმეა!

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა?

— ისე, რომ იცოდე, გეგეშიძემ ჩვენი საქმე გააკეთა. დიდხანს ვეჩალიჩეთ ჩაჩბას და გუმბას, მაგრამ მაინც ვერაფერი შევაგნებინეთ. „ტრუხა“ ბაზარს გადააყოლეს თავ-თავიანთი თავიცა და საქმეც!

— ვერაფერს ვხვდები, — მხრები აიჩეჩა ტარბამ, — რაზეა ბაზარი?

— პირდაპირ გეტყვი. მოსკოვში ჩვენი წარმომადგენელი გვჭირდება, — მცირე პაუზის შემდეგ თქვა ნეჯეთმა.

— წარმომადგენელი?! — ტარბამ გაოცებით გახედა გამზათს. ის წლების განმავლობაში ცხოვრობდა მოსკოვში და ნაცნობების ფართო წრეც ჰყავდა. რაში უნდა დასჭირვებოდა მისი წარმომადგენლობა?

— ჰო, წარმომადგენელი, მაგრამ ამის შესახებ არავინ უნდა იცოდეს, — საუბარში გამზათი ჩაერთო, — შენ ყველასთვის გეგეშიძის მოკავშირედ უნდა დარჩე.

— მოიცა... მოიცა... — ხელი გაიქნია ტარბამ. — ახლა მართლა დამაბნიე. თუ გეგეშიძის ახლობლად და შენს მტრად უნდა დავრჩე, რისთვის ჩამომიყვანე სოხუმში?! შენთან ერთად, ჩაჩბას დასაფლავებაზე მნახეს და ახლა ვინ ჭამს იმას, რომ

მტრები ვართ?!

— გეგეშიძეს თავად სურს ჩაჩბას ხალხის შემორიგება; ჩვენც არაფერი გვაქვს ამის საწინააღმდეგო. შენი ჩალიჩით გეგეშიძე თამაშიდან გავა, მაგრამ დარჩება მისი „სასტავი“, რომელთანაც შენ კარგ ურთიერთობას შეინარჩუნებ.

— არა!.. — თავი გაიქნია ტარბამ. — ამდენზე არ შევტოპავ. შენ კარგად არ იცნობ მის „სასტავს“. ეს სულ სხვა ხალხია!

— მორჩი!.. — ბრაზით შეაწყვეტინა ნეჯეთმა და ამასთან ერთად, თეთრი ფხვნილით სავსე შეკვრა გადაუგდო. — იცი, რა არის ეს?!

— ჰეროინი!.. — ყრუდ ჩაილაპარაკა ტარბამ.

— ცდები... ეს ნარკომანისთვისაა ჰეროინი. ჩვენთვის კი... მაყუთი, ბოლო მოდელის „მერსედესი“, ასეთი აგარაკი და გავლენაა... რაც გინდა, ის უწოდე. ყველაფერი ის, რისთვისაც ვიბრძვით და რაც ცხოვრებას ალამაზებს!..

— შენ რა, ბარიგობას მთავაზობ?! — მოიღრუბლა ტარბა.

— არა... ასე არ დაგამცირებ. ვიცი, რა კაციც ხარ!.. რაზე წახვალ და რაზე — არა!

— აბა, რა გინდა?

— რაც მინდა, უკვე გითხარი. მოგვაშორე გეგეშიძე და ჩაჩბას ხალხი მის „სასტავს“ დაუახლოვე. ვიცი, რომ ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ ყველაფერს თავისი ფასი აქვს. გააკეთე ეს და ყველაფერი, რაზეც წელან ვიბაზრე, შენი იქნება!.. რას იტყვი, მოსულა?

ტარბა რამდენიმე წამს დუმდა. მერე ადგა და თანხმობის ნიშნად ნეჯეთს ხელი გაუწოდა.

ნოვაკმა ვერაფრით შეძლო სეროვის თავიდან მოშორება. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი დილიდანვე გამოცხადდა მის მისაღებში და რამდენიმე საათის განმავლობაში შეხვედრას ითხოვდა. მისმა სიჯიუტემ ნოვაკი დაარწმუნა, რომ ასე იოლად ვერ დაითხოვდა მოსაცდელიდან და მდივანს გამომძიებლის კაბინეტში შეშვება უბრძანა.

— რა თავხედობაა, ბატონო გამომძიებელო?! — ბრაზით წამოიწყო ნოვაკმა. — რატომ არ მაძლევთ მუშაობის საშუალებას?!

სეროვმა მშვიდად მიიღო შენიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ ნოვაკთან თანამდებობრივად არაფერი აკავშირებდა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს, პერიოდულად მაინც უხდებოდა მასთან შეხვედრა და ახლაც არ განიცდიდა დაძაბულობას.

— დიდხანს გელოდოთ?! — ხმას აუწია მისი დუმილით გაღიზიანებულმა ნოვაკმა.

— სერიოზული საქმე მაქვს, ალექსანდრ ნიკოლაევიჩ.

— რისთვის გყავს უშუალო ხელმძღვანელობა?.. წარმოიდგინე, რას დაემსგავსება ჩემი კაბინეტი, თუ ყველა გამომძიებელი აქ დაიწყებს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას?!

— მე, უბრალო გამომძიებელი არა ვარ! — იწყინა სეროვმა.

— ვიცი, ვინც ხარ, — შემრიგებლური ტონით განაგრძო ნოვაკმა, — კარგი... რამდენიმე წუთს გაძლევ!

სეროვი მაგიდას მიუჯდა, ჩანთა გვერდზე დაიდო და თქვა:

— თქვენთვის ცნობილია, რა საქმეზეც ვმუშაობ ამჟამად.

— ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფს გულისხმობ?

— დიახ.

— და რით მიკავშირდება იმ ჯგუფის მუშაობა მე?

— ძალიან რთული ვითარება შეიქმნა. მე არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ ყველაფერი, — აუჩქარებლად თქვა სეროვმა, — სიმართლე გითხრათ, თვითონაც ვერ მივმხვდარვარ, რასთან მაქვს საქმე.

ჩანაწერი ფარულად იყო გაკეთებული და რატომღაც არ ისმოდა ტექსტის ნაწილი. მაგრამ რამდენიმე მოკლე წინადადებაში, ნოვაკმა მაინც მოჰკრა ყური საკუთარ გვარს

— მაინც რა მოხდა?

— ერთ ჩანაწერს გიჩვენებთ, — ამ სიტყვებთან ერთად, სეროვმა ჩანთიდან კომპაქტდისკი ამოიღო და თანამოსაუბრეს გადასცა.

ნოვაკმა კომპაქტდისკი კომპიუტერში ჩადო და მონიტორს მიაპყრო მზერა. ჩანაწერი ხანმოკლე აღმოჩნდა. წუთის თუ წუთ-ნახევრის განმავლობაში ნოვაკი ორი მამაკაცის საუბარს ადევნებდა თვალყურს. ჩანაწერი ფარულად იყო გაკეთებული და რატომღაც არ ისმოდა ტექსტის ნაწილი. მაგრამ რამდენიმე მოკლე წინადადებაში, ნოვაკმა მაინც მოჰკრა ყური საკუთარ გვარს. ერთი თანამოსაუბრე მეორეს ეკითხებოდა, რა კავშირი ჰქონდა მასთან? შემდეგ, ჩანაწერი გაურკვეველი იყო. მის ნაცვლად მხოლოდ გამაღიზიანებელი შიშინი ისმოდა. ამას ისევ კითხვა მოსდევდა. პირველი თანამოსაუბრე ინტერესდებოდა, საჭიროების შემთხვევაში, მეორე იმავეს დაადასტურებდა თუ არა? ის კი პასუხობდა, რომ ნებისმიერ დროსა და ადგილას გააკეთებდა ამას.

— სულ ეს არის? — ჩანაწერის დასრულების შემდეგ ნოვაკი სეროვს მიუბრუნდა.

— თქვენ ეს უმნიშვნელოდ გეჩვენებათ? — გაუკვირდა გამომძიებელს.

— მნიშვნელოვანს ვერაფერს ვხედავ ორი ადამიანის ბუნდოვან საუბარში.

— მაგრამ ამ საუბარში ისინი ხომ თქვენ გახსენებენ?!.

— მეე?!. — გაიკვირვა ნოვაკმა. — რაღაც გეშლება. მსგავსი არაფერი შემინიშნავს. მე ბევრი მოგვარე მყავს და მათ შორის ვიღაც-ვიღაცებს ალექსანდრი ჰქვიათ!. ასეც რომ არ იყოს, რატომ ანიჭებთ ამ საუბარს ასეთ მნიშვნელობას?.. საერთოდ, ვინ არიან ეს პირები?!

სეროვმა უნდობლობით აღსავსე მზერა მიაპყრო. შეუძლებელი იყო, შინაგან საქმეთა კურატორს არაფერი სცოდნოდა ამ საქმის შესახებ და ჩანაწერზე მყოფი პირებიდან ერთი მაინც ვერ ამოეცნო.

— რას მიყურებ?! — მოიღრუბლა ნოვაკი. — შენც არ იცი, ვინ არიან ეს პირები?!

— ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ერთის შესახებ ძალიან ბევრი რამ ვიცი!

— რომელს გულისხმობ?

— ამ ორიდან ერთ-ერთი, ის, რომელიც კითხვებს სვამს, ძიების მთავარი ობიექტი — ლუკა გეგეშიძეა!

— გეგეშიძე?! — გაოცებული სახით იკითხა ნოვაკმა. — ეს მართლაც საინტერესოა. ვინ არის მეორე?

— მისი ვინაობა ზუსტდება. სავარაუდოდ, ის სოჭის ოლქში მოღვაწე აფხაზი კრიმინალი, რუსლან ტარბა უნდა იყოს... — სეროვმა პაუზის შემდეგ დაამატა: — და ისინი თქვენზე საუბრობენ!

— მე უკვე გითხარი... — ბრაზით წამოიწყო ნოვაკმა, მაგრამ სეროვმა არ დაამთავრებინა:

— ვიცი... ვიცი... ამქვეყნად ბევრი ნოვაკია და მათი ნაწილი თქვენი სეხნიაა,

მაგრამ ამით მაინც ვერ დავიმშვიდებთ თავს. ბუნებრივია, რომ თქვენ არაფერი გაკავშირებთ ამ ავაზაკებთან, მაგრამ შესაძლოა, მათ აქვთ რამე ინტერესი თქვენ მიმართ. ამიტომაც, ვერ გამოვრიცხავ, რომ ისინი სწორედ თქვენზე საუბრობენ. არსებობს საქმის მეორე და კიდევ უფრო ბუნდოვანი და შემაშფოთებელი მხარე... თვით ამ ჩანაწერის გამოჩენა!

— სწორედ ეგ უნდა მეკითხა. საიდან გაჩნდა ეს ჩანაწერი?

— ძალიან უცნაური ამბავია. ჩვენ თითქმის ერთი წელია, ვიბრძვით ამ პიროვნების შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად და სრულიად მოულოდნელად, ორი დღის წინ, ეს ჩანაწერი ინტერნეტქსელით ჩემს საფოსტო ყუთში მოხვდა. თავიდან ეს რომელიღაც თანამშრომლის უკბილო ხუმრობა მეგონა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ჩვენმა ანალიტიკოსებმა უკვე შეაფასეს ჩანაწერი. ის ნამდვილია!..

— რით დაადგინეს, რომ მონტაჟი არ არის? — დაინტერესდა ნოვაკი.

— ჩანაწერზე ნამდვილად გეგეშიძეა აღბეჭდილი. ეს უდავოა. — ნოვაკი მონიტორს მიუბრუნდა, თავიდან ჩართო ჩანაწერი და ლუკას სახეს ჩააცქერდა.

— ესე იგი, ეს გეგეშიძეა! — ჩაილაპარაკა პაუზის შემდეგ.

— დიახ... რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ეს მართლაც გეგეშიძეა, — დაუდასტურა სეროვმა.

— რა იცით ჩანაწერის ადრესანტის შესახებ?

— არაფერი... ჩვენმა სპეციალისტებმა გადაამოწმეს ინტერნეტმისამართი, საიდანაც მივიღე ჩანაწერი, მაგრამ ამან შედეგი არ მოგვცა. ჩანაწერის გამოგზავნის შემდეგ, საფოსტო ყუთი გაუქმდა. ერთადერთი, რაც დანამდვილებით დავადგინეთ ისაა, რომ ოპერაცია კიევში განხორციელდა. გარდა ამისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ოპერაციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. უფრო მეტსაც გეტყვით: თანამშრომლები, რომლებიც უშუალო კავშირში არიან ჩემთან და ამ საქმესთან... სხვას არ შეიძლებოდა, რომ ჩემი ინტერნეტმისამართი სცოდნოდა.

— ნუ გააზვიადებ ვითარებას. ინტერნეტმისამართის დადგენა რთული არ არის, — შენიშნა ნოვაკმა.

— გეთანხმებით. ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ სულ მცირე, ამისთვის საჭიროა, გარკვეული მიზეზის არსებობა. ჩანაწერზე მეტად, მე ამ მიზეზის არსებობა მაფიქრებს. იცით, რა არის საქმე? ამ ამბავში შანტაჟის ელემენტებს ვხედავ!

— რას გულისხმობ?

— პირველი იმას, რომ ჩანაწერს წერილის სახით ერთი ფრაზა მოჰყვა — „თუ გადაიხდი, გაგრძელება იქნება. თუ არა, მიიღებს სხვა“!..

— რას ნიშნავს ეს?

— ვაჭრობას... ადრესანტს რაღაც სურს და ცდილობს, მიმახვედროს, რომ თუ იმას არ მიიღებს, ჩანაწერს სხვა მისამართზე გაგზავნის.

— ბოდვაა და მეტი არაფერი! — ხელი ჩაიქნია ნოვაკმა.

— მე ასე არ მივიჩნევ, — შეეპასუხა სეროვი, — ეს გზავნილი პირადად ჩემთვის იყო განკუთვნილი.

— რატომ მიანიჭეს შენს პერსონას ესოდენ დიდი მნიშვნელობა?

— მათ არ აინტერესებთ გამომძიებელი სეროვი. უბრალოდ, ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში უკრაინის წარმომადგენლით ინტერესდებიან!.. სხვათა შორის, ამ ჩანაწერის არსებობის შესახებ, ჯგუფის წევრებმა არაფერი იციან.

— არ იციან? — გაუკვირდა ნოვაკს.

— ეგ მეც მიკვირს. ჩანაწერი მხოლოდ მე მივიღე და მის შესახებ ქართველმა და რუსმა კოლეგებმა არაფერი იციან. ეს კი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ მისი გამომგზავნი უკრაინით ინტერესდება. უფრო ზუსტად — თქვენით!

— რადგან ასე ფიქრობ, შესაბამისი ვერსიაც უნდა გქონდეს!

— არა, — სწრაფად უპასუხა სეროვმა, — ამის დრო არ მქონდა!

— არ გქონდა?! — ეჭვის თვალით შეხედა ნოვაკმა. — წეღან რამდენიმე გამოკვლევა ახსენე. ჩანაწერს იკვლევდი და ვერსია არ შეგიმუშავებია?!

— ჩემი აზრი არაფერს ცვლის!

— ამ შემთხვევაში, შენი აზრიც მაინტერესებს! — შეუბღვირა ნოვაკმა.

სეროვმა საფეთქლები მოისრისა და შემდეგ უპასუხა:

— კეთილი, მაინც თავი მომაბეზრა ამ საქმემ და მადლობელიც კი დაგრჩებით, თუ ძიებას ჩამომაშორებთ!.. რაც შეეხება ჩემს ვერსიას... მე გამოვრიცხავ, რომ თქვენ არაფერი გაკავშირებთ გეგეშიძესთან. შესაძლოა, პირადად არასოდეს შეხვედრიხართ და არც ნაცნობობა გაკავშირებთ, მაგრამ თქვენ და „ვერშინის“ ყოფილი და აწ განსვენებული პრეზიდენტი ელია ბუკოვსკი ებრაელები ხართ. ეს საკმარისი მოტივია თქვენი ნაცნობობისთვის და აქედან გამომდინარე, გეგეშიძესთან ურთიერთობისთვის, რომელიც მისი უახლოესი მეგობარი და მოწილე იყო!..

— განაგრძე, — ცივად ჩაილაპარაკა ნოვაკმა.

— დანარჩენი თქვენ უნდა დაამატოთ. მე, როგორც გამომძიებელი, ბოლო ხანებში მომხდარ მოვლენებსა და ამ ჩანაწერის მოულოდნელ გამოჩენას შორის, აშკარა კავშირს ვხედავ და მიმაჩნია, რომ თქვენ რეალური საფრთხე გემუქრებათ. გეგეშიძე ფრთხილი, მაგრამ ამასთან ერთად, ერთობ გაბედული ბოროტმოქმედია. მას არ აშინებს მაღალი თანამდებობები და თუ თქვენ მიმართ რაიმე ჩანაფიქრი აქვს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ წოდებისა და მდგომარეობის მიუხედავად, მაინც შეეცდება მის განხორციელებას!

— სხვა მოსაზრება არ გაქვს?! — ბრაზით განაგრძო ნოვაკმა.

— მაქვს, — თავი დაუქნია სეროვმა.

— გამიზიარე! — მბრძანებლურად მოითხოვა ნოვაკმა.

— გაგიკვირდებათ, მაგრამ მე ვერ გამოვრიცხავ, რომ ეს რუსების პროვოკაციაც იყოს. მათი მხრიდან, საგამოძიებო ჯგუფში ჩართულია განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი რიბკინი. გარკვეული გარემოებების გამო, ინიციატივა მას ეკუთვნის. ამასთან ერთად, უნდა გითხრათ, რომ ის გამოცდილი და ასეთი ვითარებისთვის კარგად მომზადებული კადრია. მისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

— მაგალითად, რა? — დაინტერესდა ნოვაკი.

— მაგალითად, ის ყველაფერს გააკეთებს უკრაინის კომპრომეტირებისთვის. სხვათა შორის, რაღაც ამდაგვარი უკვე მოხდა. რიბკინმა ჩანაწერის დახმარებით,

ᲧᲝᲚᲩᲘᲡ ᲨᲐᲜᲡ

საქართველოს წარმომადგენელი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და შემდეგ, მძიმე პირობები წაუყენა.

— რომელ ჩანაწერზეა ლაპარაკი? — დაინტერესდა ნოვაკი.

— ეს ჩვენს საქმეს არ ეხება. ისე კი გეტყვით: ლაპარაკია ფარულ ვიდეო-აუდიომასალაზე, რომელიც პირდაპირ ადასტურებს გეგეშიძის საქმეში ქართული სპეცსამსახურის მონაწილეობას. მე გარკვეულ ანალოგიას ვხედავ ამ ჩანაწერების გამოჩენას შორის. იმ ჩანაწერზეც ქართველ მაღალჩინოსნებზე — კედიასა და ვინმე პეტროსიანზე საუბრობენ.

— როგორ დამთავრდა ის ამბავი?

— ძალიან ცუდად. რიბკინმა ჩანაწერის საიდუმლოდ შენახვაში გარკვეული პირობები წაუყენა ლაბაძეს და მის უშუალო ხელმძღვანელობას; მაგრამ ვიდრე ქართული მხარე ამ მოთხოვნებს შეასრულებდა, პეტროსიანი და კედია დაიღუპნენ.

— დახოცეს?

— ოფიციალური ვერსიით, პეტროსიანმა თავი ჩამოიხრჩო, კედიამ კი ფანჯრიდან გადმოხტომით დაასრულა სიცოცხლე!

— გასაგებია, — ყრუდ ჩაილაპარაკა ნოვაკმა.

— ამიტომაც მოვედი თქვენთან. ერთ და ორ დღეში ამ ფაქტებს შეფასებას ვერ მივცემთ, მაგრამ თავი მაინც უნდა დავიზღვიოთ!

— როგორია შენი აზრი?.. მაინც რას უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში?..

— ვფიქრობ, ჩანაწერის სრული ვერსიის გამოჩენას უნდა ველოდეთ. იმ ჩანაწერისა, რომელზეც საუბარი მთლიანად იქნება დაფიქსირებული.

— კიდევ ვინ იცის ამ ჩანაწერის არსებობის შესახებ? — მცირე პაუზის შემდეგ იკითხა ნოვაკმა.

— ძნელია ამაზე მსჯელობა. მე არ ვიცი, კიდევ ვის გაუგზავნეს ჩანაწერი. რაც შემეხება მე... მე არავისთან მილაპარაკია ამ საკითხზე.

— არც საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელობასთან? — ეჭვით ჰკითხა ნოვაკმა.

— არა, — თავი გაიქნია სეროვმა, — თქვენთან შეთანხმების გარეშე, ჩანაწერს ვერავის ვუჩვენებდი!

— ყოჩაღ... ასე გააგრძელე და პირობას გაძლევ, რომ მალე ახალ თანამდებობაზე გადაინაცვლებ, — ნოვაკმა პაუზის შემდეგ განაგრძო: — რაც შეეხება ჩანაწერს... შენ ის არ გინახავს და ჩვენ ამ საკითხზე არ გვისაუბრია!..

— ბატონო ალექსანდრ... — აღელდა სეროვი.

— არ გინახავს!.. ახლა კი შეგიძლია წახვიდე. საჭირო თუ გახდა, მე თვითონ დაგიკავშირდები!.. — ცივად შეაწყვეტინა ნოვაკმა, შემდეგ კი კომპაქტდისკი კომპიუტერიდან ამოიღო და მაგიდის უჯრაში შეინახა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ექსპრეზიდენტის მეზობელი „ქვის ქაცი“ და მის დენდროლოგიურ პარკში მოხვედრილი რიჩარდ ნიქსონი

კრწანისის №62-ში მდებარე დენდროლოგიურ პარკში მოხვედრილს, თავი ზღაპარში გგონია. ამ ზღაპრის მთავარ გმირს, „ქვის კაცად“ წოდებულ ბოთა კუდაბას, დეკორატიული ქვები საქართველოს რეგიონებიდან ჩამოუტანია და საკუთარ ეზოში, მარადმწვანე მცენარეებთან შეხამებით, ულამაზესი კომპოზიცია აუწყვია. მის ეზოში „ბინადრობს“: ქვის არწივი, კუ, ბაყაყი, ქათამი და ა.შ. ეზოს დათვალიერების მერე, ქვის კაცს ქვის ბილიკით, ქვის დარბაზში შეჰყავხარ, რომელსაც ფაეტონის ბორბალზე დამაგრებული ნათურებით ანათებს. ირგვლივ ხის უამრავი ეთნოგრაფიული ნივთია, ბუხართან კი ქვის ნანგი იწონებს თავს. ბატონი შოთა თითოეულ ნივთზე დაუსრულებლად ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ის ბუნების ქომაგია.

თამუნა კვინიკაძე

— ბატონო შოთა, ვინ შეგარქვათ ქვის კაცი?

— ქვის კაცი ჟურნალისტმა ნარგიზა მგელაძემ შემარქვა. მეამაყება, რომ ასე მიწოდებენ: ქვა ხომ მარადიულობის სიმბოლოა. პროფესიით ეკონომისტი ვარ, 30 წლის მანძილზე, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ვიმუშავე. შემდეგ კი დიზაინერი გავხდი; ამ ნიჭმა ჩემში მოგვიანებით გაიღვიძა. ერთ დროს, ირგვლივ მყოფი ადამიანები, ვერც კი იფიქრებდნენ, თუ ქვის კაცი გავხდებოდი.

— რთულია ქვაზე მუშაობა?

— თუ ქვა არ გიყვარს, რთულია. ზოგი მეკითხება, ასეთ ლამაზ დეკორაციებს აკეთებ და ამ საქმეს ახალგაზრდებს არ ასწავლიო? სამწუხაროდ, ამის მსურველები ნაკლებად არიან, რასაც მე ვაკეთებ, ამის სწავლა რთულია. ეს ყველაფერი ადამიანში თავისთავად უნდა იყოს.



აქ 30-მდე ჯიშის ყინვაგამძლე მცენარე ხარობს

— თქვენს ეზოში სხვადასხვა ფორმის უამრავი დეკორაატიული ქვაა. სად პოულობთ მათ?

— ქვების მოსატანად რეგიონებში დავდივარ. სულ შესწავლილი მაქვს, სად როგორი ქვა არსებობს.

— ამ მხრივ განსაკუთრებული სიმდიდრით რომელი რეგიონი გამოირჩევა?

— თითქმის ყველა კუთხე მდიდარია, მაგრამ ეს სიმდიდრე აუთვისებელია. აღმოსავლეთ საქართველოში — ჩელტის, სტორის, ლოპოტის, დურუჯის ხეობები დეკორატიული ქვებით განსაკუთრებით მდიდარია. სამხრეთში, სოფელ უდეში უნიკალური ქვის ფიქალია; მთელი საქართველო რომ შემოიარო, მსგავსი არსად შეგხვდება. ქვების ძიებისას დაღესტნის საზღვრამდეც ვარ მისული. ადიგენში გაქვავებული ხეც კი მინახავს. წლების მანძილზე ხარობდა, შემდეგ კი ქვად გადაიქცა.

— უცნაურია, თქვენ ხეზეც მუშაობთ?

— არა, ხის ეთნოგრაფიული ნივთები, რომლებიც ქვის დარბაზში მაქვს განთავსებული, ნაჩუქარია.

— ქვებს არ გიძღვნიან?

— როგორ არა; ძალიან ბევრ ნაჩუქარ ქვას ვინახავ. ქვის მთავარი ღირებულება, მისი ბუნებრიობაა. მე მას არ ვამუშავებ, ბუნებრივ ფორმას არ ვუკარგავ. გარდა ამისა, გატაცებული ვარ ყინვაგამძლე და მარადმწვანე მცენარეებით. ვინმეს ეზოში ამდენი ნაძვი, კვიპაროსი, სურო თუ გინახავთ?..

— და თქვენს ეზოს ამის გამო დენდროლოგიური პარკ-მუზეუმის სტატუსი აქვს მინიჭებული, არა?

— დიახ, ის ჩემს ეზოს 1996 წელს კულტურის სამინისტრომ მიანიჭა. აქ 30-მდე ჯიშის ყინვაგამძლე მცენარე ხარობს. კაქტუსები, სედუმები, კლდის დუმა, პეპერო-

ბია, პირამიდული და ჰორიზონტალური კვიპაროსები, უტყუარი და ა.შ. ბუნებრივი ქვები და ყინვაგამძლე მარადმწვანე მცენარეები ერთმანეთს კარგად ერწყმის და ლამაზ კომპოზიციას ქმნის. მინდა, რომ ეს ეზო-პარკი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გავხადო, მაგრამ ამ საქმეში ჩემი მომიჯნავე მეზობლები მიშლიან ხელს: ჩემს ტერიტორიაზე ერთ-ერთ მათგანს საქათმე და საღორე აქვს აგებული. ამასთან დაკავშირებით, დავა სასამართლოშიც მქონდა; საქმე ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ ახლა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.

— თქვენ მეზობელია ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც. ის თუ ყოფილა თქვენთან სტუმრად?

— არა, ედუარდ შევარდნაძე ჩემი ეზო-პარკით არ დაინტერესებულა. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ დამთვალიერებლები აქ მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან არიან ნამყოფები, მათ შორის, ცნობილი ადამიანებიც.

— მაგალითად?

— ამერიკის ექსპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი; კრემლიდან ვინც კი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ჩამოდიოდა, ყველა მსტუმრობდა.

— ნიქსონი კრწანისში როგორ მოხვდა?

— ეს 1991 წლის თებერვალში მოხდა. მაშინ ედუარდ შევარდნაძე ჯერ კიდევ მოსკოვში იმყოფებოდა. ოჯახში სტუმრებთან ერთად, სუფრას ვუსხედით. ერთ-ერთი მათგანი სასმელს არ მიირთმევდა და დროდადრო ეზოში გადიოდა. მორიგი გასეირნების შემდეგ, შემოვიდა და მითხრა, — შოთა, შენს ეზოში ვიღაც კაცია შემოსული, ყურადღება მიაქციეო. გავედი და რას ვხედავ, ამერიკის ექსპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი არ არის?! გავოგნდი.

— დაცვა არ ახლდა?

— არა, მას მხოლოდ ერთი ადამიანი ახლდა, რომელმაც მითხრა, — ნიქსონი საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება და თარჯიმანი არ ჰყავსო. მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებდი, ეტყობოდა, რომ ჩემი ეზო ძალიან მოეწონა. ისე წავიდა, ვერ დაველაპარაკე.

— ოჯახში არ შეიპატიჟეთ?

— არა, რატომღაც ვერ შევკადრე.

— შთაბეჭდილებების წიგნში უამრავი უცხოელის ჩანაწერია. თქვენთან ტურისტები როგორ ხვდებიან?

— თუ შემთხვევით ჩემს ქუჩაზე მოხვდნენ, გამორიცხულია, რომ არ შემოვიდნენ. თავდაპირველად, ამ ეზოში ბოსტანი იყო. მას შემდეგ, რაც დეკორატიული ქვებითა და მარადმწვანე მცენარეებით დავინტერესდი, არათუ ბოსტანი, ხეხილიც ამოვძირკვე. ახლა ჩემი მიზანია, ეზოს დარჩენილი ტერიტორიაც ავითვისო. მინდა, გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი — ზაზა გამცემლიძე მოვიწვიო და ვთხოვო, თუ შესაძლებელი იქნება, ჩემი დენდროლოგიური ეზო-პარკი, ქვეყნის ოფიციალური სტუმრებისთვის განკუთვნილ კულტურულ პროგრამაში შეიტანოს.

— დეკორატიული ქვების ძიების პროცესში, ალბათ, კურიოზულ სიტუაციაშიც მოხვედრილხართ...

— ძიების პროცესში — არა, მაგრამ ერთხელ ჩრდილოეთ ოსეთიდან საკუთარი მანქანით ფიქალი მომქონდა. ავტოინსპექციის პოსტს მივუახლოვდი თუ არა, მძიმედ მომავალი მანქანა რომ დაინ-

მითხრა, — ნიქსონი საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფება და თარჯიმანი არ ჰყავსო

ხის ეთნოგრაფიული ნივთები, რომლებიც ქვის დარბაზში მაქვს განთავსებული, ნაჩუქარია

დამთვალიერებლები აქ მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან არიან ნამყოფები

ახეს, სამართალდამცველები გამოეფინნენ, ეტყობა, იფიქრეს, კონტრაბანდა შემოაქვს და გამოვიჭერთო. მათ შორის, ერთ-ერთი დაწინაურდა და, — რა მიგაქვსო? — მკითხა. თან, აშკარად ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, საბარგულს როდის ახდიდა თავს. — ქვა მიმაქვს-მეთქი, — ვუთხარი მშვიდად და თან ვთხოვე, გავეტარებინე. არ დამიჯერა და მეორე თანამშრომელთან ერთად, მანქანის საბარგული ახადა. რამდენიმე წუთი ქვებს გაოგნებული უყურა, შემდეგ კი გადაადგილება დაუწყო, მათ შორის, ისევ კონტრაბანდას ეძებდა, მაგრამ რაც არ იყო, რა უნდა ეპოვა?!. ■

სკარლეტ იოჰანსონი

ვუდი ალენის მუზა

სკარლეტ იოჰანსონი გამუდმებით ირწმუნება, რომ პაპარაცების ყურადღების ცენტრში ყოფნა და რეპორტიორთა შეკითხვები მისი პირადი ცხოვრების შესახებ, ყელში ამოუვიდა; მაგრამ ისიც ცხადია, რომ ახალგაზრდა ვარსკვლავმა საკუთარი პერსონისადმი ინტერესის გაღვივების ხელოვნება სრულყოფილად აითვისა! იმ დღიდან, როცა იოჰანსონის ფოტოსურათებმა პოპულარული ჟურნალების ყდები დაამშვენა, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ჰოლივუდის ცის კაბადონზე ახალი სუპერვარსკვლავი ამობრწყინდა, რომელსაც მალე მერილინ მონროს შეადარებდნენ. თავდაპირველად, არავინ იცოდა, თუ რამდენ ხანს იბრწყინებდა ახალი სექსსიმბოლო, მაგრამ დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ეს გოგონა წასვლას არსად აპირებს! ჰოლივუდს დიდმკერდიანი, ცისფერთვალება, დაბუშტულტუჩებიანი ქერა ლამაზმანები არასდროს აკლდა, მაგრამ ისინი მხოლოდ სექსსიმბოლოს სტატუსს დასჯერდნენ და გესლიან კინოკრიტიკოსთა აღიარების მოპოვება, თითქმის ვერავინ შეძლო.

საოცარია, მაგრამ ფაქტია: ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და ინტელექტუალურ ბერლინის კინოფესტივალზე სკარლეტ იოჰანსონს მაყურებელთან ერთად ჟურნალისტებიც ტაშს უკრავდნენ, ხოლო პრესკონფერენციაზე სკარლეტსა და მის კოლეგას, ნატალი პორტმანს „ჰოლივუდის ყველაზე ნიჭიერი მსახიობები“ უწოდეს. ევროპელ კინოკრიტიკოსთა შექებით უზომოდ კმაყოფილ სკარლეტს ღაწვებიც კი შეეფაკლა. „თქვენმა სიტყვებმა თავბრუ დამახვია“... ნაზად წარმოთქვა კინოვარსკვლავმა და პუბლიკა შეუდარებელი ღიმილით დაასაჩუქრა. საგულისხმოა, რომ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, სკარლეტი საყოველთაოდ აღიარებული მზეთუნახავის — ნატალი პორტმანის გვერდით იჯდა და მისი მისამართით თავად უბადლო კეტრინ დენევმაც არ დაიშურა საქებარი სიტყვები: „ძნელად წარმომიდგენია ისეთი გოგონა, რომლის სილამაზე მშვენიერი ნატალის გვერდით ყოფნით არ დაიჩრდილება, — განაცხადა დენევმა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი გოგონა მაინც არსებობს“...

ახალგაზრდა ვარსკვლავები სრულიად განსხვავებულად იქცეოდნენ: როდესაც ნატალი პორტმანი ფოტოგრაფის კამერის ობიექტივის სამიზნე ხდებოდა, ვარსკვლავი მას მომხიბვლელი ღიმილით ხვდებოდა და ასპროცენტიანი წარმატებული კადრით ასაჩუქრებდა. სკარლეტი პირიქით, კეკლუცობდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ფოტორეპორტიორებს ვერც კი ამჩნევდა. ჟურნალისტებთან შეხვედრისას თავს ხრიდა და სადღაც გვერდზე იყურებოდა. ფესტივალის აუდიტორიის მამაკაცები მის თითოულ სიტყვას ჰაერში იჭერდნენ და სკარლეტის უჩვეულოდ დაბალი ტემბრის, მკერდისმიერი ხმით ტკბებოდნენ. მაყურებელი იოჰანსონის ხმას ფილმებიდან კარგად იცნობს, მაგრამ ფესტივალის სტუმრები იოჰანსონის ცოცხლმა ხმამ მართლაც რომ მონუსხა! „ბევრი ადამიანი მარწმუნებდა, რომ წარმატების მიუხედავად, ჩემი ხმის ტემბრის გამო, დუბლიორი დამჭირდებოდა. ნურას უკაცრავად! უფრო მეტიც, მაისში ჩემი პირველი ალბომი გამოდის და პუბლიკის რეაქციას მოუთმენლად ველოდები“, — ამბობს მსახიობი, რომელმაც ამას წინათ, მისი რჩეული პოლიტიკოსის, ბარაკ ობამას მხარდასაჭერად სიმღერა ჩაწერა. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, სკარლეტს საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოთქმა არ უჭირს და ფეხებზე ჰკიდია, თუკი პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მხარდაჭერის გამო, თაყვანისმცემელთა ერთი ნაწილის რისხვას დაიმსახურებს.

ფილმის — „ბოლეინთა გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი“ — ბერლინური პრემიერის დროს, ჟურნალისტები სკარლეტ იოჰანსონის პოლიტიკური მისწრაფებებითაც დაინტერესდნენ. „იმის არ მეშინია, რომ ობამას მხარდაჭერის გამო, თაყვანისმცემელთა ნაწილის სიყვარულს დავკარგავ. ის ადამიანები არ მაინტერესებს, რომლებიც პოლიტიკური მოტივებით ჩემს ფილმებზე აღარ მოვლენ“, — მკვახედ განაცხადა მსახიობმა.

გულღია და ემოციურმა სკარლეტ იოჰანსონმა ფილმის — „ბოლეინთა გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი“ გადაღების დროს, პარტნიორ ნატალი პორტმანთან საერთო ენა სწრაფად გამონახა. მსახიობმა ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ფილმში პორტმანთან ერთად თამაში მისი სანუკვარი ოცნებაა იყო. „ამის შესახებ ხშირად ვლაპარაკობ, მაგრამ ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ: ნატალის თამაში მუდამ მომწონდა! და კიდევ... ერთია, როდესაც შენზე სუსტ პარტნიორთან გიწევს თამაში, მაგრამ შენზე ძლიერ პარტნიორთან მუშაობა, რომელიც ერთგვარ მეტოქეობასაც გიწევს — მუდმივი ზრდისა და საკუთარ ნაკლთან ბრძოლის საშუალებას იძლევა!“ — განაცხადა სკარლეტმა.

ჟურნალისტთა შეკითხვას — თუ რა სირთულეებს გადააწყდა იგი ფილმზე მუშაობის პროცესში? მსახ-

იობმა უყოყმანოდ უპასუხა: „ყველაზე რთული — ეპოქისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ სამოსთან შეგუება იყო. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ შემდეგ შევნიშნე, რომ ამ ტანსაცმელში თავს სხვაგვარად ვგრძნობდი და შესაბამისადაც ვიქცეოდი. მაგალითად, ახლა თქვენ გესაუბრებით და თან ჟესტიკულაციას ვიყენებ. იმ სამოსში კი ხელის განძრევის საშუალება არ მქონდა და ეს როლში უკეთ შესვლაში დამეხმარა“.

ბერლინის კინოფესტივალზე სკარლეტს ვუდი ალენის შესახებ უამრავი შეკითხვა დაუსვეს. „სხვა რეჟისორებთან მუშაობა ძალიან მიყვარს. ეს საშუალებას მაძლევს, რომ ვუდი და მისი მეთოდები კიდევ უფრო მეტად მომენატროს!“ — ამბობს მსახიობი, რომელიც დიდმა რეჟისორმა საკუთარ მუზად აღიარა.

როლზე მუშაობის დროს თავად რა მეთოდს იყენებთო? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა არ იყოს გაუჭირდა. „ო... ეს მეტისმეტად პირადული საკითხია. ვფიქრობ, განსაკუთრებული სამსახიობო მეთოდი არ მაქვს. ვთამაშობ ისე, როგორც ვგრძნობ“...

ნუთუ გადაღებების დროს ნატალის და თქვენ ერთხელაც არ გიჩხუბიათო? — ეს კითხვა ბერლინში ოცჯერ მაინც გაისმა. ბოლოს და ბოლოს, სკარლეტს მოჰბეზრდა და ნატალის ყველას თვალწინ ტუჩებზე დაეკონა. ეს ამბორი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მეორე დღეს ყველა გერმანული გაზეთის პირველი გვერდები ამგვარი სათაურებით აჭრელდა: „ნუთუ ეს სიყვარულია?“ მაგრამ „ეს“ მხოლოდ მორიგი თამაში იყო. როგორც სკრალეტის დიდი თაყვანისმცემელი ჯორჯ კლუნი ამბობს: „მას ზღვარზე ხუმრობა უყვარს, რომელიც შემდგომ სარკაზმში გადადის“.

სკარლეტ იოჰანსონის პირადი ცხოვრება, მისი დიდი, წმინდა სიყვარული ჯადოსნურ ზღაპარს ჰგავს. მსახიობ რაიან რეინოლდსისა და სკარლეტის ურთიერთობაზე გასული წლის მაისიდან ალაპარაკდნენ, როდესაც ბარსელონაში გადაღებების დროს პაპარაცებმა მოალერსე წყვილი გამოიჭირეს. მაშინ პაპარაცებს სკარლეტის რისხვა დაატყდათ თავს. ერთი თვის წინ, პრესაში პირველად გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ სკარლეტ იოჰანსონი და რაიანი ქორწილისთვის ემზადებიან. თვითმხილველნი ირწმუნებიან, რომ ერთ-ერთ სალონში წყვილი საქორწინო კაბას ირჩევდა... მოგვიანებით ისიც ითქვა, რომ ვარსკვლავმა საქორწინო კაბის შეკერვა მსოფლიოს წამყვან დიზაინერებს მიანდო; ბოლოს, მარკ ჯეიკობსის სახელიც გაისმა. სკარლეტი ხომ კომპანია Louis Vuitton-ის სახეა! ამ ჭორების მიუხედავად, მსახიობი ოფიციალურად აცხადებს, რომ ჯერჯერობით გათხოვებაზე არ ფიქრობს. თუმცა ყველას კარგად მოეხსენება, რომ სკარლეტის „სერიოზულ“ განცხადებებს ხშირად სრულიად საპირისპირო საქციელი მოჰყვება ხოლმე. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც მსახიობმა „ვუდი ალენის ფილმებში მონაწილეობაზე დროებით უარი განაცხადა“ და ცოტა ხანში რეჟისორის ორ პროექტში ზედიზედ ითამაშა! ასე რომ, შესაძლოა, მალე ჟურნალ-გაზეთების პირველი გვერდები კვლავ ჰოლივუდის ულამაზესი და უნიჭიერესი მსახიობი ქალის შესახებ ალაპარაკდნენ და მისი საქორწილო ცერემონიის დეტალები გვამცნონ. ერთი რამ დაბეჯითებით შეგვიძლია ვივარაუდოთ — საკუთარი ქორწილის სცენარს სკარლეტი თავად დაწერს! მით უმეტეს, რომ „სცენარისტის როლში ძალების მოსინჯვა“ მისი დიდი ხნის ოცნებაა... ■

თინა კანდელაკმა მკერდი გაიდიდა

თინა კანდელაკმა მკერდი გაიზარდა და ამჟამად მისი ბიუსტის ზომა სამი ნომერია! ამ ფაქტს ოპერაციის შემდგომ დარჩენილი ნაწიბურებიც მოწმობს, რომელიც პაპარაცებმა მაღალი საზოგადოების ერთ-ერთ შეკრებაზე დააფიქსირეს. წვეულებაზე თინას მეტისმეტად დეკოლტირებული სამოსი ეცვა და ფოტოგრაფებმა მის სხეულზე პლასტიკური ოპერაციის შემდგომ დარჩენილი კვალის აღბეჭდვა მოახერხეს... ამ ოპერაციის შესახებ კულუარებში კარგა ხანია, რაც ჭორაობენ. ტელეჟურნალისტებს თინას სხეულის უწინდელი ზომა და ფორმა კარგად ახსოვთ და განსხვავება მაშინვე თვალში მოხვდათ. როგორც ამბობენ, კანდელაკმა მკერდი Playboy-ს ფოტოსესიამდე გაიდიდა, სადაც ტელეწამყვანი ჟურნალის მკითხველს კლეოპატრას სახით მოევლინა. საგულისხმოა ისიც, რომ Playboy-ს ფურცლებზე გამოქვეყნებულ ყველა კადრში, ცნობილ ტელეწამყვანს მკერდს სამოსი უფარავს!!! ■

პინკი ქმარს გაშორდა

ცნობილმა მომღერალმა პინკმა და მისმა მოტომრბოლელმა მეუღლემ — კერი ჰარტმა, ორწლიანი ოფიციალური ქორწინების შემდეგ, განქორწინება გადაწყვიტეს. როგორც ჩანს, ეს პროცედურა უმტკივნეულოდ ჩაივლის, რადგან ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყავს და ერთმანეთთან ამჟამადაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. „პინკი და კერი ჰარტი ერთმანეთს გაშორდნენ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საუკეთესო მეგობრების გადაწყვეტილებაა. მათ ხომ ერთმანეთთან დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა აკავშირებს. ქორწინება დასრულდა, მაგრამ მათი მეგობრობა ისეთი ძლიერია, როგორიც არასდროს“, — განაცხადა პინკის პრესატაშემ მიშელ შვაიცერმა. 28 წლის პინკსა (მისი ნამდვილი სახელია ალისია მური) და 32 წლის კერი ჰარტს შესაძლოა, ერთმანეთისადმი მართლაც, გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდეთ, მაგრამ მათი ოჯახური უთანხმოება რამდენიმე თვის წინ დაიწყო. პინკმა მეგობრებთან ჯერ კიდევ სექტემბერში დაიჩივლა: ერთმანეთს ვეღარ ვეწყობით, თითოეულ ჩვენგანს ჩვენი საკუთარი სივრცე გვჭირდებაო. პინკის წარმომადგენელმა განქორწინებასთან დაკავშირებით გავრცელებული ჭორები მაშინ არ დაადასტურა, მაგრამ როგორც ჩანს, პრობლემა თანდათან გაღრმავდა და ცოლ-ქმარმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

პინკმა და კერი ჰარტმა 2006 წლის იანვარში იქორწინეს. წყვილმა ერთმანეთი 2001 წელს გაიცნო, მაგრამ ჰარტი დაქორწინებას არ ჩქარობდა და პინკმა ინიციატივის ხელში აღება თავად გადაწყვიტა. გოგონა ერთ-ერთ მოტორბოლაზე პლაკატებით გამოცხადდა: „ცოლად შემირთე!“ „სერიოზულად გეუბნები“ — იუწყებოდა წარწერები. კერი ჰარტს სხვა რაღა დარჩენოდა... და თანხმობა განაცხადა! საქორწილო ცერემონია პუერტო-რიკოს პლაჟზე შედგა. ქორწილზე მიწვეული 100 სტუმარს შორის ელვის პრესლის ქალიშვილი ლიზა მარიაც იყო. სამწუხაროდ, მათი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა... ■

An-Ya–სა და ჯესიკა სიმფსონის დუეტი

ჯესიკა და ეშლი სიმფსონების მამამ და ამასთანავე პროდიუსერმა ჯო სიმფსონმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომლის თანახმად, ახალგაზრდა რუსი მომღერალი An-Ya (ანია) და ჯესიკა სიმფსონი სიმღერას დუეტში შეასრულებენ. 18 წლის ნიჭიერი რუსი გოგონას წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ტელევარსკვლავ მაშა მალინოვსკაიას, რომელიც პროექტის თანაპროდიუსერია. მალინოვსკაია ამბობს, რომ დუეტთან ჯასტინ ტიმბერლეიკისა და ნელი ფურტადოს საუნდპროდიუსერი ტიმბელენდი იმუშავებს. სიმღერა მარტის პირველ რიცხვებში ჩაიწერება, აპრილ-მაისში კი ანია ეშლი სიმფსონის საგასტროლო ტურნეში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ევროპის ქალაქებში, მათ შორის, მოსკოვშიც გაიმართება.

An-Ya სიმღერებს ინგლისურ ენაზე R&B და Soul-ის სტილში ასრულებს. მომავალი დუეტი ანიას დასავლელ მომღერლებთან თანამშრომლობის პირველი შემთხვევა როდი იქნება. გოგონამ ლეგენდარულ ჯგუფთან — Ace of Base ერთად იმღერა. „ჩემს კარიერაში ეს ძალზე საპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება. მზად ვარ, შედეგის მისაღებად თავი არ დავზოგო! როგორც ვიცი, დასავლელ სუპერვარსკვლავებთან ერთად სიმღერის ბედნიერება მხოლოდ ალსუს და დიმა ბილანს ხვდა წილად. იმედი მაქვს, რომ მათზე ნაკლებად არ ვიმღერებ და ჩემი მსმენელი სათანადოდ შემაფასებს!“ — ამბობს დამწყები მომღერალი. ■

ჯესიკა ალბა ახალ ამპლუაში

ჯესიკა ალბამ ძალები ახალ ამპლუაში მოსინჯა. 1-ელ თებერვალს ამერიკის ეკრანებზე გამოვიდა ტაილანდური საშინელებათა ფილმის — „თვალები“ რიმეიქი, რომელშიც მთავარ როლს ჯესიკა ალბა თამაშობს. ძმები პანგების სურათი მაყურებელს მოუთხრობს, თუ როგორ გადაუნერგეს ლოს-ანჯელესელ მევიოლინეს, სიდნი უელსს (ჯესიკა ალბა) მიცვალებულის თვალის რქოვანა. ამ ოპერაციის შემდეგ კი, გოგონა იმაზე გაცილებით მეტს ხედავს, ვიდრე უნდა ხედავდეს... ■

ჯენიფერ ლოპესის ახალშობილი ოცნება

ჯენიფერ ლოპესი ჯერ კიდევ ორსულად იყო და ტყუპის გასაჩენად ემზადებოდა, როცა მის ჯერ არდაბადებული შვილების ფოტოებს ექსკლუზიური მყიდველი გამოუჩნდა. როგორც გამოცემა Ad Age იუწყება, ეს გარიგება ოჯახს 4-6 მლნ დოლარს მოუტანს. გავრცელებული ხმების თანახმად, ფოტოსურათების შეძენა ტაბლოიდს — People სურს, რომელმაც ამას წინათ, კრისტინა აგილერას პატარა ბიჭუნას ფოტოსურათების გამოქვეყნების უფლება შეიძინა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მხარეები კომენტარისგან ამჯერადაც თავს იკავებენ...

ჯენიფერ ლოპესი ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრში — Long Island North Shore Medical Centre — მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე მოათავსეს. მსახიობმა 22 თებერვალს ღამით იმშობიარა. პირველად გოგონა გაჩნდა, რომელიც 2,500 კგ-ს იწონიდა; 10 წუთის შემდეგ სამყაროს 2,700 კგ-იანი ბიჭი მოევლინა. მშობიარე მაშინვე სპეციალურად მისთვის მომზადებულ, ხისიატაკიან პალატაში გადაიყვანეს, რომელსაც 2 ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი ამშვენებს. აღსანიშნავია, რომ პალატაში შესვლა სამედიცინო პერსონალსაც კი სასტიკად ეკრძალება. რამდენიმე დღის წინ, კლინიკაში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში უსაფრთხოების ზომების დაცვის სასწავლო ოპერაცია ჩატარდა. ოპერაცია, რომლის კოდური სახელწოდებაა Code Pink (ვარდისფერი კოდი) ახალშობილის დაკარგვის შემთხვევაში კლინიკის იზოლაციას ითვალისწინებს. სწავლების ვადები ჯენიფერ ლოპესის მშობიარობის წინა დღეებს საეჭვოდ დაემთხვა, მაგრამ კლინიკის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეს შემთხვევითობაა! ■

ლინდსეისა და მერილინის ცხოვრებისეული პარალელები

ლინდსეი ლოხანმა მერილინ მონროს ცნობილი ფოტოსესია The Last Sitting გაიმეორა. როგორც ცნობილია, კინოვარსკვლავი ამ ფოტოსესიის დასრულებიდან 5 კვირის შემდეგ, საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

ლინდსეის ფოტოსესია ჟურნალისთვის — New York გადაიღეს. 21 წლის მსახიობი ჟურნალის მკითხველს მერილინის სახით წარუდგა. ლინდსეის მერილინ მონროს პოპულარობამდე ბევრი უკლია, მაგრამ თითოეული მათგანის ცხოვრებაში მრავალი პარალელის მოძებნა შეიძლება: ორივე მსახიობი პაპარაცების მსხვერპლი აღმოჩდა. არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო, ლოხანი არაერთხელ დააკავეს, ალკოჰოლიკთა და ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობდა. მერილინსაც ვერავინ დააბრალებს, რომ იგი ჭკვიანი და დედიკოს დამჯერი გოგონა იყო... აღსანიშნავია, რომ ლინდსეი ლოხანის ფოტოსურათები ბერტ შტერნმა გადაიღო. ეს სწორედ ის ფოტოგრაფია, რომელიც ოდესღაც მერილინის ფოტოებს იღებდა! იმედია, ლოხანი მონროს ცხოვრებისეულ ტრაგედიას ზედმიწევნით ზუსტად არ გაიმეორებს და ფოტოსესიის დასრულებიდან 6 კვირის შემდეგ, მას ისევ საღ-სალამათსა და ხალისიანს ვიხილავთ!!!

გადაღებამ 3 დღე გასტანა. მიუხედავად იმისა, რომ ლინსეი სრულიად შიშველი პოზირებდა, იგი „თავს ზედმიწევნით კომფორტულად გრძნობდა“... ■

კორტნი კოქსი ზეზეურად ჩამოდნა

არავინ იცის, თუ რა ხდება კორტნი კოქსის თავს?! 43 წლის ჭკვიანი მზეთუნახავი 1 კვირაში ისე ჩამოდნა, რომ ახლა 2 ზომით პატარა ტანსაცმელს ატარებს. ჩვენი მაყურებელი მსახიობს უეს კრევეინის ფილმით — „ყვირილი“ იცნობს. ამ სურათის გადაღებებზე კორტნიმ დევიდ არკეტი გაიცნო და მას შემდეგ პრესის ფურცლებზე მათ გვარებს ხშირად ერთად მოიხსენიებენ ხოლმე...

კორტნი კოქსმა კარიერა მოდელობით დაიწყო. 1985 წელს, ფირმა „ტამპაქსის“ ტამპონებს უწევდა რეკლამას.

ცნობილია, რომ კორტნი კოქსი ფიზიკურ ფორმას იოგას მეშვეობით ინარჩუნებს. ახალგაზრდობის წლებში „ბალახის“ მწეველი იყო, მაგრამ ახლა ამ მავნე ჩვევას თავი დააღწია. მსახიობი დიდხანს ატარებდა კონტაქტურ ლიზნებს, მაგრამ შემდეგ ალერგია განუვითარდა და მხედველობა ისე დაუქვეითდა, რომ გადასაღებ მოედანზე ჯენიფერ ენისტონს ლიზი კუდროუსგან ვეღარ არჩევდა. კორტნიმ სათვალის ტარებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და თვალის ოპერაცია გაიკეთა. მსახიობი პლასტიკურ ქირურგიას არ ცნობს და ახალგაზრდობაში გაკეთებულ სვირინგებს ახლა სხეულიდან იშორებს. ■

მაია ღულუნიშვილი

ქუჩაში ჩაპარკეული „პაჭაკი“ და წარმატებული პმირი სპრიალიდან

ეპიზოდები მიხეილ გომიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრებიდან

სამსახიობო განათლების მისაღებად, თავდაპირველად, მოსკოვში გაემგზავრა და „გიტისში“ (თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი) ჩააბარა. იქ მხოლოდ 3 წელი სწავლობდა. შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდა და თეატრალურ ინსტიტუტში — სამსახიობო ფაკულტეტზე, ქალბატონ ლილი იოსელიანის სახელოსნოში ჩაირიცხა. სწავლის პერიოდი შემოქმედებითად ნაყოფიერად მიაჩნია. გურამ ჩერქეზიშვილის მიერ დადგმული სადიპლომო სპექტაკლი „ამილკარი“, სადაც გენოლე მაშს როლი შესრულა, ინსტიტუტში დადგმულ საუკეთესო სპექტაკლებს შორისაა მოხსენიებული. იმდროინდელ რექტორს, ქალბატონ ეთერ გუგუშვილს ისიც კი უთქვამს, — მთელი იმ წლების მანძილზე, რაც რექტორი ვარ, ასეთი სპექტაკლი ჩვენთან არ დადგმულაო. ცნობილი მშობლების — არჩილ გომიაშვილისა და ლიანა მანჯგავიძის შვილობა მისთვის დღემდე, უდიდეს პასუხისმგებლობას ნიშნავს. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი — მიხეილ გომიაშვილი ამჟამად, თეატრში როლებით განებივრებული ნამდვილად არ არის, მაგრამ მიაჩნია, რომ საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო, რომლიდანაც ეპიზოდების გახსენება დაუსრულებლად შეუძლია.

„ცუდლუტობა“ მისაღებ გამოცდებზე და პირველი როლი ცნობილ პიროვნებაში

— თავიდანვე ვიცოდი, რომ მსახიობი უნდა გავხდარიყავი. სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. სკოლა რომ დავამთავრე, იმ წელს ინსტიტუტში ჩაბარება არ მინდოდა, გართობა ვამჯობინე. ოჯახს კი ძალიან უნდოდა, რომ სტუდენტი გავმხდარიყავი. სამსახიობო ფაკულტეტზე იმ წელს, დოდო ალექსიძეს აჰყავდა ჯგუფი. დედაჩემს ხათრი ვერ გავუტეხე და მისაღებ გამოცდებზე გავედი, მაგრამ საქმე ისე წავიყვანე, რომ ჩავჭრილიყავი. როდესაც მკითხეს, პროზიდან მოჰყევი რამეო, ვუპასუხე, — არაფერი ვიცი-მეთქი. პოეზიასა და იგავ-არაკზეც იგივე მოვიმოქმედე, არც სიმღერასა და ცეკვაზე მომიკლავს თავი. ამის შემდეგ მითხრეს, წადიო... გამოცდებზე გასვლით, დედაჩემის წინაშე ვალი მოვიხადე, მაგრამ სტუდენტი ვერ გავხდი... რა თქმა უნდა, თეატრალურ ინსტიტუტში ყველამ იცოდა, ვისი შვილიც ვიყავი, კომისიის წევრების უმრავლესობა ჩემი მშობლების მეგობრები იყვნენ, რომლებიც არაერთხელ ყოფილან ჩვენს სახლში სტუმრად. ჩემი საქციელით ყველანი გაკვირვებულები დარჩნენ, მაგრამ რას იზამდნენ? არაფერზე ვუპასუხე და ძალით ხომ ვერ ჩამრიცხავდნენ?! ამის შემდეგ, მოსკოვში მამაჩემთან გავემგზავრე. მან სამოგზაუროდ, ვარშავაში წამიყვანა, სადაც არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. მერე, რუსეთში მამასთან რამდენიმე წელი დავრჩი... მთელი ბავშვობა მშობლებთან ერთად, გასტროლებზე მაქვს გატარებული. ფილმი „თორმეტი სკამი“ ჩემ თვალწინ გადაიღეს. მაშინ 10 წლის ვიყავი. ფილმის ყველა ეპიზოდის გადაღება მახსოვს. თვითონაც ვარ ეპიზოდურ როლში გადაღებული... ჩემი მშობლები უნიკალური ადამიანები იყვნენ, ამას აღიარებს ყველა, ვინც მათ იცნობდა. დედამ სამსახიობო კარიერა მაშინ დაასრულა, როცა მე დავიბადე. მისთვის ყველაზე „კარგი ნათამაშები როლი“ მე ვარ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი გახლდათ. იქ მამიდაჩემი — მაყვალა გომიაშვილიც მუშაობდა. მამამ დედა სწორედ მამიდაჩემის სპექტაკლზე გაიცნო და იქიდან დაიწყო მათი სიყვარულიც. დედას ქართულ ფილმებში ეპიზოდური როლები აქვს შესრულებული.

მამის შეგონება, პირველი შეფასება და დაპირებული პასუხისმგებლობა

— ჩემთვის ხშირად უკითხავთ, — მამა როგორ გზრდიდა და რა რჩევა-დარიგებებს გაძლევდაო? მას არაერთხელ უთქვამს, — მე მაკარენკო არა ვარ, აღზრდის რაიმე მეთოდი რომ შევიმუშაოო... მას ბევრი შვილი ჰყავდა, მაგრამ ყველას მიმართ მზრუნველობას იჩენდა. მანქანაში ჩამისვამდა და მეტყოდა ხოლმე, — დამაკვირდი, როგორ ვიქცევი, როგორი ურთიერთობა მაქვს ადამიანებთან, როგორ მიყვარს ან როგორ მძულს ზოგიერთი მათგანი; მიყურე, თავად აირჩიე ამ ქმედებებიდან, რომელიც მოგეწონება და ისე იცხოვრეო. ამაზე დიდი გაკვეთილი არა მგონია, ცხოვრებაში არსებობდეს... მე და მამას ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ალბათ იშვიათობაა, მამა-შვილს შორის ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ჩვენ გვქონდა. ერთმანეთის საიდუმლოები ვიცოდით. მე, როგორც მსახიობს, ვერ აღმიქვამდა. მეხვეწებოდა, რომ მოსკოვში ჩავსულიყავი და მის ბიზნესში ჩავრთულიყავი. მაგრამ ჩემგან ბიზნესმენი ვერ დადგებოდა. გული თბილისისკენ მომიწევდა, რადგანაც ძალიან მიჭირს ჩვენი ქალაქის გარეშე ცხოვრება. წყნეთშიც რომ ავდივარ, მაშინაც კი, თბილისის ნოსტალგია მეწყება... როდესაც თეატრში რამდენიმე სპექტაკლში ვითამაშე, გიგა ლორთქიფანიძემ მამას შეუთვალა, — არ გაინტერესებს, შენი შვილი როგორი არტისტია? ჩამოდი და ნახეო. თურმე მას მანამდე, ბატონი გიგასთვის ნათქვამი ჰქონია, — ამ ჩემი შვილით რა გამიწყალეთ გული, ნუთუ ის ჩემზე კარგი არტისტიაო?.. ბატონმა თემურ ჩხეიძემ დოსტოევსკის „მა-

მას არაერთხელ უთქვამს, – მე მაკარენკო არა ვარ...

„არგი“ ისეა დადგმული, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ დაანგრევ

რადი ქმარი“ რომ დადგა, სადაც მე ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობდი, მამა პრემიერაზე ჩამოვიდა. როცა სპექტაკლი დამთავრდა, ჩემთან საგრიმიოროში პირველად, ბატონი ოთარ ლითანიშვილი შემოვიდა, არაფერი უთქვამს. ცოტა ხანში კარი გაიღო და მამაც შემოვიდა. ხმას არც ერთი არ ვიღებდით, მდუმარედ ვიდექით. იცით, რა? რომელიმეს ხმა რომ ამოგვეღო, ალბათ, ლაპარაკს მაინც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ შეძლებდა — ამის საშუალებას ცრემლები არ მოგვცემდა... ამ სპექტაკლის შემდეგ, მამამ თქვა: მიშამ უნდა გაგრძელოს ეს საქმე, ის რასაც აკეთებს, გამართლებულიაო... ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ხშირად მესმოდა ასეთი ფრაზები — არჩილ გომიაშვილის შვილია და ინსტიტუტში იმიტომ მიიღესო. არადა, რად მინდოდა, მამის ან დედის პროტექცია, როცა ყველამ კარგად იცოდა, ვინც ვიყავი?!. თუმცა, მამაჩემის შვილობა ცხოვრებაში დამეხმარა და ამავე დროს, ძალზე დიდი პასუხისმგებლობაც დამაკისრა.

პირველი დაუვიწყარი წარმატება

— თეატრალურ ინსტიტუტში, პირველ კურსზე სწავლისას, მე და გია როინიშვილმა ეტიუდი — „ბებერი და ძაღლი“ წარმოვადგინეთ. ძაღლს გია განასახიერებდა, ბებერს — მე. ძალიან საინტერესო ნამუშევარი გამოვიდა. ალბათ ეს ეტიუდი ცხოვრების მანძილზე, არც გიას დაავიწყდება და არც — მე. ეს პირველი წარმატება იყო ჩემს ცხოვრებაში. ერთ-ერთ წარმატებულ სპექტაკლად, ჩემს შემოქმედებაში, დათო ანდღულაძის მიერ დადგმული „ოცდამეთვრამეტე“ მიმაჩნია, სადაც გილდენსტერნის როლს ვასრულებდი. დიდი წარმატება ხვდა „მარად ქმარსაც“, რაც თემურ ჩხეიძის დამსახურებაა. ახლა კი, ეჭვი მეპარება, რომ კიდევ მომიწევს სცენაზე გამოსვლა, რადგან უკვე ორი წელია, მარჯანიშვილის თეატრი რეპერტუარის შემდეგ გაიხსნა და ჯერ სპექტაკლში არავის დავუკავებივარ. ამჟამინდელი რეპერტუარიდან, მხოლოდ „არტში“ ვთამაშობ. ახლა არტისტები სხვადასხვა თეატრში თამაშობენ. მაგრამ მიმაჩნია, რომ მსახიობს აუცილებლად სჭირდება მუდმივი სამუშაო ადგილი. მე ერთი ცუდი თვისება მაქვს — ძალიან ერთგული ვარ, არ შემიძლია, ერთი თეატრიდან მეორეში სირბილი...

აეროპორტიდან – მარჯანიშვილის თეატრში

— როდესაც ინსტიტუტი დავამთავრე, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სხვა შემოთავაზება მქონდა, მეტეხის თეატრში, რეჟისორ სანდრო მრევლიშვილთან წავედი (არადა, საიდანაც შემოთავაზება არ მქონია, სწორედ იქ წავედი...). მეტეხის თეატრში საოცარი წლები გავატარე, ძალიან საინტერესო სპექტაკლები დავდგით. ის პერიოდი საოცრად ნაყოფიერი ეტაპია ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში. მეტეხის თეატრის დახურვის შემდეგ, ისევ მოსკოვში წავედი... მარჯანიშვილის თეატრში შემთხვევით მოვხვდი. ერთხელ, როდესაც მე და ჩემი ძმა რძალს თბილისში ვაცილებდით, მოსკოვის აეროპორტში ბატონ თემურ ჩხეიძეს შევხვდით. იმ დღეს, რაღაც პრობლემის გამო, ფრენა მეორე დილამდე გადაიდო. ამ ფაქტით ვისარგებლეთ და ბატონ თემურთან ერთად, რესტორანში შევედით. როცა გაიგო, აღარსად ვმუშაობდი, ძალიან გაუკვირდა და მითხრა, — აუცილებლად ჩამოდი თბილისშიო. იმ დროს, მამაჩემი მოსკოვში არ იმყოფებოდა, აქეთ ისე წამოვედი, მას აღარც დავლოდებივარ. ბატონი თემური „სეილემის პროცესს“ დგამდა, ერთ-ერთ მთავარ როლზე დამამტკიცა, ისე, რომ ოფიციალურად, თეატრის თანამშრომლად ჯერ არც ვირიცხებოდი. სამწუხაროდ, ამ როლზე მუშაობისას, ავარიაში მოვყევი. ჩემ გამო სპექტაკლს ხომ ვერ შეაჩერებდნენ?! ამიტომ, ეს როლი სხვამ შეასრულა. პრემიერისთვის რომ ემზადებოდნენ, თეატრის მაშინდელ დირექტორთან, გაიოზ კანდელაკთან მივედი და მოსაწვევები ვთხოვე. მან ბატონ თემურთან გამგზავნა, — ის მოგცემსო. ბატონმა თემურმა კი, სანამ თეატრში მიღებაზე განცხადება არ დამაწერინა, მანამ არ მომცა მოსაწვევები. ასე აღმოვჩნდი მარჯანიშვილის თეატრში. საერთოდ კი, ჩემი „ნათლია“ მარჯანიშვილის თეატრში, ქალბატონი მედეა კუჭუხიძეა. თავიდან, როდესაც ამ თეატრის მსახიობი გავხდი, ის ფორტოპულოს „ტუსაღებს“ დგამდა და მაშინვე მომცა როლი. თუმცა, სულ რამდენჯერმე ვითამაშეთ ეს სპექტაკლი და ის რეპერტუარიდან მალევე მოიხსნა. შემდეგ, ქალბატონმა მედეამ რეზო კლდიაშვილის „საპოვნელა“ დადგა, სადაც ზურაბის როლს ვასრულებდი. პარტნიორობას უნიჭიერეს მსახიობს — ქალბატონ სოფიკო ჭიაურელს ვუწევდი. ეს სპექტაკლი ძალიან ცუდ პერიოდში დაიდგა. ძალიან გვციოდა. ძველებური „ფეჩები“ გვედგა და იმით ვთბებოდით... მოსკოვიდან კარგა ხნის ჩამოსული ვიყავი და ბატონ თემურთან ჩემი მუშაობა ვერ მოხერხდა — ის თითქმის სულ პეტერბურგში იყო. მერე ვუსაყვედურე კიდეც, — რისთვის ჩამომიყვანეთ? სპექტაკლი არ უნდა დადგათ-მეთქი? ამის შემდეგ, მან სამი სპექტაკლი დადგა: „მარადი ქმარი“, „მამა“ და „არტი“, სამივეში მთავარი როლი მერგო... ბოლო ათი წლის განმავლობაში, რა სპექტაკლებიც კი დადგმულა ქართულ თეატრში, „არტი“ მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და საინტერესოა. ამას წინათ, ერთ-ერთი რიგითი სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ზურა ყიფშიძემ თქვა, — ისეა „არტი“ დადგმული, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ დაანგრევო. მიუხედავად ამისა, ჩემი ყველაზე საყვარელი როლი მაინც „მარად ქმარში“ ნათამაშები ველჩანინოვია. ეს სპექტაკლი ძალიან მენატრება. ჩემი პარტნიორი — ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი და საერთოდ, ყველა მსახიობი, ვინც იქ თამაშობდა, ძალიან მიყვარს.

„ყავა და ლუდი 4“ უკვე გადაღებულია

„ყავა და ლუდი“ და სამართალდამცავი ორგანოს უშტატო თანამშრომელი

— სერიალმა — „ყავა და ლუდი“ წარმოუდგენლად დიდი პოპულარობა მოგვიტანა, განსაკუთრებით — მე და ალეკო მახარობლიშვილს ანუ მაიორ ჟურულს. საკმარისია, ქუჩაში გავიდე, ყველა გამვლელი მაჩერებს და მეკითხება, — როდის გავა ეთერში ეს სერიალიო? სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები განსაკუთრებულად გვხდებიან. შინაგან საქმეთა სამინისტროში საშვის გარეშე ვინ შეგიშვებს? მე კი, ერთხელ მივედი და დაცვის თანამშრომელი ფეხზე წამომიდგა, გასწორდა, ხელი საფეთქელთან მიიტანა და ისე გამატარა... ერთ რამესაც გავიხსენებ: ქუჩაში გავედი და ეტყობა, რაღაც შემთხვევა იყო მომხდარი. ვიღაც მოვიდა და „პატაკი“ ჩამაბარა... ცოტა ხნის წინ, ჩემს ახლობელს, შს სამინისტროში დაკითხვაზე გავყევი. ოთახში რომ შევედი, ფეხზე წამომიდგნენ, ბოლოს და ბოლოს, სერიალში საგამოძიებო ნაწილის უფროსი ვარ (*იცინის*)!.. კაცი, რომელიც იქ დამხვდა, ჯერ დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა, ბოლოს მკითხა, — ბატონო კოკა(!), თქვენ დაიწყებთ დაკითხვასო?.. — არა, მე მოგისმენთ-მეთქი, — ვუპასუხე. ჩემმა იქ ყოფნამ ძალიან დააბნია. მერე სხვა შემოვიდა და გაკვირვებულმა შემომხედა. არაფერი შევიმჩნიე... მე და ალეკოს ამ სერიალის გამო, ბევრი სახალისო ამბავი გადაგვხდენია. ორივე კარგად ვიყენებთ ხოლმე „თანამდებობებს“. თუ, ვთქვათ, რაიმე დარღვევის გამო პატრული გაგვაჩერებს, ფანჯარას ჩავუწევთ თუ არა, ღიმილით გვესალმებიან, — ა-ა, ჩვენები ყოფილანო, — და გვატარებენ. „ყავა და ლუდი 4“ უკვე გადაღებულია. სამწუხაროდ, სანამ ტელეკომპანია „იმედის“ საკითხი არ გაირკვევა, მანამდე მას მაყურებელი ვერ იხილავს. მალე მხატვრულ ფილმზე ვიწყებთ მუშაობას, რომელსაც რეჟისორი ლევან თუთბერიძე იღებს. ფილმისთვის სცენარი მან და აკა მორჩილაძემ დაწერეს. მე ერთ-ერთი მთავარი როლი მაქვს, „ბარიგას“ ვთამაშობ. მსგავსი ტიპი არასოდეს განმისახიერებია. ვნახოთ, რა გამოგვივა. ■

მსოფლიოთმთავარი სპეციი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-8

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ, ომის მსვლელობაში ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ ძირეული გარდატეხა მოახდინა, რასაც ცოტა ხანში, საბჭოთა ტერიტორიიდან გერმანელ-ფაშისტ ოკუპანტთა განდევნა მოჰყვა. ამ დროიდან მოყოლებული, საბჭოთა სარდლობამ სრულად იგდო ხელთ სტრატეგიული ინიციატივა და სამამულო ომის დამთავრებამდე შეინარჩუნა კიდეც იგი. გერმანელი გენერალი დიორი, რომელიც სტალინგრადთან გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობდა, წერდა: *„სტალინგრადთან ბრძოლა გერმანიისთვის უმძიმესი დამარცხება იყო, რუსეთისთვის კი — უდიდესი გამარჯვება. პოლტავასთან (1709 წ.) რუსეთმა მოიპოვა უფლება, მისთვის დიდი ევროპული სახელმწიფო ეწოდებინათ, სტალინგრადი კი მისთვის მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფოდან ერთ-ერთად გადაქცევის საწყისად იქცა“.*

ცნობილია, რომ 1942-1943 წლების ზამთრის ბრძოლების შემდეგ, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. 1943 წლის გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში მოწინააღმდეგე მხარეები საფუძვლიანად ემზადებოდნენ მოსალოდნელი ბრძოლებისთვის. ისინი მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნების მატერიალური და სულიერი რესურსების მობილიზებას გადამწყვეტი ბრძოლისთვის. მაშინაც, ისევე, როგორც ადრე, ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახა სამხედრო აზროვნების ორი სკოლა, ომის წარმართვის ორი სტრატეგია.

1943 წლის 23 თებერვალს სტალინმა №95 ბრძანებაში ჩამოაყალიბა ქვეყნის წინაშე არსებული სამხედრო-პოლიტიკური მიზნები: *„ჩვენ დავიწყეთ საბჭოთა უკრაინის გათავისუფლება გერმანიის ტყვეობისგან, მაგრამ მილიონობით უკრაინელი ჯერ კიდევ იტანჯება გერმანელთა უღელქვეშ. ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, მოლდავეთში, ყირიმში, კარელიაში ჯერ კიდევ ბატონობენ გერმანელი ოკუპანტები და მათი დამქაშები. მტრის საჯარისო ნაწილებს ძლიერი დარტყმა მიაყენა საბჭოთა არმიამ, მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. გერმანელი დამპყრობლები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ, ზოგჯერ კონტრშეტევაზეც გადმოდიან, ცდილობენ, შეინარჩუნონ პოზიციები, რათა ადვილად შეძლონ ახალი ავანტიურების წამოწყება. აი, რატომაა, რომ ჩვენთვის უცხო უნდა იყოს გულგრილობა, ტრაბახი და უსაფუძვლო სიმშვიდე... უნდა გავაძლიეროთ დარტყმები მტრის არმიებზე, არ მივცეთ გერმანელებს საშუალება, გაამაგრონ პოზიციები თავდასაცავად, ერთი წუთით მოვასვენების საშუალება არ მივცეთ არც დღისით და არც ღამით, გადავუჭრათ მათ კომუნიკაციები, ალყა შემოვარტყათ და გავანადგუროთ მათი ქვედანაყოფები, თუკი ისინი უარს იტყვიან იარაღის დაყრაზე“.*

1943 წლის ზაფხულისა და შემოდგომისთვის დასახული, კონკრეტული სამხედრო გეგმების შემუშავებას საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა მარტის ბოლოს შეუდგა. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა და დაახლოებით 3 თვე გაგრძელდა. მასში მონაწილეობდნენ: უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი, გენერალური შტაბი და სხვადასხვა სახეობის არმიისა და სხვადასხვა სახის შეიარაღებული ძალების შტაბები, მთელი რიგი ფრონტების სარდლობა და შტაბები.

ამ მრავალმხრივი სამუშაოს ხელმძღვანელი და კოორდინატორი, იოსებ სტალინი იყო, რაც მისგან სამხედრო საქმის ღრმა ცოდნას, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტსა და მეორე მსოფლიო ომის სხვა ფრონტებზე ცვალებადი მდგომარეობის საღ შეფასებას, როგორც საბჭოთა, ასევე მოწინააღმდეგის ჯარების შესაძლებლობათა, მხარეთა სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა.

თავიდან დაგეგმილი იყო, რომ პირველად, საბჭოთა შეიარაღებული ძალები გადასულიყვნენ აქტიურ მოქმედებაზე, განევითარებინათ ფართომასშტაბიანი იერიში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამისთვის ობიექტური წანამძღვრები ნამდვილად არსებობდა — ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანმა მატებამ, შეიარაღებულ ძალთა მზარდმა გაძლიერებამ, 1942-1943 წლების ზამთარში მათ მიერ მიღწეულმა წარმატებებმა ღრმა ცვლილებები გამოიწვია მხარეების ძალთა თანაფარდობაში. თითქოს ეს სწორი, შექმნილი მდგომარეობის ადეკვატური გადაწყვეტილება იყო. მაგრამ ცხოვრებამ და ბრძოლაში წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტის ახალი, არაორდინარული გზების ძიებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ჩანაფიქრში. საბჭოთა დაზვერვამ დაადგინა, რომ გერმანია გამალებული გზავნიდა აღმოსავლეთის ფრონტზე ახალ-ახალ ძალებს და ამის გამო, კურსკის დუგის მიდამოები შეიძლებოდა, საშიშროების კერად ქცეულიყო. მოგვიანებით, გამოაშკარავდა გერმანელ ფაშისტთა სარდლობის საერთო ჩანაფიქრი, დადგინდა დარტყმების მიმართულებებიც,

ბრძოლაში წამოჭრილ პრობლემათა გადაწყვეტის ახალი, არაორდინარული გზების ძიებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ჩანაფიქრში

რომლებსაც ის 1943 წლის ზაფხულისა და შემოდგომის კამპანიის ჩასატარებლად ამზადებდა. ცნობილი გახდა საამისოდ მომზადებულ დაჯგუფებათა რაობაც. განსაკუთრებული როლი ტანკებისა და ავიაციის მასირებულ გამოყენებას ენიჭებოდა.

ამგვარად, ჯერ კიდევ ვერმახტის იერიშის დაწყებამდე, საბჭოთა სადაზვერვო სამსახურმა სარდლობას მისცა შესაძლებლობა, დაეგეგმა საომარი მოქმედებები, რომლებიც საფუძვლიან მონაცემებს ეყრდნობოდა. ამასთან, სარდლობა ფლობდა ინფორმაციას არა მარტო კურსკის მიმართულებით, არამედ მთელი ფრონტის მასშტაბით დაგეგმილი ოპერაციების შესახებ და ყოველმხრივ მომზადებული ხვდებოდა მოსალოდნელ ბრძოლას. ამ გარემოებამ ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ომის შემდგომ მსვლელობაზე.

საომარ-პოლიტიკური მდგომარეობისა და მოწინააღმდეგის გეგმების მონაცემთა შემდგომმა შესწავლამ დაადასტურა, რომ გერმანელთა სარდლობა აპირებდა, 1943 წლის ზაფხულში ფართო საიერიშო ოპერაცია განეხორციელებინა და მთავარი დარტყმა კურსკის მაღლობის მიდამოებისთვის მიეყენებინა.

ზაფხულისა და შემოდგომის კამპანიის გეგმის შემუშავებისას, საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ანგარიშს უწევდა იმ გარემოებას, რომ ვერმახტის ბრძოლისუნარიანობა კვლავ მაღალი რჩებოდა; რომ ომის ამ ეტაპზეც მოუწევდათ ბრძოლის წარმოება შეუპოვარ და კარგად მომზადებულ მტერთან, რომელიც პირველხარისხოვანი საომარი ტექნიკით იყო შეიარაღებული.

მოწინააღმდეგეზე შემოსული მონაცემები ბელადს არაერთხელ განუხილავს უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ინსტანციების ხელმძღვანელებთან ერთად. მარშალი ვასილევსკი წერდა: *„როდესაც იერიშისთვის მტრის მზადების შესახებ დაზვერვის მიერ მოწოდებულ მონაცემებს განვიხილავდით, ფრონტები, გენერალური შტაბი და უმაღლესი შტაბი თანდათანობით იმ იდეისკენ იხრებოდნენ, რომ დაგეგმილ თავდაცვაზე გადავსულიყავით. ეს საკითხი მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში არაერთხელ განხილულა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და უმაღლეს შტაბში“.*

8 აპრილს ჟუკოვმა, რომელიც კურსკის მაღლობის მიდამოებში იმყოფებოდა, სტალინს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავდა: *„უახლოეს დღეებში იერიშზე გადასვლა იმისათვის, რომ მტერს დავასწროთ, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. უკეთესი იქნება, თუ მოვქანცავთ მოწინააღმდეგეს ჩვენი თავდაცვითი მოქმედებით, მწყობრიდან გამოვიყვანთ მის ტანკებს, შემდეგ კი ბრძოლაში ჩავრთავთ ახალ რეზერვებს და ფართომასშტაბიან შეტევაზე გადასვლით, საბოლოოდ გავანადგურებთ მოწინააღმდეგის ძირითად დაჯგუფებას“.* მოხსენებაში წამოჭრილი იყო საკითხი „უახლოესი დღეების“ მოქმედების შესახებ. მოვლენათა უფრო შორეული განვითარების პერსპექტივა ჯერჯერობით არ განიხილებოდა.

ჩვენმა საგანკო ჯარებმა, დაამგკიცეს, განსაკუთრებით, სტალინგრადთან ბრძოლისას, რომ მათ საკმაოდ კარგად შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა მოწინააღმდეგის უძლიერეს საგანკო დაჯგუფებებთან

თავის მოგონებებში ვასილევსკი წერდა: *„სწორედ იმ დროს ვიმყოფებოდი სტალინთან, როცა მან ეს მოხსენება მიიღო. უმაღლესი მთავარსარდლისთვის ცნობილი იყო, რომ გენერალური შტაბი ჟუკოვის მოსაზრებას ემხრობოდა. ჟუკოვის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, სტალინმა თქვა: „რჩევა უნდა ვკითხოთ ფრონტების არმიათა სარდლებს“ — და ბრძანება გასცა, აზრი ეკითხათ მათთვის“.*

1943 წლის გაზაფხულზე საბჭოთა სარდლობას, მთელი ომის განმავლობაში პირველად, სრული ინფორმაცია ჰქონდა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის შესახებ.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ენერგიულად დაუჭირა მხარი ჟუკოვის მოხსენებაში გამოთქმულ რაციონალურ მოსაზრებებს და 10 აპრილს მითითება მისცა გენერალურ შტაბს, მოემზადებინა თათბირი ზაფხული-შემოდგომის კამპანიის გეგმის განსახილველად და ამასთან, გაერკვია, თუ რას ფიქრობდნენ ფრონტების სარდლები შესაძლო საბრძოლო მოქმედებების ხასიათისა და მოწინააღმდეგის დარტყმების სავარაუდო მიმართულებების შესახებ.

12 აპრილს უმაღლეს შტაბში, სტალინის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა. ბელადის გარდა, სხდომას ესწრებოდნენ: უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე ჟუკოვი, გენერალური შტაბის უფროსი ვასილევსკი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ანტონოვი. თათბირის მონაწილეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვერმახტის მიზანი, კურსკის რკალის მიდამოებში განლაგებული, ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ალყაში მოქცევა და განადგურება იქნებოდა. სავარაუდო იყო, რომ ამის შემდგომ, გერმანელთა მთავარსარდლობა ეცდებოდა, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებებზე განევითარებინა იერიში. საბჭოთა სარდლები ასევე შესაძლებლად მიიჩნევდნენ, რომ დარტყმას ჩრდილოაღმოსავლეთით, მოსკოვის შემოვლით მოგვაყენებდნენ. ფრონტის დანარჩენ უბნებზე, სადაც მოწინააღმდეგეს არ ჰყავდა მსხვილი თავდასხმითი ოპერაციების ჩასატარებლად საკმარისი ძალები, გერმანელთა ჯარებს მხოლოდ თავდაცვაზე უნდა ეზრუნათ ან მოჩვენებითი მანევრები განეხორციელებინათ.

მართალია, ინიციატივა წითელ არმიას ეკუთვნოდა და შეეძლო, პირველი გადასულიყო შეტევაზე, მაგრამ უმაღლესმა შტაბმა შეგნებულად აირჩია თავდაცვა, რომელიც შემდგომ, კონტრშეტევაში უნდა გადაზრდილიყო.

ასეთი გადაწყვეტილება ყველაზე გონივრული იყო იმ ვითარებაში, რომელიც 1943 წლის გაზაფხულზე შეიქმნა. იმავე წლის შემოდგომაზე სტალინმა, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალთან — როტმისტროვთან საუბრისას ასე ახსნა ის, თუ რატომ მიაჩნდა მიზანშეწონილად, გერმანელთა ჯარების დარტყმას თავდაცვითი მოქმედებით დახვედროდნენ: *„ჩვენი ქვეითი ჯარი არტილერიასთან ერთად, ძალზე ძლიერია თავდაცვაში და სასტიკად დაამარცხებს ჰიტლერელებს. ჩვენმა სატანკო ჯარებმა, დაამტკიცეს, განსაკუთრებით, სტალინგრადთან ბრძოლისას, რომ მათ საკმაოდ კარგად შეუძლიათ აწარმოონ ბრძოლა მოწინააღმდეგის უძლიერეს სატანკო დაჯგუფებებთან, მანევრირების პირობებში. თუმცა, იმ სიტუაციაში, როცა ფაშისტებს თითქმის იმდენივე ტანკი ჰყავდათ, რამდენიც წითელ არმიას, მაგრამ რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდათ მძიმე ტანკებში, რისკი უსაფუძვლო იყო. აი, რატომ იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება და უნდა ითქვას, რომ მან სავსებით გაამართლა“.*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ნოსტალგია მოგონებების ქორიანტელში გვხვევს ელადელ ქართველებს“

„გზის“ ფურცლებზე არაერთხელ გამოქვეყნებულა, უცხოეთში დროებით მცხოვრები ჩვენი თანამემამულის წერილი. ამ მხრივ, საბერძნეთში წასული ქართველები ლიდერობენ, რომლებიც დროდადრო, თავიანთი იქაური ყოფის შესახებ მოგვითხრობენ და სამშობლოს მონატრებას გამოხატავენ. ასეთია ანა ბარბაქაძე-ძლიერიშვილის საოცრად ემოციური წერილიც, რომელიც, ამ ცოტა ხნის წინ, რედაქციამ მიიღო:

მზია ღლონტი, ნაირა გოგიშვილი, მამა ისაკ ფრიდონიშვილი, მამა თევდორე ხუციშვილი, წერილის ავტორი აზა ძლიერიშვილი, შორენა ქიმერიძე, ნანა თანდილაშვილი

საბერძნეთში მყოფი ქართველები ყოველთვის კვირადღის მოლოდინში ვართ, რადგან ამ დღეს ველოდებით ქართულ პრესას — ჩვენს ნავსაყუდელს. მადლობა გვინდა გადაგიხადოთ იმის გამო, რომ ოჯახის გადასარჩენად საზღვარგარეთ წასული ქართველების ცხოვრებას ხშირად აღწერთ. ელადაში მცხოვრებ ქართველებსაც დიდი სურვილი გვაქვს, ჩვენს მონატრებულ ოჯახის წევრებს, უცნობ შვილიშვილებს თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მოვეფეროთ. ტაძარში სიარული, სინანულისა და ზიარების საიდუმლოში მონაწილეობა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ეკლესიური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. მამა თევდორე და ბერი ისააკი გვეუბნებოდნენ, ლოცვების კითხვა ღვთისკენ მიმავალი ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა. 2007 წლის 9 სექტემბერი ელადაში მცხოვრები ქართველებისთვის ბედნიერი დღე იყო, რადგან ამ დღეს, სინდაღმაში, რუსულ ეკლესიაში ლაგოდეხის რაიონის ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა მამა თევდორე ხუციშვილმა და ნეკრესის მონასტრის ბერმა ისააკ ფრიდონიშვილმა ქართული წირვა-ლოცვა აღადგინეს. ეკლესიის ეზო თანამემამულეებითა და მრევლით იყო სავსე. წმინდანები ყველას სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდნენ, დალოცვას არ იშურებდნენ, მადლს გვაფრქვევდნენ. ლაგოდეხის რაიონიდან გამოტანებული მოკითხვებით და მონატრებული სამშობლოს სიყვარულით ივსებოდა თითოეული ემიგრანტის დაღდასმული გული. მომავლის იმედის სხივი აგვინთეს და გვახსენებდნენ: თქვენ მართლმადიდებელ ქვეყანაში ხართ, ამდენი ეკლესიაა, შედით, ილოცეთ, იკითხეთ „სახარება“, ფსალმუნები და გაძლიერდებით, უფალი შეგეწევათო. მოგვიანებით, ჩვენი ქართველი სტუმრები ერთი კვირით მოსალოცად, ათონის მთაზე წავიდნენ. ჩვენც იმ იმედით დავემშვიდობეთ, რომ მომავალ კვირას აუცილებლად შევხვდებოდით.

ათენში დროებით მცხოვრებმა თანამემამულემ ნაირა გოგიშვილმა დროებით დაქირავებულ ბინაში სახლისა და გულის კარი წრფელი გულით გაგვიღო. ჩვენი შეკრება ქართული კერძებით გაწყობილ მრგვალ მაგიდასთან გაგრძელდა. ჩვენი კიდევ ერთი მასპინძელი, ნანა ბარბაქაძე-ნანობაშვილი გახლდათ, რომელიც უკვე ორი წელია, საბერძნეთში იმყოფება და უსაზღვროდ ენატრება შვილები. ენატრება სამშობიარო სახლში მუშაობა და ნაკრძალის ტყეში სოკოსა და წაბლის კრეფა. სუფრას ასევე უჯდა ციცო ლაცაბიძე, რომელიც ემიგრანტობამდე, ლაგოდეხის განათლების განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა; ჯული კაპანაძე, რომელიც პროფესიით მხატვარია, მაგრამ ლაგოდეხის რაიონის მუსიკალური სკოლის საქმეთა მმართველი იყო. მას დღეს ერთი ქალიშვილი ამერიკაში ჰყავს, მეორე კი — საქართველოში. შესაბამისად, მისი გული ორადაა გაყოფილი. თვითონ კი თავს ლოცვით იძლიერებს. გიორგი მანგოშვილი ქალაქ რუსთავიდანაა. განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდა საბერძნეთში ახალშერთულ მეუღლესთან, ნინო შუშტაკაშვილთან ერთად არის. ნანა და არჩილ ჩახვაშვილები — დედა-შვილი — ლაგოდეხიდან არიან. არჩილი დედას მხარში უდგას და ჭაპანს სხვის მიწაზე ერთად ეწევიან... ნონა ისკანდარაშვილის კეთილ თვალებში მონატრებული კუთხის სიყვარული კიაფობდა. ნონა კაპანაძე ელადაში გალობს. მოკრძალებულმა, თავაზიანმა ახალგაზრდამ, ქართული სიმღერებით დაგვატკბო. ზაქარია პაპაშვილიც მგალობელია. ის საბერძნეთში თავის ოჯახთან ერთად იმყოფება. თბილისელი ტყუპი ძმა — ვასო და რეზო აბულაძეები საქართველოში ანსამბლ „სუხიშვილების“ წევრები იყვნენ. ლია

2007 წლის 9 სექტემბერი ელადაში მცხოვრები ქართველებისთვის ბედნიერი დღე იყო

გოდერძიშვილი თბილისიდანაა. ლეილა ობოლაძე-ბარბაქაძე კი პედაგოგია. იგი დღეს ელადაში გაზეთ „ელადის“ თანამშრომელიცაა და სხვისი შვილების გამზრდელიც. საკუთარი შვილი კი უსაზღვროდ ენატრება. სუფრის გარშემო ჩვენი საუბარი მონატრებულ ოჯახებს, შვილებს, შვილიშვილებსა და საქართველოს სიყვარულს შეეხებოდა. ჩვენი ფიქრები აქაფებული ღრუბლების ნაირფერებით გაბრწყინებულ ცას დაემსგავსა...

ჩემი ოთხი წლის მუშაობის შფოთიანმა და მშვიდმა წლებმაც თეთრად დამათოვა. გამძლეობას ხარების სახელობის ეკლესია მაძლევდა. იმავე საღამოს 5 საათზე საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ცეკვების ანსამბლ „მერანის“ კონცერტს დავესწარით. ქართული ცეცხ-



2004 წლის 17 მაისი

ლოვანი ცეკვებით აღფრთოვანებას ქართველი და ბერძენი მაყურებლები ცრემლიანი თვალებით, ოვაციებითა და ტაშის გრიალით გამოხატავდნენ. კონცერტზე შემოსული თანხა კი, საბერძნეთში ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაირიცხა.

არც 2007 წლის 28 ოქტომბერს ჩაუვლია ემოციების გარეშე. საბერძნეთში მომღერალ თემურ წიკლაურის კონცერტი ჩატარდა, რომელმაც ერთი ბედნიერი დღე კიდევ გვაჩუქა ქართველ ელადელებს. ცრემლი კიაფობდა ქართველი ბულბულის თვალებში. იგი დაგვემშვიდობა და იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში საკუთარ კონცერტზე უკვე თბილისში გვიხილავდა...

აზა ბარბაქაძე-ძლიერიშვილი
რუსთავის მეექვსე საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგი.

გვირგვინოსანი, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოსთვის ბრძოლაში გალია

თებერვალში ქართველი გვირგვინოსნის — მეფე სოლომონ II-ის სული აღვიდა ზეცად. 2005 წელს, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქვეყნისთვის თავდადებული გვირგვინოსანი წმინდანთა დასში შერაცხა და ეწოდა წმინდა მეფე სოლომონ II, სამშობლოსთვის თავდადებული, ხოლო მისი ხსენების დღედ, 20 თებერვალი დაადგინა. ეს არის დღე, როდესაც სამშობლოდან ლტოლვილმა მეფემ უცხოეთის მიწაზე დალია ქვეყანასა და საქართველოს ერთიანობას ნატრული სული.

მორენა მერკვილაძე

წმინდა მეფე სოლომონი 1772 წელს დაიბადა. დედამისი — ელენე ერეკლე მეორის ასული გახლდათ, მამა — არჩილი იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის ძმა. არჩილი 1775 წელს გარდაიცვალა. ელენემ მცირეწლოვან შვილებთან — დავითთან (სოლომონ II-ს ბატონიშვილობისას დავითი ერქვა) და გიორგისთან ერთად, მამისეულ მამულს შეაფარა თავი, რადგან ურწმუნო და იოსებ კათალიკოსისგან (არჩილს ღვიძლი ძმა გახლდათ) შეჩვენებული არჩილის მემკვიდრეებს იმერეთში აღარ დაედგომებოდათ. მალე ელენე მეორედ დაქორწინდა. ამის გამო, მეფე ერეკლე და მეფე სოლომონ I დამდურებულან. ისინი თურმე, 1782 წელს შერიგდნენ. სწორედ მაშინ გამოუცხადებია სოლომონ I-ს ძმისწული — დავით არჩილის ძე თავის მემკვიდრედ. მისი მცირეწლოვანებაც გაუთვალისწინებია — თავისი გარდაცვალების შემთხვევაში, იმერეთის სამეფო, მომავალი მემკვიდრის სრულწლოვანებამდე, მის ბიძაშვილს, დავით გიორგის ძეს უნდა განეგო. სოლომონ I 1784 წელს გარდაიცვალა. მერვე დღეს იმერეთის დიდებულებმა სამეფო ტახტზე დავით გიორგის ძე აიყვანეს. დავით მეფემ სამეფო კარზე ახალი პირები დააწინაურა. განაწყენებულმა დიდებულებმა მის წინააღმდეგ შეთქმულება დაგეგმეს, დავით არჩილის ძეს დაუკავშირდნენ და მისი გამეფება გადაწყვიტეს. მეამბოხეებს ოდიშის მთავარყოფილი, გრიგოლ დადიანიც შეუერთდა (დავით არჩილის ძეს ცოლად შერთეს გრიგოლის და — მარიამი). მეამბოხეებმა მიზანს მიაღწიეს. 1789 წლის 11 ივლისს, დავით არჩილის ძის მეთაურობით, ხონის მახლობლად გამართულ შეტაკებაში დავით მეფის მომხრეები დაამარცხეს. მეორე დღეს იმერეთის სამეფოს ტახტზე დავით არჩილის ძე ავიდა, რომელსაც ბიძის პატივსაცემად სოლომონ II ეწოდა...

სოლომონ II ბიძის — სოლომონ I-ის პოლიტიკას განაგრძობდა. მან დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა წამოიწყო. ამ საქმეში ძირითად დაბრკოლებას, ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი უქმნიდა. მას სოლომონმა ოდიშის სამთავრო დაუბრუნა, მაგრამ გრიგოლი თავს მეფისტოლად მიიჩნევდა და არ ემორჩილებოდა სიძეს, რომლის გამეფებაშიც უდიდესი წვლილი მიუძღოდა. გრიგოლმა დავით გიორგის ძესთან შეკრა პირი. სოლომონ მეფემ მოწინააღმდეგეთა დამარცხება მოახერხა. მეამბოხეებმა ახალციხეს შეაფარეს თავი. მომდევნო — 1795 წელს მეფე დავითი ყვავილით გარდაიცვალა...

მალე იმერეთის სამეფოს ტახტს ახალი მოცილე — სოლომონ I-ის ძის, ალექსანდრეს უკანონო შვილი, გიორგი ბატონიშვილი გამოუჩნდა. მას მომხრენიც ჰყავდა — გაენათელი ეპისკოპოსი და რამდენიმე იმერელი დიდებული. შეთქმულები ახალციხეში მყოფ გრიგოლ დადიანს დაუკავშირდნენ. სოლომონმა მათ დაასწრო — ტახტის მაძიებელი გიორგი ბატონიშვილი მუხურის ციხეში გამოკეტა, დანარჩენებიც დააპატიმრა, ეპისკოპოსი კი იმერეთიდან გააძევა.

ამის შემდეგ, გრიგოლ დადიანი სხვა გზით შეეცადა მეფის დამხობას — დახმარება ერეკლე მეფეს სთხოვა. მეფემ უარი განუცხადა შვილიშვილს — სოლომონ II-ს კი, შუამავლების პირით, გრიგოლისთვის ოდიშის მთავრის ტახტის დაბრუნებას სთხოვდა, რომელიც 1792 წელს ჩამოართვა და გრიგოლის ძმას, მანუჩარს გადასცა. სოლომონმა უარი შეჰკადრა პაპას. როდესაც გრიგოლი დარწმუნდა, რომ იმერთა მეფე მთავრად აღარ დასვამდა, ბიძამისი — ლეჩხუმის მთავარი, ქაიხოსრო გელოვანი გადაიბირა. 1798 წელს სოლომონი იძულებული გახდა, გრიგოლ დადიანი მთავრად ეცნო. ოდიშის მთავარი სიძის სიძულვილმა რუსეთის კარამდე მიიყვანა — ჩრდილოელ მეზობელს მფარველობა სთხოვა... 1803 წელს გაფორმებული აქტის ძალით, ოდიშის სამთავრო, ავტონომიური უფლებებით, რუსეთს შეუერთდა. იმერთა მეფეს მის საქმეებში ჩარევის უფლება აღარ ჰქონდა. 1804 წელს გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა, მთავრად მისი მცირეწლოვანი ძე, ლევანი დაადგინეს.

რუსეთის იმპერია თავისი მფარველობის ქვეშ მთელი საქართველოს შეყვანას ცდილობდა. ოდიშის სამთავროს შეერთებამდე, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაც მოახერხა. 1803 წელს კი, საქართველოს მთავარმართებელს, პავლე ციციანოვს იმპერატორის ბრძანება მოუვიდა — იმერეთის სამეფო ძალით დაეკავებინა. მთავარმართებელი სისხლის ღვრას ერიდებოდა. მან სხვა ხერხს მიმართა — სოლომონ მეფის კარისკაცები მოისყიდა, სხვა საერო და სასულიერო პირთა ნაწილიც გადაიბირა. იმერთა მეფემაც იწყო გამოსავლის ძიება, მაგრამ — ამაოდ: 1804 წლის 20 აპრილს რუსეთის ჯარმა იმერეთის საზღვარი გადალახა. მოსახლეობას ძალით აფიცებინებდნენ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. სოლომონ მეფე იძულებული გახდა, რუსეთის მხრიდან შეთავაზებულ დოკუმენტზე მოეწერა ხელი, რომლის ძალითაც, მეფე, იმპერატორის ქვეშევრდომად იქცა, იმერეთის სამეფო კი — რუსეთის შემადგენელ ნაწილად. სოლომონს მეფობა კი რჩებოდა, მაგრამ ყველაფერში მთავარმართებელს უნდა დაჰმორჩილებოდა. მეფემ არაერთგზის სცადა რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირება, იმერეთის სამეფოს შესანარჩუნებლად სხვადასხვა გზას მიმართა, მაგრამ ხელი ყოველთვის მოეცარა. იმპერია ნელ-ნელა გაბატონდა იმერეთის მიწაზე. 1809 წლის 20 თებერვალს, ქუთაისის ეკლესიაში გამოცხადდა ბრძანება, სოლომონ მეფის ხელისუფლების გაუქმების შესახებ. ბრძანებას გენერალი ტორმასოვი, საქართველოს ახალდანიშნული მთავარმართებელი აწერდა ხელს. ამავე დღეს რუსეთის სამხედრო ნაწილები ყველა კუთხიდან შეესივნენ იმერეთის სამეფოს. მოღალატე ქართველ დიდებულთა დახმარებით, მოტყუებით, მეფის დატუსაღებაც მოახერხეს. „რუსეთის საპატიო ტყვედ“ აყვანილი სოლომონი თბილისში ჩამოიყვანეს, მხლებლები ჩამოაშორეს და მარტო დარჩენილი, თავად სუმბათაშვილის სახლში დააბინავეს. მისი დაპატიმრებისთანავე, იმერეთის ციხეები რუსეთის ჯარმა დაიკავა. შეიქმნა დროებითი მთავრობა და იმერეთი 6 ოლქად დაიყო.

სუმბათაშვილის სახლის მაღალ გალავანს რუსი ჯარისკაცები იცავდნენ. სოლომონთან შესვლა მხოლოდ საგანგებო ნებართვით შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, 1810 წლის 10 მაისს სოლომონ II-მ სასახლიდან გაპარვა მოახერა — ლოგინში თავისი ფარეში ჩააწვინა, თვითონ მსახურის ტანისამოსი ჩაიცვა, პირისახე ნაცრით მოითხუპნა, ხელში თუნგი დაიჭირა და დარაჯებს უთხრა — მეფის მსახური ვარ, მტკვარზე წყლის მოსატანად მივდივარო. ქალაქგარეთ ერთგული ადამიანები ელოდნენ: ქაიხოსრო, გიორგი, სიმონ წერეთელი და სხვები. მეფემ ახალციხისკენ გასწია. იქაურმა ფაშამ დიდი პატივით მიიღო გვირგვინოსანი. ახალციხეში მყოფი სოლომონი მოუწოდებდა იმერთ, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. მალე სოლომონი იმერეთში გადავიდა და აჯანყებულები შემოიკრიბა. 22 ივნისს რუსეთის ჯარის ნაწილებთან მათი პირველი შეტაკება მოხდა. რუსებს სძლიეს. შეშფოთებულმა ტორმასოვმა დამატებითი ძალები მოიშველია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხარე იმერეთში ჯაშუშებისა და მკვლელების მოსყიდვას ვერაფრით ახერხებდა, ოთხთვიანი ბრძოლის შემდეგ, მაინც მოახერხეს სოლომონის დამარცხება. გვირგვინოსანი კვლავ ახალციხეში გაბრუნდა. ფარ-ხმალის დაყრა არც უფიქრია — ხან ხონთქარს მიმართა დახმარებისთვის, ხან — ირანის შაჰს, საფრანგეთის იმპერატორს, ნაპოლეონ I-საც გაუგზავნა თხოვნის წერილი. მისი დახმარება არავინ ინდომა.

ხელმოცარული მეფე არზრუმს წავიდა. სულთნისგან მუდმივი საცხოვრებელი ბინა მიიღო, მაგრამ მთავარმართებელი ტორმასოვის მიერ მოსყიდულმა არზრუმის ფაშამ მისი შევიწროება დაიწყო. გვირგვიოსანი ტრაპიზონში გადავიდა. დიდი სიყვარულით მიიღო სამშობლოდან ლტოლვილი მეფე იქაურმა ფაშამ, წარმოშობით ქართველმა — ოსმან-ოღლიმ. ტრაპიზონში სოლომონი ქართველ მოძღვარს, იესე ყანჩაველს (შემდგომში, ილარიონ ქართველად წოდებულს) შეხვდა. მამა იესე საქართველოდან ლტოლვილი და მრავალჭირნახული მეფის მესაიდუმლედ და ნუგეშად იქცა, ის სოლომონ მეორის სულიერი მოძღვარი გახლდათ.

მალე სოლომონს სნეულება შეეყარა. ამ დროს, სულთანმა მუჰამედმა დახმარება შესთავაზა, იმერეთის ტახტის დასაბრუნებლად. მეფემ მადლობა მოახსენა და სთხოვა, — ჩემი ავადმყოფობის გამო, ეს საქმე გადავდოთო. ამასობაში, იმერეთიდან ქართველმა თავად-აზნაურებმა შემოუთვალეს, — შეიარაღებული თურქეთის ხელით, იმერეთის ტახტის დაბრუნებას ნუღარ ეცდებიო. ვერც ეცდებოდა — 1815 წლის 7 თებერვალს, 42 წლის სოლომონ II უცხოეთის მიწაზე აღესრულა. სამშობლოს დანატრებული გვირგვინოსნის ნეშტი ტრაპიზონში, წმინდა გრიგოლის ბერძენთა ტაძარში დაკრძალეს. მამა იესეს დიდად უზრუნია მეფის სულისთვის, რომელიც ბოლო ამოსუნთქვამდე სამშობლოსა და ღვთის სიყვარულით იყო ანთებული. ■



ფრაზა

ვაი თქვენდა, ფარისეველნო, ორგულნო. რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქვრივთასა... ამისთვის მიიღოთ უმეტესი სასჯელი! — ქრისტეს სიტყვები მწიგნობართა და ფარისეველთა მიმართ.

მათე 23, 13-15

გენიალური

დასაწყისი იხ. გვ. 15

გამოჩნდნენ. გამოცდილების უქონლობა, თვით ყველაზე თავხედური ოცნებების განხორციელების საფუძველს იძლეოდა. ხოლო პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელზეც მთავარ იმედს ამყარებდნენ, იმ დროს მხოლოდ 36 წლის იყო.

მე საერთოდაც, 32 წლის ვიყავი, როცა ჩემი ქვეყნის — ესტონეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მყოფი, რადიკალურ რეფორმებს ვატარებდი. ამჟამად, ჩვენი ეკონომიკა ევროპაში ყველაზე კონკურენტუნარიანია, თავად კი ევროკავშირისა და ნატოს სრულფასოვანი წევრები ვართ. საქართველო ჩვენ მიერ გაკვალული გზით მიდის და მჯერა, რომ ახლო მომავალში ის ევროკავშირსა და ნატოში შესასვლელადაც მზად იქნება.

1968 წლის იდეალებმა (*ავტორს მხედველობაში აქვს, იმ დროს სოციალისტურ უნგრეთში დატრიალებული მოვლენები — ოპოზიციისა და ხალხის დიდი მასების საპროტესტო ტალღა, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირმა ჩაახშო. — რედ.*) საქართველოში შეისხა ხორცი. ხელისუფლებაში, ყველაზე რადიკალური ზომების გასატარებლად მზადმყოფი ახალგაზრდა ადამიანები მოვიდნენ. მაგალითისთვის შეგვიძლია, თუნდაც კორუმპირებულ პოლიციელებთან ბრძოლა ავიღოთ. დღეს მათი კვალიც კი აღარსად ჩანს: მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელი, 40 ათასამდე ადამიანი დაითხოვა და ახალი პროფესიული და კომპეტენტური ორგანოები ნულიდან ჩამოაყალიბა. ასეთივე რადიკალური ზომები გატარდა სოფლის მეურნეობაში, ფინანსურ სფეროში, განათლებაში, ინფრასტრუქტურასა და ეკონომიკაში. შედეგებმაც არ დააყოვნა.

ეს რეფორმები ყველა სფეროში კორუფციის აღმოფხვრის უდიდესი სურვილით იყო განპირობებული. 2004 წლიდან მოყოლებული, კორუფციისთვის 1200-ზე მეტი მაღალჩინოსანი, მათ შორის — 11 მინისტრი, 32 მოსამართლე და საგადასახადო სამსახურის 150 ინსპექტორი გაასამართლეს. მსგავსი სიტუაცია სრულიად წარმოუდგენელი იყო იმ დროს, როცა მართლმსაჯულება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში მყოფი ინსტრუმენტი იყო. იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემებით კი, დღევანდელ საქართველოში საკონტრაქტო ვალდებულებებს ევროკავშირის წევრ ათეულობით ქვეყანაზე უფრო მკაცრად იცავენ.

თუმცა, ესოდენ დამაიმედებელი ნიშნები მხოლოდ დასაწყისია. ქვეყანა სრულად მაინც ვერ დადგა ფეხზე. რეფორმების შედეგად, ბევრი ადამიანი, მათ შორის, ჩინოვნიკიც დაზარალდა. ეკონომიკის სწრაფი ტემპით ზრდის მიუხედავად, ქვეყანაში ჯერაც საშინელი სიღატაკეა. რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ სოფლის მეურნეობა დააჩოქა. სამოქალაქო ომისა და 1990-იან წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდების გამო (ამ რეგიონებიდან 250000 ქართველი გამოდევნეს. ისინი დღემდე, დროებით საცხოვრებელს აფარებენ თავს და ჯერაც უკან, მშობლიურ ადგილებში დაბრუნების იმედი აქვთ) პოლიტიკური ცხოვრება დაძაბული რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელმა მთავრობამ ამ პრობლემების დიდი ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო, მას მათზე პასუხისმგებლობაც ეკისრება. ამასთან, ახალი მთავრობის კომუნიკაციური სტილიც უკეთესი უნდა ყოფილიყო, რათა იმათ, ვინც რეფორმების მსვლელობისას დაზარალდა, მიტოვებულად, ხოლო ოპოზიციას — შეურაცხყოფილად არ ეგრძნო თავი.

საქართველომ უკვე ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ ნატოს სტანდარტებს შეესატყვისებოდეს

თავის დროზე, ესტონეთიც მსგავს სიტუაციაში იმყოფებოდა. ჩვენც სიღარიბესთან და ჩვენს საქმეებში რუსეთის ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლა გვიწევდა. ჩვენ წარმატებას ნატოსა და ევროკავშირის მხრიდან კრიტიკულად მნიშვნელოვანი მხარდაჭერის წყალობით მივაღწიეთ. ჩვენმა პარტნიორებმა გარკვევით მიგვანიშნეს, რომ ჩატარებული რეფორმებისთვის ჯილდო ამ ინსტიტუტებში ჩვენი ქვეყნის შესვლა იქნებოდა და ისინი ამის მიღწევაში დაგვეხმარებოდნენ.

საქართველოს ასეთივე დახმარება ესაჭიროება. მას ნატოს წევრობის ძალა შესწევს. ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია როგორც საქართველოსთვის, ისე ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, რომელიც ქართული რეფორმების მამოძრავებელი ძალა გახდება. ნატოში შესვლა ის ფუძემდებლური ფაქტორია, რომელსაც სტაბილურობა და ტექნოლოგიები მოაქვს. მას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი სიტუაციების ისე განმუხტვაც შეუძლია, რომ ამას რეგიონში, რომელიც უპირობოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მხოლოდ სტაბილურობა მოჰყვეს. ევროპასაც ხომ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენებისა და გაზსადენების წყალობით შეუძლია ცენტრალური აზიის ენერგომატარებლების მარაგებზე რუსეთისა და ირანისგან დამოუკიდებლად გასვლა.

საქართველომ უკვე ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ ნატოს სტანდარტებს შეესატყვისებოდეს. მან კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში საკუთარი კონტინგენტები გაგზავნა და ამით სამხედრო ვალდებულებების თავისი წილი პირნათლად შეასრულა. ის დასავლურ იარაღს იყენებს.

ნატოს სამიტზე, რომელიც აპრილში ბუქარესტში გაიმართება, საქართველო ამ ორგანიზაციაში შესასვლელი, ზუსტად გამოკვეთილი „საგზაო რუკის“ შეთავაზებას იმსახურებს. ქვეყანა, რომელმაც ასეთ წარმატებებს ესოდენ შემჭიდროებულ ვადებში მიაღწია, მსგავს მოწონებასა და დადებით შეფასებას ნამდვილად საჭიროებს. ეს მას დარჩენილ სიძნელეებთან გამკლავებაში დიდად დაეხმარება.

დადგა დრო, როცა ახალგაზრდა რეფორმატორები მათი უფროსი მეგობრების წრეში უნდა მიიღონ. ამით ევროპაც და ნატოც მხოლოდ მოიგებენ.

მარტ ლაარი, *ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი*

Le Monde (საფრანგეთი).

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელმა მთავრობამ ამ პრობლემების დიდი ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო, მას მათზე პასუხისმგებლობაც ეკისრება

ბექსი ბოთე ყოფილა...

დევიდ ბექჰემის ცოლმა, ვიქტორიამ მეუღლე ახალი მეტსახელით შეამკო. უფრო სწორად, მეტსახელი ბექსისთვის არა თავად ვიქტორიას, არამედ მის მეგობარს — რეპერ Snoop Dogg-ს შეურჩევია. ერთ-ერთ ელიტურ საღამოზე, რომელზეც ბექჰემთა წყვილიც იმყოფებოდა, ინგლისელი ნახევარმცველი არცთუ ისე მხიარულად გამოიყურებოდა. რეპერმა და პროდიუსერმა Snoop Dogg-მა მიიჩნია, რომ სახელი „დევიდი“ ძალზე მოსაბეზრებლად ჟღერს და მას Dull („ბოთე“) უწოდა. როგორც ჩანს, ის გართობას და ფეხბურთელისთვის ხასიათის გამოკეთებას ცდილობდა.

ამის შემდეგ ვიქტორია თურმე, ქმარს ასე მიმართავს: D-Beck. მაგრამ უცნობია ის, თუ როგორ რეაგირებს ამ მეტსახელზე „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი...

გარდაიცვალა რუსი მოკრივე ქალი

ავადმყოფობის შემდეგ, 29 წლის ასაკში გარდაიცვალა ორგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, რუსი მოკრივე ელენა საბიტოვა. ექიმებმა ვერ შეძლეს სპორტსმენის გადარჩენა, რომელიც 3 დღის განმავლობაში უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თავდაპირველად, საბიტოვამ კიკბოქსინგში დაიწყო ვარჯიში. მაშინ ის 14 წლის იყო. გოგონა ოსტეომიელიტით იყო დაავადებული და მისთვის კრივში ვარჯიში ჯანმრთელობის დაბრუნების შანსს წარმოადგენდა. „მახსოვს, წყლით სავსე ვედროს აწევაც არ შემეძლო, — ჰყვებოდა ელენა, — და ვარჯიშებზე თავს ძალას ვატანდი. შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი და სპორტში შედეგებსაც მივაღწიე“. 2001 წელს, რუსეთის სამგზის და მსოფლიო ჩემპიონმა კიკბოქსინგში, ოქროს მედალი მოიპოვა აშშ-ში მიმდინარე ქალთა საკრივო მსოფლიო პირველობაზე, ხოლო ევროპული მასშტაბით საუკეთესო, 2004 წელს გახლდათ. საბიტოვა სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლადაც მუშაობდა, შემდეგ, მილიციის თანამშრომელი გახდა და სერჟანტის წოდებაც მიიღო. გარდა ამისა, იგი „მილიციის ფრიადოსნის“ ნიშნითაც დაჯილდოეს.

ელენა საბიტოვა კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი ნოსირევზე იყო დაქორწინებული, რომელთან ერთადაც, ნოვოჩერკასკში ცხოვრობდა. შარშან მათ ქალიშვილი შეეძინათ.

ეშლი კოულის ოჯახს დანგრევა ემუქრება?

ლამაზმანი შერილ კოული მეუღლის — ეშლი კოულის გარეშე დროს ურიგოდ როდი ატარებს. ამ ცოტა ხნის წინ, იმ დროს, როდესაც „ჩელსის“ მცველი საპასუხისმგებლო მატჩისთვის ემზადებოდა, შერილი, ჯგუფ Girls Aloud-ის სხვა წევრებთან ერთად, ღამის კლუბ „ვილასში“ დროს სატარებლად გაემართა. მისის კოულმა ჟურნალისტების ყურადღება ორი ფაქტორის გამო მიიპყრო: თავისი სილამაზით და კიდევ იმით, რომ საქორწინო ბეჭედი არ ეკეთა. სწორედ მეორე ფაქტორმა დაინტრიგა ინგლისური და ამერიკული ტაბლოიდების წარმომადგენლები, რადგან ბოლო დროს, წყვილის განქორწინების შესახებ ხმები გავრცელდა. თუ რა უწყობს ამ მითქმა-მოთქმას ხელს, უცნობია. შეიძლება, ეშლი ეჭვიანობს კიდეც იმის გამო, რომ მისი ცოლი მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ქალბატონების რეიტინგში მე-17 საფეხურიდან მე-5-ზე ავიდა...

ოსკარ დე ლა ხოია ავტობიოგრაფიულ წიგნს ამზადებს

კრივში მსოფლიო ექსჩემპიონი, ამერიკელი ოსკარ დე ლა ხოია ავტობიოგრაფიულ წიგნს გამოუშვებს, რომელსაც „ამერიკის ვაჟიშვილი“ ეწოდება. ოქროს ბიჭუნა (როგორც მას აშშ-ში უწოდებენ) მასში თავისი ცხოვრებისა და საკრივო კარიერის ყველა საინტერესო ეპიზოდს ასახავს — 1992 წლის ოლიმპიადაზე გამარჯვებას, რომელიც მან გარდაცვლილ დედას მიუძღვნა, აზარტული თამაშებითა და ქალებით გატაცებას, ამერიკული ოცნების ახდენას, პრომოუთერულ ბიზნესსა და იმ ბედნიერებას, რომელსაც მოკრივე საყვარელ ქალთან, მილისთან და მასთან შეძენილ ორ შვილთან ერთად ეზიარა. წიგნს გამომცემლობა — Harper Entertainment — წლეულს, 20 მაისს გამოუშვებს.

რომარიოს დისკვალიფიკაცია მოუხსნეს

ბრაზილიის უმაღლესმა სპორტულმა სასამართლომ რომარიოს 120-დღიანი დისკვალიფიკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა. 2007 წლის დეკემბერში ამ ინსტანციის სადისციპლინო კომიტეტმა რომარიოს „ვასკო და გამას“ მატჩებში მოთამაშე მწვრთნელის რანგში მონაწილეობა აუკრძალა. 1994 წლის მუნდიალის ტრიუმფატორს აკრძალული პრეპარატის — ფინასტერიდის მოხმარებაში დასდეს ბრალი. ეს პრეპარატი გამელოტების საწინააღმდეგო საშუალებად მიიჩნევა და უკვე 10 წელში მიჩვეა, რაც ფეხ-ბურთელი მას იყენებს. თავად ფორვარდისა და კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, ამის შესახებ გუნდის ექიმებმა იცოდნენ. სწორედ ეს გარემოება იქცა იმის საფუძვლად, რომ სადისციპლინო კომიტეტს რომარიოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება შეეცვალა. „დიდი გეგმები მაქვს, რომლებიც „ვასკოში“ თამაშთანაა დაკავშირებული, — ამბობს რომარიო. — ჩემი კონტრაქტი 30 მარტამდე ძალაშია, მაგრამ მისი გაგრძელების თაობაზე ეურიკო მირანდასთან (*„ვასკო და გამას“ ვიცე-პრეზიდენტი. — ავტ.*) მოლაპარაკების გამართვას ვგეგმავ“. ამასთანავე, სკანდალური ფეხბურთელი აცხადებს, რომ სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას არ აპირებს: „ეს საჩემო საქმიანობა არაა. მე ჩემი პრინციპები მაქვს. არ მომწონს ზოგიერთი რამ, რასაც ამ თანამდებობაზე ყოფნისას ვაწყდები. არავის დავუგდებ ყურს, თუ საკუთარი შეხედულება მაქვს. გამოვტყდები: ჩემი სამწვრთნელო მოღვაწეობა ვერ შედგა“.

თუ ჭეშმარიტი «მანჩესტერელი» ხარ, კაშნეს ნუ გაყიდი!

ინტერნეტაუქციონმა — eBay — შეწყვიტა „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაშნეების გაყიდვა, რომლებიც სპეციალურად ცოტა ხნის წინ ჩატარებული დერბისთვის გამოუშვეს. ამ მატჩში „იუნაიტედის“ მეტოქე, მანჩესტერული „სიტი“ გახლდათ და იგი 1958 წელს მომხდარ ავტოკატასტროფაში დაღუპულ „მანჩესტერელებს“ მიეძღვნა. ატრიბუტიკა 70-ათასიანი „ოლდ ტრაფორდის“ ტრიბუნებზე დაალაგეს. იმავე საღამოს, დერბის დასრულებისთანავე, „წითელი ეშმაკუნების“ ბევრმა ქომაგმა საჩუქრად მიღებული კაშნე აუქციონზე გაიტანა. სწორედ ამიტომ, eBay-ს ხელმძღვანელობამ ვაჭრობა აკრძალა და „მანჩესტერის“ თაყვანისმცემლები „ადამიანური ტრაგედიით ფულის შოვნის მცდელობაში“ დაადანაშაულა.

აუქციონზე სულ 40 კაშნე გაიყიდა, თითოეული — 60 ევროდ. ამასთან, კლუბის ზოგიერთი ჭეშმარიტი ქომაგი eBay-ს საიტზე შედიოდა და კაშნეს საფასურად, მფლობელს ფიქციურ ფასს — 10 მილიონ ევროს სთავაზობდა. ხოლო მას, ვინც ამ წინადადებას გამოეხმაურებოდა, შემდეგი ფრაზა ხვდებოდა: „ყველა იდიოტს, რომელიც საკუთარ თავს გულშემატკივრად მიიჩნევს და ამავე დროს, ამ ტრაგედიით გამდიდრება სურს, აქ იმედგაცრუება ელის!“

„არ შემიძლია იმ ადამიანებს გავუგო, რომლებიც ასეთ სამახსოვრო ნივთებს ყიდიან, — ნათქვამია „იუნაიტედის“ ერთ-ერთი ქომაგის, ენდი რიჯუეის მიერ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში. — ვფიქრობ, გუნდის ნამდვილი თაყვანისმცემლები ასე არასოდეს მოიქცევიან“.

რამდენიმე დღეში, ამ ამბავს გაგრძელება მოჰყვა. „მანჩესტერის“ ერთ-ერთმა ფანმა კაშნეების გამყიდველთა შემოწმება გადაწყვიტა და წამოაყენა წინადადება, მატჩზე შეძენილი პროგრამა 660 ათას ევროდ ეყიდათ. ინტერნეტაუქციონმაც 45 წლის ქომაგის, დევიდ ბონერის ეს წინადადება მიიღო. მყიდველსაც არ დაუყოვნებია და პროგრამის შესაძენად, უმალვე ხელშეკრულება გაუფორმებია. მაგრამ დევიდ ბონერი სამახსოვრო სუვენირთან განშორებას არ აპირებს და ამბობს, რომ ეს აქცია ადამიანთა არამორალურობის ხაზგასასმელად ჩაატარა. „იმის სურვილიც მაქვს, რომ სასამართლოში მიჩივლონ, — ამბობს ის, — ხალხმა უნდა იცოდეს და გაიცხოს მყიდველი. სასურველი ნივთის ამგვარი გზით მიღება, კლუბის დაღუპული მოთამაშეებისადმი სრულ უპატივცემულობას ნიშნავს“.

მარათონული ჰოკეი

კანადის პროვინცია ალბერტის ტერიტორიაზე მდებარე შერვუდ-პარკში ენთუზიასტებმა მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი, 241-საათიანი ჰოკეის მატჩი დაასრულეს. ორი გუნდი (თითოეული, 20-კაციანი შემადგენლობით) გაშლილ მოედანზე 10 დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლად თამაშობდა. მათ 3 წლის წინანდელი თავიანთივე მიღწევა ერთი საათით გააუმჯობესეს.

უჩვეულო მატჩის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა — ბავშვთა ონკოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად თანხის შეგროვებას ისახავდა მიზნად. ერთ-ერთ გუნდს „იმედი“ ერქვა, ხოლო მეორეს — „განკურნება“, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც, საერთო ანგარიშით — 2250:2223. ამასთანავე, მარათონული ჰოკეის მატჩის დასაწყისში, ღია ცის ქვეშ მოასპარეზე მოთამაშეები ამინდს ნამდვილად არ გაუუნებივრებია. თერმომეტრი ცელსიუსით, მინუს 20 გრადუსს უჩვენებდა და ტემპერატურამ მხოლოდ ბოლო დღეებში აიწია 0 გრადუსამდე. მატჩის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა, ასეულობით მოხალისის გარეშე: ისინი ჰოკეისტებს სამედიცინო დახმარებას უწევდნენ, მასაჟს უტარებდნენ, ცხელი კერძებით უმასპინძლდებოდნენ.

შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გინესის რეკორდების წიგნის ოფისში გაიგზავნება, თუმცა განაცხადის განხილვისა და რეგისტრაციისათვის, რამდენიმე თვე იქნება საჭირო.

ელმობილი Tesla-სგან

ამერიკული კომპანია Tesla, რომელიც სპორტული ელექტრომობილების წარმოებაზეა ორიენტირებული, 2009 წლის ბოლოსთვის, სერიულ წარმოებაში სედანის ახალი მოდელის ჩაშვებას გეგმავს, რომელსაც Whitestar უწოდეს. მანქანას კლიენტებს ორგვარი მოტორით შესთავაზებენ: უშუალოდ ელძრავათი ან ჰიბრიდული აგრეგატით. ჰიბრიდულ აგრეგატს აკუმულატორები აამუშავებს, რომელთა დასატენადაც მომცრო ზომის ბენზინის მოტორი იქნება გამოყენებული. ამ ეტაპზე, ახალი ელსედანის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება. ამერიკული ფირმის წარმომადგენლებმა მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ელმოტორით აღჭურვილი მანქანა 240-320 კმ-ის დაფარვას შეძლებს. ბენზინის მოტორით მოდიფიცირებული სედანი კი, მხოლოდ ელგაწევით, დაახლოებით 80 კმ-ს გაივლის, ხოლო სავსე ავზით, ეს მანძილი 640 კმ-მდე გაიზრდება. აშშ-ში ახალი სედანის ღირებულება, მოდიფიკაციის შესაბამისად, 50-70 ათასი დოლარი იქნება. Tesla-ს მიერ პირველი მოდელის როდსტერის გამოშვება, სხვადასხვა პრობლემის გამო, არაერთხელ გადაიდო. როდსტერი ერთჯერადი დამუხტვით 230 კმ-ს გადის, ხოლო აკუმულატორების დასატენად 3,5 სთ-ია საჭირო. ამერიკულ ბაზარზე მანქანის ფასი 98 ათასი დოლარია. ■

ერთადერთი Maserati ინკოგნიტო არაბისთვის

იტალიურმა სადიზაინერო ატელიეებმა — StudioM-მა და Studio Torino-მ თავიანთი ახალი ნაშრომის, უნივერსალ Cinqueporte-ს შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნეს. ეს მანქანა Maserati Quattroporte-ს ბაზაზეა აწყობილი. უნივერსალი Cinqueporte სპეციალურად, ერთ-ერთი არაბული ქვეყნის წარმომადგენელი კლიენტისთვის იქმნება. ამ ეტაპზე, იგი მხოლოდ მაკეტის სახითაა (მასშტაბით 1:4) წარმოდგენილი და შემკვეთის მიერ მისი მოწონების შემთხვევაში, მანქანა ერთ ეგზემპლარად აეწყობა. ამ ინკოგნიტო კლიენტს Ferrari-ს მოდელების ბაზებზე, ადრეც შეუკვეთია უნივერსალები თითო ეგზემპლარად, რომლებიც უდაბნოში სანადიროდ იყო განკუთვნილი. როგორც მოსალოდნელია, Maserati-ს უნიკალური უნივერსალი 4,2-ლიტრიანი, რვაცილინდრიანი, 401 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი აღიჭურვება. ამ მომენტისთვის Maserati-ს ექსკლუზიური უნივერსალის ფასი უცნობია. ■

„იაგუარის“ სედანი ტონი ბლერის ოჯახისთვის

კომპანია „იაგუარმა“ დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ტონი ბლერს დიზელის მოტორით აღჭურვილი ახალი სედანით — XF — ტესტ-დრაივში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცა. ბლერი ერთ-ერთ პირველ სერიულ ავტომობილში ჩაჯდა. Jaguar XF-ის გაყიდვა მარტიდან დაიწყება. ზოგიერთი წყარო ამტკიცებს, რომ ეს Jaguar XF არა თვით ტონი ბლერისთვის, არამედ მისი 24 წლის ვაჟიშვილისთვისაა განკუთვნილი. ტესტ-მანქანა საფირმო მწვანე ფერად შეღებეს და მის შესაძენად, დიდ ბრიტანეთში „იაგუარის“ დილერებს უკვე 8000-ზე მეტი კლიენტი გამოუჩნდა. მანქანის ღირებულება 34 ათას გირვანქა სტერლინგზე (დაახლოებით 70 ათასი ამერიკული დოლარი) ოდნავ ნაკლებია. ბრიტანელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ამჟამად, ბლერის ოჯახს მხოლოდ ერთი მანქანა — მინივენი, Chrysler Grand Voyager ჰყავს. ■

ჰოროსკოპი

(28 თებერვალი - 5 მარტი)

ვერძი:

კარგი იქნება, თუ ამ პერიოდს დასვენებას დაუთმობთ. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას და შეეცადეთ, მუშაობით ზედმეტად არ გადაიტვირთოთ თავი. ძვირად ღირებული ნივთების შეძენა დროებით გადადეთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და საგვარეულო ტრადიციებს.

ხარი:

ამ კვირას გასართობად, ოჯახისა და სახლის მისახედად დრო აღარ დაგრჩებათ, რადგან სამსახურში ძალიან ბევრი საქმე დაგგროვდებათ. საქმეებში წარმატება თქვენს ცოდნასა და გამოცდილებაზე, შემოქმედებით იდეებსა და კარგ განწყობილებაზე იქნება დამოკიდებული.

კუჭი:

საზოგადოებრივ საქმეებზე ბევრი დრო და ენერგია დაგეხარჯებათ, რის გამოც, პირადი ურთიერთობისთვის დრო საერთოდ არ დაგრჩებათ, ეს კი საყვარელი ადამიანის პროტესტს გამოიწვევს. გირჩევთ, უქმე დღეები მასთან ერთად გაატაროთ.

ტყუპები:

რომანტიკულ ურთიერთობებში სიამოვნებით გამოამჟღავნებთ საუკეთესო თვისებებს, ოჯახის წევრები კი თავიანთი წარმატებებით გაგახარებენ. შეეცადეთ, უქმე დღეები აქტიურ დასვენებას დაუთმოთ.

ხეუკეები:

მხიარული განწყობილებით ნებისმიერი საქმის მოგვარებას შეძლებთ, ეს კი თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება. კვირის ბოლოს წვულებაზე მიგიწვევენ, სადაც დროს სასიამოვნოდ გაატარებთ.

ფუფუნებიანი:

თუ დაუქორწინებელი ხართ, შესაძლოა, მომავალი მეუღლე გაიცნოთ და ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. იფიქრეთ დამატებითი განათლების მიღების შესაძლებლობაზე. სამსახურისა და კარიერის საკითხები დროებით გადადეთ და შეეცადეთ, ოჯახური პრობლემები მოაგვაროთ.

ქიჩბალიები:

მთელ დროს ყოველდღიური საქმეების მოგვარება და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა წაგართმევთ. სასიყვარულო ურთიერთობაში რადიკალური ნაბიჯის გადადგმას არ გირჩევთ. კარგი იქნება, თუ ნებისმიერ ინფორმაციას გადაამოწმებთ და შემდეგ იმოქმედებთ.

თხის რქა:

ამ კვირაში გირჩევთ, სასიყვარულო ფრონტზე სიმშვიდე შეინარჩუნოთ, რათა არსებული იდილია უმნიშვნელო გაუგებრობებით არ დაარღვიოთ. კვირის ბოლოს სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

ღიმეი:

ჯობს სამოქმედოდ ძველი, გამოცდილი მეთოდები გამოიყენოთ. მიენდეთ ინტუიციას და რჩეულს დაუფარავად გაანდვეთ საკუთარი გრძნობები. ამგვარად, ეს დღეები დაუვიწყარი იქნება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ფარცხი:

ჯობს სამოქმედოდ ძველი, გამოცდილი მეთოდები გამოიყენოთ. მიენდეთ ინტუიციას და რჩეულს დაუფარავად გაანდვეთ საკუთარი გრძნობები. ამგვარად, ეს დღეები დაუვიწყარი იქნება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ჟანგბუდა:

გამოუვალი მდგომარეობის მიუხედავად, ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. იმიჯისა და სტილის ცოტაოდენი ცვლილება განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. ახალი საკითხების შესწავლისას, შეეცადეთ, ამპარტავნება დაივიწყოთ და გამოცდილი ხალხისთვის კითხვების დასმა არ მოგერიდოთ.

თევზები:

ნუ ეცდებით ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებას. პროფესიონალურ სარბიელზე დიდი პერსპექტივების წინაშე აღმოჩნდებით და თქვენი მატერიალური მდგომარეობაც უკეთესობისკენ შეიცვლება.

არ გამოგრჩეთ!
თებერვლის
ნომერი
№2
ლიტერატურული
ჟურნალ-გაზეთი
ISSN 2 ISMN
ეროვნული ბიბლიოთეკა
ISSN 2 ISMN
• მაკვანი ლეონიძე
პრობა
• ზაალ სამადაშვილი
• ომაელი ლომოგაძე
• ომარ მალაყიძე
ლიტერატურული ხიდი
• ფაზილ ისკანდერი
• ალბერა ნინოშვილი
• ნაგი ლომსაძე
პოეზია
• ბაკა ლანელია
• გიორგი ბანგაძე
• ნოდარ ოდიშელიძე
• ნინო ნაღიმაძე
ლიტერატურული ბდაპარი
• ანდრეა ეიკლია
თარგმანი
• ენუგ ბაბალანი
• ბაბილ ბერეზეგი
ბოლო
ბოლო
ბოლო





წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სკომოროხი; 2. კალაპოტი; 3. მონაკო; 4. ცომი; 5. კორტი; 6. ილინოისი; 7. ლამი; 8. მალარია; 9. კაკა; 10. მერილ; 11. ვინ; 12. ნათლია; 13. ბაობაბი; 14. ბუი; 15. ტვინგო; 16. ტოროლა; 17. ტორტი; 18. ალღო; 19. ნიკოლ; 20. ილიონი; 2. არქიელი; 22. რა; 12. ელი. 24. კაკაბი; 25. ოკა; 26. იქ; 27. ტრეფიკინგი; 28. ვენეცია; 29. კიი; 30. ბოა; 31. მეხიკო; 32. ქამი; 33. ვერა; 34. რაი; 35. მეფე; 36. ჯირითი; 37. ჩივილი; 38. ვირი; 39. ფიდე; 40. კენია; 41. რეციდივი; 42. ნინია; 43. თუ; 44. ორტეგა; 45. ეტლი; 46. ნიუ.

სურათებზე: პოლ უოლკერი; ჯენიფერ ტილი.

რამდენად თავისუფლად გამოხატავ საკუთარ აზრს?

გაქვს თუ არა იმის უნარი, რომ თავისუფლად გამოხატო საკუთარი აზრი და ამასთანავე, არ იგრძნო უხერხულობა? თითქოსდა ყველაფერი მარტივადაა, მაგრამ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის დროს, ადამიანი დილემის წინაშე დგება: თუ უხეშობას უხეშობითვე უპასუხებ (მაგალითად, მაღაზიაში ან ტრანსპორტში), შესაძლოა, აგრესიულობაში დაგადანაშაულონ, ხოლო თუ ქედმაღლურად დუმილს ამჯობინებ, ამგვარი პასიური პოზიცია შეიძლება, შენთვისვე აღმოჩნდეს წამგებიანი...

დასმულ შეკითხვებს უნდა უპასუხოთ — „საოცრად არაკომფორტულად“ — 0 ქულა, „ოდნავ არაკომფორტულად“ — 1; „საკმაოდ არაკომფორტულად“ — 2; „ძალზე კომფორტულად“ — 3 და შესაბამისი ქულა დაიწეროთ.

როგორ გრძნობ თავს, როცა...

1. მაღაზიაში ან რესტორანში მოითხოვ, რომ მოგემსახურონ?
2. ძალიან გაბრაზებული ხარ და მრისხანებას არ ფარავ?
3. ქათინაურს გეუბნებიან და მის შინაარსს სრულიად ეთანხმები?
4. შეხვედრისას მეგობარს ან კოლეგას გადაკოცნი?
5. რაიმეს მხოლოდ საკუთრივ შენთვის აკეთებ?
6. უახლოეს მეგობარს რაიმე სამსახურის გაწევაზე უარს ეუბნები?
7. აუდიტორიის წინაშე გამოდიხარ?
8. შეყვარებულს ან მეგობარს პირში ეუბნები, რომ მისი საქციელით უკმაყოფილო ხარ?
9. თანამოსაუბრეს დაუფარავად აკრიტიკებ?
10. შენგან ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნებას ითხოვ?
11 იძულებული ხარ, შენთვის არცთუ კარგად ნაცნობ ადამიანს გამოელაპარაკო?
12. ვინმეს უმხელ, რომ ესა თუ ის ყმაწვილი მოგწონს?
13. წუნდებული (ან სხვა ზომის) ტანსაცმლის მაღაზიაში უკან ჩაბარება გიწევს?
14. ვინმეს შენთვის რაიმე სამსახურის გაწევას სთხოვ?
15. პაემანზე ან შეხვედრაზე ვიღაცას უარს ეუბნები?
16. იძულებული ხდები, საკუთარი შიში ან არაკომპეტენტურობა ვიღაცის წინაშე აღიარო?
17. ვიღაცისგან საკუთარ თავზე კონსტრუქციულ კრიტიკას ისმენ?
18. ვინმეს უარს ეუბნები თხოვნაზე და არც კი ებოდიშები?
19. შენი განცდების შესახებ გულახდილად უყვები მეგობარს?

ტესტის შედეგები

0-19 ქულა: თუ ამ ცხოვრებაში წარმატების მიღწევა გსურს, უფრო მეტად უნდა ირწმუნო საკუთარი თავის. კარგი იქნება, თუ ისიც გეცოდინება, რომ პათოლოგიურად არათავდაჯერებული ადამიანებიც კი, საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად, გასაოცარ წარმატებებს აღწევენ. ასე რომ, გამბედაობა მოიკრიბე და დამაჯერებლად დააფიქსირე საკუთარი აზრი; დროთა განმავლობაში იგრძნობ, რომ სულ უფრო გაბედული და თავდაჯერებული ხდები.

20-40 ქულა: ყველა თვისება გაქვს საიმისოდ, რომ უფრო თავდაჯერებულად გრძნობდე თავს. უბრალოდ, გამბედაობა არ გყოფნის, რომ თამამად და გულახდილად ილაპარაკო იმ ყველაფერზე, რასაც გრძნობ და ფიქრობ. საოცარია, მაგრამ დუმილს ამჯობინებ მაშინაც კი, როცა ცამდე მართალი ხარ. დაანახვე შენი ნიჭი და არაჩვეულებრივი თვისებები ირგვლივ მყოფებს და დარწმუნებული იყავი, რომ მათ პატივისცემას დაიმსახურებ.

40-57 ქულა: საოცრად თავდაჯერებული ადამიანი ხარ და საკუთარ აზრსაც ყოველთვის თავისუფლად და გაბედულად აფიქსირებ. სწორედ ამ თვისებების გამოა, რომ ირგლივ მყოფთა დიდ პატივისცემას იმსახურებ.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

8	5	3	9	2	4	1	6	7
9	4	7	8	6	1	3	5	2
6	1	2	5	7	3	4	8	9
2	7	4	1	3	8	6	9	5
5	8	1	6	9	2	7	4	3
3	6	9	7	4	5	2	1	8
4	9	8	2	1	7	5	3	6
7	3	5	4	8	6	9	2	1
1	2	6	3	5	9	8	7	4

3	2	6	1	4	9	5	8	7
5	7	1	2	8	3	9	6	4
9	8	4	5	6	7	1	3	2
6	1	3	4	9	5	2	7	8
2	9	7	6	3	8	4	5	1
4	5	8	7	2	1	6	9	3
1	3	2	8	5	6	7	4	9
8	4	5	9	7	2	3	1	6
7	6	9	3	1	4	8	2	5

2	8	1	6	3	5	4	9	7
6	3	5	4	9	7	8	2	1
9	7	4	1	8	2	3	5	6
7	5	8	3	2	4	6	1	9
4	6	9	8	5	1	2	7	3
3	1	2	9	7	6	5	4	8
5	4	6	7	1	3	9	8	2
1	9	3	2	4	8	7	6	5
8	2	7	5	6	9	1	3	4

* მარტივი

		1		7				3
		3			4	8		
		7		5	6	2		
2				8	5			6
		9		2		7		
3			9					4
		2	6	4		9		
		5	8			1		
7				1		4		

** საშუალო

		1	4					9
		4			8	5		
			2					3
	4		9	1		6		
		2	8			9		
		3	5				2	
1					6			
		6	3			1		
7					9	8		

*** რთული

5				9		8		
		7		2			6	
			8			3		
		6		8				3
		4	2		6	7		
8				4		2		
		3			7			
	2			5		1		
		8		3				4

ᲤᲝᲢᲝᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲓᲐᲜ ᲩᲘᲢᲘ ᲐᲚᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐ...

Polaroid-ის ცნობილი ფოტოკამერები ნელ-ნელა წარსულს ჰბარდება. კომპანიამ კასეტების წარმოება შეწყვიტა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთ დროს საოცარი, ლეგენდარული ტექნოლოგია ხალხმა კარგა ხანია, დაივიწყა. „პოლაროიდის“ კამერებმა პოპულარობის პიკს 1991 წელს მიაღწია, როდესაც ამ ტექნიკის გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. „პოლაროიდის“ მთავარი ღირსება — მომენტალური ფოტოსურათი, ციფრული ფოტო და ვიდეოკამერების გამოჩენამ გააუფასურა. კომპანია მთლიანად ციფრული აპარატების წარმოებაზე გადაერთო, ძველი კამერების მოყვარულთა სანუგეშოდ კი, მისი მესვეურები აცხადებენ, რომ მათ კასეტების უკვე არსებული მარაგი დიდხანს ეყოფათ. ■

„ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ ᲠᲐᲛᲔ, ᲗᲝᲠᲔᲛ“...

ხელისგულზე დაწერილი ნომრები, სიის ამოკითხვა და მაღაზიის კართან ღამის გათევა — ჩვენთვის, ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის კარგად ნაცნობი სურათია. ამჯერად მხოლოდ დრო და მოქმედების ადგილია შეცვლილი: ეს ავადმოსაგონარი მოვლენა დუბაიში ხდება. დეფიციტური საქონელი კი, ამ ქალაქის ახალ კვარტალში — Burj — აშენებული აპარტამენტებია, რომლის გაყიდვაც 13 თებერვალს დილის 9 საათზე იყო დანიშნული. ღამის 3 საათიც არ იყო, რომ კომპანიის — Emaar Properties-ის — ოფისთან, პლედებით, თერმოსებით, ბუტერბროდებით, საჩეკო წიგნაკებითა და პასპორტებით შეიარაღებულმა 300-მა მყიდველმა მოიყარა თავი. მსოფლიოში უდიდეს ცათამბჯენში პატარა ბინის ფასმა უკვე 2 მლნ დოლარს გადააჭარბა, მაშინ, როდესაც შორიახლოს მდებარე სახლებში მსგავი საცხოვრებელი ფართობი „მხოლოდ“ ნახევარი მილიონი ღირს. მყიდველები ბინების შეძენას ჩქარობდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ, აპარტამენტების ფასი საგრძნობლად აიწევს. აღსანიშნავია, რომ ბოლო 3 თვეში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში უძრავი ქონების ფასმა 25%-ით მოიმატა. ■

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲛ ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘᲖᲛᲡ ᲡᲐᲛᲙᲕᲓᲠᲝ-ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲐ

საფრანგეთის ქალაქ რენის მერიამ ალკოჰოლიზმის მავნე სენისგან მოქალაქეთა დასაცავად, გადამჭრელ ზომებს მიმართა... ქალაქში ორი უდიდესი უნივერსიტეტია, რომელთა სტუდენტებიც ლუდხანებისა და ბარების ხშირი სტუმრები არიან. ბოლო წლებში, რენის ახალგაზრდებს შორის ალკოჰოლის მოხმარების დონემ მკვეთრად იმატა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამ ახალგაზრდების ნახევარი (17 წლის მოზარდთა 48%) წელიწადში სამჯერ უგონოდ თვრება. რენის მოქალაქეთა გალოთების პოტენციური კანდიდატების საყვარელი ადგილი ქალაქის ცენტრალურ რაიონში, ე.წ. „წყურვილის ქუჩაზე“ მდებარე ბარები იყო. მერიამ სწორედ ეს ბარები შეისყიდა, შემდგომ კი დახურა და შენობებში მუსიკალური მაღაზია და რესტორნები გახსნა. ■

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲜᲝᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

ჩინელმა მეცნიერებმა ბალახისმჭამელ დინოზავრთა დღემდე უცნობი სახეობის გიგანტური ნაშთი აღმოაჩინეს. სახეობა, რომელსაც ჯერჯერობით სახელიც არა აქვს, უდიდეს დინოზავრთა — ზაუროპოდთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებიც დედამიწაზე 130 მლნ წლის წინ ცხოვრობდნენ. ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარე, ჯენძიანის პროვინციაში ნაპოვნი გრძელკისერა დინოზავრის ჩონჩხის სიგრძე 15 მეტრია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჩონჩხი 60 მლნ წლის წინანდელია. ამ პროვინციაში 1977 წელს 22-მეტრიანი დინოზავრის ნაშთი აღმოაჩინეს. ქვეყანაში უნიკალური სახეობების დინოზავრთა ჩონჩხს ხშირად აწყდებიან. არქეოლოგიური მონაპოვარი ზოგჯერ, კონტრაბანდული გზით, უცხოეთში გააქვთ და იქ ძალზე ძვირად ყიდიან. 2005 წელს ავსტრალიამ პეკინს უკანონოდ გატანილი დინოზავრის კვერცხები დაუბრუნა, რომელთა ასაკი 100 მილიონს წელს აღწევდა. ■

ᲩᲕᲔᲜ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲕᲔᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲡ, ᲘᲓᲔᲔᲑᲡ, ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲡ. ᲛᲝᲒᲒᲬᲔᲠᲔᲗ ᲔᲚᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ: gza.fantazia@gmail.com, ᲓᲐᲒᲒᲘᲛᲔᲡᲯᲔᲗ ᲢᲔᲚ.: 8.99.17.35.27 ᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲒᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ („ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ“) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ.

ფოტოკუთხიოზები

საბა ◻ SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელე — გურამიშვილი

PASCHAL

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში